# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 9 დეკემბერი 2011 №25(155)

1516
2011

ნატა ვარადას რადიოპიესა
სადაც არაფერია, იქ ღმერთია
ემზარ კვიტაიშვილის ლექსები
კატულუსი — ასე დახვეწილად
ინტერვიუ ნატა მურვანიძესთან
ზურაბ ხასაია სერგი დანელიაზე
პოლ ელმერ მორის არისტოკრატია
ათონის მთა და ქართველი მოღვაწენი
ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლებით
ვინ გააგრძელებს საქართველოს ისტორიას



# წიგნის თარო


ქართველ მწერალთა ცხოვრების გზა
ნაკვეთი პირველი
ა-მ
22


ემზარ კვიტაიშვილი
გვანჯი ჩიქოვანისა
მუშნი დადიანი


ქართველ მწერალთა ცხოვრების გზა
23


მიხეილ დანიშაშვილი
გოგია ჭიჭოშვილის ეპოსი
2011






ამბროზ ბირსი


ჯერომ სელინჯერი

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| ერი და ბედისწერა | 2 | ათონის მთა და ქართველი მოღვაწენი<br>(ნინო საბაშვილს ესაუბრება ქეთევან პავლიაშვილი) |
| ექსპრეს-ინტერვიუ | 5 | ნატა მურვანიძე „ჩემი ბედნიერება ჩემი ოჯახია“<br>(მოამზადა ნინო ჩხიკვიშვილმა) |
| პროზა | 6 | ეკატერინე ტოგონიძე მზეთუნახავი |
| პოეზია | 21 | ემზარ კვიტაიშვილი უკვდავების დევნაში და სხვა ლექსები |
| ესეისტიკა | 25 | პოლ ელმერ მორი არისტოკრატია |
| ვაჟა-ფშაველა — 150 | 33 | ლია კარიჭაშვილი „...სიკვდილის გამაწბილადა“ |
| შტრიხები პორტრეტისათვის | 34 | ზურაბ ხასაია ფიცხი კოლხი |
| თეატრალური ცხოვრება | 38 | მარიამ გიორგაშვილი ჰამლეტის (არა)ლიტერატურული ინტერპრეტაციისთვის |
| წარსული მომავლისათვის | 41 | ეკა ბუჯიაშვილი ვინ გააგრძელებს საქართველოს ისტორიას |
| დრამატურგია | 44 | ნატა ვარადა ფოკუს-მოკუს-ფრრრ...<br>(რადიოპიესა ექვს ხილვად) |
| რეპორტაჟი | 48 | მარინე რევიშვილი პატულუსი — ასე დახვეწილად |
| კრიტიკა | 53 | ქეთევან ტომარაძე ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლებით |
| უცხოური ნოველა | 58 | უილიამ ბატლერ იეიტსი სადაც არაფერია, იქ ღმერთია |
| ახალი წიგნები | 61 | ზაურ ნაქაძე ამას შენ თუ დაწერდი |
| მოზაიკა | 63 | ასე გააცურეს ცენზურა |



ორკვირეული ჟურნალი
დამფუძნებელი „ილიონი“
მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ეკატერინე ტოგონიძე
რატი სამყურაშვილის ფოტოეტიუდი

ბეჭდვითი სახლი „ომეგა თეგი“ საქართველო, თბილისი, საარაჯიშვილის 17 ტელეფონი +995 32 53 03 62
PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE +995 32 53 03 62


„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 23 დეკემბერს

ათონის მთა დღემდე მსოფლიოს მართლმადიდებლური საქრისტიანოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად მოიაზრება. ქვეყნები, რომლებსაც ამ ტერიტორიაზე თავისი სულიერების სავანეები გააჩნდათ, უძველესი მართლმადიდებლური ტრადიციებისა და დიდი კულტურის მატარებლები იყვნენ. გეოგრაფიული მდებარეობის გამო საქართველო გამავალი ხიდი იყო ორ ცივილიზაციას შორის და ყოველთვის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებისათვის. ათონის ივერთა მონასტრის დაარსების და ათონის მთიდან ქართველთა რიცხობრივი კლების მიზეზებზეა საუბარი ჟურნალისტისა და მეცნიერის დიალოგში.

# ათონი მთა და ქართველი მოღვაწენი

*

ნინო საბაშვილს
ესაუბრება
ქეთევან პავლიაშვილი

— დაარსებიდანვე (VIII საუკუნიდან), ისეთ წმინდა ადგილს, როგორიც ათონის მთა იყო, მოეძალნენ, უპირველეს ყოვლისა, ის ერები, რომლებიც ქრისტიანები იყვნენ პირველივე საუკუნეებიდან. მათ მეტ-ნაკლებად უკვე გარკვეული გამოცდილება, პრაქტიკა და ცოდნა ჰქონდათ დაგროვილი ქრისტიანული ცხოვრების წესის შესახებ.

ამავდროულად, აქ მიილტვოდნენ ისეთი ქვეყნები, რომლებსაც არა მხოლოდ პოლიტიკური ამბიცია ჰქონდათ, არამედ იყვნენ კიდეც მაღალი სულიერი კულტურის მატარებელი და ძლიერი სახელმწიფოები. ხოლო ისეთ მცირე ერს, როგორიც საქართველო იყო, VII-IX საუკუნეებში არაბული უღლის ქვეშ მყოფს, საერთაშორისო მასშტაბის პოლიტიკურ სიძლიერეზე პრეტენზია ვერც ექნებოდა. მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ არაბთა უღლის ქვეშ მყოფ ქართველებს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სურვილი არ გააჩნდათ, შესაბამისად, არც დაუკარგავთ იმედი და არ შეუჩერებიათ ბრძოლა თავისუფლებისათვის.

მიუხედავად ათონზე თანასწორუფლებიანობისა, ბიზანტია, როგორც მსოფლიოს საქრისტიანოს მართლმადიდებლობის აკვანი, ჰეგემონობდა ათონის მთაზე, სადაც შესაბამისად ბერძენი ბერები მძლავრობდნენ.

გეოგრაფიული სიახლოვის გამო ათონის მთაზე ბერძნული მონასტრები ჭარბობდა, რაც მათი ქრისტიანული ჰეგემონობის ამბიციას ზრდიდა. ბერძნებს უჭირდათ ათონის მთაზე სხვა ეთნოსის ბერებთან შეგუება და ცდილობდნენ მათთვის ხელოვნური ბარიერების შექმნას. აღნიშნულის დამამტკიცებელი ისტორიული საბუთები აშკარად მეტყველებენ ათონელი ბერძნების გამწვავებულ ამბიციებზე.

თავდაპირველად ქართველები სხვა ერის წარმომადგენლებისა და, უპირველეს ყოვლისა, ბერძნების მიერ აშენებული მონასტრის წევრები იყვნენ, მაგრამ VIII-IXსს-ის მიწურულს ისე მომრავლებულან, რომ გაჩნდა ქართული სავანის აშენების იდეა.

წმინდა მიწაზე ქართველთა ცხოვრებაზე თქმულებაც არსებობს, რომელსაც სასულიერო პირნი ჭეშმარიტებად მიიჩნევენ.

ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ისტორია IX საუკუნიდან იწყება. თეოფილე კეისრის მეფობის ჟამს ბიზანტიაში ხატმებრძოლეობის პერიოდი მძვინვარებდა. ბიზანტიის კეისრის ჯარისკაცებმა და ქვეშევრდომებმა ხატების დევნა და განადგურება დაიწყეს. მეფის ბრძანებით, ყველა ქალაქსა და სოფელში გაგზავნეს მხედრები გადამალული ხატების მოსაძებნად და გასანადგურებლად. სასტიკად სდევნიდნენ და არბევდნენ ქრისტიანთა სახლებს, აწამებდნენ და კლავდნენ მართლმადიდებელ ქრისტიანებს, არბევდნენ და ანადგურებდნენ სიწმინდეებს, ხატებს. იმ დროს ქალაქ ნიკეაში ერთი ქვრივი დედაკაცი ცხოვრობდა ერთადერთ ვაჟთან. მათ სახლში ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი ესვენა. მეფის გაგზავნილმა ხალხმა ეს ხატი იპოვა, ერთ-ერთმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს მახვილი აძგერა, ხატიდან სისხლმა იფეთქა, თავზარდაცემული მხედარი, გადმოცემის მიხედვით, მოინათლა და შემდგომ ბერად აღიკვეცა. დანარჩენ მხედრებს ქვრივი შეევედრა და ფულსაც დაჰპირდა, ოღონდ მეორე დღემდე მოეცადათ.

ქვრივმა მთელი ღამე ილოცა ხატის წინ, შემდეგ ზღვის პირას მიაბრძანა და ღვთისმშობელს გულწრფელი ლოცვით შესთხოვა შველა: „ზეციურო დედოფალო, შენ მეუფებ ყველა ქმნილებას, შენ შეგწევს ძალა, დაგვიხსნა ჩვენ უსჯულო მეფის რისხვისაგან და იხსნა შენი ყოვლადწმინდა ხატი ჩაძირვისაგან". ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ხატი ზღვაში ჩაუშვა. წმინდა ხატი ზღვის ტალღებზე აღიმართა და დასავლეთისაკენ დაიძრა. ამ ხილვით დამშვიდებულმა ქალმა მადლობა შესწირა წმინდა ქალწულს და თავის ვაჟს შეევედრა, გაქცეულიყო ბერძენთა ქვეყანაში. შვილმა მორჩილად შეისმინა დედის თხოვნა, ბერად აღიკვეცა და ათონის მთის იმ ადგილას დამკვიდრდა, სადაც შემდგომ ივერთა ქართული მონასტერი დაარსდა. სწორედ მისგან შეიტყვეს ამ წმინდა მთის ბინადრებმა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის ისტორის შესახებ.

მხოლოდ 200 წლის შემდეგ იხილეს ათონზე ივერთა მონასტრის ბერებმა ზღვაზე აღმართული ნათლის სვეტი, რომელიც ზღვის ტალღებზე მდგომი ხატიდან მოდიოდა. მამები შეეცადნენ ნავით მიახლოებოდნენ ხატს, მაგრამ ამაოდ. იგი ზღვის ნაპირს შორდებოდა და არავის იკარებდა. ამ დროს ივერთა მონასტერში ერთი ქართველი ბერი, სახელად გაბრიელი, მოღვაწეობდა, ზაფხულობით მიუვალ კლდეში ცხოვრობდა, ზამთრობით კი მონასტერში. სწორედ ამ წმინდა ბერს გამოეცხადა ხატი და უთხრა: „შემოდი ზღვაში, ტალღებზე რწმენით გაიარე და მაშინ ყველა იხილავს ჩემს სიყვარულსა და წყალობას თქვენი სავანისადმი".

გაბრიელი მართლაც ჩავიდა ზღვაში, ტალღებზე, როგორც ხმელეთზე ისე გაიარა და წმინდა ხატი ნაპირზე გამოიყვანა. იმ ადგილას, სადაც პირველად ხატი დაასვენეს,

* დიალოგი პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა



წყარომ ამოჩქეფა, რომელიც დღემდე მოედინება. შემდეგ ხატი ეკლესიაში, საკურთხეველში დააბრძანეს. მეორე დილით იგი იქ აღარ დახვდათ. ძებნის შემდეგ ხატი კარიბჭის კედელზე აღმოაჩინეს. ბერებმა დიდი მოწიწებით ისევ საკურთხეველში დაასვენეს. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ბოლოს ხატი ისევ გამოეცხადა გაბრიელს და უთხრა: „მნებავს, რომ არა თქვენ მიცავდეთ მე, არამედ მე გიფარავდეთ თქვენ არა მხოლოდ ამქვეყნად, არამედ სამუდამოდ და სანამ ჩემი ხატი ამ სავანეში იქნება, არ მოგაკლდებათ მადლი და წყალობა ძისა ჩემისა იესო ქრისტესიო". იქვე პატარა ტაძარი ააგეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სადიდებლად და საკვირველმოქმედი ხატი იქ დაასვენეს. მას „კარიბჭის ღვთისმშობლის ხატი" ეწოდა. იგი დღემდე ათონის მთაზე იმყოფება ივერონის მონასტერში.

აქედან იწყება ივირონის ღვთისმშობლის ეკლესიის ისტორია ათონზე და ამ თქმულების თანადროულად მოგვეპოვება ისტორიული საბუთები იმის შესახებ, თუ როგორ დაარსდა იქ ქართული მონასტერი.

**— როგორც ისტორიიდანაა ცნობილი, ბერძნებსა და ქართველებს შორის ეტაპობრივად დაძაბული ვითარება იქმნებოდა. რით შეიძლება ეს პროცესი აიხსნას?**

IX-X საუკუნეებში მიმდინარეობდა ე.წ. „კულტურული პაექრობა" ბერძნებსა და ქართველებს შორის, არაბთა სახალიფოს დასუსტების შემდეგ.

იგი ბიზანტიისთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენდა, შესაბამისად, საქართველო, როგორც ბიზანტიის აღმოსავლეთის საზღვარის გამამაგრებელი, სტრატეგიული პარტნიორის ფუნქციას კარგავს; ბიზანტიაც იწყებს საქართველოს დაუფლებისათვის მეცადინეობას. ამასთანავე, ბიზანტია საჭიროებს ამ ქმედების გამართლებას, არგუმენტირებას, რასაც პოულობს კიდეც:

ბერძნები უარყოფენ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას და ბრალს სდებენ მართლმადიდებლობის სიწმინდის დარღვევაში; უკიჟინებენ სომხური ეკლესიის გავლენაზე და შეახსენებენ, რომ უფლებამოსილნი არ არიან ქართულ ენაზე ღვთისმსახურების ჩატარებისა. ამ უკანასკნელის არგუმენტად მოჰყავთ ჯვარცმის თავფიცარზე შესრულებული სამენოვანი წარწერა: ებრაულ, ბერძნულ და ლათინურ ენებზე, და რომ მხოლოდ ამ ენებზეა შესაძლებელი ღვთისმსახურების ჩატარება.

**— სამეცნიერო წრეებში არსებობს მოსაზრება, რომ საქართველო სომხური ეკლესიის გავლენას განცდიდა, რომელ საუკუნეებში ხდება ეს?**

— სამეცნიერო წრეებში მართლაც არსებობს მოსაზრება, რომ, VI-VII სს-ში ქართული ეკლესია არა დიოფიზიტური, არამედ მონოფიზიტური იყო, რაც ქართულ ეკლესიაში სომხური ორიენტაციის გაძლიერებით აიხსნება.

სომხეთის ესოდენ სიმძლავრეს ზურგს უმაგრებდა ირანი, რომელიც ცდილობდა კავკასიაში სომხეთის ჰეგემონობის დადგენას.

ქართულ ენაზე თარგმნილი ბერძნული სასულიერო ლიტერატურა განიცდიდა სომხურ რედაქციას. სწორედ ასეთი ლიტერატურით აიძულებდნენ ქართველებს ღვთისმსახურების ჩატარებას.

მიმდინარე ვითარება ბიზანტიისათვის ცნობილი იყო და მის სათავისოდ გამოყენებას ცდილობდა. ამით აიხსნება ათონის ივერთა მონასტერში გაცხოველებული მთარგმნელობითი საქმიანობა, წიგნების რედაქტირება, კერძოდ, სომხურად რედაქტირებული წიგნების გაბერძნულება-გაქართულება.



ქეთევან პავლიაშვილი

ეს დიდი ეპოქა ბიზანტიურ-ქართული პოლემიკის სახელით შევიდა ისტორიაში. ამ მხრივ ათონის მთა საქართველოსთვის დიდ კულტურულ სავანედ ითვლება, ამიტომ მიიჩნევა ათონზე ივირონის მაღალავტორიტეტულობა. მისმა მაღალმა იდეურ-კულტურულმა დონემ თითქმის დაიპყრო მართლმადიდებლური სამყარო და თვით ბერძნებსაც გაუტოლდა. ქართველთა ამგვარი იდეოლოგია ბერძენთათვის ფრიად უსიამოვნო ფაქტი იყო, რის გამოც აგრესია ბიზანტიის იმპერიისა და კონსტანტინეპოლის ეკლესიისაგან საქართველოსადმი ათონის მთიდან იწყებოდა.

ბერძენი ათონელი ბერები აწვდიდნენ ინფორმაციას ქართველების წარმატებული მოღვაწეობის შესახებ ბიზანტიის საიმპერატორო კარს, რაც მათ დიდ აღშფოთებას იწვევდა. მით უფრო, რომ ბიზანტიის უმაღლესი წრის წარმომადგენლებს ქართველებთან ხშირი კონსულტაციები ჰქონდათ რიგ პრობლემატურ საკითხზე.

ბაგრატ IV-ისა და დავითი აღმაშენებლის დროს, მას შემდეგ, რაც იწყება ქართული სახელმწიფოებრიობის გაძლიერება, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ათონის მთაზე ქართული ბირთვი განმტკიცდეს. დავით აღმაშენებლისა და თამარის დროს საქართველო საოცრად ძლიერია, ამას მოწმობს რომის პაპის და ჯვაროსნების მოწიწება ქართველების მიმართ, რაც გამოწვეული იყო არა მარტო იმით, რომ მათ გზა სჭირდებოდათ აღმოსავლეთში გასასვლელად, არამედ საქართველო მსოფლიოში უკვე ანგარიშგასაწევი ძალაა.

საისტორიო წყაროების თანახმად, მსოფლიოს ძლიერი მართლმადიდებლური ქვეყნები უძრავ-მოძრავ ქონებას სწირავენ ათონის მთის ქართულ სავანეს. მათ შორის იყვნენ ბიზანტიის კეისრებიც.

**— მიუხედავად ამისა, მკვეთრად ჩანს, ბერძნების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ქართველების მიმართ, რითი აიხსნება ეს?**

— X-XI საუკუნეები თურქ-სელჩუკთა ხანაა და ახლა ბიზანტიას არაბების შემდეგ ისინი ემუქრებიან. მას ისევ სჭირდება საქართველო თავდასაცავად, ამიტომ აჩერებს

27899

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრესიას ქართულ ეკლესიაზე, რიგ დათმობაზე მიდის. მოგვეპოვება ცნობები, რომლის მიხედვითაც ბიზანტია საეკლესიო კრებებზე აღიარებს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას, მაგრამ არ ქმნის სათანადო დოკუმენტს, მხოლოდ სიტყვიერ აღიარებას კმარობს.

ამ სიგელის უქონლობა საქართველოს ეკლესიის თვითმოწესეობის იურიდიული აღიარებისთვის ისტორიულად ხელისშემშლელ ფაქტორად იქცა. მხოლოდ 1990 წელს უწმინდესისა და უნეტარესისა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II მეცადინეობით მოპოვებულ იქნა იურიდიული აღიარების დოკუმენტი.

მე-16 საუკუნიდან საერთაშორისო ასპარეზზე გამოდის რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომელიც მიისწრაფის დამოუკიდებელი რუსული ეკლესიის უფლებათა მოპოვებისაკენ. ამ მიზნის მისაღწევად მას ესაჭიროებოდა მონასტრული, საეკლესიო-მონასტრული ცხოვრების წესის ირგვლივ ღრმა ცოდნის მიღება, რისი საშუალებაც იყო ათონის მონასტრულ ცხოვრებაში ზედმიწევნით გარკვევა. ათონზე კი საამისოდ სანიმუშო მონასტერს ივირონი წარმოადგენდა. მე-17 საუკუნიდან იწყება რუსი ბერების აქტიური თანამშრომლობა ივირონელ ქართველებთან, რომლის სანაცვლოდაც რუსები თავიანთ სახელმწიფოში ივირონის მეტოქ ტაძრებს აარსებენ. იმავდროულად, რუსები მაქსიმალურად ცდილობენ ათონზე ფეხის მოკიდებას, იქ რუსული ტაძრების დაფუძნება-აღორძინებას, რაც სანინდარი უნდა ყოფილიყო რუსეთის პოლიტიკური ამბიციების გამარჯვებისა საერთაშორისო ასპარეზზე. თავის მხრივ, ივირონი უხვად სარგებლობდა რუსეთის შემონირულობებისაგან, რამეთუ, მისი ძირითადი საქმიანობა სულიერ-ინტელექტუალური მუშაობა იყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღმოჩნდა, რომ ათონზე ქართველთა მონასტერი კარგად დაფინანსებული გახლდათ და ითვლებოდა ეკონომიკურად, სულიერ-იდეოლოგიურად ძლიერ ერთეულად.

**— ათონის მთაზე ქართველთა მაღალმა ინტელექტუალურმა გარჯამ ალბათ ერთ-ერთი მდიდარი ბიბლიოთეკა შექმნა?**

— ჩვენდა სამწუხაროდ, ამაზე ხელი არ მიგვიწვდება და დღესაც ტაბუ აქვს დადებული ამ საკითხს, მაგრამ ცნობილია, რომ ათონის მთაზე ყველაზე მდიდარი, მრავალრიცხოვანი და საინტერესო ბიბლიოთეკა სწორედ ქართველებს ეკუთვნოდათ. ბიბლიოთეკაში არაქართულენოვანი ლიტერატურაც ინახებოდა: სომხური, ბერძნული, ლათინური ხელნაწერები. ქართველები ყველა ამ უცხოენოვან ლიტერატურას მოიპოვებდნენ საზღვარგარეთიდან, მთარგმნელობით-სარედაქციო სამუშაოებს ატარებდნენ და შემდეგ დედნებსაც ინახავდნენ.

დროთა განმავლობაში შეიცვალა ვითარება, XV საუკუნეში საქართველოს დაქუცმაცება-დაშლას, თემურ-ლენგის, ოსმალების, ყიზილბაშების შემოსევები მოჰყვა. საქართველო, ბუნებრივია, ვეღარ იცლიდა ათონისათვის, სადაც ქართველი ბერები მატერიალური შემოსავლის გარეშე დარჩნენ.

არსებობს მე-16-18 სს-ის საბუთები, იმის დამადასტურებელი, რომ ათონის მთას დამატებით საშემოსავლო წყარო გადაეცემოდა, მაგრამ განუწყვეტელი შემოსევების გამო მონასტერი ამ დამატებით შემოსავლებსაც ხშირად ვერ იღებდა. ამის გამო ივირონს გაუჭირდა, ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ ათონზე სასულიერო მოღვაწეთა ახალი ნაკადი ვეღარ მიდიოდა.

წყაროების მიხედვით, აღორძინების ხანაში, ყოველწლიურად, ათონის მთაზე 500-1000 ახალგაზრდა ბერ-მონაზონი ჩადიოდა, რაც მე-13 საუკუნეში მცირდება. გიორგი ბრწყინვალის მეფობისას ათონის მთაზე ქართველი ბერები კვლავ ჩადიან, მაგრამ შემდგომ ისევ იწყება მათი მიგრაციის პროცესის შესუსტება.

საქართველოსთვის ერთ-ერთი მძიმე ჟამია მე-18 საუკუნე — ოსმალობისა და ყიზილბაშობის პერიოდი. ათონის მთაზე ბერების ახალი თაობა არ ჩანს. მე-19 საუკუნის დასაწყისში იქ სულ 5 ბერი მოღვაწეობს და ყველა ხანდაზმულია, რომელთაგან ერთ-ერთი გაბრიელ მთავარეპისკოპისის ძმა ყოფილა, შემდგომ რუსებს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში რომ წაუყვანიათ, როგორც უაღრესად განათლებული პიროვნება. იგი მონაწილეობდა რუსეთის იმპერიის სამეცნიერო ექსპედიციაში, რომელიც მეცნიერულ შესწავლას აწარმოებდა პალესტინაში. იერუსალიმში წასვლის შემდეგ მის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.

**— პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის გართულებამ გამოიწვია ის, რომ იქ ბერ-მონაზონთა ახალი ნაკადი ვეღარ ჩადიოდა, რამაც ათონის მთის ქართველებისგან დაცარიელება გამოიწვია, ეს არის უმთავრესი მიზეზი ივერონის მონასტრის დაკარგვისა?**

— მას შემდეგ, რაც ათონზე ქართველ ბერთა ახალი ნაკადი ვერ ჩადის, იქ მყოფი ბერებიც ხანში შედიან, საქართველოდან სულ მცირე დაფინანსებასაც ვეღარ ღებულობენ, და ისინი იმ მონასტერზე ხდებიან დამოკიდებულნი, რომელსაც უწყვეტი შემოსავალი აქვს, ასეთი იყო ბერძენთა მონასტერი. ბერძენი ბერები დროთა მანძილზე მომრავლდნენ ივირონშიც.

ათონის მთის კანონმდებლობის თანახმად, მის 12 მონასტერს პროტატა (საბჭო) განაგებდა, რომელიც ათონის თორმეტივე მონასტრის წინამძღვრით კომპლექტდებოდა. მე-19 საუკუნისათვის ივირონს აღარ ჰყავდა ქართველი წინამძღვარი და შესაბამისად პროტატას წევრი ქართველი ბერი აღარ ყოფილა. დროთა ვითარებაში მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ ივირონელი ბერები ბერძნებმა თავიანთსავე მონასტერში მსახურებად აქციეს.

სამშაბათს, 13 დეკემბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
განხილვა

**ნიკოლოზ ჩუბინიძის**
მოთხრობების კრებულისა

**„უგემური საკითხავი“**

მომხსენებელი
**ინგა მილორავა**

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

ნატა მურვანიძე

# „ჩემი ბედნიერება ჩემი ოჯახია“

**— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?**

— როცა ვიღაცას ჭირდები და ვერ ეხმარები...

**— სად ისურვებდით ცხოვრებას?**

— საქართველოში, სხვაგან ცხოვრების სურვილი რომ მქონოდა, ალბათ, ვიცხოვრებდი კიდეც...

**— რა არის უმაღლესი ბედნიერება?**

— როდესაც შენი შვილები ბედნიერები არიან.

**— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?**

— ბავშობაში ძალიან მიყვარდა პეპი და ტომ სოიერი. ახლა კი კონკრეტული ავტორები უფრო მიყვარს, ვიდრე ცალკეული პერსონაჟები. თუმცა... ძალიან მიყვარს ვაჟას მინდია.

**— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?**

— ექვთიმე თაყაიშვილი.

**— თქვენი საყვარელი მხატვარი?**

— ვან გოგი, ტერნერი.

**— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

— მოცარტი, პროკოფიევი, რიხარდ შტრაუსი.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?**

— ღირსებას, თვითირონიას.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?**

— კვლავ იმავეს. გავიმეორებ: ღირსებას, თვითირონიას.

**— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?**

— თავმდაბლობა.

**— თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

— სახლში — ინტერიერის შეცვლა, ეზოში — ექსტერიერის, და კიდევ მიყვარს სხვებისთვის სიმყუდროვის შექმნა.

**— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— ჩემი ოჯახის ნებისმიერი წევრთაგანი: ხან ერთი, ხან მეორე, ხან მესამე და ასე... ასე დაუსრულებლად...

**— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— ძალიან ინტერესიანი ადამიანი ვარ: ძალიან ბევრი კითხვა გამაჩნია.

**— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

— ერთგულებას.

**— თქვენი მთავარი ნაკლი?**

— საყვარელი ადამიანებისადმი ზედმეტად კრიტიკული ვარ (მაგრამ არის კი ეს ნაკლი?!)

**— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— ჩემი წარმოდგენა ბედნიერებაზე?... ეს ჩემი ოჯახია!

**— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— ოჯახი რომ არ მყავდეს!

**— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— აი, ეგ არ ვიცი, ეგ ხომ ჩემს ხელთ არ არის?!

**— თქვენი საყვარელი ფერი?**

— ლურჯი და თეთრი.



**— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

— იასამანი.

**— თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— ბუ.

**— თქვენი საყვარელი მწერალი?**

— ვაჟა-ფშაველა, მიხელ ჯავახიშვილი, კავაბატა, შექსპირი.

**— თქვენი საყვარელი პოეტები?**

— ბარათაშვილი, გალაკტიონი, ცისფერყანწელები, ცვეტაევა, რატი ამაღლობელი.

**— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?**

— აკი ვთქვი — პეპი (საერთოდ, გმირები არ მიყვარს).

**— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**

— ექვთიმე თაყაიშვილი.

**— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— კარგი ცოლები...

**— საყვარელი სახელები?**

— ნიკოლოზი, ალექსანდრე, კონსტანტინე, დავითი, ანა, მაკა, ელენე.

**— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— ტყუილს, უპასუხისმგებლობას, უმეცრებას, ამპარტავნებას...

**— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— ჰიტლერი.

**— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?**

— არ არსებობს ომი, რომელიც ჩემში ალტაცებას იწვევდეს!

**— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— ალბათ დემოკრატია იყო ყველაზე დიდი რეფორმა... მაგრამ რატომღაც მეეჭვება, რომ მას იყენებენ, როგორც ფარსს, ან ნიღაბს...

**— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი: პოეტი, კომპოზიტორი, მომღერალი, მწერალი, ბალერინა, მხატვარი.

**— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?**

— ღირსეულად!

**— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— ფრიად საეჭვო...

**— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

— შეცდომას ვაპატიებ ორჯერ, მესამედ კი — ველარა!

**— თქვენი დევიზი?**

— დევიზი არა მაქვს.

**— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— აი, აქეთ მოდი, აქ არიან შენიანები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკატერინე ტოგონიძე

# მზეთუნახავი

ვერცხლისფერ დაფაზე სიმეტრიულად განლაგებულ ოთხ ნათურას უყურებდა, როცა ანესთეზიოლოგმა ხელით ანიშნა, იძინებო. ამაზე წინასწარ შეუთანხმდა ექიმს. არ მოსწონდა, სიტყვას გაუფრთხილებლად რომ აწყვეტინებდნენ და ნარკოზიდან გამოსვლისას დაუმთავრებელი აზრი არ ასვენებდა, მის გახსენებას და გაგრძელებას უშედეგოდ ცდილობდა.

საავადმყოფოს და თეთრხალათიანებს შეეჩვია. ყველაფერს დაწვრილებით ეკითხებოდა, ბევრ რამეში გაერკვა. შეეგუა ტკივილებსაც. შიშით თითქმის აღარ ეშინოდა. ფიქრობდა, რომ შედეგი არსებულზე უარესი ვერ იქნებოდა, უკეთესის იმედი კი ჰქონდა. ნაწიბურების გაქრობის გარანტია არ მიუციათ, თუმცა კომპიუტერში შექმნილი მოდელის მიხედვით მისი გარეგნობა ოთხმოცი პროცენტით უნდა გაუმჯობესებულიყო. ძველი სახის აღდგენაზე აღარ უფიქრია. აირჩია ახალი და განსხვავებული შტრიხები.

ავარიის შემდეგ გაუჭირდა საკუთარი თავის აღქმა. ძველ გარეგნობას ვერ ივიწყებდა, სიზმარშიც და ცხადშიც ხედავდა იმას, რაც სარკიდან თუ ფოტოებიდან ახსოვდა. მოგვიანებით, როგორც იქნა, მიიღო და გაითავისა ანარეკლის ახალი, უჩვეულო ვერსია და ტვინში ჩაიბეჭდა თითოეული ნაწიბური თუ მორღვეული ხაზი, არაპროპორციულად განლაგებული, დაზიანებული ნაკვთები.

ქუჩაში ვერავინ ცნობდა, რაც უსიამოვნებას ნაწილობრივ არიდებდა. გახდა უცხო და თავად აირჩია, ვისთან გაეგრძელებინა ურთიერთობა. ასეთი კი ძალიან ცოტა აღმოჩნდა.

დედამ რომ პირველად დაინახა, სახეზე ხელები აიფარა. ეს საოპერაციოში შეყვანამდე იყო. მერე თავი დაიმორჩილა და ისწავლა იმით სიხარული, რომ გადარჩა.

სამი ოპერაცია გაუკეთეს, სამივე სიცოცხლის შესანარჩუნებლად. მეოთხე, უკვე პლასტიკურის ნებართვა ერთწლიანი პაუზის შემდეგ მიიღო. ამ შუალედში კი ბევრი რამ მოხდა, მოულოდნელიც და მოსალოდნელიც...

ფეხზე რომ დადგა, სათვალეც გაიკეთა. შვება მოჰგვარა. სამყარომ უწინდებური ფორმა ველარ დაიბრუნა, მაგრამ შორი ხედები საგრძნობლად გამოიკვეთა; სახლის ფანჯრიდან ისევ გამოჩნდა მთა, რომელიც სეზონურად იფერებოდა და შემოდგომაზე განსაკუთრებით ლამაზად ჭრელდებოდა; დაინახა კორპუსებს შორის მომწყვდეული ერთი ხე, წყნარ ამინდშიც რომ შრიალებდა და უძრავ ნატურმორტში ცოცხალი არსებასავით არხევდა მოვერცხლისფრო ფოთლებს. გაარჩია რეკლამები, რომლებიც მოშორებით მიუყვებოდა მთავარ გამზირს, შეძლო ეზოში გაჩერებული მანქანების ნომრების წაკითხვა. სათვალის ჩარჩო კი ვერაფრით დაივიწყა. ყველაფერს, რასაც ხედავდა — ცას, ადამიანებს, წიგნს, კომპიუტერს, პირსაბანს, საჭმელს, ჭერს, სარკეს თუ საკუთარ დასახიჩრებულ სახეს — გასდევდა სწორხაზოვანი ზღვრები. გაახსენდა, ბავშვობაში მამას იპოდრომზე რომ დაჰყავდა და ცხენებს თვალებზე შორებს აფარებდნენ, მათ მზერას კალაპოტში



აქცევდნენ, კონკრეტულ მიმართულებას აძლევდნენ და არეალს უვიწროებდნენ. გეზი მხოლოდ მიზნისკენ უნდა ჰქონოდათ. სწორედ ასე შეიზღუდა მისი ცხოვრება და ჩარჩოში მოექცა შესაძლებლობები, შემცირდა ფუნქციები, შეიკვეცა სურვილები და თავისუფლება. მიზნები კი უბრალოდ გაქრა...

სამსახურში არ გასულა, სამედიცინო ცნობითა და ხელმძღვანელის კეთილგანწყობით ისარგებლა და დაბრუნება შორეული მომავლისთვის, თუნდაც პლასტიკურ ოპერაციამდე გადადო.

ჰაერში დარჩენის განცდა შემზარავი აღმოჩნდა. ყველაზე მეტად მაშინ შეშინდა, როცა ბორბლები მიწას მოწყდა, მიზიდულობის ძალა დაიკარგა და მანქანა ბრმა ტყვიასავით გავარდა სივრცეში. არ უყვირია, კბილს კბილზე ისე აჭერდა, თითქოს ეშინოდა, ხმას სულიც არ ამოყოლოდა...

შემდეგ იყო უჰაერობა. იხრჩობოდა, ჩასუნთქვის ინსტინქტმა გამოაფხიზლა. მიწაზე დაგდებულს ყელში საკუთარი სისხლი იმდენი და ისე სწრაფად უგროვდებოდა, ყლაპვას ველარ ასწრებდა. ხელი რომ სახისკენ წაიღო, უცხო, გლუვ მასას შეეხო. შეშუპებულ, სისხლიან ცხვირპირზე ნაკვთები აღარ იკვეთებოდა... ტკივილი მოგვიანებით ეწვია და დიდხანს აღარ დაუტოვებია დაზიანებული სხეული.

პალატაში სარკე არ იყო. ტუმბოზე სანდროს მოტანილი ყვავილები ეწყო. ნარკოზიდან გამოსვლისას პირველი სწორედ თაიგული დაინახა და თავში გაუელვა ერთადერთმა სიტყვამ: „პანაშვიდი". შემდეგ ბუნდოვნად გაარჩია თეთრხალათიანები, ახლობლები. გადარჩა. გადარჩა ინვალიდის ეტლსაც. ცხოვრება გაგრძელდა, მხოლოდ სახის გარეშე.

საავადმყოფოდან რომ გაეწერა და შინ ექთანიც აღარ დასჭირდა, განმარტოება გადაწყვიტა. მშობლები ამ სურვილს შეშფოთებული დუმილით შეხვდნენ. ვებგვერდზე კურორტები დაძებნა და ერთ მიყრუებულ ადგილზე ახალი სასტუმრო აღმოაჩინა. შენობა, რომლის ორი კორპუსიც უკვე დაესრულებინათ, ტბის პირზე მდებარეობდა და სტუმრებს ძირითადად გაზაფხულიდან ელოდა. სანდრომ წაყოლა შესთავაზა. მხოლოდ წაყვანას დათანხმდა. ოთახი წინასწარ დაჯავშნა.

— ერთადგილიანი ნომერი მინდა, საღამოს ჩამოვალ. — დარეკა სასტუმროში.

— ერთადგილიანი? — გაიკვირვა გოგომ.

— დიახ.

— მარტო იქნებით? — გაჯიუტდა მენეჯერი.

— დიახ. — უპასუხა მოთმინებით. ამის გამეორება კიდევ ორჯერ მოუხდა. — ავიღებ არასრულ პაკეტს, სადილისა და ვახშმის გარეშე — თქვა ბოლოს და ყურმილი დაკიდა.

ნამლებისა და ნოლისგან თითქმის ათი კილო მოიმატა. ტანსაცმლიდან ველარაფერი მოირგო თავისი დის ძველი შარვლების გარდა. ზურგჩანთაში წიგნები, სიგარეტი, ორცხობილა და თხილი ჩაყარა. ლეპტოპი გადაიკიდა და სანდროს მანქანაში ჩაჯდა.

ორ საათში უკვე ადგილზე იყვნენ. მეგობრის გაფაციცებული სახე და უჩვეულო მზრუნველობა ხელოვნური ეჩვენებოდა.

— აქ გამიჩერე და წადი! — უთხრა, ტბას რომ მიუახლოვდნენ. გზაში სიჩუმეს მხოლოდ რადიო არღვევდა.

— სად გაგიჩერო? მოიცა, გადმოგყვები! — გზა განაგრძო სანდრომ.

— არ მინდა.

— ჩანთას აგატანინებ...

— ინვალიდი კი არ ვარ! — შეუღრინა და კარის სახელურს ხელი გამოკრა.

სანდრომ მკვეთრად დაამუხრუჭა.

— წადი, დაგირეკავ. — უთხრა მტკიცედ.

მანქანა ერთხანს იდგა. ფარების შუქი ხალიჩასავით განვა სასტუმროს ჭიშკრამდე.

— თქვენ გასვლით ხართ? — შეეგება ფანრიანი გოგო.

— ეგ რას ნიშნავს? — მიხვდა, რომ მენეჯერს ელაპარაკებოდა.

— საუზმე რომ აიღეთ მარტო... ვიფიქრე, ეტყობა, გასვლით არის-მეთქი... აქ მარტო დასაძინებლად მოხვალთ?

უკმაყოფილოდ გააქნია თავი. სახეს ქუდი და კაშნე უფარავდა.

მენეჯერმა ცარიელი სასადილო, საბილიარდო და ბარი დაათვალიერებინა. უინტერესოდ მოიარა კორპუსები. ნომერში ავიდნენ. კარი მიკეტა და ოთახს თვალი მოავლო. რამდენიმე წუთში იგრძნო, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად დარჩა მარტო. თითქოს აქამდე მუდამ ვილაც ახლდა, ვილაც უთვალთვალებდა, მის დახმარებას ცდილობდა, ამხნევებდა, ამშვიდებდა და საბოლოო ჯამში საოცრად ღლიდა. გარშემომყოფები თავს ვალდებულად თვლიდნენ, განსაკუთრებული გულისხმიერება გამოეჩინათ, რაიმე გაელოთ, გამოეხატათ. მნახველები ზოგჯერ შეუთანხმებლად სტუმრობდნენ, სტუმრობისას ძალითაც ხუმრობდნენ, მიჰქონდათ საკვები, რომელიც მისთვის არ შეიძლებოდა, უყვებოდნენ ამბებს, რომლებიც არ აინტერესებდა. ეს ნაკადი თვე-ნახევარში შეთხელდა და მერე საერთოდ შეწყდა, მაგრამ იმ პერიოდმა ძალიან დათრგუნა. ტკივილთან მარტო დარჩენის საშუალება ერთხელ არ მისცემია.

ყველაზე ბუნებრივი მისი პატარა დისშვილი იყო. თათია დეიდის დაბრუნებას ყოველდღე ელოდა. რომ დაინახა, გახარებულმა მიირბინა:

— ძალიან გეტკინა? როდის მოგირჩება? როდის გაგივლის ეს რალაცეები? არ მომწონს... იცოდე, წამლები დალიე, ექიმებს დაუჯერე... — მიაყარა თვალებგაფართოებულმა.

— დავუჯერებ, თათუკა... შეიძლება სულ ბოლომდე არ მომირჩეს... — ბავშვს უნებურად სახე აარიდა.

დედა თვალცრემლიანი უყურებდა, დაც იქვე იდგა კარს მიყრდნობილი.

სალამოს ძილის წინ გოგონამ ფრთხილად შეუღო კარი და უთხრა:

— მე ვიცი! შენ ბოროტმა ჯადოქარმა მოგაჯადოვა! ნუ გეშინია, მოგირჩება... სირინოზიც მოაჯადოვა, ფიფქიაც, მძინარე მზეთუნახავიც... ყველა... ხო გახსოვს, შენ რომ მიკითხავდი... ყველა ბედნიერი გახდა.

ბავშვი ჩაიხუტა.

— მახსოვს, თათუკა...

— შენც ბედნიერი გახდები... — უთხრა თათიამ და დასაძინებლად გაიქცა.

...სასტუმროს ნომერში კედელზე დიდი სარკე ეკიდა. ქუდი მოიხსნა, კისრიდან კაშნე ჩამოიცურა. გაიხადა სვიტერი. გაყუჩდა. თმა აიკეცა. აუჩქარებლად მოქმედებდა. შარვალი ჩაიძრო, გადააბიჯა და სარკეს მიუახლოვდა. საცვლისამარა იდგა. ოთახში თბილოდა. დარაბები დახურული იყო. გაიხადა საცვლები. საკუთარ სიშიშვლეს გადაჩვეულს სარკეში არეკლილი სხეული ეხამუშა. ტანის ფორმა შეცვლილი ეჩვენა, ფეხი, რომელიც თვეობით თაბაშირში ჰქონდა, — საგრძნობლად დაწვრილებული. მოშვებულ მუცელზე ორი გრძელი ნაკერი კვეთდა ერთმანეთს. მკერდი წონის მატებასთან ერთად გაზრდილიყო. სახეზე შუქი ცალი მხრიდან ეცემოდა და მუქი ჩრდილები იარებს ამკვეთრებდა. მარჯვენა თვალი დაბლა იყო დაქაჩული, წარბი ნახევარზე გაწყვეტილი, ცხვირიც ასიმეტრიული, ლოყები და შუბლი დასერილი. სათვალე მოიხსნა. თავი საკუთარ ორეულს მიაბჯინა. სარკე სახესთან მრგვალად დაიორთქლა. უცებ სხეული დაეჭიმა და ტირილი წასკდა, ავარიის შემდეგ პირველად...

გარეთ მგლების ყმუილი გაისმა. ტბა ტყის პირზე იყო. ჩაიმუხლა. გულიდან უნებლიე ხმა ამოხდა. ცრემლები კისერს ჩაუყვა და მკერდი დაუსველა. სათვალეს ხელი გაუშვა, ყურებზე მიიჭირა, მოიკუნტა და დაპატარავდა. დიდხანს იტირა.

მგლების პოლიფონია მიწყნარდა. შენობაში შუქი გამორთეს და მცირედი ფაცი-ფუციც მიწყდა. დაღლილსა და დაცლილს ძილი მოერია. სიფხიზლის ბოლო წუთებში სანდროს სხეულის სითბო გაახსენდა. ავარიის შემდეგ ერთმანეთს აღარ შეხებიან, აღარც მოსურვებია. ბალიში გულში ჩაიკრა და სიზმარს მიეცა.

საუზმე განაპირა შენობაში იყო. სარკესავით დამდგარ ტბას ჩაუარა. გედისა და იხვების მშვიდი გადაადგილება წყალს ფაქიზად სერავდა. სასადილოში ერთადერთი მაგიდა იყო გაშლილი. ბუხარი გიზგიზებდა. ქუდი არ მოუხდია. სამზარეულოდან მიმტანი გამოვიდა და მის დანახვაზე დაბნეული შედგა. მერე მისალმების ნიშნად მორიდებით დაუკრა თავი. მზარეულიც გამოყვა. მენიუდან ყველის პელმენი და ყავა აირჩია. მიმტანი თავდახრილი იდგა. მზარეული კი მოურიდებლად აკვირდებოდა და ულუფაც თავისი ხელით გამოუტანა, რომ კიდევ ერთხელ შეევლო თვალი.

— თქვენ მარტო ჩამოხვედით? — დოინჯი შემოირტყა ქალმა.

— დიახ. — მიუგო უხალისოდ.

სასადილოში მენეჯერიც შევიდა.

— აბა როგორ გეძინა? — ჰკითხა ზუსტად იმ დროს, როცა ლუკმა ჩაიდო.

— გმადლობთ... კარგად.

— შენ პირველი ხარ, ვინც მარტო ჩამოვიდა. ეტყობა, გადაიღალე ხო ძაან? დასვენება გინდა... — მიმართა შინაურულად.

— დიახ. — თქვა და ჭამა განაგრძო.

მენეჯერმა ბუხარს შეუკეთა და ისევ მოუტრიალდა.

— კაცო, გუშინ შენი ოთახიდან ტირილის ხმა მომესმა!

ყურებს არ დაუჯერა. ჩანგალს ხელი გაუშვა და გოგოს შეხედა.

— ვიფიქრე, რა ვქნა-თქო...

სიბრაზისგან ყელში ლუკმა აღარ გადაუვიდა.

— მერე კარგად რომ დავაკვირდი, ვიფიქრე, იცინისთქო... მეთქი, ეტყობა, ტელეფონზე დაურეკეს და იცინისთქო... აბა აქ სატირლად ხო არ ჩამოხვიდოდი?! — თქვა და გაილრიჯა — დასასვენებლად ჩამოხვედი... თან ვინერვიულე, თუ მართლა ტირის-თქო... მეთქი ხო არ შევიდე... — გაუჩერებლად ლაპარაკობდა.

რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. მიხვდა, საქმე ჰქონდა ადამიანთან, რომელიც კითხვებს სვამს და თვითონვე პასუხობს. საუზმეს მიუბრუნდა. შეგრილებული ყავა უგემურად მოსვა.

— კაი აბა... თუ რამე დაგჭირდა, მე სუ აქა ვარ... — თქვა ბოლოს მენეჯერმა და ისევ გაიცინა.

მოქუფრული ღრუბლები ნაცრისფრად ირეკლებოდა ტბაში. ცა ისე იყო დამძიმებული, თითქოს შემოჯარულ მთებს ეჭირათ, რომ არ ჩამოქცეულიყო. მის დანახვაზე გედი და იხვები ნაპირს მისცვივდნენ და ნისკარტები დააჩინეს.

მიმტანმა პური გამოიტანა. ფრინველები აფართხალდნენ. იხვებმა ლუკმა ვერ გაიყვეს. გედმა კი გრძელი კისერი გამართა და ნისკარტი პირდაპირ ხელთან მიუტანა.

— სულ შიათ... — პირველად დაილაპარაკა ბიჭმა. ხმა ჰქონდა მშვიდი და სავსე.

განვიმდა. ნომერში ავიდა. მობილურზე ოთხი გამოტოვებული ზარი დახვდა, დედის, თეკლასი და დანარჩენები — სანდროსი. ლოგინზე გადაწვა და ჭერს მიაშტერდა. ცოტა ხანში დედას დაურეკა, დაამშვიდა. მერე თათიამაც მოინდომა მასთან ლაპარაკი:

— მალე ჩამოხვალ?

— კი, მალე...

— რამდენჯერ დავიძინო და გავილვიძო, რომ ჩამოხვიდე?

— ალბათ შვიდჯერ...

— შვიდი ბევრია. ჩამომიტან რამეს? — ჰკითხა ბავშვმა ყმანით.

— აქედან? რა ვიცი... რა გინდა? — ცოტა დაიბნა.

— თოჯინა მინდა, რბილი რომ იყოს, სულ რბილი! — პასუხი გამზადებული ჰქონდა.

— კარგი, ჩამოგიტან. შენ ჭკვიანად მოიქეცი და მე ჩამოგიტან. მერე ზღაპრებსაც წაგიკითხავ...

— მინდა ზღაპრები! რომ ჩამოხვალ, სახე მოგირჩება?... მორჩენილი გექნება?

— არ ვიცი, თათუკა.

— მე მოგირჩენ სახეს. ჩამოდი და მოგირჩენ! — მტკიცედ თქვა თათიამ.

ყურმილი რომ დაკიდა, ღრმა ბავშვობიდან მოგონება წამოუტივტივდა. პატარამ ერთი ბალი ამოიჩემა, უყუნწო, თეთრი ბალი. პლასტმასის სათამაშოებით მობეზრებულმა მისი სირბილე მოიწონა და ადამიანს მიამსგავსა. ეთამაშა, დააძინა, უმღერა. თოჯინის ნაცვლად ბალი იშვილა. ორი დღე როგორც თოთო ბავშვზე, ისე ზრუნავდა, უფრთხილდებოდა. საღამოს ნამით მიავიწყდა. ოთახში დაბრუნებულმა დაინახა, მისმა უფროსმა დამ ტელეფონზე ლაპარაკისას როგორ აილო, ხელში შეათამაშა და შეჭამა. კურკას კი ორი თითი მოუჭირა და ღია ფანჯარას დაუმიზნა. გულამოსკვნით ატირდა. როგორი ბალი აღარ შესთავაზეს მშობლებმა, თეთრი, წითელი, წყვილი, ცალი, მწიფე, მკვახე... მოტყუებაც სცადეს და სხვა შეაძლიეს, ვითომ მისი შვილი იყო, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

ოჯახში ხშირად ამბობდნენ, რომ თათია დეიდას გავდა. ისეთივე თავისნათქვამა და მგრძნობიარე იზრდებოდა. არა მხოლოდ ხასიათით, გარეგნობითაც მისი ასლი იყო: სწორი, თხელი ცხვირი, მხიარული, ანთებული თვალები გრძელი წამწამებითა და უპეებზე მათი ჩრდილით. მაღალი, თაღივით შუბლი ურჩი, შავი კულულებით. მუქი ხორბლისფერი კანი და თხელი, გრძელი კიდურები. ღიმილის დროს სახე ერთიანად უნათდებოდა, უბრწყინავდა თვალები და თეთრად უელავდა სიმინდის მარცვლებივით კბილები.

თათია ახლა მისთვის საკუთარი გარეგნობის ხსოვნა იყო...

დღე სრულ სიჩუმეში გაატარა. ტირილი ერთხელ მოერია, ისიც სახეზე აიფარა ხელები და უხმოდ გადმოლვარა ცრემლები. საღამოს ორცხობილა შეჭამა, ტანზე გაიხადა და ის იყო დასაძინებლად წვებოდა, რომ კარზე კაკუნი გაისმა:

— დიახ! — შეცბა და მკერდზე ხელი აიფარა.

— ხომ არაფერი გინდათ? — მენეჯერი იყო, რომელიც სახელურზე ჩამოკიდებულ წარწერას: „არ შემაწუხოთ“ არაფრად აგდებდა. — რატომ აღარ გამოჩნდი? — ისევ შენობით მიმართა.

— არაფერი არ მინდა... — თქვა გაშეშებულმა.

პაუზა გაჭიანურდა. ბოლოს მენეჯერის ფეხის ხმა გაიგო, როგორც იქნა, წავიდა. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

შუქი ჩააქრო და მგლებს მიაყურადა. თვალები დახუჭა და წარმოიდგინა, როგორ შეყმუოდნენ მხეცები მთვარეს. ძილი რომ შემოეპარა, მზესუმზირები დაინახა. მზეს მიფიცხებული, მზის ტრაექტორიას აყოლილი შავგულა ყვავილები. ყმუილი ნელ-ნელა მიწყდა, სივრცე ბოლომდე დაიცალა სიცხადისგან და გამოჩნდა გედი... თათიას დახატული ლურჯი გედი, რომლის კისერსაც ბავშვი ასე მონდომებით ამრგვალებდა და თან ამბობდა: ნახე, როგორ გავს ორიანს... ორიანზე უფრო ლამაზია... ორიანი... ორი მე... თათია გავს დეიდას. დეიდა?.. დეიდა აღარ გავს თათიას... ის აღარ გავს თავის თავს... მალე მოგირჩება, ნუ გეშინია... ღამე არ ჩანს იარები... ღამე არ ჩანს მზე... მზესუმზირები, მზეთუნახავი... სანდრო, სანდროს თაიგული... ვიღაც ბიჭი... დიდი ტბა... ისევ ბიჭი.

დილით სანდროს დაურეკა.

— ხო აგიხსენი, მარტო მინდა... — საუბარი იყო მოკლე და მშრალი.

საუზმეზე ისევ მზარეული შეეგება. ქალს ოდნავ შემცბარი და შეწუხებული სახე ჰქონდა. ამ მიმიკას ვერ იტანდა. ეჩვენებოდა, რომ ადამიანები მის დანახვაზე ილებდნენ მოლუშულ, სავალდებულო თანაგრძნობითა და ფარული ცნობისმოყვარეობით სავსე გამომეტყველებას.

— დღეს სადილს არ შეგვიკვეთავთ? არ გშივდებათ? — ჰკითხა აღშფოთებულმა.

მზარეულს ფქვილიანი წინსაფარი ფუმფულა მკერდსა და ჩასუქებულ წელზე შემოერტყა. მისი დამრგვალებული

თვალები და შეკრული კოპები აღარ ეჩვენა უსიამოვნოდ და ოდნავ გაეღიმა.

— არა მგონია...

— იცით, წინილა გვექნება, შეგვიძლია კარტოფილი შეგიწვათ. რასაც გვეტყვით... მწვადი...

— გმადლობთ, არ მინდა. — გააწყვეტინა ფრთხილად.

ისევ საუზმეზე შეთანხმდნენ. მიმტანმა სოსისიანი ტაფამწვარი, პური და ყავა მიართვა. ბიჭს თვალი გააყოლა და უცებ მიხვდა, წუხელ სიზმარში ნახა — მიმტანი გედს ეფერებოდა.

წამოწვიმა. სათვალეს ჯერ კარგად არ იყო შეჩვეული და არ იცოდა, წვიმაში როგორ მოეხმარა. მინა შხეფებით დაიწინწკლა. ზედ სვიტერის სახელო გადაუსვა. იხვები და გედი მის დანახვაზე ისევ წამოიშალნენ, მაგრამ მალევე უიმედოდ მოშორდნენ ნაპირს. იქვე ჯაჭვით დაბმული ძაღლი იწვა. წვიმამ რომ უმატა, ზლაზვნით წამოდგა და სახლისკენ გაემართა. ძაღლი კოჭლი აღმოჩნდა, უკანა ფეხი მოტეხილი ჰქონდა და ხტუნვა-ხტუნვით გადაადგილდებოდა.



მხატვარი თამარ მინაშვილი

ავარიის მერე გონებაში უცაბედად ამოუტივტივდებოდა ხოლმე რომელიმე არაფრითგამორჩეული მომენტი, ზოგიერთი მართლა მნიშვნელოვანი კი დავიწყებას მისცემოდა. ახლაც გაახსენდა, რომ ერთხელ ქუჩაში ნახა კოჭლი ძაღლი. ცალ ფეხს მიათრევდა საცოდავად და ისე მიდიოდა. კუთხეში მეორე ძაღლი დახვდა. ისიც კოჭლი. ერთმანეთს სველი ცხვირები შეახეს და გზა ერთად, კოჭლობით განაგრძეს. ეს კადრი ძალიან ცხადად დაუდგა თვალწინ.

სანდრო კინოკლუბში გაიცნო. მეგობარმა დაალალატა და ბოლოს მარტო მოუხდა კინოსეანსზე შესვლა. ფილმი დაწყებული დახვდა. კლუბი წიგნის მაღაზიაში მოეწყოთ. ჩამოკიდეს ეკრანი, დააწყვეს სკამები, აირჩიეს კინო და ჩააქრეს შუქი. სიბნელეში გზა ძლივს გაიკვლია. თავისუფალი ადგილი იპოვა და დაჯდა. ფილმმა გაამართლა. ფინალმა დაასევდიანა. ცრემლები ვერ შეიკავა. შუქი რომ აანთეს, გვერდზე მჯდომი ბიჭის მოერიდა და თვალები უხერხულად მოიწმინდა.

— ჩემზეც იმოქმედა... — თქვა უცნობმა მოულოდნელად და გაუღიმა.

მაღაზიიდან რომ გამოვიდნენ, ბიჭმა სიგარეტი შესთავაზა. ერთად მოწიეს. ხელისჩამორთმევით გამოემშვიდობნენ და მოგვიანებით ინტერნეტით განაგრძეს ურთიერთობა. მომდევნო კვირას ისევ შეხვდნენ კინოკლუბში. ვირტუალური დიალოგებით გაშინაურებულებმა ერთმანეთი თბილად გადაკოცნეს, გვერდიგვერდ დასხდნენ და ფილმის შემდეგ ფეხითაც გაისეირნეს. ერთხელ სანდრომ სამსახურში გაუარა და შინ მიიყვანა. სახლში აღმოაჩინა, რომ მობილური და სათვალე მანქანაში დარჩა. სანდროს ნომერი ზეპირად არ ახსოვდა. დის ტელეფონიდან დარეკა საკუთარ ნომერზე, მაგრამ უშედეგოდ. მესიჯი გაგზავნა, მე ვარ, აილეო. სანდრომაც უპასუხა.

— სხვის მესიჯებს რატომ კითხულობ? — გამოიჭირა სიცილით.

— არა, მე არ ვკითხულობ... — დაიბნა სანდრო.

— აბა საიდან იცოდი, რომ უნდა აგელო?

— არა... მივხვდი, რომ შენ იქნებოდი და იმიტომ გავხსენი — თავის მართლებას მოყვა. ბოლოს შეთანხმდნენ, რომ მეორე დღეს შესვენებაზე დაუბრუნებდა ნივთებს, მაგრამ დილით ინტერნეტში დახვდა წერილი:

„სიცხე მაქვს, სამსახურში ველარ მივდივარ. მისამართს მოგწერ და თუ შეძლებ, გამოდი. შორს არ ვცხოვრობ თან ავადმყოფს ინახულებ. ხილიდან მიყვარს ატამი და გარგარი, გეხუმრები, უბრალოდ ამოდი და გაგატან. ისე თუ შეძლებ, მართლა წამომიღე გაციების წამალი. თუ არა და... არც უმაგისოდ მოვკვდები.

P.S. შენს მესიჯებს არ ვკითხულობ, უნდა მენდო. არა იმიტომ, რომ არ მაინტერესებს... უბრალოდ არ ვკითხულობ."

პასუხი აღარ მიუწერია. სწრაფად ჩაიცვა, წამლების უჯრიდან შუშხუნა აბები ამოიღო და წავიდა. ქალაქში ცხელოდა. მღელვარებისგან თითები გაეყინა. მოუსვენრად აწვალებდა ჩამოშლილ თმას. ლიფტში ყოყმანით შევიდა. არ იცოდა, სახლში ვინ დახვდებოდა და საერთოდ რით დამთავრდებოდა ეს სტუმრობა. ზარის დარეკვამდეც შეყოვნდა და უცებ კარი თავისით გაიღო. სანდრო სპორტულ შარვალსა და მაისურში იდგა ფეხშიშველი. უღიმოდა.

— აქ ფეხზე იხდით? — იკითხა უხერხულად.

— ჰო, მე სახლში ასე ვარ. შენ რა ვიცი... თუ გინდა, გეცვას...

— არა უშავს... გავიხდი...

სანდლები გვერდზე მიაწყო და შიშველი ფეხით გაუბედავად გადადგა პირველი ნაბიჯი.

— შემო, ჩაის დაგალევინებ. — სახლში არავინ იყო.

სამზარეულოში თავი მყუდროდ იგრძნო. ოდნავ ჩაბნელებული ფანჯრები, მოთუხთუხე ჩაიდანი, ძველებური საშაქრე და კედელზე მიკრული სურათები უწყინარ, სასიამოვნო გარემოს ქმნიდა. ჩანთიდან წამალი ამოიღო და მაგიდაზე დადო.

— მომიტანე? — გაუხარდა სანდროს — როგორ უნდა?

იქვე წყალი იდგა. თაროდან ჭიქა გადმოიღო, ნახევრამდე აავსო და შიგ აბი ჩააგდო. წყალი აშუშხუნდა. სანდრომ

სწრაფად გამოსცალა სითხე, თან ისე, რომ მისთვის თვალი არ მოუშორებია.

— მომარჩენს? — გაუღიმა ბოლოს.

— კი. — გაეცინა თვითონაც.

სიჩუმე ჩამოვარდა. უცბად ფეხქვეშ რაღაც გაეჭყლიტა. ძირს დავარდნილი ყურძენი ვერ შენიშნა და მარცვალი გასრისა. შენუხებული ხელსახოცს დასწვდა და იატაკის წმენდა დაიწყო. სანდრომ სიცილით წამოაყენა და სააბაზანოში შეაცილა. ფეხები თბილ წყალს შეუშვირა. ორივეს გაეღიმა. სანდროს პირსახოცი არ მიუწოდებია, ხელში აიტაცა და სასტუმრო ოთახში დივანზე დასვა. სველი ტერფები კი თავისი მაისურით შეუმშრალა. სიჩუმე რომ ისევ დაიძაბა, ადგა, ნივთები წამოკრიფა და სანდროს გამოემშვიდობა.

ჩაი მომდევნო მისვლაზე დალიეს. მუსიკას მოუსმინეს და „ელგრეით" გახურებული ტუჩები ერთმანეთს შეახეს. სანდრო მარტო ცხოვრობდა. მალე ჩაბნელებულ სამზარეულოში ჟალუზები გადასწია და სადილიც მოამზადა. სამსახურიდან სახლში მიიჩქაროდნენ, კინოკლუბიც იქვე მოიწყვეს. მერე ფილმებზე უფრო საინტერესოდ საკუთარი ურთიერთობა ეჩვენათ და თანაცხოვრების ძვირფას საათებს კინემატოგრაფიაზე აღარ ხარჯავდნენ.

ოჯახში სანდრო სიხარულით არ მიუღიათ. მის დასანუნებლად მოგრძო თმაც საკმარისი აღმოჩნდა. მამა უკიდურესად გაღიზიანებული იყო უფროსი დის განქორწინებით. მშობლების მფოთი ახლა მთლიანად მას დაატყდა და დაგვიანების გამო არაერთი უსიამოვნებაც შეხვდა. ავარიის შემდეგ კი ყველაფერი შეიცვალა. დედამ შენიშნა, რაოდენ თავაზიანია სანდრო. ორჯერ შეაქო მისი მოტანილი თაიგული. მამამ კი ოთახში მათი მარტო დატოვებაც დაიწყო. სანდრო შაბათს მიდიოდა, ზოგჯერ პარასკეობითაც. ხან კომპიუტერთან იჯდა, ხან თათიას ეთამაშებოდა. სალაპარაკო თემები ძირითადად საერთო ნაცნობებს ეხებოდა და სწრაფადვე ინურებოდა. ერთხელ, საკმაოდ შელამებულზე, როცა სანდრო უკვე შინ მიდიოდა, მამამ გააჩერა:

— კარგი ლუდი მაქვს... ლიგის ნახევარფინალია... დარჩი, ვუყუროთ... — კაცი უხერხულად შეეხო მხარზე.

ამის გაგონებაზე გული შეეკუმშა. სანდროს მორიდებულ ყოყმანს ვერ გაუძლო და ოთახიდან დაიძახა:

— მამა! ეჩქარება... დილით ადრე დგება...

ახალი, უსახო ცხოვრება სუსხიან უიმედო განთიადს ჰგავდა.

...ნომერში ადგილი ველარ იპოვა. ორცხობილა მოტეხა და ფანჯარა გამოაღო. წვიმას გადაეღო. მზე სუსტად ანათებდა ცაშიც და ტბაშიც. ორცხობილის მოზრდილი ნატეხი ქვემოთ ჩაუვარდა. იხვები ფართხა-ფურთხით გამოცვივდნენ საკვებისკენ. რამდენიმე ნაჭერი კიდევ ჩაუგდო. ფრინველებმა წრე შეკრეს საჭმლის გარშემო და ზემოდან როგორც ერთი დიდი ყვავილი, ისე გამოჩნდნენ. გედი ტბის სიღრმისკენ მიცურავდა და უკან რელსებივით ტოვებდა პარალელურ კვალს.

ბოტები ჩაიცვა და გარეთ გავიდა. ტბის გასწვრივ ბილიკს გაყვა. ტალახში რბილად დააბიჯებდა. სავალი გზიდან ჭაობებისკენ გადაუხვია. ტყეს მიადგა.

— ალბათ აქედან ისმის მგლების ხმა. — გაიფიქრა და შეჩერდა. ხმაურს ყური დაუგდო. ტოტების ტკაცა-ტკუცი მოესმა. სწრაფად მოტრიალდა.

წინ მიმტანი ედგა ტყავის ჩექმებსა და თბილ ქურთუკში. მჭიდროდ მომდგარი შარვალი მის სპორტულ აღნაგობას უსვამდა ხაზს.

— ხომ არ შეგაშინეთ? — ჰკითხა ბოხი, მშვიდი ხმით.

— არ გელოდით...

— შეშა უნდა წავიღო. — თქვა და მოშორებით მოგროვებულ მორებს მიუახლოვდა — ტყეში ნუ შეხვალთ! — დაუმატა.

— საშიშია?

— ჰო, მაინც...

— ჰო... გუშინაც მესმოდა მგლების ხმა. — დაეთანხმა თვითონაც.

— გუშინ ტურები იყვნენ.

— ა... როგორ არჩევთ? — დაიბნა უცებ.

— ხმაზე. ტურა წკავ-წკავებს... ძაღლივით. მგელს გულიდან ამოსდის ხმა...

— ა... — თავი დაუქნია გაკვირვებულმა.

მიმტანმა შეშა მოიკიდა და წავიდა. თვალი უაზროდ გააყოლა მის მტკიცე, დინჯ ნაბიჯებს. მალე თვითონაც სასტუმროში დაბრუნდა.

ტელეფონმა დარეკა. ისევ თეკლას ნომერი იყო. უპასუხა, მაგრამ მხოლოდ ქუჩისა და მანქანების ხმა ჩაესმა.

თეკლასთან ბავშვობიდან მეგობრობდა. პირველი ღერიც მასთან ერთად მოწია და პირველი სიყვარულის იმედგაცრუებაც მან გადაატანინა. თეკლამ ქალაქის ტყე-პარკში მიაკითხა. ხის ძირში მიყუჟული იპოვა, გვერდზე ჩამოუჯდა, მიეხუტა. ცრემლები შეუმშრალა, ფეხებზე აცოცებული ჭიანჭველები მოაცილა.

— ნულარ ტირი, თორემ მეც ვიტირებ! — დაემუქრა ბოლოს.

მერე საიდუმლოდ ამოაძვრინა მაისურის ჯიბიდან ორი ღერი და სანთებელა. ხველებ-ხველებით გააბოლეს. რომ დამშვიდდნენ, ფეხით ჩაუყვნენ ტყის დაღმართს. იქ ჩასვლის ყოველთვის ეშინოდათ, ახლა კი თითქოს რაღაც ძალამ უბიძგათ. დაღმართი სირბილს აიძულებდათ. თავს ვერ იჭერდნენ და იცინოდნენ.

— იქნება სულ ტყუილია, რომ აქ მანიაკები დადიან?! გვაშინებენ უბრალოდ. — ამის თქმა იყო და თეკლას სახე შეეცვალა. მეგობარს ხელზე ხელი მოუჭირა და გაშეშდა.

მოშორებით კაცი დალანდეს. ხეს ამოეფარნენ. ორივეს სუნთქვა შეეკრა. თეკლამ ფრთხილად გაიხედა და ხელი უფრო მაგრად მოკიდა:

— აქეთ მოდის! რა ვქნათ?

— გავიქცეთ!

— საით? უკან ავბრუნდეთ? ამ აღმართზე უფრო მოგვეწე... — სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ქვევით დაეშვნენ. კაცმა რაღაც დაუძახა, ვერ გაარჩიეს. მერე კიდევ დაუძახა, მარტოებს აქ რა გინდათო.

ხელიხელჩაკიდებულ გოგოებს უკან მიხედვის ეშინოდათ. თავქუდმოგლეჯილები მიქროდნენ. დაღმართი ხევთან მთავრდებოდა. ქვემოთ მდინარე გადიოდა, ზემოდან კი ერთი ვიწრო მილი იყო გადებული.

ხეებს მოებღაუჭნენ შესაჩერებლად.

— რა ვქნათ? — იკითხა გულამოვარდნილმა თეკლამ.

— არ ვიცი... კიდევ მოგვსდევს? იქნებ აღარ მოგვსდევს? — ქოშინით მიმოიხედა ორივემ.

ის-ის იყო ოდნავ სული მოითქვეს, რომ კაცი კვლავ გამოჩნდა.

— ვაიმე... — დაიჩურჩულა თეკლამ. ისევ ჩაჭიდეს ხელები.

— უნდა გადავიდეთ.

— ჰო — უპასუხა თეკლამ.

— როგორმე უნდა გადავიდეთ... — გაიმეორა ორივემ.

— ეხლა მისმინე, ქვემოთ ხო ხედავ, ჩვენი ჩრდილი ჩანს. მე წინ წავალ. შენ კაბაზე მომკიდებ ხელს. ჩრდილზე ვხედავთ ერთმანეთს...

— ჰო — თავს უქნევდა თვალებგაფართოებული თეკლა.

— ჰოდა იცოდე, ორივეს ორი სიცოცხლე გვაბარია! შენ თუ ჩავარდები, მეც ჩამიყოლებ, მე თუ ჩავვარდები, შენ ჩაგიყოლებ...

— ჰო... — დაიჩურჩულა გულამომჯდარმა თეკლამ. ორივემ პირჯვარი გადაიწერა და მილზე ფრთხილად შედგა ფეხი.

გოგოების კაბით გადაბმული ჩრდილი ნელა, თანაბრად გაუყვა ხევს. მხოლოდ ბოლოში აჩქარდა და ნაპირზე მიიკარგა... სამშვიდობოს ნივილით ჩაეხუტნენ ერთმანეთს. ხტუნავდნენ და ცრემლებამდე იცინოდნენ. ორივეს ღრმად სჯეროდა, რომ ეს მხოლოდ მათ შეძლეს და კაცი მილს ვერასოდეს გადმოლახავდა. გამარჯვებულები გადაძვრნენ ღობეზე და ცოტა ხანში ქუჩაზეც ამოყვეს თავი. ბედნიერად მიაბიჯებდნენ, ერთმანეთის იმედით გალაღებულები.

— მოგშივდა ხო? — თავზე დაადგა მენეჯერი მამხილებელი მზერით.

— არა...

— ჩვენთან ყველაფერს გემრიელად აკეთებენ. რასაც გინდა, შეუკვეთავ — არ დაიშალა თავისი.

— ვიცი.

— ინტერნეტიც არი... შეიყვან რვა ერთიანს და შეხვალ.

— გასაგებია...

რვა ერთიანი მართლაც აკრიფა. ლეპტოპში სიცოცხლესავით შევიდა ინტერნეტი. პირადი მეილის კოდი ვერაფრით გაიხსენა. სოციალური ქსელი კი მესამე ცდაზე გახსნა. თვალები აუჭრელდა. თავის გვერდზე უამრავი უსარგებლო კომენტარი თუ სარეკლამო განცხადება დახვდა. მათ შორის იყო თვეების წინანდელი რამდენიმე მილოცვა გადარჩენასთან დაკავშირებით. ნაშალა. საფოსტო ყუთიც უაზრო წერილებით გამოტენილიყო: – საიდანღაც მეცნობით! ვიმეგობროთ! – რამდენიმე მსგავსი შინაარსის მესიჯითა და ათასნაირი ღონისძიების მოსაწვევით. სურათი, რომელიც ავატარად ეყენა, მთლიანად უცხო იყო ახლა მისთვის. მომღიმარე, გაპრიალებული სახე, გარუჯული კანი და დატუშული თვალები საკუთარ თავთან ველარაფრით დააკავშირა. გაუჩნდა განცდა, რომ სხვის პროფილში იყო შესული, სხვის სივრცეში აფათურებდა ხელებს. ძველ ალბომებს ჩამოუარა. პრობლემა მხოლოდ გარეგნობაში არ იყო. საკუთარ თავს განწყობებითაც ველარ ცნობდა. რამდენიმე ფოტოში ისეთი უდრტვინველი, მიამიტი, ზოგჯერ კი ცარიელი გამოხედვა ჰქონდა, თითქოს არასოდეს არაფერი სტკენია, არაფერი შეხებია.

სანდროს პროფილზეც შევიდა. ყურადღებით დაათვალიერა მისი სურათები. სანდრო იყო სიცოცხლით სავსე და სიმპათიური. თმა მოკლედ შეეკრიჭა და ასაკით უფრო პატარას დამსგავსებოდა. ახალი ფოტოებიც აღმოაჩინა, ახალ ფოტოებზე — ახალი ხალხი...

ეკრანზე მოდების ჟურნალის რეკლამა გამოჩნდა. შემოთავაზება წლიურად გამოწერის შემთხვევაში ფასის განახევრებას ითვალისწინებდა. გაახსენდა ბავშვობაში როგორ აგროვებდა მოდელების სურათებს. თეკლასთან ერთად სანტიმეტრით იზომავდა წელს, მკერდსა და თეძოებს. ატოლებდნენ ფეხებს, ერთხელ ცხვირებიც კი გაიზომეს. თვალებს თითებით იჭიმავდნენ, რომ უფრო აზიდული და ნუშისებრი ჰქონოდათ. ტუჩებს ნაზად ბურცავდნენ და სარკეში ყველაზე მიმზიდველ გამოხედვას ავარჯიშებდნენ. გაახსენდა, დიდობაშიც რამდენი რამის შეცვლა უნდოდა საკუთარ გარეგნობაში.

— ნეტავ ახალი გვერდი რომ გავხსნა ინტერნეტში და ჩემი ნამდვილი ფოტო დავაყენო, ვინმე თუ დამიმეგობრდება?! ნეტავი იმათ, ვისაც ვითომ ვეცნობი, ახლაც თუ მოუნდებათ ჩემთან ურთიერთობა?! – გაიფიქრა და სოციალური ქსელის პროფილი სამუდამოდ გააუქმა.

ვიდრე ლეპტოპს გამორთავდა, ესთეტიკური მედიცინის ცენტრები გადაათვალიერა. „ლამაზი სახე არის უსიტყვო რეკომენდაცია" — ფრენსის ბეკონის სიტყვები ერთ-ერთი კლინიკის დევიზად გამოეყენებინათ.

— უსიტყვო რეკომენდაცია... — ჩაფიქრდა და შემოთავაზებებს ჩამოყვა.

„თქვენი ოცნება ფორმას იძენს" — წაიკითხა სხვა ბანერზე. ერთგან გრანდიოზულ ფასდაკლებასაც წააწყდა. სახის, შუბლისა და წარბების აწევა უფრო იაფი დაჯდებოდა თუ პაციენტები იჩქარებდნენ. ამ გვერდს გასცდა. ჩამოშლილ თმას ხელით აწვალებდა და სათაურებად დაყოფილ ინფორმაციას სწრაფად კითხულობდა: ტუჩის კორექცია, ნიკაპის ფორმის შეცვლა, რინოპლასტიკა, სახის იმპლანტები, კონტურული დეფექტების გასწორება, ნაწიბურის გაქრობა... ყურადღება კლინიკა „The Beauty-ზე" შეაჩერა. კარგა ხანს უკირკიტა კორექციის შესაძლო ვარიანტებს, დაათვალიერა სურათები სახელწოდებით "ოპერაციამდე" და "ოპერაციის შემდეგ". იმ ფოტოებზე, სადაც თვალის ჭრილის ცვლილება აისახებოდა, ქალებს ანონიმურობის დასაცავად გუგებზე მუქი კვადრატები ჰქონდათ აფარებული. უცნაური სანახავი იყო უკაკლებოდ დარჩენილი ქუთუთოები. სათვალე მოიხსნა და სახე მოისრისა.

სეირნობა ღამით ერჩივნა, როცა არავინ იყო და თუ იყო, სიბნელე არ აძლევდა ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების საშუალებას. სასადილოს რომ ჩაუარა, ქალების ლაპარაკი მოესმა:

— დიდი უჟმური ვინმეა... — მენეჯერის ხმა იცნო. წამით არ უფიქრია, რომ მასზე საუბრობდნენ, მაგრამ შემდეგ დაისვა კითხვა:

— და რა სჭირს ეს სახეზე? ეტყობა რაღაც ტრავმის გამოა... — შენუხებული ჩანდა მზარეული.

— დამწვარია. — დიაგნოზი ისე უყოყმანოდ დაისვა, წყალი არ გაუვიდოდა.

ტბა სარკეს აღარ ჰგავდა, მელნის უზარმაზარ გუბესავით ლივლივებდა. მგლები ყმუოდნენ, ხმა ჰქონდათ გულისმიერი და სავსე. წყლის ველოსიპედს თოკი მოხსნა და დაიძრა. ნელა, თანაბრად მიიწევდა წინ. დატვირთვას გადაჩვეული კუნთები ერთიანად დაეჭიმა. ტყისკენ სვლა გაძნელდა. წყალს გადაეკრა ყინულის ფენა, რომელიც შეხებისას კრაწა-კრუნით იმსხვრეოდა. შეჩერდა. ცივი ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, ფილტვებში ტკივილამდე გააჩერა და ხმაც ამოაყოლა. ოხვრა მხეცების ყმუილს შეუერთდა.

ჰაერში გადაშვების შეგრძნება, რომელიც ავარიისას ფიზიკურად განიცადა, ტალღებად უბრუნდებოდა მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობიერებას. პერიოდულად ისეთი სიცარიელე ეუფლებოდა, თითქოს ყველა საყრდენი გამოაცალეს, ყველა ხელმოსაჭიდი წაართვეს და სამყარომ დაკარგა სიმყარე. უწონო საგანივით დატივტივებდა წყვდიადში. საკუთარ თავს დაეძებდა ყველგან: სარკეში, სურათებში, მოგონებებში, შინ, გარეთ, სამსახურში, შეყვარებულში, რაიმე საქმეში, რომელიმე გატაცებაში... ვერ პოულობდა ვერც წარსულსა და ვერც მომავალში. ანმყო კი საერთოდ განყენებულად, უიმისოდ არსებობდა.

— ჯერ თქვი, ორი-სამი დღეო, მერე ერთი კვირაო... ვერ გავიგე, საცხოვრებლად გადახვედი მანდ? — დილით ნერვებმა უმტყუნა სანდროს.

— რამდენიმე დღე... რაა, ერთი კვირაა აქ ვარ, რა იყო?

— რაღა რა იყო? ან ყურმილს არ იღებ და ან წესიერად არ მელაპარაკები... ცოტა სხვებზეც იფიქრე რა... დავიღალე მეც... — პირველად შეუტია ბიჭმა.

— შენ ჩამოდი, თუ მოახერხებ... — უკან დაიხია შემცბარმა.

— ჩამოვალ და წამოგიყვან.

— ჯერ აქ უნდა ვიყო. — კვლავ გაჯიუტდა და მოკლედ მოუჭრა. — შენ თუ მოიცლი, ჩამოდი. როცა გინდა, ჩამოდი...

მოსაღამოებულზე ისევ გაისეირნა ტყისა და ჭაობებისკენ. მიწა გამშრალიყო. ტბა ყინვას გაეშეშებინა. ბალახი დათრთვილულიყო, ფოთლები და წიწვები თითქოს შაქარყინულში ამოევლოთ. უნებურად მიმტანის ძებნა დაიწყო, მაგრამ ვერსად მოჰკრა თვალი. ჯიბეში თხილი ეყარა, გზადაგზა ახრამუნებდა. დის შარვალი იმ დილით უკვე დიდი ჰქონდა და წელში ქამარი წაეჭირა. თავს გაცილებით მსუბუქად გრძნობდა.

— პატრონი არ ჰყავს ნეტა?.. — ისევ შემოესმა ბუხართან შეკრებილი ქალების ლაპარაკი.

— აბა... ან არ შივდება? ვერაფერი ვერ გავიგე... — ქოთქოთებდა მზარეული.

— მაგის ოთახიდან ტირილის ხმა გამოდის... ძაან უცნაური გოგოა. როგორ ვთქვა და... იმ დღეს ვიფიქრე... ამ ტბაში რას გადის ნეტა?!

— აი შარი... — ჩაერთო დამლაგებელიც.

— შუაღამისას მარტო გადის ნავით და იკარგება. ორი საათი აღარ ჩანს...

— მართლა რამე არ მოსწიოს თავს... — შეწუხდა მზარეული.

— რაღა აქ მოუნდა თავის მოკვლა?! — ირონიულად ჩაილაპარაკა მენეჯერმა.

ბოლო სიტყვებმა დენივით დაარტყა. იმ ადგილს, როგორც რაღაც სახიფათოს, ისე გაეცალა. სწრაფი ნაბიჯით ჩაუარა შენობებს. მერე წყლის ველოსიპედში ჩაჯდა და დაფიქრდა. ტელეფონი ამოიღო. სანდროს ჩამოსვლის სურვილმა შეიპყრო, დარეკვა დააპირა. იმის წარმოდგენამაც კი, რომ სასადილოში მარტო შესვლა, მენეჯერის კითხვების მოსმენა და ცნობისმოყვარეთა მზერის გაძლება აღარ მოუწევდა, შვება მოჰგვარა. დარეკვის სურვილმა ცოტა ხანში გაუარა. მექანიკურად თეკლას, მერე კი თავისი დის ნომერი აკრიფა, მაგრამ ისიც გადაიფიქრა და ტელეფონი ჯიბეში შეინახა. პედლებს მაგრად აწვებოდა. ტბის შუაგულში ფეხები გააჩერა და ველოსიპედმა ინერციით განაგრძო მოძრაობა. ხელები სახეზე აიფარა, თვალები დახუჭა და მიხვდა, რომ ყველაფრის მიუხედავად თვითმკვლელობის აზრი ერთხელაც არ მოსვლია. წამით არ უფიქრია იმის შეწყვეტა, რისი დაკარგვისაც ასე შეეშინდა; რის გამოც მინასმოწყვეტილ მანქანაში კრინტი არ დაუძრავს, კბილს კბილზე აჭერდა, რომ სული როგორმე სხეულში ჩაემწყვდია. ჰაერში დარჩენილს ერთადერთი სურვილი ჰქონდა — მიწაზე დაბრუნება. აუსრულდა. დაბრუნდა, მაგრამ როგორც ყველაფერს ძალიან დიდსა და ძვირფასს, ამ სურვილსაც ჰქონდა საზღაური...

— რატომ უნდა მოვიკლა თავი? მე ხომ ერთხელ უკვე მოვკვდი... — დაიჩურჩულა ხელებში თავჩარგულმა.

სიკვდილი პირველს თეკლას შეეხო.

ფერადი შუქები ნაპერწკლებივით ცხრილავდა გაბუღულ სიბნელეს. სიფხიზლეს ნაირ-ნაირი, ცეცხლოვანი კოქტეილები უღებდა ბოლოს. კლუბის შესასვლელში იდგა, თეკლას და მის ქმარს ელოდა. უამრავი ხალხი ირეოდა. მელოდიისგან დაცლილი რიტმი დასაქოქი სათამაშოებივით იყოლიებდა ადამიანებს. ელექტრონული მუსიკის ვიბრაცია და ბასების გამჭოლი ხმა სხეულს მოსვენებას არ აძლევდა. თეკლა მარტო მივიდა, ფერმკრთალი და გადაღლილი. ალკოჰოლს დაეწაფა. სწრაფად გამოცალა ორი დიდი ჭიქა. მერე საცეკვაო მოედნისკენ გაიკვლია გზა. მისი მუდამ ლამაზი, მოქნილი მოძრაობები თანდათან გამომწვევ, უცნაურ როკვად გადაიქცა. მეგობარს ყურადღებით დააკვირდა. კოქტეილის წრუპვა შეწყვიტა, ბარის სკამიდან ჩამოხტა და თვითონაც სცენისკენ დაიძრა. თეკლას წინ უცნობი ედგა, რომელიც მისი ასხლეტილი, გაოფლილი სხეულით ტკბებოდა. ხალხი გაწი-გამოწია. მეგობარს ხელი დაავლო — რა გჭირს? — დაუყვირა, მაგრამ სიტყვები ხმაურმა შთანთქა. უკმაყოფილო უცნობმა პოზიციის დაბრუნება სცადა. კაცი მუჯლუგუნით მოიცილა. თეკლას გახურებულ სახეზე მოკიდა ხელები — ცუდად ხარ? ტუალეტში გავიდეთ! — გოგომ უსიცოცხლოდ გადაატრიალა თვალები. ვიწრო, ნეონის შუქით განათებულ, დახუთულ კაბინაში საათზე მეტი გაატარეს. მის მოვლაში მთლიანად გამოფხიზლდა. სახეს და გულ-მკერდს ცივი წყლით უზელდა. ფეხზე წამოყენებას ცდილობდა, ვერ ერეოდა. თეკლას ღებინება უჭირდა, პერიოდულად გონს მოდიოდა, ლაპარაკობდა და მერე ისევ სადღაც იკარგებოდა. ერთად ისხდნენ ცივ იატაკზე. თეკლა ცოტა რომ მომჯობინდა და თვითონაც ამოისუნთქა, ჰკითხა:

— ზურა სადაა? იჩხუბეთ?

— ცუდად ვარ! — უცებ ხელები აიფარა გოგომ და მთელი ხმით ატირდა. კლუბის აურზაური ხმას ახშობდა.

ტუალეტის კარს პერიოდულად ეჯაჯგურებოდნენ გარედან, აბრახუნებდნენ, წიხლებს ურტყამდნენ და მერე თავს ანებებდნენ.

— კარგი, რა მოგივიდა? გაივლის... ხო იცი, გაივლის.

— არ გაივლის! არასოდეს არ გაივლის! — ძლივს ამოთქვა თეკლამ.

— ყველაფერი გაივლის! — მეგობრის ლაპარაკი არ ესმოდა და თავისას იმეორებდა.

კედლებს გუგუნი გაჰქონდა. ტუალეტის შავი კაფელი, წითელი კარი და დაბალი ჭერი დამთრგუნველად ზღუდავდა სივრცეს.

— ექიმთან ვიყავი. კიბო მაქვს. — თქვა ბოლოს თეკლამ.

— ვერ გავიგე... სად იყავი?

— ექიმთან... ექიმებთან...

ეროვნული ბიბლიოთეკა



თავდაპირველად ზურასთან ერთად თვითონაც დაყვებოდა ქიმიოთერაპიის კურსზე. შემდეგ გავიდა წლები, განელდა შიში და გაცვდა ემოცია. თეკლა გამორჩეულად ძლიერი აღმოჩნდა.

პარასკევს ღამით სანდრო ჩამოვიდა. დაღლილ-დაქანცულს მკვდარივით დაეძინა.

— აქ რა გაჩერებს, ვიცოდე ერთი... — ამოიოხრა ნასაუზმევს ნომერში დაბრუნებულმა — ერთი-ორი დღე ხო, კაი... ისიც ზაფხულში...

მტრულად გადახედა. არაფერი უპასუხია. სანდრომ ტელევიზორი ჩართო, ახალ ამბებს უყურა. მერე ლეპტოპი გამოართვა და ორ საათს აღარ მოსცილებია.

— არ მოგშივდა? — ჰკითხა მოგვიანებით.

წვნიანი ორივემ გასინჯა. მწვადი კი მხოლოდ სანდრომ ჭამა და თან: კარგია, გადაილეო, — სთავაზობდა. დღემ სრულიად უაზროდ ჩაიარა. თითქმის არაფერზე ულაპარაკიათ. სანდროს წამდაუწუმ ურეკავდა ტელეფონი. მიხვდა, რომ მისი ცხოვრება ძველებურად სისხლსავსე იყო და შეიძლება უფრო მეტადაც.

მას მხოლოდ თეკლამ დაურეკა და ისიც ხმა არ ამოუღია. ტელეფონში ისევ გაუგებარი, ყრუ ხმაური ისმოდა.

საღამოს მოსაწევად ვერანდაზე გავიდნენ. სანდროს სამსახურის ამბები გამოკითხა და გაიგო, რომ დააწინაურეს, რომ განყოფილების უფროსი გახდა, რომ მალე „თიმბილდინგის" გასვლითი ტური იგეგმებოდა. თანამშრომლები ერთ-ერთ კურორტზე სამ დღეს დაჰყოფდნენ, დროს რაღაც თამაშებში, შეჯიბრებებსა და საუბრებში გაატარებდნენ, რაც თურმე გუნდის განმტკიცებას უწყობს ხელს. კიდევ რაღაც პროექტის დაფინანსება მოუპოვებიათ და მოგვიანებით აღნიშვნას აპირებდნენ. დიდი კორპორატიული ქეიფი იგეგმებოდა, ყველა სტუმარი კორპორატიულ ფერებში უნდა ყოფილიყო გამოწყობილი. სიგარეტს რომ მორჩა, სული ეხუთებოდა. ამ ყველაფრის მოსმენა აღარ შეეძლო. წამით იმაზეც გაბრაზდა, რომ სანდრომ ერთხელაც არ შესთავაზა თან წაყვანა, მისი ადგილი არცერთ შეკრებაზე არ მოიძებნა. მერე რა, რომ ვერაფრით დაითანხმებდა. "შენც წამოდი, ცოტას გავერთობით... უშენოდ რა მინდა?!" ამ სიტყვების გაგონება მაინც ძალიან სჭირდებოდა.

სანდრომ ძილის წინ წყლის ველოსიპედით გასეირნებაზეც უარი რომ უთხრა, ბოლომდე მოეშხამა გუნება.

— ეს რა პონტია? — წამოიძახა ბიჭმა ყმუილის გაგონებაზე და ლოგინზე წამოჯდა.

— არაფერი, აქვე ტყეა. ეს მგლების ხმაა... მოიცა, არა! ტურების.

— აუ ჩემი... — წამოხტა და ფანჯარაში გაიხედა — სად იპოვე ეს ადგილი?!.. — წაიბუზღუნა და ტელევიზორი ჩართო. რაღაც ფილმი მოძებნა და ყმუილის გადასაფარად ხმას ბოლომდე აუწია.

ბანაობისას გაიგო, როგორ გაჩუმდა ტელევიზორი. რომ გამოვიდა, სანდროს უკვე ეძინა. შუქი ჩააქრო, ფრთხილად მიუწვა და მიაყურადა. ბიჭი ზურგშექცევით იწვა და მშვიდად ფშვინავდა. სიბნელეში, სადაც არ არსებობდა სახეები, ფორმები, ფერები და მხოლოდ სუნთქვა, სხეულის სითბო, სურნელი და შეხება იყო, თავი უცნაურად მყუდროდ იგრძნო და რაღაც ძველი, ტკბილი განცდა დაუბრუნდა. მისი შელვიძება მაინც ვერ გაბედა. ხელი უხილავმა კედელმა შეუშალა, რომელიც სულ უფრო იზრდებოდა მათ შორის.

დილით ერთად ისაუზმეს. გარეთ გამოვიდნენ და ისევ დადგა მომენტი, როცა არ იცოდნენ, რა გაეკეთებინათ.

— ავალ მე, ინტერნეტში ახალ ამბებს გადავხედავ. — თქვა სანდრომ და ნომრის გასაღები ჯიბიდან ამოაცალა.

სახტად დარჩა. ხელში სასადილოდან წამოღებული პური ეჭირა, რომ ფრინველებისთვის ეჭმია. რატომღაც წარმოედგინა, რომ ამას ერთად გააკეთებდნენ.

იხვები კისრისტეხით მისცვივდნენ. გედი მოთმინებით დაელოდა თავის რიგს.

— ცოტა დიდი ნაჭერი მოტეხე და ხელიდან მიეცი, არ შეგეშინდეს! — აღმოაჩინა, რომ მიმტანი გვერდში ედგა — თორემ ამათ ხელში მშიერი დარჩება. — გედს ნისკარტზე წაეთამაშა.

პირველ ცდაზე შეშინდა და პური ტბაში ჩაუვარდა. მეორეზე უკვე შეძლო და გედის ხერხივით ნისკარტში მოხერხებულად შეაცურა ერთი ნაჭერი. ამ პროცესში თან ცოტა გამხიარულდა.

— ადრე ორნი იყვნენ... — თქვა უცებ მიმტანმა — მერე ერთი მოგვიკვდა. — გედს ისევ მიეფერა — იქით თევზაობდნენ და... — მეორე ნაპირისკენ გაიშვირა ხელი — ანკესი გადაუყლაპია... ეს მერე გავიგე. — თვალებში სევდა ჩაუდგა.

მიმტანს შეხედა. ნათლად წარმოიდგინა მორკალულ თეთრ კისერში გაჩხერილი რკინის კაუჭი და გული მოეწურა.

— დროზე რომ გამეგო, ვუშველიდი. შეეშინდათ და არ გაამხილეს. გადაჭრეს ძუა, ანკესი ჩაუტოვეს... ასე დარჩა ცალის გარეშე.

— ეს როდის მოხდა?

— შარშან.

— თქვენ რამდენი ხანია აქ მუშაობთ?

აივანზე სანდრო გამოვიდა.

— რას შვები? — ჩამოსძახა პაუზის შემდეგ.

— არაფერს... ვაჭმევ... — სახე მოიჩრდილა. მოეჩვენა, რომ სანდროს ამ მზერას არ იცნობდა. რაღაც უცნაურად, დაკვირვებით და თან თითქოს მწყრალად დაჰყურებდა ზემოდან.

— თეკლა გირეკავდა.

— ჰო, ამოვალ. — ხელები დაიფერთხა და შენობაში შევიდა. სასადილოს ფანჯრიდან თვალი მოკრა მზარეულს, რომელიც ფარდის ღრიჭოდან უთვალთვალებდა.

— თეკლა ასე მირეკავს ყოველდღე... ეჭირება, ეტყობა, ავილებ და ისმის შრაშუნი. გამიწყალა გული! ან სხვანაირად შეინახოს ეს ჩემი ნომერი ან საერთოდ წაშალოს და ზეპირად დაიმახსოვროს — ბუზღუნით დახედა ტელეფონს.

სანდრო ისევ მწყრალად უყურებდა:

— ეგეთი რა გაგიწყალა გული?

— რაც აქ ვარ, ოცჯერ მაინც დარეკა.

— მერე რა?.. რა ყველამ გული გაგიწყალა? — სანდრო აღარ უსმენდა, ემოციას მიყვებოდა.

ბრაზით შეხედა.

— შემთხვევით ეჭირება-მეთქი, რა ვერ გაიგე?

— წავიდეთ თბილისში! — თქვა უცებ ბიჭმა.

მოულოდნელობისგან გაჩუმდა. მერე ყელში რაღაც მოაწვა და წამოიძახა:

— შენ არაფერი არ გესმის...

— მე ყველაფერი მესმის. უბრალოდ ეს დამალვა არაა საჭირო!

— არ ვიმალები! მარტოობა მჭირდება! რით ვერ გაიგე? — ხმას აუწია განერვიულებულმა.

— რამდენ ხანს უნდა გელოდო? ყველა ცდილობს როგორმე გასიამოვნოს... ყველა შენს გარშემო ტრიალებს! სულ უკმაყოფილო ხარ... ყველაფრით... — სანდროს ეტყობოდა, დიდი ხნის სათქმელს მოხსნა პირი, მაგრამ თავს მაინც იკავებდა, სიტყვებს არჩევდა — მე თუ კიდევ რამე არ მესმის... აბა რა ჯანდაბას ვაკეთებ ამ ტყე-ღრეში?

სიჩუმე ჩამოვარდა. სათვალე მოიხსნა და ბიჭს ამღვრეული თვალებით მიაჩერდა.

— აქ მაგის გამო ხარ? — ხმა გაებზარა.

— აქ შენ გამო ვარ! — წამოიყვირა სანდრომ და კარი გაიჯახუნა.

ეზოდან მანქანის დაქოქვის ხმა მოესმა, მაგრამ დაძვრით არ დაძრულა. ერთ საათში ბიჭი უკან ამობრუნდა. კიბეზე რომ ამოდიოდა, ტელეფონმა დაურეკა.

— სალამი, მერაბოვიჩ... დიახ... კი, კი კარგად ვართ... არ ვიცი ჯერ. კი, გზა ნორმალურია...

ლოგინზე იჯდა სახით კედლისკენ. კისერი მოკუნტულ მხრებში ჩაერგო.

— მამაჩემი როდის მერე გირეკავს? — არ მიტრიალებულა, ისე იკითხა.

სანდროც ლოგინზე გადაწვა. სიჩუმე ჩამოვარდა.

— ვახშამი წინასწარ უნდა შევუკვეთო აქ? — იკითხა ბოლოს დაღლილი ხმით.

სალამოს ორკაციან მაგიდაზე ხაჭაპური, ხორცი, სალათი და ღვინო ენყო.

— ცოტა დალიე... წამლებს ხო მორჩი?! — უთხრა სანდრომ და ჭიქა შეუვსო.

სასადილოს ბუხარი და სანთლის შუქი ანათებდა. მიმტანი იქვე იდგა, კედელს ოდნავ მიყრდნობილი. წყვილს არ უყურებდა, თავჩახრილი ცეცხლს იყო მიშტერებული. ეზოში ძაღლი კოჭლობით მიდი-მოდიოდა და ჯაჭვს აჟღარუნებდა.

— გაგიმარჯოს! — ჭიქა მიუჭახუნა სანდრომ და ღვინო გამოსცალა.

— შენც... — თქვა ხმადაბლა და ერთი ყლუპი მოსვა.

სანდროს ტელეფონმა დაურეკა. არ აილო, ხმას ჩაუწია და გადადო.

— დალიე, დალიე... — ჭიქაში მოკლებული ყლუპი ჩაუმატა — ყველაფერი გემრიელია — მადიანად მოკბიჩა ხაჭაპური — ქართულ სუფრაზე ხო იცი პირველი რატო მოაქვთ ხაჭაპური?! რო ხალხი ეგრევე დანაყრდეს. — თქვა და გაიღიმა.

ამ დროს მზარეულმა ფრთხილად გამოიჭყიტა. ეტყობა, სამზარეულოში შეკრებილ ქალებს მათი დიალოგი ცუდად ესმოდათ და ცნობისმოყვარეობა აწვალებდათ. მზერა საქმიანად მოავლო მაგიდებს და თავი ისევ შეყო.

— შენი მანქანა მთლად გადასაგდები არ ყოფილა. მამაშენმა იპოვა ერთი ხელოსანი და ნახევარ ფასში აკეთებინებს. — განაგრძობდა სანდრო.

— მე ალბათ აღარ დავჯდები... ვეღარ წარმომიდგენია... — უპასუხა გულგრილად და მხრები აიჩეჩა.

— შენ?.. ჰო... მაგრამ მაინც კარგია, რო მანქანა ხოდზე იქნება... შენ რა ვიცი... გაივლის რა, ყველაფერი გაივლის — თქვა ხმადამთბარმა და ბოთლი თავის ჭიქაში ჩაცალა. მერე მიმტანს ანიშნა, კიდევ მოგვიტანეო.

კიბეზე ხელიხელგადახვეულები ავიდნენ. შეშველება სანდროს უფრო სჭირდებოდა. მთელი ძალით დაეშვა ლოგინზე. ჯინსები რომ გახადა, სანდროც წამოიწია, ხელი შარვლის სათავეზე დაავლო და ნელი მოძრაობით ჩააძრო. წელზე მოეხვია და თავი მუცელზე მიაყრდნო. სიამოვნება ღრმა ნაფაზივით ჩაეშვა სხეულში და ყველა უჯრედს მოედო. გული გამალებით უცემდა. შუქი ჩააქრო. თრობის მივიწყებულმა ნეტარებამ და მოფერების მონატრებულმა განცდამ ფეხებში ძალა გამოაცალა. ლოგინზე მიესვენა. სანდრომ როლინგი გახადა. ქსოვილი თმისსამაგრს წამოედო და თან გაიყოლა. მკერდზე თმა ჩამოეშალა. მთვრალმა სუნთქვამ, გაუპარსავმა წვერმა და სულმოუთქმელმა, ხარბმა ამბორმა თავბრუ დაახვია. სანდრო მის ბაგეს მოსწყდა, მკერდიდან თმა გადაუყარა და კერტებს მიეალერსა. სიამოვნების ჟრუანტელი სწრაფად გაუფანტა უნებურად დაბადებულმა აზრმა, რომ სანდრო დასახიჩრებულ სახეს გაექცა, ნაიარევ ნაკვთებს უვნებელი, სავსე მკერდი ამჯობინა. თვალები დახუჭა. ამ ფიქრისგან გათავისუფლება სცადა. გონება დაძაბა. ის-ის იყო ეჭვს მოერია, რომ ბიჭი თითქოს ისევ შეყოყმანდა. მუცელთან მიტანილი ტუჩები მუხლებზე გადაანაცვლა. ჭიპთან ორი გრძელი ჰორიზონტალური ნაკერი კვეთდა ერთმანეთს. სიამოვნება უკვალოდ გაქრა. აზრები შავი ღრუბელივით მოიყარა გაბრუებულ ცნობიერებაში და მგრძნობელობა მთლიანად დაახშო. ვნება ჩაანაცვლა შიშმა, სანდროს თვალით დანახული და მისი კანით ნაგრძნობი იარების აუტანელმა სირცხვილმა. გაქვავდა. სანდროს ფართო ზურგზე მოხვეული ხელები ერთიანად გაუცივდა. სწრაფად გაუშვა. ბიჭი არ გაჩერებულა, თითქოს ვერაფერი იგრძნო.ზემოდან დააწვა...

სუნთქვაშეკრული დაელოდა სხეულების შერწყმის წამს. ეს წამი არ დადგა... სანდრომ რაღაც ჩაიბურტყუნა და ზურგზე გადაწვა.

— ძაან ბევრი დავლიე... — ამოილუღლუღა ბოლოს.

სიჩუმე გახდა აუტანელი. ძალა მოიკრიბა, ტუჩებს თავი მოუყარა და დაიჩურჩულა:

— არა უშავს...

უთენია მაღვიძარამ დარეკა. სუსხიანი დილა თენდებოდა. სანდრომ სწრაფად ჩაიცვა. აბაზანიდან თავისი ნივთები გამოიტანა და პატარა ჩანთაში ჩაყარა:

— უნდა წავიდე, თორე დამაგვიანდება. — თქვა და შუბლზე აკოცა.

მერე კარიდან მობრუნდა:

— თავის ტკივილის ხომ არ გაქვს რამე?

— კი, კარადაზე დევს. — ლოგინიდან წამოდგა. შუშხუნა აბი წყალში გახსნა და სანდროს გაუწოდა.

მდუმარედ მიადევნა თვალი მის თითოეულ მოქმედებას. ცარიელი ჭიქა გამოართვა. თმაზე ხელი ნელა გადაუსვა. მოეჩვენა, რომ ის ერთი წუთი ძალიან მნიშვნელოვანი იყო მის ცხოვრებაში. სადღაც ძალიან ღრმად, ძლიერი ტკივილი იგრძნო. სანდროს თვალი ჩააყოლა, კარი მიხურა და ლოგინში შეწვა. მერე თვითონაც დალია წამალი და დაიძინა.

ლოგინიდან ღამით ადგა.

— წყლის ველოსიპედი დასველდა, ვეღარ მოვასწარი გადახურულში შეყენება... ნავი მშრალია. მითხარით და როცა დაგჭირდებათ, გამოგყვებით. მარტო გაგიჭირდებათ... — მოესმა ბოხი, მშვიდი ხმა.

მიმტანი სიბნელეში იდგა და მორჩილად უყურებდა. პასუხი არ ჰქონდა. ხელში ქუდი ეჭირა. კაშნე ქურთუკის ჯიბიდან ძირს ეთრეოდა. დამამშვიდებელით თუ ძილით გაბრუებული უაზროდ შეჰყურებდა ბიჭს და ხმას არ იღებდა. მიმტანმა უხერხულობისგან ისევ დაარღვია სიჩუმე:

— დღეს წვიმდა. წყლის ველოსიპედი გარეთ დამრჩა. იქით ვიყავი თავლაში და ეს დასველდა...

— აქ ცხენებია? — იკითხა ბოლოს ხმაჩახლეჩილმა.

— კი, იქით... ხუთი ცხენი გვყავს.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— რატომ უნდა მოვიკლა თავი? მე ხომ ერთხელ უკვე მოვკვდი... — თქვა ისე, რომ თვითონვე მოსჭრა ყური საკუთარმა სიტყვებმა. არ იცოდა, რა ძალამ წამოაროშინა ეს ფრაზა.

— თქვენ... რას ამბობთ?.. — მიმტანი შეცბა.

გაჩუმდნენ.

— ერთხელ მეც მოვკვდი. — თქვა ბოლოს ბიჭმა მტკიცე ხმით და სწრაფადვე დაამატა — წამოდით, გამოგყვებით. ნავით მარტო გაგიჭირდებათ.

დაყვა. ნავის ერთ ბოლოში მიიყუჟა. სიჩუმეს მხოლოდ წყლის ხმა არღვევდა.

— დავბრუნდეთ. — თქვა ერთსაათიანი სეირნობის შემდეგ.

ნომერში დაღლილი ავიდა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღე ძილში გალია, ტანსაცმლიანად მიწვა ლოგინზე და მალევე გაითიშა.

— თქვენი ქმარი წავიდა? — ტრადიციულად საუზმეზე გამოეცხადა მენეჯერი. — არა, იმიტომ გეკითხებით, რო... ნომერი ისევ ერთ კაცზეა? და ისევ სადილის გარეშე?

— ჩემი მეგობარი წავიდა.

— ა... — თვალები დააჭყიტა გოგომ — ხო, მე უნდა ვიცოდე... — თქვა მერე საქმიანად და რატომღაც ისევ შენობით მიმართა — ისე როგორ შეგიძლია ასე? მაგარი ნებისყოფა გაქვს... აბა მე და დიეტა გამორიცხულია! შენ ყოჩაღ! ამდენი ხანია და...

ყავის ჭიქაში შაქარს ნელა ურევდა და გრძნობდა, რომ ადვილად ვერ დაიხსნიდა თავს. გოგო თვალს არ აშორებდა.

— ჰმ... მე ვიფიქრე, ქმარი იყო... რატომღაც ასე ვიფიქრე... ესე იგი საქმროა?.. რა ბიჭია?! — თქვა და უტიფრად შეხედა — ძაან... ყოჩაღ რა! — თავის ქნევით უთხრა და დადუმდა. მცირე ხნის ფიქრის შემდეგ ახალი თემა წამოიწყო — კაცო, იმ დღეს, უყურეთ ტელევიზორში? გოგო დამწვარა სოლარიუმში! ისეთ დღეშია... საავადმყოფოში გადაიყვანეს!

უსმენდა და თმას აწვალებდა.

— თურმე ლელვის ფოთლების ნახარში წაუსვია, სანამ შევიდოდა და... ვაიმე... ეს რა ვნახე! როგორ ქონდა კანი... ძვლამდე დამწვარი! ექიმი ალაპარაკეს...

მიმტანი იატაკს ჩაჰყურებდა.

— და თქვენ... თქვენ? — წაბორძიკდა მენეჯერი.

— მე არ მიყურებია ტელევიზორისთვის. — უპასუხა სწრაფად.

— შენ... თქვენ როგორ დაგემართათ? — გაბედა გოგომ.

მიმტანმა სასადილო დატოვა.

— არა, თუ არ გინდა, არ მითხრა... — მხრები აიჩეჩა მენეჯერმა და უკმაყოფილოდ შებრუნდა ბუხრისკენ.

სიჩუმე ტელეფონმა დაარღვია. თეკლა ისევ არ იღებდა ხმას. სასადილოდან სწრაფად გავიდა. გული აჩქარებით უცემდა. თვითონ აკრიფა ნომერი.

— თეკლა!

— ჰო, რას შვები? — ხმა გასცა მეგობარმა.

— რატო მირეკავ დღეში ათჯერ? — სათვალე უხეშად მოიხსნა.

— მე გირეკავ? — გაოცდა თეკლა.

— ხო, აბა მე გირეკავ? დავიღალე! ან დამელაპარაკე და ან რას მირეკავ და მასმენინებ ამ ხმებს? — მიაყარა გაბრაზებულმა.

— რა ხმებს გასმენინებ?... არ ვიცი... — თეკლას მოწყენილი, მოგუდული ხმა ჰქონდა.

— არც მე არ ვიცი... იდიოტივით ვილებ ყოველ დღე ყურმილს და ვისმენ შრაშუნს...

— ა-ზე მიწერია შენი ნომერი და ეჭირება, ეტყობა...

— ჰოდა გადაიტანე ბ-ზე. ან წაშალე საერთოდ! ამოვიდა ყელში! — მეგობრის ინერტული თავისმართლება კიდევ უფრო აღიზიანებდა.

— კაი, რა დაგემართა? ეს ტელეფონი ურევს, ხო იცი... „ქი ლოქი" მოშლილი აქვს... და მეჭირება, ეტყობა.

— გავიგე, რო გეჭირება! ვიცი, რო გეჭირება! დღეში ათჯერ გეჭირება... — ვერა და ვერ დაცხრა.

— კაი, რას მეჩხუბები? — სუსტად გაისმა თეკლას ხმა.

— თუ დარეკვა გინდა, დამირეკე და დამელაპარაკე. თუ გაინტერესებს საერთოდ, როგორ ვარ...

თეკლა გაჩუმდა.

ხელები სახეზე აიფარა. ნომერში ავიდა და კარადიდან ტანსაცმელი გადმოყარა. ყველაფერი უდიერად ჩატენა. ორივე ჩანთა შეკრა და კართან დადგა.

საღამოს ლოგინზე იჯდა და ტელეფონში სანდროს ნომერს დაჰყურებდა. — თუ მოდიოდი, წამოსულიყავი... მაგას გეხვეწები ამდენი ხანია. მოიცა, გუშინ არ გინდოდა და დღეს რა შეიცვალა? — წინასწარ ჩაესმოდა მისი პასუხები — მოხდა რამე? რა მოხდა, გამაგებინე! არა, როგორ არაფერი?! მითხარი, რა მოგივიდა...

ტელეფონი გადადო. ფანჯარა გამოაღო და დაბლა მიმტანი დაინახა. ხის მორზე ჩამომჯდარიყო. ისევ ტყავის ჩექმები და მომდგარი შარვალი ეცვა. ფანჯარას დაჟინებით უყურებდა. სათქმელი არაფერი ჰქონდა და შემობრუნება დააპირა.

— ცხენები გიყვართ? — შემოესმა ამ დროს.

— კი, მიყვარს. — თავი ისევ გაყო.

— ახლა უნდა გავასეირნო... ხუთნი არიან. გაგაცნობთ, ხუთივეს...

დაფიქრდა, უხმოდ დაეთანხმა და კიბეზე ჩაირბინა.

თავლის მძაფრმა სუნმა ბავშვობა გაახსენა.

— ბოდიში... აქ სუნამოს სუნი ნამდვილად არ დგას! — გაუღიმა მიმტანმა და ჯიბიდან დამჭკნარი სტაფილოები ამოიღო — მოდით, დენიკებს მივყვეთ — თქვა და პირველ სადგომთან შეჩერდა — ეს არაბოა, ცოტა ჯიუტი, მაგრამ შრომისმოყვარე. ეს — მარბი — დრუნჩზე მიეფერა თაფლა ცხენს — კეთილია, დამჯერი. ზანზალაკი ძალიან ამაყია, შენიშვნებს ვერ იტანს... სულ უნდა ეფერო — გაიცინა და ყორნისფერ ფაშატს ძლიერ კისერზე ჩამოუსვა ხელი — პეგასი ყველაზე ლამაზია, ყველაზე ეშხიანი... ტრიუმფი კაი ფიცხია, არც ერთთან არ მიიშვება, მამლებთან შეტევაზეა, დედლებთან... დედლებთანაც შეტევაზეა — გაიცინა და დიდ დაძარღვულ ყურზე თითები ჩამოკრა.

ნაბლა ცხენმა დაიფრუტუნა და თავი უკმაყოფილოდ გააქნია.

— ესენი გავასეირნე. დარჩა ეს ორი — პეგასსა და ზანზალაკზე მიუთითა — ერთმანეთს არ ერჩიან, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, შეგვიძლია ერთად გავატაროთ...

— კი ბატონო. — უპასუხა საქმიანად.

— აი, სტაფილო! დამეგობრების უმოკლესი გზა! ხომ არ გეშინიათ?

— არა. — გაიღიმა და შემჭკნარი ბოსტნეული გაშლილი ხელისგულით მშვიდად მისცა პეგასს. 27 —

ცხენმა ფართო ნესტოებიდან ცხელი ჰაერი მიაფრქვია და საკვები ხმაურიანად შეითრია. მიმტანი მის თამამ, მოხერხებულ მოძრაობებს ყურადღებით ადევნებდა თვალს. ზანზალაკის ჯერი რომ დადგა, სასწრაფოდ გააფრთხილა, ცხენს არასოდეს დაუდგეთ უკან, ყოველთვის წინიდან მოუარეთო.

— კარგი... — უპასუხა და სხვათაშორის დაამატა — მარბის ნალი აქვს გადასაჭედი.

— ნალი? — გაოგნებული მიმტანი ცხენს წინა ფლოქვებზე დააკვირდა — მართალია... მარჯვენა ნალი... მჭედელს ვეტყვი ხვალ. თქვენ საიდან მიხვდით? როგორ დაინახეთ?..

— ბავშვობაში დავდიოდი... ჩემს ცხენს მე თვითონ ვუვლიდი...

— რას ამბობთ?! მე კიდევ აქ წესებს გასწავლით... — სიცილით გააქნია თავი.

— არაფერია, მაინც მივიწყებული მაქვს...

— ე. ი. დღეს კორდით არ მოგვიწევს ცხენების გასეირნება? — სახე გაუბრწყინდა მიმტანს.

— მოგვიწევს. — თქვა და ცხენს ფაფარი თითებით ჩამოუვარცხნა.

— რატომ? თქვენ ხომ ასე კარგად იცით...

— მე ვერ დავჯდები. მაპატიეთ, მაგრამ... ავარიის შემდეგ უაზრო შიშები მაქვს. ცხენზე ვერ დავჯდები... თან მას მერე, რაც მე იპოდრომზე დავდიოდი, საუკუნე გავიდა...

— როგორც იტყვით, თქვენ როგორც იტყვით... — მიმტანი პეგასის შეკაზმვას შეუდგა. ზანზალაკს კი მხოლოდ კორდა გამოაბეს.

გარეთ ციოდა.

— ლევადაში ვარბენინოთ? — მიმოიხედა და ზანზალაკს ბოლო სტაფილო შესთავაზა.

— არა, იქით გავიდეთ. — ბიჭმა ტყეს გახედა.

საუბარი ისევ ცხენებზე განაგრძეს. ძველი ამბები გაიხსენეს, ვინ როგორ ისწავლა ჯდომა, ვინ რამდენჯერ გადმოვარდა, ვის როგორ შეეძლო უუნაგიროდ ჭენება.

— გალოპს არაფერი შეედრება!

— ჰო, ქართულადაც კარგი სახელი ქვია: ნავარდი... მართლა ნავარდია...ნავარდი... — გაიმეორა მიმტანმა.

— ახლა მივხვდი, როგორ მომნატრებია... — ტყის ჰაერი ჩაისუნთქა და ცხენს მიეფერა.

— ნებისმიერ დროს... როცა მზად იქნებით... — თავი დაუკრა ბიჭმა.

შებინდდა. ხეებით დაბურულ ადგილებში შუქი ველარ აღწევდა.

— ხვალ ვისვენებ... თქვენც თუ... — წამოიწყო ბიჭმა.

— აბა სასადილო? — გააწყვეტინა უცებ.

— სასადილოში აქაური ბიჭი მოიყვანეს. მე ისედაც დროებით ვიყავი. ბარს რაც შეეხება, დამსვენებელი თქვენ გარდა არავინაა. თქვენც საერთოდ არ ჩამოდიხართ... ცხენებს მჭედელს გადავაბარებ. საღამოს მეც დავბრუნდები.

— სად მიდიხართ? — დაინტერესდა გულწრფელად.

— მთაზე ავდივარ, ამის თქმა მინდოდა, წამოდით თქვენც... თუ...

— რა ხდება მთაზე? — არ დააცადა გოგომ.

— ფოტოები უნდა გადავიღო, შეკვეთა მაქვს მომავალი წლის კალენდარზე.

— ფოტოებს იღებთ? — გაკვირვება ვერ დამალა.

— ვცდილობ... — გაუღიმა ბიჭმა.

— ახლა რომელ თვეს იღებთ?

— თებერვალს. ხვალინდელი პროგნოზი ვნახე, წესით იდეალური ამინდია.

— მთა უნდა გადაიღოთ?

— მთაც. მდინარეც. ამ დროს მთას განსაკუთრებული ფერი აქვს. იქ ნაძვები თითქმის არ იცის, ხეებს კიდევ სულ გაცვენილი აქვს ფოთლები, ბალახიც გამქრალია. სიმწვანე არსადაა და მთა არის შინდისფერი... მდინარე კიდევ განთიადზე უნდა გადაიღო. საოცარი სანახავია. მოდის, მოედინება და ორთქლი ასდის...

სულგანაბული უსმენდა.

— შეძლებთ ასე ადრე ადგომას? — ჰკითხა ბოლოს.

— რომელ საათზე?

— ძალიან ადრე...

— მითხარით, რომელზე. ექვსზე? — ხმაში მზადყოფნა დაეტყო.

— ექვსზე შუა გადაღებაში უნდა ვიყოთ. — თვალები მოჭუტა ბიჭმა.

— აბა?.. ხუთზე?

— კარგი, კარგი... შვიდის ნახევარზე დაბლა დაგელოდებით — სიცილით უპასუხა — შეძლებთ?

— კი, როგორ არა... — ორივე კმაყოფილი დარჩა შეთანხმებით.

უეცრად მგლის ყმუილი გაისმა. ზანზალაკი დაფრთხა, ყალყზე დადგა. გოგოს კორდა გამოგლიჯა და მთელი სისწრაფით გაქუსლა.

პეგასმაც დაიჭიხვინა, მაგრამ ბიჭმა ის მალევე დაიმორჩილა და უკვე დამშვიდებული ხეზე მიაბა.

— ხომ კარგად ხართ? — მივარდა ჩამუხლულ გოგოს.

— კი... არაფერი მიტკენია. უბრალოდ... — მიწაზე ხელებს აფათურებდა.

— რამე დაკარგეთ? ნამდვილად არაფერი გეტკინათ?

— სათვალე დამეკარგა, სადღაც აქ უნდა იყოს.

— ახლავე! — ფანარი აანთო ბიჭმა — ახლავე ვიპოვით.

ცალი მინა ამოვარდნილიყო, მეორესგან კი მხოლოდ ნამსხვრევები დარჩენილიყო.

— რა დაეტაკა?! ასეთი რამე არასდროს უქნია... — დამნაშავესავით ბუტბუტებდა ბიჭი — ბოდიში... ეს რომ მცოდნოდა...

— არა, რისი ბოდიში?! წინასწარ როგორ გეცოდინებოდათ? თქვენი რა ბრალია?

— უსათვალოდ როგორ იქნებით?

— არ ვიცი... სიბნელეში საერთოდ ველარ ვხედავ. — თვალები მოისრისა გოგომ.

ბიჭმა ხელები მხრებში მოკიდა.

— ამ სიბნელეში მეც ცუდად ვხედავ... შემოგვაღამდა, უნდა წავიდეთ. ჩემი ბრალია... — გაიმეორა ისევ და ხელ-

27899

ბი მკლავებზე ჩამოაყოლა — თითები ყინულივით გაქვთ... აი, ამას მოგცემთ... — ჯიბიდან მხედრის ხელთათმანები ამოიღო.

მგლის ყმუილი კვლავ გაისმა. ტყე ოდნავი შუქისგანაც დაიცლა, კონტურები დაიკარგა და იქაურობა იდუმალი ხმებით აივსო.

— იქნებ გაბედოთ. ჩემთან ერთად ნუ შეგეშინდებათ, ცხენს მე ვმართავ... თან პეგასი ჭკვიანია, ერთგული. ასე უფრო სწრაფად დავბრუნდებით. თქვენ ნურაფერზე იფიქრებთ, შეგიძლიათ, თვალები დახუჭოთ...

მშვიდად უსმენდა. ქუთუთოებს აღარ ძაბავდა, წყვდიადმა რეალობა მისი წარმოსახვისამარა დატოვა. მაშინ მიხვდა, რომ კარგად ახსოვდა ბიჭის ნაკვთები, ზუსტად შეეძლო მისი ჭკვიანი, თაფლისფერი თვალების, ოდნავ კეხიანი ცხვირის, მოკლე წვერით დაფარული უხეში ყბებისა და მაღალი შუბლის უსინათლოდ დანახვა.

ყმუილი უფრო ახლოდან გაისმა. ცხენი ადგილს ველარ პოულობდა. თითებზე ოდნავ ეხებოდა მიმტანის დიდი, მისი ხელის ფორმაზე გახევებული ხელთათმანები. იმ წუთას არაფრის ეშინოდა, უბრალოდ დათანხმებას არ ჩქარობდა.

— თუ შეგიძლიათ, მენდეთ... — განაგრძობდა თბილი, ხავერდოვანი ხმით.

— თქვენ სად ცხოვრობთ? — ჰკითხა სრულიად მოულოდნელად.

პაუზა ჩამოვარდა.

— აქ სად ვრჩები? — დააზუსტა ბიჭმა.

— საერთოდ სად ცხოვრობთ?

— ჩემი ცხოვრება ორადაა გაყოფილი — აქ და ქალაქში. ქალაქში ვმუშაობ, დეიდაჩემთან ვცხოვრობ. მამაჩემი და ჩემი დაც იქით არიან... ოღონდ ერთად არ ვართ... აქ ბებია მყავს. ბოლო ერთი წელია აქაც ვმუშაობ...

— წავიდეთ.

მიმტანს მარცხენა ტერფი ჩაუდო ხელში და ოდნავ ბიძგზე მსუბუქად შეჯდა ცხენზე. ბიჭმა პეგასი აუშვა და თვითონაც შემოახტა, ისე, რომ გოგო წინ მოიქცია. უნაგირში ღრმად ჩაეშვნენ. მხედრის ბრძანებაზე ცხენი ადგილიდან მოწყდა. გული წამით აუჩქარდა, მერე მის სწრაფ რწევასააყოლა ტანი, როგორც ბავშვობაში... გაახსენდა თავისუფლების სულისშემძვრელი განცდა, რომელიც მხოლოდ ნავარდისას შეიძლება შეიგრძნო. თვალები დახუჭა, ნელ-ნელა მოდუნდა. ყურებში ქარი უწუოდა, სახეს სუსხი უწვავდა. რიტმული თქარუნი თანაბარ ფაზებად ყოფდა სიამოვნებას. ზურგს ბიჭის სხეული უთბობდა. ვერც კი შენიშნა, როგორ მოექცა მიმტანის ხელი მის წელზე, მკერდქვეშ შემოეჭდო და უფრო მაგრად მიიკრა გულზე.

ფლოქვების ხმა თანდათან მიწყნარდა, ტემპი შეიცვალა. ნავარდი ჩორთში გადაიზარდა. ქარიც დამშვიდდა. თვალები გაახილა. ლამპიონებით განათებულ გზაზე ბუნდოვნად დაინახა თავლა. ზანზალაკიც იქვე იდგა და პატრონს ელოდა.

ცხენები დააბინავეს. თავლაში თბილოდა. ბიჭმა პეგასს უნაგირი მოხსნა და ზურგზე დარჩენილი ოფლის კვალი ჯაგრისით წაუშალა. ნელა აუყვა მის ძლიერ კუნთებს, გულმოდგინედ გაუპრიალა მოკლე ბეწვი.

თვალები მოისრისა და პატარა უზურგო სკამზე ჩამოჯდა. გამოსახულებას აღარ ჰქონდა ჩარჩო. სუსტად განათებული თავლა მთლიანად თაფლისფერი ეჩვენა. მკრთალი ხაზები და გადღაბნილი მოძრაობები თრობასავით უბინდავდა გონებას. თვალები დახუჭა. ჩარჩო თითქოს მის საქციელსაც მოეხსნა.

საერთო მშვიდი, მონოტონური ხმაური ნელ-ნელა დაიშალა ცალკეულ ელემენტებად: გამოარჩია ჯაგრისის ხახუნი პეგასის ზურგზე; ღამის პეპლების ფრიალი ანთებულ ნათურასთან; ცხენების ქშენა, კუდის ტყლაშუნი; მიმტანის რბილი, მსუბუქი ნაბიჯები; სავახშმოდ გამზადებული თივის ხრაშუნი, წყლის ჩხრიალი სათლებში; მიმტანის ნაბიჯები, ამჯერად დინჯი და მძიმე. ქურთუკის ელვის ზრიალი, სამოსის შრაშუნი; უცხო სუნთქვა, სხვისი გულისცემა. საკუთარი სუნთქვა და საკუთარი სწრაფი, ძლიერი გულისცემა...

თანმიმდევრობის გახსენება უჭირდა, ჯერ რომელი იარა დაუკოცნა თავლის სუნით გაჟღენთილმა ბიჭმა: მარჯვენა დაბლა დაქაჩული თვალი თუ დასერილი ლოყები, შუბლის უსწორმასწორო ხაზები თუ ტუჩის გაკერილი კუთხე, მუცლის დაზიანებული ნაწილი თუ მარცხენა დავიწროებული ფეხი... დრო ისე აირია, წუთები გახურებული რკინასავით შეადნა ერთმანეთს. სხეულზე არცერთი უჯრედი აღარ დარჩა მიუალერსებელი. მანამდე გამოტოვებული წამიც იმაზე მძაფრი აღმოჩნდა, ვიდრე იქამდე გამოეცადა.

თეკლა ჭიშკართან დახვდა შალის მოკლე კაბასა და ქურთუკში. სიბნელეში შორიდანვე შენიშნა. დაკარგულ ბავშვს გავდა.

— თეკო!... საიდან? სანდრომ გითხრა?.. რითი ჩამოხვედი? — მიირბინა და მეგობარს ჩაეხუტა.

— წამო, გავიაროთ... — თითქოს ოდნავ მოერიდა თეკლა.

— მოხდა რამე? — თვალებში ჩახედა შეშინებულმა.

— არაფერი, გავისეირნოთ.

ტბა მთლიანად გაყინულიყო. ფრინველები და ძაღლი არსად ჩანდნენ. გარშემო საერთოდ არავინ იყო. მხოლოდ ორი ყვავი ხტოდა გაქვავებულ წყალზე. ტყისკენ წავიდნენ. სუსხმა სახე აუწვათ. ნელა მიაბიჯებდნენ. ის იყო თეკლასთვის უნდა შეეჩივლა, სათვალე გამიტყდაო, რომ უცბად მეგობარმა თვითონ უთხრა:

— რად გინდა სათვალე?! უმაგისოდ უფრო მეტს ხედავ...

გაოგნებული მიაჩერდა. მერე მზერა უფოთლო ხეებსა და გამხმარ ნაძვებს მოავლო, მოშორებით თავლაც დაინახა. ყველაფერი იყო მკვეთრი, უჩვეულოდ მკაფიო.

თეკლა უცბად გაჩერდა, ეკალ-ბარდებმა დაიჭირა. კაბა ბუჩქს წამოედო და თვალი წავიდა. ძაფი ოდნავ განძრევაზეც განყვეტილი მძივივით ეცლებოდა ქსოვილს. გოგოები კაბის გამოხსნას ცდილობდნენ, სამოსი კი თვალსა და ხელსშუა იშლებოდა. გამხიარულდნენ. ძაფი უკვე გასართობად, განზრახ დაქაჩეს. თეკლას სწორი, ჩამოქნილი ფეხები გამოუჩნდა. სიცილით სულს ველარ ითქვამდნენ. ბოლოს სიგარეტით მოწვეს ძაფი და რღვევაც შეჩერდა.

— დავბრუნდეთ. — უთხრა თეკლას.

— ჰო, პირდაპირ გადავჭრათ. — უპასუხა მეგობარმა და ტბისკენ დაიძრა.

ყოყმანით გაყვა. ყინულის სქელ ფენაზე შედგნენ და რამდენიმე ნაბიჯის მერე თამამად გაუყვნენ ერთიან სითეთრეს.

— გახსოვს? — მხიარულად გახედა თეკლამ.

— რა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან ამოუდგა, ხელი პალტოზე ჩაჭიდა და დაიჩურჩულა:

— აი ეს! ნადი! მე მოგყვები... მილზე უნდა გადავიდეთ...

წარმოსახვით ზოლზე ფრთხილად დაიწყეს სიარული, ვითომ წონასწორობას ძლივს იცავდნენ. ისევ სიცილი აუტყდათ.

ამ დროს ქურთუკზე ძლიერი დაქაჩვა იგრძნო და მერე ისეთი აუტანელი სიმსუბუქე, რომელიც ჰაერში დარჩენას გავდა. მოიხედა. თეკლა აღარსად იყო. სრული სიცარიელე და სითეთრე დახვდა. საშველად მიმტანის დაძახება მოუნდა, მაგრამ სახელი ვერ გაიხსენა. უბრალოდ დაყვირება სცადა, მაგრამ ხმა არ ამოუვიდა. უცებ ტბაზე პატარა შავი ლაქა შენიშნა. ლაქა მის თვალწინ გაიზარდა. ეს იყო ჩამტვრეული ყინული, კუთხოვანი, ღრმა ორმო, ბნელი საშიში ორმო... შეძრწუნებულს გამოეღვიძა. კიდურები დაბუჟებული ჰქონდა, ვერ ინძრეოდა. პირჯვრის გადაწერა უნდოდა და ხელი არ ემორჩილებოდა.

გათენებულზე ისევ ჩათვლიმა. მალე ბრახუნმა გაალვიძა. გულამოვარდნილი წამოხტა და კარი გაალო. სანდრო თავდახრილი იდგა, სახეში არ უყურებდა.

— რა? თეკლა? — ჰკითხა გაბზარული ხმით.

სანდრომ შემკრთალმა შეხედა.

— მოგეხმარები ჩალაგებაში! — თქვა და გაოგნებული დააჩერდა უკვე გამზადებულ ჩანთებს. — ა, დაგირეკეს? — ჰკითხა და პასუხს აღარ დაელოდა, ისე წამოკრიფა ბარგი.

ტანზე სწრაფად გადაიცვა და ხელისცეცებით გაყვა კიბის სახელურს. უცებ მოწყვეტით ჩამოჯდა საფეხურზე და დაიყვირა — სანდრო!

ჩანთებაკიდებული ბიჭი გზიდან მობრუნდა. აქვითინებული ფრთხილად წამოაყენა და ქვემოთ ჩაიყვანა.

კოჭლმა ძაღლმა მანქანას შეუყეფა. გზაში სიტყვა არ დაუძრავთ.

— ბოლოს ხო უკეთ იყო... — თქვა ქალაქში შესვლისას და უცებ მიხვდა, რომ ავარიის მერე დრო მთლიანად გამორჩა. თვალი ველარაფერს გაადევნა, თითქოს მის გარშემო ყველაფერი შეწყდა, გაყინული მდინარესავით შეჩერდა.

თეკლას სამზარეულოში ისევ კრემისფერი ფარდები ეკიდა ზედ დაქარგული წითელი ჩაიდნებით. კუთხის გადაქექილი დივანი იმავე ადგილას იდგა. გაზის თავზე კედელი ოდნავ შეჭვარტლულიყო. მაცივარი მაგნიტიან ფიგურებს აეჭრელებინა. ყველაფერი ძველებურად დახვდა.

იმ დღეს შინ აღარ წასულა. თეკლას ოთახში, მის ლოგინზე მიწვა და დაიძინა. დილიდან ისევ ატყდა ფაცი-ფუცი. ყველა ოთახში ხალხი ირეოდა. ყრუ ქვითინი პერიოდულად არღვევდა საქმიან ფუსფუსს. ის დღეც იქ გაატარა. რამდენიმე საორგანიზაციო საკითხში თვითონაც ჩაერთო.

— წამო, სახლში წაგიყვან... ცოტა დაისვენე... — უთხრა საღამოს ზურამ და მაშინღა შენიშნა, რომ სპორტული, ტალახიანი შარვალი და გარემოსთვის სრულიად შეუფერებელი ფეხსაცმელი ეცვა.

შინ თათიას ნახატები დახვდა. ბავშვი როცა ოჯახს ხატავდა, საკუთარ თავსა და დეიდას მუდამ ერთნაირ ფერად-ფერად კაბებს აცმევდა. სახეზეც შეძლებისდაგვარად ერთმანეთს ამსგავსებდა. ნახატებში ფიგურირებდა ყველა, მამის გარდა. დედას ხელში ბუშტები ეჭირა, ბებიას დიდი სათვალე ეკეთა, ბაბუა ტელევიზორს უყურებდა. დაღლილმა გადაათვალიერა ფურცლები და უაზროდ დააცქერდა გოგონას, რომელსაც გრძელი, ლამაზი კაბა ეცვა და სახე არ ჰქონდა. თავის ნაცვლად დიდი პეპელა ეხატა.

— ეს შენ ხარ! ნახე რა ლამაზი პეპელა დაგაჯდა! — უთხრა მხიარულად ბაღიდან დაბრუნებულმა ბავშვმა.

ის დღეები საოცარი სისწრაფით გავიდა. თეკლას გასვენებაში ულონოდ იჯდა სკამზე და მიცვალებულს თვალს არ აშორებდა. ვერავის ამჩნევდა, არავის ესალმებოდა. მერე ყური მოკრა საუბარს: „ეს ის გოგოა, თეკლას მეჯვარე? დავიჯერო, მართლა ისაა?" „ჰო, ჭირისუფლებში ზის და..."

ვერაფრით წარმოედგინა, რომ იმ დღეს და იმ ადგილას ვინმეს თეკლას გარდა კიდევ რამეზე შეეძლო ფიქრი.

ცვილის ფიგურასავით გაშეშებულ მეგობარს კიდევ ერთხელ დააკვირდა და მოეჩვენა, რომ თეკლა მიცვალებულიც ლამაზი იყო. თითქოს თხელი, აწეული ცხვირი, ნუშისებრი თვალები, მოყვანილი ტუჩები და აზიდული წარბები ვილაცას ოსტატურად დაეხატა უსიცოცხლო, ფერდაკარგულ სახეზე. თეკლა მძინარე მზეთუნახავს გავდა.

— წამიკითხე! ხომ შემპირდი, რომ ჩამოვალ, წაგიკითხავო! — თათიამ ზღაპრების დიდი წიგნი მიათრია ლოგინთან.

— არა, თათია... ახლა ვერა.

— შენ ხო შემპირდი! — ტუჩები დაებრიცა გოგოს.

— მაპატიე, გთხოვ... ახლა არ შემიძლია... თვალები მტკივა, სათვალე გამიფუჭდა, ხო ხედავ?

— თოჯინა ვერ ჩამომიტანე? — რამდენიმე დღის წყენა გაამხილა ბავშვმა.

— სულ ცოტაც მოიცადე. იქ არ იყო. მალე გიყიდი, ზუსტად ისეთს გიყიდი, როგორიც შენ გინდა!

რამდენიმე დღეში ოპტიკასა და სათამაშოების მაღაზიაში წავიდა. შინ დაბრუნებულს დახვდა კონვერტი. შიგნით იდო პირადობის მოწმობა, რომელიც სასტუმროში დარჩენოდა და ერთწინადადებიანი წერილი:

„გახსოვს გედის კისერში ანკესი?... იგივე იყო ჩემთვის შენი ცარიელი ოთახი".

ხელები გაუშეშდა. ფურცელს დიდ ხანს უყურა. რამდენჯერმე გადაიკითხა. უცებ მოეჩვენა, რომ მიმტანს საერთოდ არ იცნობდა. წარმოდგენა მასზე წერილმა კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა. სრული სიახლოვისა და სიუცხოვის შეგრძნება ერთდროულად დაეუფლა. ფურცელი გადააბრუნა. არსად არაფერი იყო მინიშნებული. გული უცბად მოლოდინის, ინტერესისა და სიახლის განცდით აევსო.

საღამოს სახლის ტელეფონმა დარეკა. იპოდრომზე შეხვდნენ. ბიჭი ჯინსებში, პერანგსა და შავ პალტოში კიდევ უფრო მაღალი და სიმპათიური ჩანდა. ცხენებთან არ მისულან, უბრალოდ გაისეირნეს. ბიჭმა სიგარეტი ამოიღო.

— შენ ეწევი?

— ზოგჯერ — თქვა და მოუკიდა.

— გმადლობ! — ანთებული ღერი გამოსტაცა და გაუღიმა.

— შენც ეწევი?

— ზოგჯერ. — უპასუხა და ნაფაზი დაარტყა

იპოდრომს რამდენჯერმე შემოუარეს. მერე ტყისკენ გაუხვიეს.

— აქ მგლები არ არიან! — გაიცინა გოგომ.

— ჰო... აქ არც პეგასია... არც ტბა... არც გედი.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— იქნებ ჯობდეს, არ გკითხო... მაგრამ რატომ წახვედი ასე? ზოგჯერ მართლა არ მესმის... თუ არ გინდა, ნუ ამიხსნი... რადგან წახვედი, ესეიგი მიზეზიც გქონდა. უბრალოდ ძალიან არ მინდა, ეს მიზეზი ჩემთან იყოს დაკავშირებული.

— შენთან არ არის! ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი დასრულდა მაშინ... მაგრამ შენს თავში ნუ დაიწყებ მიზეზის ძებნას. შენ ძალიან კარგი ხარ...

ბიჭი გაჩერდა. გოგოს წყლიანი თვალებით მიაცქერდა. ერთ ხანს სიტყვა აღარ დაუძრავს. ხელები უთრთოდა. ხმა კი უნინდებურად მშვიდი და მტკიცე ჰქონდა.

— შენ უნდა იცოდე... რა მნიშვნელოვანი ხარ ჩემთვის!.. სახელიც კი არ გითქვამს... მეგონა, ველარასოდეს გიპოვიდი. გესმის?

— არც მე ვიცი შენი სახელი. სიზმარში მინდოდა შენი დაძახება და აღმოვაჩინე, რომ სახელი არ ვიცი... — გაუღიმა თბილად.

— სიზმარში? — სახეზე სიხარული გაუკრთა.

— ჰო... სიზმარში...

— ისე არ გინდოდა? ცხადში არ გინდა? მითხარი! — ისევ ძალიან სერიოზულად, დაჟინებით ჰკითხა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბიჭმა სახე მოისრისა. ისევ სიგარეტი ამოიღო.

— მთა არ იყო იმ დღეს შინდისფერი... მდინარე გაყინული დამხვდა... — სანთებელა აანთო. დაწყობილი, პროპორციული ნაკვთები ალისგან გაუნათა — პეგასს ენატრები. — განაგრძო პაუზის შემდეგ — მარბის ნალი დავაჭედეთ შენი წყალობით და მადლობას გითვლის. ზანზალაკი ბოდიშს გიხდის. გედიც სულ გკითხულობს. იხვები უშენოდ აღარ ჭამენ... მგლებიც გაჩუმდნენ, მგონი...

გოგოს გაეცინა. ხელი გამოსდო — მე უკვე მეგონა, საჩხუბრად ჩამოხვედი! — უთხრა მხიარულად და სიარული განაგრძეს. მთაზე ავიდნენ. იპოდრომს გადახედეს. ნათურები რკალად მიუყვებოდა გზას. ბიჭი ზურგიდან მოეხვია. ხელები მუცელზე შემოაჭდო. ის შეგრძნება გაახსენდა, რომელიც მხოლოდ ნავარდს მოაქვს და მოშვებული სხეულით მკლავებში ჩაელვარა. ბიჭმა თითები ქურთუკში შეუცურა. შეატრიალა და სახე დაუკოცნა.

მინაზე ჩამოსხდნენ.

— ეგრე არ გაცივდე! მოდი ჩემთან — წელზე მოკიდა ხელი და მუხლებზე ფრთხილად გადაისვა.

ვნებამ სიცივე დაავიწყათ. სიამოვნებას ბოლომდე აყვნენ. მერე ერთმანეთს გამხმარი ფოთლები და ტოტები ჩამოაცალეს, ტანსაცმლიდან მინა ჩამოუბერტყეს და ჩახუტებულები ხის ძირში მიყუჩდნენ.

— აქ დეიდასთან ხარ? — ჰკითხა და ჯიბიდან სიგარეტი ამოაცალა.

— ჰო.

— ვინ და ვინ ცხოვრობთ?

— დეიდა გაუთხოვარია. მარტოები. — სანთებელა თვითონ შეაშველა.

— დაც ხო გყავს? — ნაფაზი დაარტყა.

— ჰო... ნახევარდა.

სიგარეტით გამხმარ ფოთოლს შეეხო. შუაგულში პატარა ხვრელი გაჩნდა, რომელიც ალისფერმა კონტურმა ნელ-ნელა გააფართოვა. თამბაქოს არომატს დამწვარი ფოთლის სუნი შეერია.

— სად ცხოვრობს?

— ჩემი და? მამასთან.

— შენ რატომ არ ხარ იმათთან? — ფოთოლს შეეშვა და სახე მისკენ მიატრიალა.

— მე... მე დიდი ხანია კონტაქტი აღარ მაქვს...

— ერთმანეთს არ ელაპარაკებით? — ბავშვივით გაუკვირდა.

— ჰო. ასე მოხდა.

ისევ მოქაჩა და კვამლს სიტყვებიც ამოაყოლა — რა მოხდა ასე?

— მოხდა...

— რა? — გაჯიუტდა და თვალებში შეხედა.

— ახლა არ გვინდა ამაზე. ახლა ყველაზე კარგად ვარ. რად გინდა?..

— ჰო, მაგრამ ასეთი რა მოხდა? ან დასამალი რა გაქვს? მე ვერ მეუბნები? — მის მხარს მოშორდა და მუხლებზე წამოჯდა.

— შენ ყველაფერს გეტყვი... უბრალოდ სხვა დროს... ჩვენ ბევრი რამე უნდა გავიგოთ ერთმანეთზე. ყველაფერი წინაა... — ხელით გოგოს უკან დაბრუნება სცადა.

— ჰო, მაგრამ... მე ახლა მაინტერესებს. რა მოხდება, რომ მითხრა? შენზე უფროსია თუ უმცროსი? — გაუძალიანდა.

— უმცროსი — უპასუხა უგემურად.

— ანუ დედაშენის მერე მოიყვანა მამამ სხვა ცოლი?

— დედა გარდაიცვალა და მოიყვანა.

— ა... — დადუმდა. სიგარეტი პირთან აღარ მიუტანია, ცოტა ხანს უყურებდა, სიბნელეში როგორ ღვიოდა თუთუნი — როდის გარდაიცვალა? — განაგრძო ცოტა ხანში შემდეგ.

— პატარა ვიყავი.

— გახსოვს დედა? — სახეზე დააკვირდა.

— ძალიან ბუნდოვნად.

მინაზე მოკალათდა და ამბის აწყობას შეუდგა:

— და მერე მამამ სხვა ცოლი მოიყვანა. შენი და რამდენით პატარაა შენზე?

— სამი წლით.

— მერე რატომ არ გაქვს ურთიერთობა? რადგან სხვა ცოლისგანაა? — გამომცდელად შეხედა.

— არა, ეგ რა შუაშია? — თვალი აარიდა ბიჭმა.

— აბა?

სიჩუმე ჩამოვარდა. დაჟინებით უყურებდა.

— ბავშვობაში რაღაც მოხდა... — თქვა ბოლოს უხალისოდ.

კითხვა აღარ დაუსვამს. მოთმინებით დაელოდა.

— დედამისი მეზობელთან გავიდა... ბებიაც იქით იყო, თონეში... რად გინდა ახლა ამის მოსმენა? — ისევ მისკენ წაიღო ბიჭმა ხელები.

— და რა მოხდა? რამე ცუდი? — მუხლებზე წამოიწია, პირისპირ დაუჯდა და სახეში შეაჩერდა.

— ჰო... მე შვიდის ვიყავი. რაღაცას ვთამაშობდით. ბებია მურაბას ხარშავდა ეზოში. ცეცხლზე იდგა ქვაბით.

— მერე? — შეშინებული ჩააცქერდა.

— შემთხვევით ქვაბს დავეჯახე და შეესხა... მეც და-

მესხა, მაგრამ ფეხზე და ისიც აღარ მეტყობა... იმას — სახეზე... თან ის გოგოა...

— რაა?

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ნეტა პირიქით მომხდარიყო... ნეტა ის დღე არ ყოფილიყო საერთოდ. არასოდეს მომიყოლია ეს ამბავი. მას მერე ისინი ქალაქში გადმოვიდნენ. ისედაც ვაპირებდით ყველანი... მაგრამ მე ბებიასთან დავრჩი. ასე გადაწყდა...

გაჩუმდნენ. ორივე დაძაბული იჯდა.

— ძალიან ეტყობა? — ხმა აუკანკალდა გოგოს.

— ეტყობოდა. წლებია აღარ მინახავს. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ქუჩაშიც აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს. იქნებ ვერც ვიცნოთ... შეიძლება რამე გაიკეთა... ათასი რაღაც არსებობს... არ ვიცი.

ისევ დადუმდნენ. ძალიან მოუნდა, რაიმე დამამშვიდებელი ეთქვა. თავი ვალდებულადაც კი ჩათვალა. — შერიგდებით, დრო ყველაფერს შველის — ეს იყო ერთადერთი ბანალური ფრაზა, რომელიც თავში მოუვიდა და ხმამაღლა აღარ წარმოუთქვამს — არის რაღაცები, რასაც დრო ვერ კურნავს — არც მეორე აზრი გაუხმოვანებია. უხერხულობა იგრძნო. სხეულმა წამით ჩახუტებისკენ უბიძგა, მაგრამ რაღაცა ძალამ უკულმა მიდებული მაგნიტივით განიზიდა მისგან. სუნთქვა შეეკრა. ხელში შერჩენილი ჩამქრალი ნამწვი მოისროლა და წამოდგა. ბიჭი ინერციით აყვა. გაჩერებამდე მდუმარედ მივიდნენ. გოგო სწრაფად მიაბიჯებდა და ოდნავ უსწრებდა.

— შენ რა მოგწონს ჩემში? — მიუტრიალდა უცბად თვალებანთებული, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი აღმოაჩინა.

ცარიელ ქუჩას ლამპიონები ანათებდა. ტრანსპორტი აღარსად ჩანდა. შესახვევთან მთვრალი კაცი ირწეოდა. შორიდან ძაღლების ყეფა ისმოდა.

— მე რატომ მოგეწონე? როდის? რატომ მე? — მიაყარა სულმოუთქმელად.

— მე შენ... მაშინვე... — დაიბნა ბიჭი.

— როდის? სასადილოში?.. პირველად რომ მნახე? მითხარი, რა მოგეწონა? — სახე ახლოს მიუტანა.

— შენ! შენ... ნუთუ არ გესმის? — მკლავებში ხელები ღონივრად მოკიდა.

— ჩემი სახე... ჩემი სახე დამწვარს გავს?.. გთხოვ... — აღელვებისგან სიტყვა უწყდებოდა — აი სასტუმროში რომ მეკითხებოდნენ, შენც ასე გეგონა?

— ეგ რა შუაშია? შენ ისეთი არაფერი გჭირს... ეგ არაა მთავარი! — სიმტკიცე დაეკარგა ბიჭს.

— აბა რა? რა არის მთავარი? — ჰკითხა დაღლილმა.

— სახე ადრე ალბათ... სხვანაირი გქონდა... ახლა — სხვანაირი... — ფრთხილობდა ბიჭი — მაგრამ შენ შენ ხარ!

— და შენ რა იცი, მე ვინ ვარ? მითხარი, რა მოგეწონა? — უკვე მექანიკურად გაიმეორა.

სახე ჩაუქრა. მიმოიხედა. ბიჭი დაბნეული უყურებდა. სწორი პასუხის ძიებაში პაუზა გაუგრძელდა. აღარ დაელოდა, ხელები გააშვებინა, ქურთუკი ბოლომდე შეიკრა, ცივად გატრიალდა და სწრაფად, თითქმის სირბილით გადაჭრა ქუჩა.

მეორე მხარეს ტაქსი გამოჩნდა, გააჩერა. დაძრული მანქანიდან გახედა. მიმტანი მარტო იდგა. მთვრალი კაცი შესახვევში გაუჩინარებულიყო. გაღეღილი შავი პალტოდან პაემანისთვის შერჩეული ღია ფერის პერანგი მოუჩანდა. მანქანას თვალს არ აშორებდა. ტაქსი ორასიოდე მეტრში შუქნიშანზე გაჩერდა. ბიჭი უცებ მათკენ დაიძრა. ფანჯრიდან დაინახა, როგორ გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი, ფეხს აუჩქარა. სათვალე მოიხსნა და ხელები სახეზე აიფარა. მწვანე აინთო და მანქანა წავიდა.

იმ ღამეს ძილი არ გაკარებია. ერთმანეთს ენაცვლებოდა უცნაური სურათები: თათიას დახატული უსახო გოგო; თეკლას ლამაზი უსიცოცხლო ნაკვთები; მიმტანის დამწვარი უმცროსი და; შავი ორმო გაყინულ ტბაში; თივით სავსე თაფლისფერი თავლა; სანდროს ახალი სურათები ახალ ხალხთან; თავისი თავი ცხენზე მიმტანთან; ორი ძაღლი — ორივე კოჭლი... კოჭლი ძაღლები გონებიდან ველარ მოიშორა.

**„The Beauty"** — „იპოვეთ თქვენი თავი" — გარეგნობა ახალი აირჩია. პირვანდელი სახის აღდგენა იმთავითვე გამორიცხა. ცვლილების წყურვილმა უკან დაბრუნების სურვილი დაუკარგა. ფოტომოდელირებით შეადგინეს სახის ნაკვთები: პატარა, ოდნავ აწეული ცხვირი, აზიდული წარბები, ნუშისებრი თვალები, უნაოჭო შუბლი... სათვალის მოსახსნელად ლაზერული ოპერაცია დაინიშნა...

— რატომ გადაიქცა ურჩხული უფლისწულად? — ზღაპრის კითხვა გააწყვეტინა შუბლშეჭმუხნულმა თათიამ.

— თათუკა, ხომ იცი რატომაც?! ბოროტმა ჯადოქარმა ხო მოაჯადოვა?!.. ურჩხული ურჩხულად უნდა შეყვარებოდა მზეთუნახავს... მისი კეთილი გულის გამო — სათვალე მოიხსნა და ბავშვს საბანი გაუსწორა.

— მერე ხო შეუყვარდა? რატომ გადაიქცა უფლისწულად? — კოპები შეკრა თათიამ — ეხლა უფლისწულიც ეყვარება? აბა ურჩხული შეუყვარდაო?.. — აბუზღუნდა და ჩამოშლილი თმის წვალება დაიწყო.

— შენ თუ დაძინება არ გინდა, ეგ სხვა საქმეა! — გაუწყრა და შავი კულულები შუბლიდან გადაუწია.

— მითხარი, ურჩხული შეუყვარდა და ახლა უფლისწულიც ეყვარება?

ოთახის კარი დამ შეაღო.

— აბა რა ზღაპარია ამ სიგრძე? ხვალ ბაღში დაგაგვიანდება...

შუქი ჩააქრეს. საძინებლიდან გამოვიდნენ და ერთმანეთს შეხედეს.

— გინდა, ექიმთან გამოგყვე? — და კედელს მიეყრდნო.

— რა ვიცი... ჰო, გამომყევი.

— მართლა ყველაფრის შეცვლა გინდა? — დადარდიანებულმა შეხედა.

— კარგად მინდა ვიყო... — მხრები აიჩეჩა.

— ჰო... კარგად უნდა იყო... — ჩაფიქრებული და კედელს მოცილდა — ის მაგიდაზე რა წერილია?.. გჭირდებოდა? — დერეფანს სასტუმრო ოთახისკენ გაუყვა — ბავშვს სახატავი ფურცლები გაუთავდა და ზედ დაუხატია...

— რაა? — შეცბა უცებ.

— გჭირდებოდა? — შეჩერდა შეწუხებული.

— რა დახატა?

და წამით დაფიქრდა — რა და... მზეთუნახავი.

სევდიანად გაეღიმა. დერეფანში შუქი ჩააქრეს.

...ანესთეზიოლოგმა ხელით ანიშნა, ძილში ეშვებიო.



ემზარ კვიტაიშვილი

## ქება ვახტანგ მეფისა
*(ბალადა)*

ტერფებდასაკოცნია,
დიდი დაგვდო ვალი,
ვინც შობა, გაგვიზარდა
ვახტანგ გორგასალი.

მადლი უფალს, გადაწყდა
ბედი ჩვენი როდის!..
თაყვანი ვცეთ დედოფალს,
ასულს ბარზაბოდის.

ფრთამალს,
თვალებბრიალას,
ორბს მაგონებს, დედალს...
აკვნის თავზე, შევყურებ,
ანგელოზნი სხედან.

არაფერი დააკლო
ობოლს, შვიდი წლისას,
დაჭაბუკდა, გაფრენილს,
მიაგავდა ისარს.

ძველი მემატიანე
განა ტყვილად გვიქებს —
მოძღვარს უფლისწულისა,
ეპისკოპოსს, მიქელს —

ვინაც სიბრძნე, სიკეთე
დაანათლა ყმაწვილს;
აროდეს იკარგება
კურთხეულთა ღვაწლი.

ღმერთს უყვარდა,
ცხენს მჯდომი,
ვერვინ ვერ გადრიკა,
გოლიათებს, მომხვდურებს,
გააცალა სიქა.

რისი შიში, ეგონათ,
არ მოსავდა ხორცნი;
წინ ვინ დაუდგებოდა
ოროლს, მისგან ტყორცნილს.

მტერს ცელავდა, ვერარამ
შეუცვალა ნირი,
ბოლოს ბნელი ღალატით
მოკლეს გმირთაგმირი.

ლაჟვარდებში რამდენი
დადნა ღრუბლის ქულა...
უცემს გული, არ ითქმის
იგი დაცემულად.

ცოცხლობს, ვინც შეაქანა
კალთა იალბუზის;
ნებზე, მწყრის მადევარი,
მას მიმინო უზის.

ქრისტეს მხედარს, უბადლოს,
ნათელს აღვრის ღმერთი;
თბილისს იცავს, მეტეხთან,
შეულენელ მკერდით!

## ჩანთოსანი ქალბატონი
*(ვარიანტი)*

ტანმაღალ დედას, „მზიურთან", დილით
(ეს რომ დავხატო, სიტყვები არც მაქვს),
მკერდზე აკრული, მძინარე ჩვილი,
ვით სამომავლო, მოჰყავდა ჯვარცმა.

მოირწეოდა, უჩანდა მშობელს —
ნიკაპი. სახე მჭლე კენგურუსი...
ვთქვი ჩემთვის, ჩუმად: ნუთუ ვერ გრძნობენ,
წინ რანაირი ელით ბურუსი?!

## პირველი შვებულება
*(დეკემბრის მოსკოვი)*

თოვლქვეშ ფშვინავენ ჯერ იანი,
მინებზეც ზამთრის ნახაზია...
ზრიალებს, მაღალჭერიანი,
ელისეევის მაღაზია.

მალე ვიყიდით ხორაგს, სასმელს,
რიგში ვართ ახალმისულები,
როგორ შევხედავ ახლა სხვას მე,
შენს გარდა ვილას ვისურვებდი?!

თოვს, ნაადრევი ბინდი წვება,
ეშმას, რაც ირგვლივ ქალებია!..
ქუდი გახურავს გრძელბეწვება,
ბაბრს გავხარ, მწვანეთვალებიანს.

ჯანაბას — ევა, ადამიცა,
შლეგმა გავიგო ბედისა რა?!
ჩემი მგონია ცა და მიწა,
ოცდახუთის ვარ, მეტის — არა.

რკინისაც ვერ გაგიძლებს კვართი,
დროვ, შენ უნდა თქვა, მახე ვარო;
ასე მეხივით სად გავარდი,
საუკუნისა ნახევარო?!

## ამას ვესწრაფოდი
*(მხატვრობის ჟინი)*

დროა შევეშვა ოხვრას და ვიშვიშს,
ბორგვას, ხელების სავსავს;
ღამე, ყვითელი ლამპიონები —
წიფლის ჩარჩოში ჩავსვა.

დავკიდებ ფრთხილად, ვიტყვი: ეს არი,
რაც უნდა დამეწერა...
მივჯდები იქვე, არც მომინდება —
სხვა სურათების ცქერა.

## ავრელიუს ავგუსტინეს პორტრეტი
*(ლატერანული სასახლიდან)*

წიგნი უდევს, გადაშლილი,
ეპისკოპოსს, ჰიპონის;
მის მაგიერს, ქვეყანაზე,
ველარავინ იპოვნის.

რა ნათელი დასდგომია —
ფიცხს,
ფეხშიშველს,
ჟინიანს...
ცად ქალაქი რომ ააგო,
წმინდა ავგუსტინეა.

ცხელი სისხლის აფრიკელმა
იცის, რას რა მოებას,
ლექსის ძალა. გაერიდა
სოფლის ამაოებას.

მონა ღვთისა, ძველთა განძით
მოირთე,
მოიკაზმე...
დედა არ დაბადებულა,
ერთგული მონიკაზე.

ბრბო არ გისმენს,
რამდენიც გსურს —
აკაფე და აქენი...
ერთმანეთს ვინ შეახეთქა —
რომი და კართაგენი?!

როგორ მოგწვდე, ხარ რამდენი
საუკუნის სავალზე?!..
დავკოცნიდი, ბრძენო, მაგ შენ
სამოსელს და სავარძელს.

არ ვუნდივარ ცას, მიწაზეც
ვერ გამოვდექ სარებლად...
უფლის ხატთან დაჩოქილმა,
ვის ვუთხრა ალსარება?!

## გონების დამბანგავი სურნელება

ქარზე, შეყვითლებული,
ფოთლის გიყვარს კანკალი...
ბზარზე გადაიპობა,
გადიხსნება კაკალი.

დაზნექილა სასწორი,
სულ დაკარგულს დასტირი...
შავ-შავ, მოგრძო ცრემლებად
მწიფობს ალადასტური.

მალე აბრიალდება
ნაბლი, ოქროსტოტება;
რა ჯავშანი გაუძლებს
სექტემბრის შემოტევას.

გაწოვილი სიცოცხლე,
გულზე გაწევს ლოდივით,
წრიალებ, არ გათავდეს —
შემოდგომის მოტივი.

## ვენეციის დოჟის სარკოფაგი
*(ანდრეა დანდალო)*

მირჩილულმა, ლურსმნებით,
მითხარ, კუბოს სარჩულო,
მორჩილება, სახეზე,
როგორ შევინარჩუნო?

რალამ უნდა გაალღოს
ტანი, შენ რომ გაყინე?
კედლის ძირში დატანილს,
მსრისავს ქვის ბალდახინი.

ძვლებდამდნარი, თიხაში,
წყალში ავიზილები...
მახვევია ქვისავე —
შროშნები, ზიზილები...

შავ ბადეში მოვყევი,
ბედიც შავი მეწია;
რა კვეთებით, ვინ იცის,
ვაშენე ვენეცია.

რას განაგებს, განგებამ
ვისაც ხელი დარია?!
ნეტა თუ ვებრალები,
ქვაში ნათალ მარიამს?!

ადრე მომწვდა უდროოდ,
ხვედრი კაცთა, სასტიკი,
აღარც მახსოვს სრიალი
გონდოლის თუ ნავტიკის...
ვის ნესტოებს ატოკებს
ქარი ადრიატიკის.

## გარიგება სიკვდილთან

ცოტა გვიან დამიბარე,
ყელზე ძარღვი დამებერა,
იქ, წკვარამში წაყვანამდე,
მომეფერე რამეფერად.

სურათებს რა გამოგილევს,
უცხოს მომიყვები იგავს,
მოწყენილი რომ გაგართო,
მეც რაღაცას გამოვჩხრიკავ.

თამაშ-თამაშ, ვერც გავიგებთ,
ისე გავა ასი წელი...
იმ ქვეყანას ვიტყვი შენზე —
კაი მყავდა მასპინძელი.

## არ ვიყავი ღირსი

ღმერთო, თვალი მიჭირავს
მუდამ გარე-გარე...
სულისთანა სასწაული
როგორ მომაბარე?!

აცაბაცად ნაფიქრალი,
სანამ უნდა ვბლანდო?!
კოჭებშივე მეტყობოდა —
არ ვიყავი სანდო.

გეხსომება, რაც ამოვთქვი,
სამადლობლად შენდა,
მოწყალებას, ამისთანას,
მე ვინ შემარჩენდა?!

ფიჭვის წიწვებს რომ აწვალებს,
ქარის ვისმენ სისინს;
მგალობელი, უცნაური,
ხელზე ჩიტი მიზის.

გავქროლდები, არ მჭირდება
დარახტული ჰუნე...
სული, ცეცხლად მოგიზგიზე,
შენვე დაიბრუნე.

## სიცოცხლეს მოწყვეტილი

უფალი მიწყენს, ვერ ვივიწყებ —
კაი კაცს, სოსო მახარაშვილს;
სისხლში ჩაუჯდა, გახრა კიბომ,
არ ურევია აღარაში.

განიბნა, რაღა აღაშენებს
სიცოცხლეს — დაშლილს, დანაშვავებს;
უწყალოდ გვერჩის, ყველაფერში
ბედისწერაა დამნაშავე.

ნუგეშიც ველარ მოვასწარი,
სენმა მოგუდა ისე ჩქარა,
წამების ალზე გალანძული,
ძლეული, მიწამ მიიბარა.

დარბაზში ხელი ამიწია,
მას მერე აღარც მინახია...
სულ ახსენებდა, ასე მახსოვს —
მისი ქალაქი სიღნაღია.

## სადარბაზოს მოაჯირთან ვდგავარ

*(ნაცნობი შინაბერა დავლანდე)*

თვალდახელშუა გამქრალა
შენი ოცნების ვაჟი...
დაგყურებ, თმა გითეთრდება
კიბის ერთ ამოვლაში.

გაჩენა, სანაპიროზე,
ერთი ყოფილა ჩავლა;
ვიხილე, გზა ცხოვრებისა
როგორ იქცევა მტკავლად.

თუ იფოფრება უკუნი,
რას გარგებს სილამაზე!..
ცივს, ჩასაფრებულს მთის უკან,
ზამთარს სცოდნია ასე.

## ხორციელი ვერ გაუძლებდა

კლდეს დაშლიდა, პიტალოს,
ქვე დასცემდა მამაცს,
ამ ტვინსა და ამ გულში
გაიარა რამაც.

იქცეოდა ზღვა ორთქლად,
გადნებოდა რკინა...
სასწაულს გავს — ცოცხალი,
მე რამ დამარჩინა?

დედამიწას, დაბუგულს,
გააპობდა ბზარი...
კაციშვილს არ შეუნთო,
ღმერთო, ის ხანძარი.

## სხვა არავინ მჭირდება

ეს ვინატრე, მამაჩემო:
გავიხარებ მაშინ —
შენთან ერთად მოვდიოდე,
გადასახლებაში.

ასე თოვდეს, ფანჯრის მიღმა,
ახლა რომ თოვს, წვრილად,
მოზრიალე, დიდ სადგურში
გაგვითენდეს დილა.

აგვშორდება უთვალავი —
შხამი, გესლი, ცოფი...
არაფერი არ გვექნება,
ჩვენ ორს, გასაყოფი.

ღმერთი ხედავს, მეც შენსავით
ვზიდე რკინის ჯვარი...
არა მგონი, იუცხოვოს
ჩემი სათხოვარი...

## სათამაშო სახლი ვიტრინაში

ჯუჯების ვნახე სრა-სასახლე,
ვთქვი — ნეტა მეც აქ დამატია!
ავ თვალს არ უნდა შეახედო —
სამოთხე სწორედ ამათია!

როგორ ეტყობათ, გაიხარეს,
მოუძებნიათ კაი ხურო...
ნანატრი ბედნიერებისა,
კარი არ უნდა გაიხურო.

სიტყვა სიტყვაში უნდა ჩაჯდეს,
მათარას შეცვლის მათარავე...
ამ კიბეს ასე ვერ ავივლი,
უფალო, დამაპატარავე!

## გამოცდილება მარწმუნებს
*(ვიხსენებ რამდენიმე შემთხვევას)*

უცხოდ განაბულები,
არ გინახავთ, განა? —
ზოგ-ზოგნი, კუბოშიაც,
მოხდენილად წვანან.

ვარდის ფურცლებს, დაცვენილს,
ვისი ხელი მოკრებს?
ნეტა თუ ახსენდებათ —
ძველი სიბობოქრე?

თუ ეცვლებათ გუნება,
ცაში რომ ადიან...
ვილას დაანახვებენ —
ტუჩებს, პომადიანს.

## მიკროავტობუსის ფანჯრიდან
*(ვერის დაღმართი)*

მზემ თუ გააქრო ამინდი ქუში,
უცხო სანახავს იხილავ მაშინ —
ირეკლავს ზურგი დამრეცი შუშის
და მანქანები დაქრიან ცაში.

შიშველ ტოტებში სხვა სხივი ბრწყინავს,
სურათებს, ზღაპრულს, გავუგე გემო;
აცილებს თვალი მოვერცხლილ რკინას,
მიქანაობენ ჭადრების ზემოთ.

## უკვდავების დევნაში

არსებობა იმისი
უფრო ბგერითია;
არ ცნობს და არც მორჩილებს —
არცერთ მერიდიანს.

თუნდაც გავხმე, გავშავდე,
არ მიმიხმობს თითონ,
ბრიყვზე ბრიყვი ვიქნები,
მას რომ გავეკიდო.

რისი გრძედი, განედი,
რა შიში და ელდა...
თავს იტყუებს, ვინც ფიქრობს —
იგი მოიხელთა.

## ცოტაც მადროვე!

ყურსაც არ შევიბერტყავ,
თქვან — შეთეა, ბეციო,
ხედ ჩამთვალონ, ოღონდაც
შენ არ წამომენიო.

ვის არ მისწვდა ეგ ცელი,
თუმცა ბევრი ირიდეს;
ჯაგლაგზედაც რომ იჯდე,
ასწრებ მარდ მოჯირითეს.

ჯერ არ დამცე თავზარი,
უკვდავების ზიარო!..
ვითომ ვერც დამინახე,
ჯობს, გვერდით ჩამიარო.



პოლ სეზანი
ხილი

პოლ ელმერ მორი (1864 -1937) — ამერიკელი ჟურნალისტი, კრიტიკოსი, ესეისტი და ქრისტიანობის აპოლოგეტი. განათლება მიიღო ვაშინგტონისა (სენტ ლუისის შტატი) და ჰარვარდის უნივერსიტეტებში. ასწავლიდა სანსკრიტს ჰარვარდსა (1894-1895) და ბრაინ მოურში (1895-1997). მოკლე აკადემიური კარიერის შემდეგ ჟურნალისტად მუშაობდა „ინდიფენდეტსა", „ნიუ-იორკ ივნინგ პოსტსა" და „ნეიშენში". მისი მთავარი ნაწარმოებია „შელბურნის ესეები", რაზე მუშაობაც დაიწყო 1904 წელს; გამოსცა თერთმეტი ტომი, რასაც მოგვიანებით, 1928 წელს, კიდევ სამი ტომი დაემატა.

ჟურნალისტური კარიერის დასრულების შემდეგ გამოსცა რამდენიმე წიგნი: „პლატონიზმი"(1917), „პლატონის რელიგია"(1921); „ელინისტური ფილოსოფია"(1923) და ბრწყინვალე „ბერძნული ტრადიცია" ხუთ ტომად (1924-31), აგრეთვე ბიოგრაფიული „ფურცლები ოქსფორდული დღიურიდან" (1937). სიცოცხლის ბოლო წლებში რამდენიმე წიგნი დაწერა ქრისტიანულ აპოლოგეტიკაში: „ქრისტე ახალ აღთქმაში", „კათოლიკური რწმენა" და „სიტყვა ქრისტე". 1900 წლიდან მოყოლებული თანამშრომლობდა ირვინგ ბებიტთან „ახალი ჰუმანიზმის" პროექტზე. მეგობრობდა ტ. ს. ელიოტსა და კ. ს. ლუისთან.

პოლ ელმერ მორი

# არისტოკრატია

ერთ საღამოს, ნიუ იორკის მწერალთა და მეცნიერთა ერთ-ერთ კლუბში, ჩვეულებისამებრ საუბარი შეეხო დღევანდელ პოლიტიკას; და ყველა გაოცდა, როცა კლუბის წევრთაგან ერთმა, სოციოლოგიის გამორჩეულმა მცოდნემ და ცნობილმა თავისი რადიკალური შეხედულებებით, სავსებით დამაჯერებლად განაცხადა: „უმნიშვნელო საკითხზე საუბრობთო, — და თანამედროვეობის „უდიდეს საკითხად დაასახელა შეძლებდა თუ არა დემოკრატიული საზოგადოება ბუნებრივი არისტოკრატიის გამოზრდას. შემთხვევით ხელთ აღმომაჩნდა ლივერპულის უნივერსიტეტის პროფესორ ჯონ მაკქანის ჩინებული ახალი წიგნი, *ბერკის პოლიტიკური ფილოსოფია*, და, როცა კლუბიდან გამოვდიოდით, ერთ ჩემს კოლეგა მწერალს ვაჩვენე და შევუქე. „ეჰ", თქვა და წიგნი გადაუშლელად დამიბრუნა, „ბერკი მოკვდა, არა?" ჰო, ვიტყოდი, რომ ბერკი მკვდარია ჩვენთვის, გარდაიცვალა ისევე როგორც სხვა დიადი მოღვაწენი, და ლორდ მორლი (მაშინ უბრალოდ ჯონ მორლი, კარგი, პრაქტიკული სახელმწიფო მოღვაწე) ოცდახუთი წლის წინათ, ბიოგრაფისათვის ჩვეული მგზნებარებით ამთავრებს მშვენიერ წიგნს წინასწარმეტყველებით, რომ: „ისტორიულმა მეთოდმა მოირგო ზოგიერთი წამყვანი კონცეფცია ბუნებისმეტყველებისა და ადამიანს საზოგადოება იმ თვალით დაანახვა, რომლისთვისაც ბერკის მაქსიმები ზედგამოჭრილია; და ისე ჩანს, რომ ამ მაქსიმებს ადამიანი სულ უფრო ხშირად და სერიოზულად მიმართავს მომდევნო ოცი წლის მანძილზე, ვიდრე ბოლო ოცი წლის მანძილზე მიუმართავსო." ისტორიული მეთოდის უცნაურობაა, რომ სახელს უტეხს ისტორიის ავტორიტეტს და ლორდ მორლის წინასწარმეტყველებიდან ხუთი წლის მერე ლოიდ ჯორჯი და მრ. რუზველტი სულაც არ მიმართავდნენ ბერკის მაქსიმებს. და როცა ჩემი რადიკალი სოციოლოგი მეგობრის სიტყვები მედგა ყურში, უნებურად გამახსენდა, რომ ისინი თანამედროვე იდეებში ღრმად ჩახედული პროფესორ მაკქანის შეხედულებას ემთხვეოდა, რომელსაც ბერკის პოლიტიკური ფილოსოფია სწორედ ბუნებრივი არისტოკრატიის საკითხისაკენ მიჰყავდა. „რადგან ბერკი არასოდეს მდგარა უფრო მყარ ნიადაგზე", ამბობს იგი, „ვიდრე მაშინ, როცა ამტკიცებდა, სამოქალაქო საზოგადოებამ, სოციალური ზრდისა და შეხლა-შემოხლის პირობებში, უნდა წარმოშვას ბუნებრივი არისტოკრატია, „რომლისაოდ არცერთი ერი არ არსებობსო". და შემდეგ, როგორც ახალ ისტორიულ მეთოდს კარგად გაცნობილი, ცდილობს გვიჩვენოს, თუ როგორ გამოეპარა ბერკს საზოგადოების ნამდვილი პრობლემა, თითქოსდა ადამიანური ბუნება რეფორმ ბილთან ერთად გაჩენილიყოს.



ამ პრობლემის მნიშვნელობაში განმსჯელი კაცი ძნელად თუ დაეჭვდება. მნიშვნელობაში დაეჭვების ერთადერთი ფაქტი საკითხის თეთრწვერიანი ანტიკურობაა. პლატონი შეეჭიდა ამ საკითხს, როცა იდეალური რესპუბლიკის მოხაზვა მოინდომა და მრავალი გვერდი მისი ნაწერებისა მთავრობის ხუთ ფორმაზე — არისტოკრატია, ტიმოკრატია, ოლიგარქია, დემოკრატია და ტირანია — ისეთია, რომ გვეჩვენება თითქოს გუშინდელ გაზეთს ვკითხულობდეთ ლონდონსა თუ ნიუ იორკში. უმართაობის არეულ-დარეულობაში, რაც ათენს პელოპონესის ომში დამარცხებამ მოუტანა, პლატონმა იხილა, თუ როგორ ცდილობდნენ ოლიგარქები და ტიმოკრატები ცოფიანი ძაღლებივით ერთმანეთისათვის ყელის გამოღადვრას; იხილა დემოკრატიული პარტიის ტრიუმფი და, რაკი მისი სიმყიფის ამბავი იცოდა, შეთხზა ვრცელი დიალოგი „რესპუბლიკა", რათა თუკი საშუალება იქნებოდა ეჩვენებინა, თუ როგორ შეიძლებოდა სახელმწიფოს გადარჩენა აღძრული ტირანიისაგან. საზოგადოებრივი ნუხილის ფონზე პლატონი ერთგვარი უიმედობით წერდა, თითქოს წინასწარ ხედავდა ალექსანდრეს გაბატონებასა და რომის გულგრილ დესპოტიზმს; და ამ ნაღვლიანი სკეპტიციზმის ჟამს იგი უფრო სასოებით შეჰყურებდა არისტოკრატიის სამართლიან იდეას მომავალში, ვიდრე რეალურ სახელმწიფოს. და მაინც, რაც უნდა ფანტასტიკური ჩანდეს მისი მიმართება პიროვნული სამართლისა პოლიტიკის მექანიზმისადმი, მისი არგუმენტები სინამდვილეში არასოდეს დაშორებია სახელმწიფოს მარადიულ საკითხს.

ოლიგარქია, რომელსაც იგი იცნობდა და აღწერდა, ალბათ უფრო პლუტოკრატიად უნდა მოვიხსენიოთ. იგი გულისხმობდა სახელმწიფოს, სადაც „ნაცვლად ერთგულებისა და ღირსებისა [როგორც ტიმოკრატიისას], ადამიანებს უყვართ ფული და ბიზნესი, ადიდებენ და ეთაყვანებიან მდიდრებს, მათ გადასცემენ სადავეებს და სძულთ ღარიბები". „ასეთი სახელმწიფო", დასძენს იგი, „ერთი სახელმწიფო კი არ არის, არამედ ორი, ერთი ღარიბებისა და მეორე — მდიდრებისა; ისინი ერთად ცხოვრობენ და შეთქმულებას უწყობენ ერთიმეორეს". და როცა ამგვარ სახელმწიფოში სიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდრის მფლობელნი პრივილეგიებიდან ამპარტავნებასა და გაუფრთხილებლობაში ამოყოფენ თავს და მეორეს მხრივ უმრავლესობა დაკარგავს პატივისცემის გრძნობას და გაიგებს, ძალაუფლება რაოდენობაში ყოფილა, მაშინ პლუტოკრატიული სახელმწიფო გარდაიქმნება ჭეშმარიტ დემოკრატიად, უმრავლესობის უკონტროლო ძალაუფლებად. ეს ისეთივე ცვლილებაა, როგორიც მდიდარ ყმაწვილკაცს ემართება, ვინც დაივიწყებს აუცილებელ დისციპლინას და დაუსჯელობის სიბინძურეში ამოყოფს თავს, ყურს არ დაუგდებს არავის რჩევას; და თუ ვინმე ეტყვის, სიამოვნებანი ერთმანეთისაგან განსხვავდებაო, ზოგი კმაყოფილება მეტისმეტია და მდაბალ ვნებათაგან მოდის და სხვა კმაყოფილებანი კარგი და სასარგებლო ვნებათა შედეგიაო, იგი ამაყად აქნევს თავს და იფიცება, ყველა სიამოვნება ერთნაირიაო. ასე კარგავს ოლიგარქიული ჯგუფი ძალაუფლებასა და ხელისუფლებას; და დემოკრატიაც თავის მხრივ იგივე ბილიკს მიჰყვება, ზიზღით უყურებს ხელისუფლების შეზღუდვას და გამოცდილებით ხელმძღვანელობას და განურჩეველი სიამოვნების ცდუნებას ასდევს. „მამა ვაჟიშვილის დონეზე დაეშვება, შიშით უყურებს თავის შვილებს, ვაჟიშვილი მამის დონეზე ავა და არც სცხვენია და არც ეშინია თავისი მშობლებისა ... ასევე სკოლის დირექტორს ეშინია მოსწავლეებისა და მოსწავლეებს სძულთ მასწავლებლები და დამრიგებლები; და საერთოდ გათანასწორდებიან ახალგაზრდა და მოხუცი, ყმაწვილი მხცოვანს ედრება საუბრითა და მოქმედებით; მოხუცები შემწყნარებლურად უყურებენ ახალგაზრდების თავქარიანსა და მსუბუქ ქცევას, რადგანაც შიშობენ, პირქუშებად და დიქტატორებად არ გამოვჩნდეთო."

მერე წამოიჭრება პრობლემა, რომელიც დაუპირისპირდა სახელმწიფოს პლატონისა დ ბერკის დროს, და რომელიც არც დღევანდელი მოყურიადესათვის არის მთლად უადგილო: როგორ უნდა ვიხსნათ ხალხი საკუთარი თავისაგან? მართლაც როგორ? პლატონისათვის, ვინც წინასწარ ჭვრეტდა ალექსანდრესა და კეისრის მოსვლას, რეალური ისტორიული პასუხი იყო პირქუში სურათი ნებადართულობიდან ტირანიაზე გადასვლისა. მისი ანალიზი გარდაუვალი დაცემისა არასოდეს დაკარგავს ცოცხალ ინტერესს: როცა დემოკრატიას, რომელსაც სწყურია თავისუფლება, ბოროტი მერიქიფენი დაუსვამს სუფრის თავში, თუ მმართველები პასუხისმგებლობით არ იქცევიან და ნაყოფიერად არ შრომობენ, დაიბარებს, ანგარიშს მოსთხოვს და დასჯის, ეტყვის, თქვე წყეულო ოლიგარქებოო. ერთგულ მოქალაქეთ უპატიურად ექცევა, როგორც ბორგილგაყრილ მონებს; მას ჰყავს ქვეშევრდომნი, ვინც მმართველებს ჰგვანან, და მმართველები, ვინც ქვეშევრდომებს ჰგვანან: ასეთ ადამიანებს აფასებს და პატივს სცემს როგორც პირადად, ასევე საჯაროდ.

ანარქია სხვადასხვა ზომით მიიკვლევს გზას კერძო სახლებში და მთავრდება იმით, რომ შეაღწევს ცხოველებში და დაასნეულებს მათ. არც ორ სქესს შორის ურთიერთობისას უნდა დავივიწყოთ თავისუფლებისა და თანასწორობის საკითხი. ისიც უნდა დავამატო, რომ არავინ დაიჯერებს, ვინც არ იცის, თუ რამდენად უფრო თავისუფალნი არიან შინაური ცხოველები დემოკრატიის დროს, ვიდრე სხვა რომელსამე სახელმწიფოში; ჭეშმარიტად, როგორც ანდაზა ამბობს, ძუები ისეთივენი არიან, როგორც მათივე დიასახლისები, და ცხენები და ვირები ისეთი უფლებითა და ღირსებით დადიან, როგორც თავისუფალი ადამიანები; და აუცილებლად დაესხმიან თავს, ვინც შეხვდებათ და გზიდან არ ჩამოეცლებათ; და ყველაფერი მზად არის — გასკდეს თავისუფლებით.

ოლიგარქიის ნგრევა დემოკრატიის ნგრევაა; დემოკრატიას თავისუფლების მიერ გაზრდილი და გაძლიერებული იგივე სურვილი მართავს; სიმართლე ისაა, რომ რაიმეს გადაჭარბებული ზრდა ხშირად განაპირობებს მოწინააღმდეგე მიმართულების რეაქციას; და ეს შვებას ანიჭებს არამარტო წელიწადის დროებს, ბოსტნეულსა და ცხოველებს, არამედ ყველაზე მეტად მთავრობის სახეობებს. გადაჭარბებულ თავისუფლებას მთავრობასა თუ პიროვნებებში მხოლოდ გადაჭარბებული მონობისაკენ მივყავართ. და, ამრიგად, ტირანია ბუნებრივად ამოიზრდება ხოლმე დემოკრატიიდან, და ყველაზე მძიმე ფორმა კი ტირანიისა და მონობისა — თავისუფლების ყველაზე უკიდურესი ფორმიდან.

მერე იწყება იმპიჩმენტები, სასამართლოები და ურთიერთჩივილები. ხალხს ყოველთვის მოეძევება ფალავანი, ვისაც სათავეში დაიყენებენ და უძიძავებენ, რათა სიდიადეს მიაღწიოს. იგი სათავეში ჩაუდგება პარტიას, რომელიც მდიდრების წინააღმდეგ გაილაშქრებს. ცოტა ხნის მერე განდევნიან, მაგრამ დაბრუნდება — თავისი მტრების ჯიბრზე — უკვე ზრდასრულ ტირანად. მერე გაჩნდება ცნობილი საჭიროება მცველისა, რათა, როგორც იტყვიან ხოლმე — „გადავურჩინოთ ხალხს თავისი მეგობარი".

ერთ გამოსავალს ამ საბედისწერო დაღმასვლიდან პლატონი იმაში ხედავდა, რომ თვითდაოკების შინაგანი კანონითა და რაიმეგვარი ღვთაებრივი ჩარევის წყალობით, ხალხს ყური უნდა დაეგდო თავისი ბუნებრივი წინამძღოლებისათვის და ხელისუფლება გადასულიყო ანარქიიდან ჭეშმარიტ არისტოკრატიაში. ამ დროს საკითხი დაისმის არა ლიდერების საჭიროებაზე, არამედ იმაზე, თუ როგორი ლიდერია საჭირო. ათენის დემოკრატიას ჰყავდა ხმაურიანი ტომი დემაგოგებისა და მლიქვნელებისა, როგორც სხვა დროსაც მომხდარა უზნეობის აღზევებისას. და ამ ადამიანთა ხასიათი მუდამ ერთი და იგივეა: ისინი მართავენ ლიქნითა და წარმავალ ვნებათა მყვირალა მხარდაჭერით. არისტოკრატი ლიდერები, რომელთაც პლატონი გულისხმობდა და შთამომავლობის დასაბნევად კი ფილოსოფოსებს უწოდებდა, სრულიად განსხვავებულნი გახლდნენ, ისინი იყვნენ კაცები, ვინც თავის ავტორიტეტითა და გამოცდილებით წამოიმართებოდნენ ბრბოს იმპულსური ემოციების წინაშე. ისინი იყვნენ პოლიტიკოსები, ვინც გაბედავდნენ არად ჩაეგდოთ ხალხის წყენა, როგორც ბერკმა გაუბედა თავის მხარდამჭერთ ბრისტოლში: „მცდელობა — ასიამოვნო ყველას, ახასიათებს მდაბიურ, ხშირად ყალბსა და ფარისეველ ბუნებას... მე მართლაც უნდა ვითვალისწინებდე თქვენს აზრს, მაგრამ იმ აზრს, თქვენცა და მეც ხუთი წლის შემდეგაც რომ **უნდა** გვქონდეს". ისეთი ფილოსოფოსები უნდა იყვნენ, როგორიც გახლდათ ჯონ სტიუერტ მილი, ვისაც ამომრჩეველთა წინაშე ვესტმინსტერში გამოსვლისას ჰკითხეს, ოდესმე თუ გიწოდებიათ ინგლისელ მშრომელთათვის „ძირითადად მატყუარებიო", უბრალოდ უპასუხა, „დიახ". ასეთები უნდა ყოფილიყვნენ პლატონის სახელმწიფოს არისტოკრატები, უბრალო და რაციონალურ სურვილთა მქონე კაცები, საკუთარი სულის მბრძანებლები და სხვათა სულების მოძღვარნი. ისინი არ მართავდნენ კერძო კაპიკების გამორჩენისათვის. როგორც სოკრატე ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობდა, „არაფერს დაუშავებს მსახურს ჩვენი აზრი, რომ იგი უნდა იმართებოდეს, მაგრამ რადგან თვითეული ჩვენთაგანიც მონოდებულია, რომ ვიმართებოდეთ ღვთაებრივი სიბრძნით, და ეს სიბრძნე ჩვენში გვქონდეს თუ შესაძლებელია, და თუ შეუძლებელია, ჩვენს გარეთ მყოფი ხელისუფლებით, მაშინ რაკი ერთსა და იმავე წინამძღოლს მივყვებით, ჩვენ ყველა ჩვენივე კეთილი ნებით შესაძლოა ერთმანეთს დავემსგავსოთ".

არის რაღაც უცხო და ახლობელი ამ პოლიტიკურ დისკუსიაში, ახლა უფრო, ვიდრე ორიათასი წლის წინათ. ამას მიუძღვნა პლატონმა მთელი თავისი სიბრძნე, ხანდახან სოფისტობაზეც არ ამბობდა უარს, ცდილობდა ეჩვენებინა, თუ რა სახის განათლება და დარწმუნებისა და ილუზიის ხელოვნება იყო საჭირო ბუნებრივ არისტოკრატთა წამოსაწევად და შესანარჩუნებლად. თითქმის იმავე პრობლემას დაუპირისპირდა ბერკიც საფრანგეთის რევოლუციის დროს, როცა იმ ამბებით შთაგონებულმა შეუდარებელ მჭევრმეტყველებას მიაღწია თავის ადრეულ ნაწერებში, ბოლოს კი სასტიკ იმედგაცრუებაში ჩავარდა. ბერკი ამ საკითხს ისეთი ნათელი ინტუიციით არ მიახლებია, როგორც ბერძენი, და გარკვეული აზრით, მისი ფიქრები, მიუხედავად თანამედროვე სამოსისა, უფრო შორს არის ჩვენგან, ვიდრე პლატონის *სახელმწიფო*, რადგან ნაკლებად ეხებოდა ადამიანური ბუნების უნივერსალურ ასპექტებს. და რამდენადაც მისი პრაქტიკული გონება თავისი დროისათვის ჩვეული პირობებით იყო შეფერილი, დაკარგა სხვა ეპოქასთან პირდაპირი კავშირი. მაგრამ ის არ მომკვდარა, განსხვავებით ჩემი ლიტერატორი მეგობრისაგან; სიბრძნეს უფრო ხანგრძლივი სიცოცხლე აქვს, ვიდრე კაცობრიობის თაობებს, და ძნელად თუ მოიძებნება ჩვენს დროში სხვა წიგნი, ასე აღვსილი პოლიტიკური სიბრძნით, ვიდრე ბერკის *ფიქრებია*.

და უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ბერკსა და არც პლატონს არასოდეს მოფიქრებიათ, რომ ყველაზე უკანონო ანარქიის დროსაც კი საზოგადოებას შეუძლია იარსებოს უწინამძღოლოდ. მან იცოდა, რომ „ძალაუფლება, როგორიც არ უნდა იყოს, გადაიტანს იმ თავზარდაცემას, რომლის დროსაც ილუპება წეს-ჩვეულებანი და შეხედულებები." ისიც იცოდა და აცხადებდა კიდეც, რომ ვინც სათავეში ჩაუდგება არმიას, დაძლევს სხვა ზეგავლენებსაც; მაგრამ, ამავე დროს, ხედავდა, რომ საფრანგეთის სახელმწიფო მოექცა დემაგოგთა ხელში, ვინც ხალხს ამზადებდნენ სისხლიანი და სასტიკი კარნავალისათვის, და მთელი მისი მჭევრმეტყველება წარიმართა და განსაკუთრებული შედეგიც გამოიღო, რათა თავისი ქვეყნისათვის აეცილებინა რევოლუციის ჭირი. ფილოსოფოსებმა, ვინც მოამზადეს მარატისა და რობესპიერის პირიდან წარმოსათქმელი პოპულისტური მლიქვნელობა, გააძლიერეს მასში ბუნებრივი ბრიტანული უნდობლობა სახელმწიფოსა და ცხოვრების გაძღოლის ყოველნაირ აბსტრაქტულ განაზრებათა მიმართ; იგი ულრმესი ზიზღით იყო განწყობილი მათდამი, ვინც „წარმოადგენდა მეტაფიზიკურ წინადადებებს უნივერსალური შედეგების მისაღწევად" და ამით „დესპოტიზმის ძალით შეზღუდავდნენ ლოგიკას". და რამდენადაც დაცული იყო სიყალბისაგან ჭეშმარიტი ფილოსოფიისა და საკუთარი გამოცდილების მეოხებით და რაკი საყოველთაო პრინციპებში მწვდომი გონებაც ჰქონდა, იგი მიუბრუნდა „ბუნების მიერ მოძღვნილ კეთილსაიმედო შედეგებს, რაც განაზრებების გარეშე არსებულ სიბრძნეში გამოიხატება და განაზრებათა მაღლა დგას." როგორც „ბუნების შეგირდი", იგი საზოგადოების ჭეშმარიტ წარმართვაში იხედებოდა და მისი შემოქმედების ყველაზე დასამახსოვრებელი ადგილი ის არის, სადაც აღწერს მათ, ვინც — თვითონაც ზღვარდადებულნი — „სინათლისა და წინამძღოლობის უნარით" აღვსილნი იქნებოდნენ სხვებისათვის.

ჭეშმარიტი ბუნებრივი არისტოკრატია არ არის კერძო ინტერესი სახელმწიფოში და არც განცალკევებულია მისგან. ის არსებითი, ინტეგრალური ნაწილია რომელიც გნებავთ სწორად ჩამოყალიბებული ორგანიზმისა. ამოიზრდება ლეგიტიმურ ვარაუდთა კლასიდან, რასაც თუ განზოგადებად დავიგულებთ, რეალურ სიმართლედ უნდა მივიჩნიოთ. აღიზარდოს პატივისცემის გარმოცვაში; პატარობაში არ ხედავდეს მდაბალსა და ბინძურს; ისწავლოს საკუთარი თავის პატივისცემა; მიეჩვიოს საზოგადოებრივი აზრის ცენზორულ ზედამხედველობას; ადრეული ასაკიდან გაუწიოს ანგარიში საზოგადოებრივ აზრს; იდგეს ამაღლებულ ადგილზე, რათა შეეძლოს დაინახოს ფართოდ გადაშლილი და უსაზღვროდ მრავალფეროვანი კომბინაციები ადამიანთა და ინტერესთა ვრცელ საზოგადოებაში; ჰქონდეს თავისუფალი დრო კითხვის, განსჯისა და მუსაიფისათვის; შეეძლოს დაიმსახუროს პატივისცემა და ყურადღება ბრძენკაცებისა, სადაც უნდა შეხვდეს მათ; ჰქონდეს სამხედრო წვრთნა, რათა უბრძანოს და დაემორჩილოს; შეითვისოს საფრთხის არადჩაგდება, როცა საქმე ღირსებასა და მოვალეობას ეხება; იყოს ძალზე ფხიზელი, გამჭრიახი და ფრთხილი იმ გარემოებაში, როცა არცერთი დანაშაული არ რჩება დაუსჯელი, და მცირე შეცდომასაც კი დამანგრეველ შედეგებამდე მივყავართ; შეთვისებული ჰქონდეს ფრთხილი და ზომიერი ქცევა, შეგნება, რომ იგი მიჩნეულია თანამოქალაქეთა დამრიგებლად უმძიმესი გასაჭირის ჟამს და უნდა იმოქმედოს როგორც შუამავალმა ღმერთსა და ადამიანებს შორის; საქმიანობდეს როგორც წარმმართველი კანონსა და სამართალში და ამდენად იყოს პირველ კეთილისმყოფელთა შორის კაცობრიობისა; იყოს პროფესორი მეცნიერებასა თუ ლიბერალურსა თუ შემოქმედებით ხელოვნებაში; იყოს მდიდარ ვაჭართა შორის, რომელთა წარმატებას თან უნდა სდევდეს მძაფრი და ენერგიული თანაგრძნობა და ფლობდნენ სიქველეს სიბეჯითისა, წესრიგისა, მდგრადობისა და ნერგავდნენ ადათობრივ პატივისცემას სამართლისადმი; ეს არის კაცის თვისებანი, რაც, ჩემი აზრით, აყალიბებს ბუნებრივ არისტოკრატიას, ურომლისოდაც არ არსებობს არც ერთი ერი.

ჩვენი თაობის ბრძენთა შორისაც კი მრავალნი არ დააყოვნებენ მოწონებით გამოეხმაურონ ბუნებრივი არისტოკრატიის ამ ნათელ სურათს, მაგრამ სულ სხვაა, როცა მივადგებით იმ პირობებს, რითაც ბერკი ამტკიცებდა ამგვარი კლასის არსებობასა და უპირატესობას. მიუხედავად „განმანათლებლობის" ერთგვარი ნაზავისა, რასაც იმ ეპოქაში ცოტა ვინმე თუ გაჰქცევია, ბერკი ღრმა უნდობლობით ეკიდებოდა ადამიანთა თავნება, თავკერძა ბუნებას, და მის შესაკავებლად, აქეზებდა პასიურობას, რაც დაპირისპირებულია ადამიანის ბუნებაში რეალურად არსებულ აქტიურ ძალებთან. ამ პასიურ ინსტინქტს იგი „წინასწარრწმენას" უწოდებდა — გაუაზრებელსა და ეჭვშეუტანელ მიდრეკილებას ოჯახისა და „იმ მცირე დაჯგუფებისადმი, რითაც საზოგადოებას მივეკუთვნებით", რის საშუალებითაც ჩვენი მიდრე-

კილებანი ყოველთვის ემთხვევა გააზრებული მოვალეობის გრძნობებს და თანდათანობით გადაიზრდება განსაკუთრებულ ინსტიტუტებში ჩვენი ქვეყნისა; „წინასწარრწმენას ადამიანის სიქველენი გადაჰყავს ჩვეულებებში... და სწორედ წინანარრწმენების გავლით გადაიქცევა მისი მოვალეობა მისი ბუნების ნაწილად". ამრიგად, წინასწარრწმენა შემაკავშირებელი ძალაა, რაც ქვემოდან ზევით ისწრაფვის; შესაბამისი ძალა, რაც ზემოდან მოდის, „ადათებრივი ძალაა" — ანუ ფლობა ჩვეულებათა მიერ განმტკიცებულ უფლებათა და ძალაუფლებათა. სხვა სიტყვებით, ბერკს სწამდა, რომ ერთადერთი პრაქტიკული გზა ბუნებრივი არისტოკრატიის უზრუნველსაყოფად, იყო ადათებრივი ოლიგარქიის ალიარება; და მოგვიანებით, როცა ყველაფერი დაითვლება და დალაგდება — და ამას სიბრძნედ ვერ ჩამოვართმევთ, რომ ბრმა თაყვანისმცემელი იყო ვიგების ოჯახებისა, ვინც მაშინ მართავდნენ ინგლისს — სჯეროდა, რომ განათლებული და მოწინავე ადამიანები უკვე დაიძებნებოდნენ ანუ მათი უპირატესობის გათვალისწინებით ისინი გაიაზრებოდნენ კლასად, ვისაც შეხედულებანი მემკვიდრეობით გადმოსცემოდათ პრივილეგიებისა და ღირსების შედეგად.

ასე იმიტომ სწამდა, რომ, ფიქრობდა, წინასწარრწმენა და ადათი ჰარმონიულნი არიან უნივერსალური ბუნების მეთოდებთანო. უეცარი ცვლილებები სძულდა და ისტორიის ყოველ თავში კითხულობდა, რომ მხოლოდ სალი სოციალური განვითარება განაპირობებდა ნელსა და თანამიმდევრულ ზრდას ნიადაგში ღრმად ჩაფესვილი მცენარისა, უძველესი მიწისქვეშა წყაროები რომ ასაზრდოებდა. ამ გეგმით, წინასწარრწმენა დროის ძალთა მოკავშირე გახლდათ, ნაოცნებარ იმედებს ხელშესახები რეალობისადმი მოვალეობის შეგრძნებით რომ ალუდგებოდა წინ და აიძულებდა წამოჩიტულ თეორიას ხანგრძლივ კამათში დაემტკიცებინა თავისი სიმართლე. და დროის ძალას გვერდში ამოდგომოდა მონათესავე, პრივილეგიებში პერსონიფიცირებული ძალა წესრიგისა და დაქვემდებარებისა. „განწყობა შენახვისა და ძალლონე გაუმჯობესებისა. ორივ ერთად" იქნებოდა ბერკისეული სტანდარტი სახელმწიფო მოღვაწისა; „სხვა ყოველივე ვულგარულია კონცეფციისას და სახიფათო — განხორციელებისას." განსაკუთრებით ამაღლებულ პასაჟებში იგი ერთმანეთს უხამებს იდეებს ჰობსის სოციალური კონტრაქტისა და განწმენდის ჰუკერისეული ღვთაებრივი უნივერსალური კანონისა და ჰარმონიულად ახამებს ახალი კონცეფციით ევოლუციური ზრდისა. „თვითეული კერძო სახელმწიფოს თვითეული კონტრაქტი", ამბობს იგი, „მხოლოდ ერთი ნაწილაკია მარადიული საზოგადოების დიადი პირველქმნილი კონტრაქტისა, რაც აკავშირებს დაბალს მაღალ ბუნებასთან, აკავშირებს ხილულ და უხილავ მსოფლიოებს, იმ მყარი ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც ურღვევი ფიცითაა განმტკიცებული, და რომელიც თვითეულ ფიზიკურსა და ზნეობრივ ბუნებას თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენს." და ამიტომაც „ჩვენი პოლიტიკური სისტემა განლაგებულია მსოფლიო წესრიგის სიმეტრიის შესაბამისად, და არსებობის იმ წესის მიხედვით, რომელიც ებოძება გარდამავალ ნაწილთაგან შემდგარ მარადიულ სხეულს; სადაც, უდიადესი სიბრძნის შემწეობით, ყალიბში, ერთ მთლიანობად იწურება უდიადესი საიდუმლო ადამიანური რასის გაერთიანებისა, რაც არასოდესაა ბებერი, ახალგაზრდა ან შუა ხნისა, არამედ უცვლელი წესით მიემართება და მარადიული კვდომით, დაცემით, განახლებით აგრძელებს გზას. ამრიგად, სახელმწიფოს მართვაში ბუნების წესის შენარჩუნებით, თუ გავუმჯობესდებით, სრულიად ახალი არა ვართ, და თუ დავქვეითდებით, არასოდეს ვართ სრულიად ბებერი.

თუ ღრმად ჩავხედავთ წინასწარრწმენის, პრივილეგიათა, დროისა და მორჩილების იდეებს, რათა ვიხილოთ მათი მაცოცხლებელი პრინციპი, ვფიქრობ, წარმოსახვის ნიჭის სიჭარბეში მივაგნებთ. ეს წარმოსახვითი საფუძველი არც ბერკის თხზულებებსა და სიტყვებს აკლია, და პირველი ესეიდან, „უნაკლო და მშვენიერი", მოყოლებული უკანასკნელ ამოფრქვევამდე საფრანგეთის რევოლუციის გამო, ყოველთვის ვერ უსხლტებოდა მტრების განქიქებას. ტომ პეინმა კარგად ისარგებლა ამ თვისებით „ადამიანის უფლებებში", რაც „ფიქრების" პასუხად დაწერა. „რაინდობის ეპოქა გარდაიცვალა", ალმოხდა ბერკს, მარია ანტუანეტას შესახებ თავისი ცნობილი ტირადის ბოლოს. „ყველაფერი შეიცვალა, ყველა ტკბილი ილუზია, რაც არბილებდა ძალაუფლებას და ალიბერალურებდა მორჩილებას, ჰარმონიულად უხამებდა ცხოვრების სხვადასხვა ბნელ მხარეებს და შემპარავი ასიმილაციით შემოჰქონდა პოლიტიკაში გრძნობები, რაც ამშვენებდა და ანაზებდა პირად ცხოვრებას, უნდა განქარდეს ამ ახალი იმპერიით სინათლისა და გონებისა. ცხოვრების ყოველი რიგიანი სამოსი ჩამოიხევა. ყოველი ამაღლებული იდეა, მოწოდებული ზნეობრივი წარმოსახვის სკივრიდან..." ამის გამო პეინმა საშინელი დარტყმა მიაყენა. დასცინა მის გლოვას საფრანგეთის დედოფლის გამო, როგორც მდარე სენტიმენტალურ რაფსოდიას, და მზაკვრული ქირქილი დაიწყო ბერკის სიტყვებზე: „მის წიგნში ვერ ვიპოვე თუნდაც ერთი თანამგრძნობი გამოხედვა და სიბრალულის შემცველი ფიქრი მათ მიმართ, ვინც უკიდურეს სიდუხჭირეს განიცდის, უიმედოდ და უნუგეშოდ გამოკეტილა ციხეებში. მტკივნეულია უყურო, თუ თუ როგორ ფლანგავს კაცი ნიჭიერებას. ბუნება უფრო გულმოწყალე გამოდგა მრ. ბერკის მიმართ, ვიდრე საფრანგეთის დედოფლისა. მის გულს სინამდვილეში ტკივილი არ მისდგომია მსგავსი წარმოსახვითი თავზარდაცემისა. იგი დარდობს ბუმბულის გამო და ავიწყდება მომაკვდავი ჩიტი".

დიახ, შესამჩნევია სიმართლის ელემენტი პეინის შემოტევაში, მაგრამ ფაქტების დამახინჯებაცაა. იმის თქმა, რომ ბერკს არ ადარდებდა ჩაგრულთა და დუხჭირთა ბედი, უსინდისო ცილისწამებაა, რასაც ადამტვერებს „ფიქრების" მრავალი ადგილი და მთელი მისი მოღვაწეობა. „თუ უკიდურესობამდე მივალთ", განაცხადა ერთხელ ბერკმა პარლამენტში ისე, რომ არ შეშინებია წინააღმდეგობაში ჩავარდნისა, „და სისხლის მღვრელი დაპირისპირება მოხდება, ღმერთმა დაგვიფაროს! ღმერთმა დაგვიფაროს! ჩემი ადგილი განსაზღვრულია; მე ვარჩევ დავდგე მდაბალთა, სუსტთა და ღარიბთა მხარეს". მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც უნდა განვმარტოთ, აშკარაა, რომ ჩვეულებრივ ვითარებაში ბერკის იდეები ხელისუფლების შესახებ ჩამოყალიბებული იყო და მისი გრძნობები ცხოვრებისადმი მისი წარმოსახვის მკვეთრი ფერებით შეფერილი; და რომ, მისი აზრით, მსოფლიო, დიდწილად სწორედ ამ ძალით იმართებოდა. ვეჭვობ, შეიძლებოდეს უფრო დიდი განსხვავების აღმოჩენა იმგვარ გონებათა ანალიზისას, რომელთაც, ერთი მხრივ, ბერკი მიეკუთვნებოდა და, მეორე მხრივ, პეინი, ვიდრე წარმოსახვის ამ რიგითა და ქსოვილით მოჩანს.

ამ მხრივ ბერკს თავისი ხალხის ინსტინქტები ალავსებს და გარკვეულად აჭარბებს კიდეც მას; რადგან რასაც ბრიტანულ ხასიათად მივიჩნევთ, მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული სწორედ წარმოსახვის სიჭარბეზე — მოსაწყენ მგრძნობიარობასა და ზანტ ინტელექტთან შედარებით. თუ ჩავუკვირდებით, ეს არის ის, რაზეც ბეიგჰოთი მიანიშნებდა, როგორც ინგლისის მხსნელ სიჩლუნგეზე, და ის, რასაც უოლპოლი გულისხმობდა, როცა ამბობდა: „კარგი განცდაა [ყურადღება მიაქციეთ კონტრასტს განცდასა და მგრძნობიარობას შორის] ინგლისელთა, რათა უკეთესად არ ხატავდნენ." იგივე თვისება შთააგონებდა ბერკს, როცა დიად შედარებას ახდენდა ფრანგული თავქარიანობისა და ბრიტანული ალუშფოთველობისა: „რადგან, როცა ნახევარი დუჟინი ჭრიჭინა გვიმრის ქვემოდან მინდორს გადააყრუებს მომაბეზრებელი ჭრიჭინით, ამ დროს ათასობით მსხვილფეხა საქონელი, შეფარებული ბრიტანული მუხების ჩრდილქვეშ, მდუმარედ იცოხნება, გთხოვთ ნუ წარმოიდგენთ, რომ, ვინც ხმაურობს, მხოლოდ ისინი იმყოფებიან მინდორზე". ამაღლებულ შემოქმედებაში, როცა მგრძნობიარობა და ინტელექტიც იზრდება, წარმოსახვა უსათუოდაა წყარო უდიდესი ინგლისური პოეზიისა და მჭევრმეტყველებისა, მაგრამ უფრო ქვემო შრეში, რაზეც ახლა ვმსჯელობთ, ის უფრო დუნეა, თუმცა ძლიერი და მიმზიდველი, განსახიერება იმისა, რაც ნაცნობია და შინაურული: ის არის სანყისი იმ წინასწარრწმენისა რეალური ვითარებისა და ურთიერთობათათვის, რასაც ბერკი შინაარსის მშობლად მიიჩნევდა. და შინაარსის შემწეობით ის წარმოშობს ერთგვარ ეგოისტურ კმაყოფილებას სიმდიდრითა და პრივილეგიებით, რაც ყველას თვალწინ ხდება, და რაც უბრალო ხალხს შეაძლებინებს მონაწილენი გახდნენ იმისა, რაშიც მატერიალური წილი არ უდევთ.

უფრო მდაბალ ბუნებაში ამის გამო აღიძვრება განცდა, რასაც ვგმობთ, როგორც სნობიზმს; უფრო ამაღლებულში კი დიდსულოვნებას ინვევს. „გულის გამაკეთილშობილებელ პრინციპს ვერ შეიგრძნობს ის, ვისაც სურს გაათანასწოროს ყველა ხელოვნური ინსტიტუტი, რომლებიც დაარსებულია აზრის განხორციელებისა და დევნილ შეფასებათათვის მუდმივობის მისანიჭებლად. ესაა გესლიანი, ბოროტი, შურიანი განწყობა, რომელიც ვერ აღიქვამს რეალობის ან სიქველის რაიმეგვარ გამოხატულებას და სიხარულით შეჰყურებს იმის დაცემას, რაც დიდხანს ბრწყინვალებითა და სიამაყით იფურჩქნებოდა." ამრიგადაც, წარმოსახვა თანამონაწილეა დროისა, ისევე როგორც კანონმორჩილებისა; მართლაც, მისი ულრმესი და და უკეთილშობილესი დანიშნულება გულისხმობს მის ძალას, ატაროს ის, რაც ოდესღაც აღქმული და შეცნობილი იყო აწმყოს ცოცხალ ნანილად და ფაქტორად, და არ არსებობს უფრო დამაჯერებელი გამოცდა კაცის გონებისა, ვიდრე მდგომარეობა, როცა იგი განიცდის შორეულ წარსულს, როგორც ცოცხალ და უშუალო კანონებს თვისი არსებობისა. ამგვარად, წარმოსახვა უმთავრესი შემოქმედი და შემწეა საზოგადოების დიადი სამახსოვრო ინსტიტუტებისა, როგორებიცაა გვირგვინი, ეკლესია და სახელმწიფოს სხვა ბრწყინვალე დაწესებულებანი, რაც ხორცშესხმული ადათებია, და ასე იძენს ტრადიციის სული ფორმასა და საშიშ ავტორიტეტს ცოცხალთა შორის. არავის სჭირდება ახსნა, თუ რაოდენ ღრმად გრძნობდა ბერკი ადათებრივ უფლებას წარმოსახვისა; არც ნაცნობ პასაჟთა დამოწმებაა საჭირო იმის საჩვენებლად, თუ როგორ უყვარდა ბრიტანული მონარქია და მის ციხე-ბურჯად მდგარი კეთილშობილნი, „ამაყად რომ იცავდნენ უინძორს, ზვიადად წამომართულნი და გარშემორტყმულნი თანატოლ ციხე-კოშკთა ორმაგი სარტყელით", ან ეკლესიას როგორ მოუწოდებდა, „ალემართა მიტრით მოსილი სახე სასამართლოებსა და პარლამენტებში". ასეთია ჭეშმარიტი ბერკი; მან იცოდა, პეინისა არ იყოს, რომ ამ ინსტიტუტთა შემწეობა მათ სიმბოლურ ძალაში იყო და ალემატებოდა ადამიანის წარმოსახვას, და თუ მათ ამ ძალას გამოაცლიდი, დაემხობოდნენ აწმყოს აგრესიულ ვნებათა ფერხთქვეშ ან შემორჩებოდნენ სისხლისაგან დაცლილ არარაობებივით. ფიქრობდა, ცხოვრების ჭეშმარიტი ღირებულება წარმოსახვის მნიშვნელობაშიაო, და არ რცხვენოდა ელიარებინა, რომ ტრაგედია და დაცემა მეფეთა, თავიანთ პიროვნებაში უძველეს ინსტიტუტთა ბედისწერას რომ ატარებდნენ, უფრო ღრმად შესძრავდა მას, ვიდრე უბრალო ადამიანის ტანჯვა.

მოსწრებული და შეზღუდული ინტელექტისათვის მეტად იოლია მასხრად აიგდოს ბერკის ნდობა წარმოსახვისადმი, მაგრამ თვალნათლივია, რომ არაფერია უფრო პრაქტიკული, ვიდრე აღიარება წარმოსახვის მბრძანებლობისა ადამიანურ საქმიანობაზე; ნაპოლეონ ბონაპარტმა არა თქვა, წამოსახვა მართავს მსოფლიოსო? ბერკი არ მომკვდარა; მისი ნაწერები ამოუწურავი მარაგია შთაგონებისა და სიბრძნისათვის. მაგრამ ისიც მართალია, რომ მისი იდეები მთლიანად ვერასოდეს გათავისუფლდნენ ფესვებისაგან და მისი არგუმენტების არსი გახლართულია ვარაუდებში. თუმცა მშვენივრად ხედავდა ნაკლოვანებებს ადათებრივი და ბუნებრივი არისტოკრატიის რეალური ერთობისა, მაინც არ შეეძლო, მთელი თავისი გამჭრიახობის მიუხედავად, ელიარებინა მხოლოდ მეორის არსებობა მისივე ღირსებითა და უფლებებით. რაინდობის ეპოქა გარდაქარდაო, აღმოხდებოდა მას; ხედავდა, რომ ადათების ეპოქაც, რაც უნდა შეხიდებოდი, განწირულიყო არა მარტო საფრანგეთში, არამედ ინგლისშიც, და მის გაქრობასთან ერთად, ბერკის წარმოსახვით, სიცარიელეღა რჩებოდა. შედეგად იმას მივაღწიეთ, რომ დღევანდელი მთავრობა თავისი საფუძვლებით ორიათასი წლის წინანდელი ბერძენი ფილოსოფოსის წარმოდგენას უფრო შეესაბამება, ვიდრე თანამედროვე ინგლისელისა. და დაგვრჩა უპასუხოდ გაშიშვლებული შეკითხვა: როგორ უნდა წარუძღვეს საზოგადოებას, რომელმაც ეს-ესაა დაალწია თავი საძულველ პლუტოკრატიას, ბუნებრივი არისტოკრატია, რომელსაც ნიშანწყალიც არ გააჩნია ძველი ადათებისა საკუთარი ავტორიტეტის წარმოსაჩენად? იზეიმებს ჭეშმარიტი სამართლიანობა, რაც გამოარჩევს და უბოძებს ძალუფლებასა და გავლენას შინაგანი გამორჩეულობის გამო? თუ ის ეგრეთწოდებული სამართლიანობა გაიმარჯვებს — რასაც ვერავინ ბედავს უსამართლობა უწოდოს — რაც წარმოგვიდგება, როგორც თანასწორი შესაძლებლობა, მაგრამ არსებითად არევ-დარევით ასაკის, სქესისა და ხასიათისა, მივა არაადამიანურ დოქტრინამდე, რომ ძალა განსაზღვრავს უფლებას, და მნიშვნელობა არა აქვს, ეს ძალა ფულის მატერიალური სიძლიერიდან წამოვა თუ რაოდენობის ეჭვიანი ტირანიიდან.

ლიდერები გამოჩნდებიან, როგორც ყოველთვის ყოფილან. ლიდერები ახლაც არიან ყოველი კლასიდან და მათი სახელები ცნობილია. მდაბალ ლიდერს ახლაც დემაგოგს ვუწოდებთ და მისი განსაზღვრება ახლაც ისეთივეა, როგორც მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ, როცა ტერმინი მოიგონეს: „მლიქვნელი ხალხისა". ან თუ განსაზღვრება ბუნდოვნად გვეჩვენება, დემაგოგს იცნობთ იმით, რომ იგი გამოირჩევა უზარმაზარი ფიზიკური და გონებრივი აქტიურობით, და მაინც, ამ არაჩვეულებრივ ნიჭიერებას გონივრულად კი არ იყენებს, რათა შეინარჩუნოს წარმოსახვის სიმაღლე, არამედ დაუღალავად დარბის და საზოგადოების გონებას ხმაურიანი განგაშით ავსებს. დემაგოგი ისაა, ვინც სახალხოდ გაჰყვირის, მთავრობის უპირველესი მიზანი „ყოველთვის უნდა იყოს უბრალო მოქალაქისათვის თანაბარი უფლების მინიჭება"; და მერე კი თვითონ იმით გამოარჩევს თავის უფლებასა და ხასიათს, ულალატებს მეგობარს, ბოროტგანზრახვით გააუკუღმართებს მის სიტყვებს, როგორც კი ამ მეგობარს სახალხო ნების ღალატს დასწამებენ, და უარყოფს მასთან ურთიერთობას. დემაგოგია, ვინც პატივდებული იყო დიდი პოლიტიკური პარტიის ლიდერობისას, და როგორც კი დაამხობენ, მოჰყვება თავისი ყოფილი პარტიის მხილებას, პრივილეგიათა იარაღი და კორუფციის ბუდეაო. დემაგოგია, ვისაც ახალი პარტიის პრინციპთა გაცხადებისას პირზე აკერია მაგიური სიტყვა „სამართლიანობა", რასაც ავსებს სპეციფიკური ფრაზით — „შესაძლებლობათა თანასწორობა", ბოლოს კი სამართლიანობა მთავრობისათვის დაოკების ყოველნაირი წესის მოხსნად გადაიქცევა, და დარჩება მხოლოდ უმრავლესობის ნება, მაშინვე რომ უნდა შესრულდეს, სწორი იქნება თუ მრუდი. რადგან „შეუძლებელია გამოიგონო კონსტიტუციური საშუალებანი რაც ხელს შეუშლიდა სახალხო ნებას, მრუდე საქმე ეკეთებინა ისე, რომ ხელი არ შეეშალა კარგი საქმის კეთებაში. ერთადერთი უსაფრთხო გზა ამ დიადი ამერიკული დემოკრატიისათვის ისაა, რომ საზოგადოებრივი აზრის რეალური ეფექტურობა მოხერხდებოდეს".

აქამდე მისასვლელად ჩვენი სანიმუშო დემაგოგი გზიდან ჩამოიცილებდა ყველა დაბრკოლებას, რაც შეიძლება გაჩნდეს იმ წუთს არსებულ შეხედულებასა და ამ შეხედულების კანონად გარდაქმნას შორის. ამისათვის საჭიროა ინიციატივა და რეფერენდუმი. კანონმდებლებზე მაღლა დგას კონსტიტუცია, გამოგონილი, რათა კანონმდებლები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არსობრივად მოერგებოდნენ იმას, რაც ჩაიწერა, როგორც საერთო ბრძნული მიმართულება მთავრობისა. ეს გახლავთ შემაკავებელი ნაჩქარევი ქმედებისა და გულისხმობს გარკვეულ უნდობლობას გავრცელებული განსჯისა იმ დროისათვის, ოდეს ვნებანი და დაბნეულობანი ბატონობს. ამიტომ ჩვენი დემაგოგი დაიწყებს კონსტიტუციის გაფეტიშების მხილებასა და განქიქებას. ხალისით მოუყრუებს ფაქტს, რომ კონსტიტუციის შექმნა და გარდაქმნა ზოგიერთი შტატისათვის თავშექცევის სახეობაა, და რომ თვით ფედერალური კონსტიტუციაც კი შეიძლება შესწორდეს სრულიად ძალდაუტანებლად, როცა ხალხის აზრი რეალურადაა ჩამოყალიბებული (როგორც სენატორთა არჩევის წესი შეასწორეს ახლახან იოლად), იგი დაბეჯითებით მოიხმობს ოჰაიოს საკონსტიტუციო კონვენციას — „უზრუნველვყოთ ეს კონსტიტუცია საშუალებებით, რაც შეაძლებინებს ხალხს სწრაფად, საჯარო აზრის გათვალისწინებით, შესაბამისი განსჯისა და განხილვის შედეგად, საბოლოოდ და აპელაციის გარეშე, შეიტანოს შესაბამისი ცვლილება კონსტიტუციის ნებისმიერ პუნქტში"; და ეს ცვლილება ხდება არა სამართლებრივად, ანუ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არამედ იმის გათვალისწინებით, თუ რა არის სწორი.

მაგრამ მთელ შხამს იგი მიმართავს სასამართლოების წინაალმდეგ, რადგან მათშია გადმოღებული საბოლოო თვითმყოფადობა ჟინიანობისაგან დამოუკიდებელი, განცდებზე ამაღლებული განსჯისა, და ამიტომაც უკანასკნელი დაბრკოლებაა დემაგოგის საქმიანობის გზაზე. კანონის ინტერპრეტაცია ცხოვრების პირობებისდა შესაბამისად ნიშნავს პასუხისმგებლობის დაკისრებას ხალხზე. თუ საჭიროა, უნდა შეეძლოთ გამოიძახონ მოსამართლე, ვინც მათ მოთხოვნებს არ ემორჩილება და, სხვა თუ არაფერი, შეცვალონ სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რაც მცდარად ეჩვენებათ. იგი მიიჩნევს, რომ ამ გზით უზრუნველჰყოფს „დამოუკიდებელ სამართალს"! რათა დანერგოს გამოძახების პრაქტიკა, ბრალს სდებს სასამართლოებს, ისინი უარს ეუბნებიან შტატების მოსახლეობას, განახორციელონ საკუთარი უფლებანი, როგორც თავისუფალმა ხალხმაო". ამის მერე მოიხმობს იმას, რასაც ნიუ-იორკის „ტიპურ" საქმეს უწოდებს, სადაც მოსამართლეებმა მუშათა კომპენსაციის აქტი არაკონსტიტუციურად სცნეს. „სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, მათ დაიჟინეს, რომ კონსტიტუცია განუწყვეტლივ დაწყევლიდა ჩვენს ხალხს სისწორ-სიმრუდით და გაამუდმივებდა სასტიკ უკანონობას". ამ ტირადას, რომელიც 1912 წელს წარმოითქვა, მოჰყვა ემოციების აგიზგიზება; სწორედ ამ დროს ესხმოდა დემაგოგი თავს სასამართლოებს და გამუდმებულ უკანონობას სწამებდა და მექანიზმი მზადდებოდა კონსტიტუციაში დამატების შესატანად, და ორ წელიწადზე მოკლე ვადაში ეს მარადიული წყევლა უკუაგდეს და შეიტანეს დამატება საკონსტიტუციო კანონში მშრომელთა სრული მხარდაჭერისა. ასეთია ფაქტების დესპოტიზმი და ამ შეურაცხმყოფელ თავდასხმებს მოსდევს მაღალი დონის მლიქვნელობა. „ თუ ამერიკელი ხალხი ვერ ეწყობა სახალხო მთავრობას და თუ ისინი, ნაცვლად იმისა, რომ იყვნენ ბატონები, მსახურები არიან იმ ხალხისა, რომელთაც თვითონ უბოძეს სამსახური".

დემაგოგის გამორჩევა იოლია, იგი თვითონ წარმოსახავს საკუთარ თავს. ერთი შეხედვით, მისი გამორჩევა შეიძლება განსაკუთრებული თვისებით: იგი ისაა, ვინც მუდამ კაცობრიობის უფლებათა ძიებაშია, და უკიდურესად სძულს უეჭველი და უდავო ფაქტები; ჰიპნოზური ლაქლაქით მუდამ არწმუნებს ხალხს, მიჰყვნენ პირველ იმპულსურ ემოციებს და მართალნიც იქნებიან და დაცულნიც, და რომ ყველა ინსტიტუტი, რომელიც კი მათზე ბრძენია, უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა, უნდა აღიგავოს ყოველი დაბრკოლება, რაც წინ აღუდგება მათ ცვალებად ბუნებას. პორტრეტის სისრულისათვის დაგვჭირდება ბერკის მიერ დახატული სახება პირნათელი წინამძღოლისა, ვინც ჯანსაღი განსჯით თავისუფლების კანონს ადგენს. „ადამიანები მომზადებულნი არიან სამოქალაქო თავისუფლებისათვის იმისდა შესატყვისად, თუ როგორია მათი დისპოზიცია მათს მადაზე დადებულ ბორკილთა მიმართ; იმისდა შესატყვისად, თუ როგორია მათი სიყვარული სამართლიანობისადმი, რაც მათ სიხარბეზე მაღლა დგას; იმისდა შესატყვისად, თუ როგორ აღემატება მათი აღქმის სისალე და სიფხიზლე მათსავე ფაციფუცსა და ვარაუდებს; იმისდა შესატყვისად, თუ რამდენად არიან განწყობილნი მოისმინონ კეთილი და ბრძნული რჩევანი არამზადების მლიქვნელობის ნაცვლად; საზოგადოება მანამდე ვერ იარსებებს, სანამ ნებისა და მადის ზედამხედველი ძალა არ განთავსდება სადმე, და რაც ნაკლებად არის შინაგანად, მით მეტი უნდა იყოს გარედან. მარადიული კონსტიტუციის ძა-

ლით, გაუწონასწორებელი ხასიათის მქონე ადამიანი თავისუფალი ვერ იქნება. მათი ვნებებია მჭედელი მათივე ბორკილებისა." ან უფრო ჩავღრმავდეთ და ვნახოთ პლატონისეული პორტრეტი წინამძღოლისა, ვინც მოიპოვებს უფლებას, დაარწმუნოს სხვები, მოიქცნენ თავშეკავებულად და ბეჯითი წვრთნით მოიპოვონ სიქველე საკუთარი ცხოვრებისა.

მაგრამ ყველაზე ღირსშესანიშნავი ნიმუში დემაგოგიისა დღესდღეობით, კაცი კი არ არის, თუნდაც ელვაშემოხვეული, არამედ ინსტიტუტი. არსებობს გაზეთები და ჟურნალები, მილიონობით მკითხველისათვის ხელმისაწვდომი, რომელთაც ხელოვნება სრულყოფილ სისტემამდე დაიყვანეს. მათი მეთოდი მარტივი და ეფექტურია: მუდამ გამოეხმაურე ნამიერ ემოციას და ისე წარმოაჩინე, რომ გაამართლო მისი უკიდურესობანი. ამრიგად, როდესაც საერთაშორისო შურის ტალღა დამცხრალია და აღარ აღელვებს ხალხის გონებას, ჩვენი ჟურნალების სარედაქტორო მოწინავეები ხოტბას ასხამენ ძმურ სიყვარულს და აქებენ ხალხს, როგორც ერთა შორის მშვიდობის დიად წყაროს. მაგრამ საკმარისია აღიძრას რაიმეგვარი რასობრივი შუღლი, როგორიცა თვეების წინათ დაწყებული ომის ჩვენსა და ესპანეთს შორის, ან იტალიის აფრიკული რეიდი, და იმავე ჟურნალთა მოწინავე სტატიები ყოველდღიურად წააქეზებენ ეროვნულ შუღლს და გააღრმავებენ მის მორევს. იმ დღეებში, როცა არავითარი სენსაციური ამბავი არ ხდება, ჟურნალები მომხიბვლელსა და სენტიმენტალურ ქადაგებებს იწყებენ საოჯახო და საბინაო საკითხებზე. რა უნდა იყოს უფრო ზნეობრივი, თუნდაც ისეთ დაშაქრულ დარიგებაზე, ბავშვები მოგზაურობისას მზეზე წოლასა და მზის ყურებას აარიდეთო. მაგრამ საკმარისია რაღაც დანაშაული ან სიხარბის ფაქტი გამომჟღავნდეს, რომ იმავე ჟურნალებს წამსვე დაავიწყდებათ ოჯახი, მეუღლე და სასიამოვნო მოვალეობანი, ის სულელური ძველი ზნეობანი, თუ როგორი უნდა იყოს სიყვარული, და გადაერთვებიან გულისამრევი ვნების მორევის აღწერაზე, მკვლელობებსა და იმის ხატვაზე თუ როგორ შეკავშირდეს ორი ადამიანი მგზნებარე ვნებით; ან იმ სამარცხვინო კავშირს აღწერენ, ქორწინება რომ დაარღვია, და უხვად იყენებენ ტერმინებს — „ლტოლვა" და „გულის სატრფო". და ყოველთვის დროდადრო ხალხში შეარყევენ ხოლმე პასუხისმგებლობის გრძნობას შეცდომებისა და გადაგვარების მიმართ იმით, რომ ოსტატურად მიანიშნებენ ადამიანთა ჯგუფზე, სრულიად დაცლილზე ჩვეულებრივი ადამიანურობისაგან, ვინც სხედან განცალკევებულნი და საიდუმლო კრებებზე აწყობენ შეთქმულებებს მთავრობის სახელის გასატეხად. ჩვენი საჯარო დანაშაულები ჩვენ კი არ ჩაგვიდენია, კონსპირაციის შედეგია.

ეს საქმიანობა, განსხვავებული ფორმებით, მრავალი საუკუნეა წარიმართება. დღეისათვის კი კეთილშობილურ მაქსიმაში ჩამოვაყალიბეთ, რაც ყოველდღიურად გაისმის კათედრებიდან, გაზეთებიდან და ქუჩაშიც: „დემოკრატიისაგან განკურნება უფრო მეტ დემოკრატიაშია". ეს სიცრუეა და ვიცით, რომ სიცრუეა. ვიცით, რომ დემაგოგის ამგვარ მოწოდებას წარსულში გამუდმებით მივყავდით ანარქიამდე და დესპოტიზმამდე; და ვიცით, რომ თუ დღეს ამ ძალებს არ დავუპირისპირდებით და ასე დავტოვებთ გალაღებულთ, იმავე ნაყოფს მოვიმკით — თავისუფლება შეიზღუდება და ქარტიები გაჰქრება, და ყველანი შეხედულებათა მონად ვიქცევით. ამ თვითნებობის ბოროტებისაგან განკურნება ხალხის აშვება კი არაა, ისაა, რომ ხალხმა პატივი სცეს ნამდვილ ლიდერებს. დემოკრატიისაგან განკურნება *მეტ* დემოკრატიაში კი არა, *უკეთეს* დემოკრატიაშია.

და განკურნება არც იმ პირების გამოჩენაზე ჰკიდია, საზოგადოებაში, ვისაც აზროვნება შეუძლია, რადგან ამქვეყნად მრავლად არიან ასეთები; არამედ უფრო იმაზე, რომ ამ რჩეულ წევრებს საზოგადოებისა წინამძღოლობაც შეეძლოთ. საშიშროება მაშინ ჩნდება სახელმწიფოში, როდესაც გავლენითა და ღირსებით აღჭურავენ თავიანთ დემაგოგებს. ამ დროს უფრო დახვეწილი ინტელექტის მქონე მოქალაქეები, ჭეშმარიტად მოაზროვნე ფილოსოფოსები, ვინც შეძლეს შეეღწიათ საკუთარ სულთა სიმაგრეებში, უნდა ჩამოცილდნენ საზოგადო ასპარეზს და განმარტოვდნენ სიმაგრეებში, როგორც სპილოს ძვლის კოშკში. აქედან ნაწვნევი ზიანი ორმაგი ხასიათისაა: საუკეთესო გონებათ მოაკლდებათ საზოგადოების პატივისცემა, საზოგადოებაში რომ შეამცირებს დახვეწილობას და ინტერესს ხელოვნებისადმი, რაც განიდევნება და აღარ იქნება საზოგადოების სრულუფლებიანი ნაწილი; და, მეორე მხრივ, საზოგადოების უდიდესი ნაწილი მასობრივად განეწყობა სასტიკი ქმედებებისა და სიამოვნების ძიებისადმი. ასეთ სახელმწიფოში განსხვავებულობა იზოლაციის ნიშნად იქცევა. და საჭიროება ჩნდება ბუნებრივი არისტოკრატიისა.

ისიც ცხადად უნდა გვესმოდეს, რომ როცა ამგვარ ზომებს ვესარჩლებით, თანაც დღევანდელ პირობებში, სრულებითაც არ ვიზრახავთ ამაოდ შევეცადოთ და გავაუქმოთ დემოკრატია, რადგან დემოკრატია ნიშნავს ხელისუფლებას ხალხით და ხალხისათვის. ბუნებრივი არისტოკრატია არ მოითხოვს მემკვიდრეობითი უფლებების აღდგენას ან დაუხვეწავ მძლავრობას ფულისა; ის არ არის ოლიგარქიისა ან პლუტოკრატიის სინონიმი. უფრო რომელიმე სოციალური ცნობიერების მექანიზმს მოითხოვს, რაც უზრუნველჰყოფს, როგორც საზოგადოებიდან „საუკეთესოთა" შერჩევას, ისე მათ აღჭურვას „ძალაუფლებით"; ესაა დემოკრატიის ნამდვილი სრულყოფა. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს არ არის აკადემიური საკითხი რაღაც არარეალურ გამიჯვნათა გამო. არავის ჰგონია, რომ „საუკეთესონი" გამოკვეთილი კლასია, თავის მსგავსთა შორის მოტრიალე, შარავანდედით თავზე და ნეტარი უპირატესობის შეგრძნებით სახეზე. საზოგადოება ასეთი კლასიფიკაციებისაგან არ შედგება და მთავრობებში ყოველთვის მეტ-ნაკლებად შერეული ხასიათის ხალხია. ბუნებრივი არისტოკრატია უფრო ტენდენციაზე მიანიშნებს, ვიდრე დასკვნაზე, და, ეჭვგარეშეა, სწორედ ამიტომ ჩააფიქრა ჩემი რადიკალური იდეებით გამსჭვალული მეგობარი, რომელმაც დღევანდელობის უდიდესი პრაქტიკული პრობლემა ამოთქვა.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ ვინც, ასე ვთქვათ, შეადგენენ არისტოკრატიას, უნდა გაითავისონ რწმენა. არის საკითხი, რასაც თამამად უნდა შევხვდე: რა არის საზოგადოების ჭეშმარიტი საჭიროება? სამართალი ძალაუფლებისა და ქონების გათანასწორებაა თუ მათი გაწონასწორება ხასიათებსა და ინტელექტებს შორის? მთავრობის მანქანის მიზანი მასებისათვის მატერიალური კეთილდღეობის შექმნაა თუ გამორჩეულთა სწრაფვის ხელშეწყობა? კაცობრიობის ყოფა ციფრებით უნდა შეფასდეს, თუკი მართალი იყო ძველი სტოიკოსი პოეტი, როცა ამბობდა: ***humanum paucis vivit genus***? ჩვენი დაინტერესება კაცობრიობით ძირიდან უნდა დაიწყოს და ზევით განვითარდეს თუ ზემოდან დაიწყოს და ქვევით განვითარდეს? ვინც გრძნობენ, რომ დადგა დრო შემოვაბრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოთ ზოგიერთი თანამედროვე ტენდენცია, ეს კითხვები ეჭვს არ ინვევს. და მეტს ვერაფერს ვაკეთებთ, უნდა გავწმინდოთ ჩვენი გონება ჰუმანიტარიანიზმის მიმდინარე დაქვეითებისაგან. ეს არ ნიშნავს, რომ უნდა უარვყოთ პიროვნული მიდრეკილებანი შებრალებისადმი და მგლური ეგოიზმი დავნერგოთ ადამიანურ ურთიერთობებში. პირიქით, ამას სწორედ ყალბი ჰუმანიტარული დოქტრინები ქადაგებენ, რასაც მოაქვს სამართლიანი პასუხისმგებლობის დაქვეითება, და „ადამიანურ მოვალეობებში დაეჭვებით" ცხოვრების ჯილდოს მატერიალისტისა და უხეშად მოლაპარაკის ბასრ კლანჭებში აგდებს. ბოლოს კი ხალხის ბედნიერებას, ფართო გაგებით, განსაზღვრავს დაქვემდებარება საყოველთაო აღიარებაზე. მაგრამ როგორიც უნდა იყოს ამ ყაიდის უმაღლესი შედეგი, დღეს საჭიროა გავაწონასწოროთ ემოციური ჰუმანიტარიანიზმის მოძალება სიმართლის ნაკადით — თუნდაც საძაგელი სიმართლისა. მოდი, დიდხანს ტანჯული ღმერთის სახელით რაღაც ზღვარი დავუდოთ კალატოზთა და ვატმანთა ჯამაგირებზე ლაპარაკის ნიაღვარს, და ცოტა მეტი ვისაუბროთ მხატვრისა და მასწავლებლის შემოსავლებსა და საზოგადოების შემფასებელზე, ვინაც გემოვნებაც აქვს და ხასიათის ძალაც — წინ აღუდგეს ამ ნაკადს. მოდი ნუ ვემლიქვნელებით თეატრის დიდ განმანათლებლურ დანიშნულებას ხალხისათვის და ნაკლებად მოვიტყუოთ თავი გულისრევის აღმძვრელი პიესის პრობლემით და მეტი დრო დავუთმოთ იმას, რაც სუფთაა და ლუკმა-პურს ანვდის დიად გონებათ. მოდი ცოტა ხანს დავივინყოთ სკოლა, სადაც გამყიდველი და მოანგარიშე ბიჭები უნდა გამოინვრთნან, და იმ საგნებს მივუბრუნდეთ, რისი შესწავლითაც კაცი გამოირჩევა ბრბოსაგან. და ბოლოს, ნუ მოვექცევით საკუთარი კლასის მოღალატეთა შორის, ვინც *invidiae metu non audeant dicere*.

დღესდღეობით ბევრს ლაპარაკობენ კლასების ცნობიერებაზე და ეს უთუოდ მძლავრი სოციალური ინსტრუმენტია. რატომ არ უნდა ჰქონდეთ გულახდილი სოციალური ცნობიერება მათ, ვინც სათავეში უდგანან ცივილიზაციას, იმათსავით, ვინც ბოლოში მოჩანჩალებენ? ასეთი შემჭიდროება ორმხრივი კეთილგანწყობისა განათლებულ ადამიანს განდეგილობიდან გამოიყვანს და ნაყოფიერად ამოლვანევებს; გააძლიერებს მოვალეობის გრძნობას მათ შორის, ვინც ყოყმანობს, თუ რომელ მხარეს დადგეს, და მრავალ იმედდაკარგულ ფატალისტსა და დილეტანტს ჩართავს დღევანდელობისათვის დიდად საჭირო რეფორმების ხორცშესხმაში. ეს არაა უქმი გრძნობების იმედად ყოფნა. ბევრს ლაპარაკობენ მასების ძალასა და დაუოკებელ გავრცელებაზე რევოლუციური იდეებისა ქვემოდან ზემოთ. ისტორიული ფაქტები სულ სხვა მიმართულებას მიგვანიშნებს. პლებსმა კი არ დააქცია რომის რესპუბლიკა, არამედ სენატის გადაგვარებულმა ფრაქციებმა და კატილინასა და იულიუს კეისრის მსგავსი პატრიციების ღალატმა. ამგვარადვე, საფრანგეთის რევოლუცია არ იფეთქებდა, რომ არა ფილოსოფოსთა სწავლებანი და ეგალიტარული თავისმოტყუებანი, თვით მმართველ კლასებში.

ვიკონტესა ნოაიესი (*Noailles*) ცოდნას ამჟღავნებდა, როცა თქვა: *"a philosophie n'avait pas d'apotres plus bienveillants que les grands seigneurs. L'horreur des abus, le mepris des distinctions hereditaires, tous ces sentiments dont les classes inferieures se sont emparees dans leur interet, ont du leur premier eclat a l'enthousiasme des grands."* და დღესაც სოციალისტური დოქტრინის რეალური ძალა მშრომელთა უკმაყოფილებაში კი არ არის, არამედ იმათ მხდლურ მორჩილებაში, ვინც — საზოგადოების ბუნებრივი დაყოფით — მიეკუთვნებიან იმ კლასს, რომელსაც ყველაფერს აკარგვინებს რევოლუცია, და აგრეთვე დილეტანტ რეფორმატორთა სენტიმენტალურ თანაგრძნობაში. სხვას რომ თავი დავანებოთ, რეალური საფრთხე მომდინარეობს არა იმდენად თავის წარმოჩენის მოყვარულ დემაგოგთაგან, არამედ უვიცი გამყალბებლებისაგან, ასაფეთქებელი მასალები რომ უპყრიათ ხელთ. საფრთხეა არა იმდენად საზიზღარ და საშიშ ყვითელ პრესაში, არამედ იმ ჟურნალებში, რომელთაგანაც დიდ საქმეებს მოელიან, მაგრამ — კონკრეტული რეფორმით დაინტერესებულნი — გულითა და სულით ემხრობიან იმ კანდიდატებს, ვისაც ფლირტი გაუჩაღებიათ სქემებთან, ძირს რომ უთხრის საკუთრებასა და კონსტიტუციურ ზეგავლენას; ადამიანთა ძმობის მგზნებარე დამცველნი ცერად უყურებენ ფაქტებს და ხმის მიცემის უფლებაზე მოყვირალნი არაფრად აგდებენ სამართლიან მოთხოვნებს. სწორედ ეს ნდობის მოღალატე კაცები და ჟურნალებია ნამდვილი საფრთხე. მათი შემწეობისა და წაქეზების გარეშე ეგებ დიდი უთანხმოება და ხმაურიც ატყდეს, საფრთხე გაჩნდეს თავკერძობისა და გადაგვარებისა, მაგრამ არავინ წარუძღვება წინ საზოგადოებას რადიკალური რევოლუციისაკენ. რადგანაც რადიკალური ძალები, თავისი ბუნებით, უძლურნი არიან ბეჯითად და ჰარმონიულად იმოქმედონ და შეკავშირებას მხოლოდ შიშისა და სიძულვილის შემწეობით აღწევენ. ევოლუციის დინამიური წყარო მახინჯდება სათავეში მყოფთა მიერ და ანარქია მათ მფლანგველობას მოჰყვება ხოლმე. თუ ამ საშიშროებას თვითონ დაინახავენ, დამცველად საპირისპირო კლასის ცნობიერება უნდა აღძრან.

პრეზიდენტ ლოუელის გახმაურებული თეორემის მიხედვით, სახალხო მთავრობა „შეიძლება გულისხმობდეს საზოგადოებრივი აზრის მიერ პოლიტიკურ საქმეთა ზედამხედველობას". დღეისათვის არსებობს უზარმაზარი ორგანიზაცია საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციისათვის, ვითომდა მშრომელთა სასარგებლოდ, არადა მათ ინტერესთა შესაბამისად, ვინც იმით სუქდება, რომ მაჭანკლობს ემანსიპაციის სახელით კაცობრიობის ყველაზე მდაბალ გრძნობებთან; ხოლო დემოკრატიის გავულგარულებული ნაკადისაგან დაზარალებულთა შორის ამ ორგანიზაციიდან ან ვერავის შეხვდებით, ან მხოლოდ ორიოდე კაცს. შედეგად ვხედავთ, რომ ცხოვრების პირობები წლიდან წლამდე უარესდება მათთვის, ვისი შრომაც უშუალოდ არ უკავშირდება მატერიალური ძალების წარმართვას ან სიამოვნების აღმძვრელი საგნებით მომარაგებას; ისინი მოქცეულნი არიან, ასე ვთქვათ, წინ წყალსა და უკან მეწყერს შორის. ალბათ, სიტყვა „ორგანიზაციას" ვერ გამოვიყენებთ იმის ზუსტად აღსაწერად, თუ რა სურთ მათ, ვინც სწრაფად ხდებიან საზოგადოების ჩუმი ნევრები, რადგან აქ უფრო მძაფრი დისკრიმინაციაა ჩამალული ხასიათსა თუ გემოვნებაში, ვიდრე ბუნებაში არსებობს; მაგრამ არაფერია ქიმერული იმაში, რომ მოვიძიოთ ერთგვარი გაცნობიერებული სოლიდარობა არისტოკრატული კლასის შუაგულში (თანაც თუ „არისტოკრატულს" ყოველთვის პლატონური გააზრებით გამოვიყენებთ), შეკავშირება აქ უფრო ნაკლებია და სუსტი. დაე ამ კლასს გულწრფელად სჯეროდეს, რომ სახელმწიფოს ჭეშმარიტი მიზანია, არისტოტელეს დიდებული თეორიისა არ

იყოს, შესაძლებელი გახადოს იმათი მტკიცე მეგობრობა, ვინც უმაღლეს სიკეთეს ისახავს მიზნად, და დაე მოეძებნოთ საშუალება ერთმანეთის განმტკიცებისა რწმენაში და მათი გავლენა ფართოდ გავრცელებულიყოს საზოგადოებაში და სრულად განემსჭვალოს საზოგადოებრივი აზრი.

ინსტრუმენტი, რითაც ეს საზოგადოებრივი აზრი მოქმედებს, უწინარესად წარმოსახვაა; და სწორედ აქ ვაწყდებით რეალურ სიძნელეს. ეს გახლდათ უპირატესობა არისტოკრატიისა და მემკვიდრეობითი ოლიგარქიისა, რასაც ბერკი ესარჩლებოდა, რომ მათში იყო რაღაც თვალისათვის დასანახი და განსაზღვრული, მაშინ, როცა ხასიათზე დამყარებული დემოკრატიული არისტოკრატია ყოველთვის შედარებით ბუნდოვანი გახლდათ. მაგრამ ისეც არა ვრჩებით, რომ წარმოსახვას სრულ გაუგებრობაში ვტოვებდეთ მანამდე, სანამ სახალხო მთავრობის ფორმებში ვართ მოქცეულნი. შესაძლებლობა რჩებათ განათლების უმაღლეს ინსტიტუტებს, რომელთაც მოუწოდებენ ივალდებულონ რეფორმების პირველი ნაბიჯების გაძლოლა. არ ვაპირებ ამ რეფორმის ბუნებაში ღრმად შეღწევას, რადგან ისეთი ვრცელი თემაა, ცალკე ესეის მოითხოვს. მოკლედ კი საჭიროებს სწავლების კურიკულუმში აღდგეს და გაბატონდეს ის საგნები, წარმოსახვას რომ წვრთნიან, თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ ეს არ არის წმინდა ესთეტიკური წარმოსახვა, რასაც მწუხარედ ისაკლისებენ, არამედ წარმოსახვის ძალა ადამიანური ისტორიის გრძელი გზის ერთიანად დასანახად და იმის გამოსარჩევად თუ რა არის მასში არსებითი და რა — მოჩვენებითი. ეკონომიკისა და მთავრობის მეტისმეტი სიჭარბე სასწავლო პროგრამებში დაუყოვნებლივ იწვევს სტუდენტის გაუცხოებას წარსულის დიადი მემკვიდრეობისაგან; ხშირი ჩვეულება მისი სოციოლოგიის ქოხმახებში შეთრევისა, იმის ნაცვლად რომ შინ დავტოვოთ კეთილშობილ მიცვალებულთა გარმოცვაში, გონებას ურევს, უნესტიანებს ანდა აანთებს ფანატიკური ჰუმანიტარიანიზმით. და თუ რამეს ისწავლის, კოლეჯიდან გამოდის ***a nouveau intellectuel***, და ისეთნაირად ურთიერთობს მართლა განათლებულ კაცთან, როგორც ***nouveau riche*** — ტრადიციულად აღზრდილ ადამიანთან; იგი გაუწონასწორებელია და ვიწრო თვალთახედვა აქვს, ცდილობს იმწუთიერ სურვილთა დაკმაყოფილებას და ვერ შეიგრძნობს იმ დიად მოწოდებას ჩვენში, რაც უცვლელია დასაბამიდანვე. ამ გადაჭარბებულ თანამედროვეობაში დიდ დროსა და ღირსეულ ადგილს უნდა ვუთმობდეთ გარდასული დროიდან შემონახულ გაკვეთილებს. არის სიმართლე ჰობსისეულ მაქსიმაში, „წარმოსახვა და მეხსიერება ერთი და იგივეაო"; ამ ერთობით — თუნდაც მხოლოდ სწავლისას — ადამიანი უვრცესი გავლენებიდან შეითვისებს არამტრულსა და შესაფერის ხასიათს, რაც ოლიგარქს ადათებით გადაეცემა და ჭეშმარიტ არისტოკრატად აყალიბებს. და იმის დაბეჯითებით, თუ რას შეიძლება ეწოდოს სულიერი ადათი, იგი, როგორც ლიდერი და წინამძღოლი, პატივისცემას აღძრავს თავის ხალხში, რაც ადამიანის გულში ჩნდება და უფრო მუდმივი და ღირებულია, და უფრო შეესატყვისება გონებას, ვიდრე უბრალო აღუშფოთველობა გაუაზრებელი წინასწარრწმენისა. რადგანაც, როცა ყველაფერი გაცხადებულია, შეუძლებელია არსებობდეს ცივილიზებული საზოგადოება, თუ არ იქნება ჩვენს გულებში ღრმად ჩანერგილი, რომელიც სიხარბისა და ამაოების ორომტრიალის მიღმა ელის მორჩილების ინსტინქტს იმისადმი, რაც კეთილშობილურია და პატივმისაგებია. ის ელის ცხად მოწოდებას ზეციდან.

**ინგლისურიდან თარგმნეს**
**პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა**

## ვაჟა-ფშაველა — 150

# „...სიკვდილის გამაწბილადა“

აქ საოცრად სუფთა და გამჭვირვალეა ჰაერი. ცას ლამის ხელით შეეხები, ქვემოთ კი ქვეყნიერება გადაშლილა, ოღონდ წვრილმანები არ ჩანს, მხოლოდ ძირითადი ხაზები, საუკუნოვანი .... ეს ვაჟას პოეზიაა.

როდესაც ასე მდიდარია ადამიანი, ცისა და მიწის პატრონად მიაჩნია თავი, მაშინ სწორედ ღარიბი უნდა იყოს იგი, რადგან სიღარიბე ამ შემთხვევაში პირობითობაა.

**მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა,**
**მთაში მთა, ბარად ბარია,**
**ზღვა და ხმელეთი ერთიან,**
**ცას ვარსკვლავების ჯარია.**

შუასაუკუნეების იდეალი ადამიანის განღმრთობა იყო – სულიერი ზეაღსვლის დაუსრულებელი პროცესი. შემდგომმა ეპოქამ დიდი ნაბიჯით ჩამოინაცვლა მიწისაკენ და ახლა ყველაზე მეტი, რაც ადამიანს მოეთხოვება, ესაა იყოს ადამიანური, გაამართლოს ადამიანობა. ალბათ, იდეალიც ეს არის.



ვაჟას დიდბუნებოვანი პერსონაჟები ურთულეს სიტუაციებში საკუთარ გულისხმას უსმენენ და არც ცდებიან. მათი ორიენტირი ადამიანური შემწყნარებლობა და ჰუმანიზმია.

ცნობილია, რომ ვაჟა თვითონ არის მინდია, უტყვ სულიერთა და უსულოთა მესაიდუმლე, თუმცა მის სამყაროში ყველაფერი სულიერია და მარადიულ წრებრუნვაში ჩართული.

ვაჟას სიკვდილის არ ეშინოდა...

საზოგადოდ, მისნაირ ადამიანებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ სიკვდილისადმი, რადგან ღრმად აცნობიერებენ გარდაცვალების მისტერიას. სამყაროში არაფერი იკარგება, მითუმეტეს, მშვენიერება. შეიძლება სამად დაიშალოს ერთი: ვარსკვლავად, ბულბულად, ვარდად, ან მზეს, ბროწეულის ყვავილსა და მარიტას ჰქონდეთ რაღაც საერთო; იები ამოვიდეს, შვლის უმანკო თვალებმა გაიელვოს სიმწვანეში, ან უბრალოდ წვიმა წამოვიდეს „სიკვდილის გამაწბილადა“.

**ლია კარიჭაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ხასაია

# ფიცხი კოლხი

## 1. პიროვნება

მჩატე ჭკუის ადამიანებს უყვართ გადამღები აპარატის წინ ჯდომა და ტრიალი. მათი სურათების ნაკლებობას ნამდვილად ვერ დავიჩივლებთ. სერგი დანელიას კი, ეტყობა, არ უყვარდა სურათების გადაღება. ყოველ შემთხვევაში, მე მისი მხოლოდ ერთი ფოტოსურათი ვიცი. ნათელი გონება, გამჭოლი მზერა და პიროვნული სიმტკიცე აღბეჭდვია სახეზე. შეხედავ და მაშინვე გაიფიქრებ: „ფიცხი კოლხი!"

სამეგრელოს სოფლებში შემხვედრია ასეთი ფიცხი კოლხები. ისინი გამოირჩევიან გამჭრიახობით, ერთგვარი უნდობლობითა და საკუთარი მრწამსისადმი ერთგულებით. ამ უკანასკნელს ბერძნები „ხარაქთერს" უწოდებდნენ. ხალხში მას სიჯიუტე და ახირებულობა ჰქვია. გოეთე კი ფიქრობდა, რომ ეს პიროვნებად ყოფნაა. თან გვარწმუნებდა, რომ ადამიანისათვის ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია.

თუ სიტყვა „ბედნიერებას" ჩვეულებრივად გავიგებთ, მაშინ პიროვნულობას მასთან არაფერი აქვს საერთო. პიროვნულობა, პირიქით, უსიამოვნებისა და უბედურების მომტანია. ამიტომ ერიდებიან ადამიანები მას და ვერ ბედავენ სიმართლის მსახურებას.

სერგი დანელია კი იმ უმცირესობას ეკუთვნის, ვინც საკუთარი მრწამსის ერთგულია. ამიტომაც არაერთხელ დაუსჯიათ სასტიკად. ასეა, შინაგანი სიმტკიცე მწარე და ტკივილიანია. თუ სერგი დანელიას ფოტოსურათს კარგად დავაკვირდებით, შევნიშნავთ ამ მწარე ტკივილის დაღს: ნათელ სახეზე გაიელვებს ნერვიული ხაზი!

ბერძნები ქვეყნიერებას ქაოსისა და წესრიგის ჭიდილად იცნობდნენ. ქაოსის ტალღები მიწყივ იმსხვრევიან წესრიგის არტახებში.

ზოგ შემოქმედში ქაოსის ტალღა ჭარბობს. ასეთებია: ჰერაკლიტე და სოფოკლე, პლატონი და ავგუსტინე, შექსპირი და ბაირონი. ქართველ ფილოსოფოსთაგან ასეთია შალვა ნუცუბიძე.

ზოგ შემოქმედში კი წესრიგის დემონი ბატონობს. ასეთებია: პარმენიდე და ევრიპიდე, არისტოტელე და თომა, კანტი და გოეთე. ქართველ ფილოსოფოსთაგან ასეთია სერგი დანელია. მისი სტიქია ქაოსის დაურვებაა. წესრიგი მისი რელიგიაა. ამიტომ უწესობას არც თვითონ დაუშვებს, არც სხვას აპატიებს.

ქვეყნის დინებას შემთხვევა განაგებს. სერგი დანელიასაც, შემთხვევათა გამო, შეიძლებოდა არ ესწავლა და გლეხად დარჩენილიყო სოფელში. მას უთუოდ ექნებოდა კოხტად მოწყობილი ეზო და კარმიდამო. ნებისმიერ სოფელში კარმიდამო, მეტ-ნაკლებად, ერთმანეთს ჰგავს. მაგრამ ანაზდად გამოერევა მრავალთა შორის ერთი, ვითარცა თვალი პატიოსანი: ზედმიწევნით მოვლილი, კალმით დახატული. აი ეს მისი კარმიდამო იქნებოდა!

ასეთ მოვლილ, სანიმუშო, სხვათაგან რაღაცნაირი ციური სიმსუბუქით გამორჩეულ კარმიდამოს ჰგავს სერგი დანელიას შემოქმედება. მის ყველა თხზულებაში უზადო ოსტატობას ერწყმის შინაგანი სისპეტაკე და ლამის ფანატიკური კეთილსინდისიერება. მის მიერ ისტორიის უფსკრულებიდან ამოტანილ ქვას არასოდეს შემოწმება არა სჭირდება. ეს ქვა პატიოსანი თვალია უთუოდ.

წარსულის ბურუსებში ხეტიალისას ის ხშირად მარტოდმარტო აღმოჩნდება ხოლმე მაცდურად მოციმციმე განძეულებთან. ამ დროს ძალიან ადვილია იოლად გამდიდრება და არამედ სახელის მოხვეჭა. მაგრამ მას ხელი არასოდეს წაუცდება. ვერცერთი მაცდური ჯინი მას ზედმეტ სიტყვას ვერ დააცდევინებს.

ბურუსებმა თრობა იცის. მაგრამ მისი გონება სიფხიზლისთვისაა გაჩენილი. ნისლოვანებათა ღვინო მასთან უძლურია. არა, სერგი დანელია ცდუნებას არ აჰყვება. ათასფრად მოციმციმე მოჩვენებას შავ-თეთრი სინამდვილე ურჩევნია. ამჩატებას არასოდეს იკადრებს. მისთვის ზნეობაა უმაღლესი მცნება და რელიგია.

## 2. მეთოდი

სერგი დანელია უჩვეულოდ მასშტაბური, მრავალმხრივი მეცნიერია. მაგრამ მისი სააზროვნო არე ფილოსოფიის ისტორიაა.

რუსული ლიტერატურის ისტორიაც მან ფილოსოფიურად გამოიკვლია. აქ მისი ყურადღება მუდამ მწერლის მსოფლმხედველობას დასტრიალებს. ლიტერატურული გმირები მსოფლმხედველობის სახეებად გვევლინებიან. მათი ურთიერთობა მსოფლმხედველობათა შეჯახება და განვითარებაა. ხოლო მწერლიდან მწერალზე გადასვლა წარმოგვიდგება რუსული სულის მსოფლმხედველობრივი ცხოვრების დრამად.

ამიტომ უკავია მის „ნარკვევებს მეცხრამეტე საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიიდან" სრულიად გამოკვეთილი და შეუცვლელი ადგილი რუსულ ფილოლოგიაში. ეს ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიის ერთგვარი გამოვლენაა ლიტერატურის ისტორიაში.

სერგი დანელიას მემკვიდრეობა ფილოსოფიის ისტორიაში იმდენად ღირებულია, რომ ის შეიძლება მოვიხსენიოთ ედუარდ ცელერის, ვილჰელმ ვინდელბანდის, კუნო ფიშერის მემკვიდრეობათა გვერდით. ამიტომ ღირს შევჩერდეთ მის მიერ გამოყენებულ მეთოდზე.

ფილოსოფიის ისტორიაში სერგი დანელია თავიდანვე მიენდო ერთ მეთოდს. ღრმად სწამდა ამ მეთოდისა და არც არასოდეს გადაუხვევია მისგან; ბოლომდე მისი ერთგული დარჩა.

მისი ეს მეთოდი დაახლოებით ასეთია:

ფილოსოფიის ისტორიკოსის თხზულებაში არ უნდა ჩანდეს თვით მისი ფილოსოფიური მრწამსი ანუ მსოფლმხედველობა. განსახილველი ფილოსოფოსის ღრმა აზრს მხოლოდ მაშინ გაიგებ და დამაჯერებლადაც გადმოსცემ, თუ ცდილობ დაეთანხმო მას. ისტორიკოსმა თავისი ფილოსოფიური მრწამსი დროებით უნდა დაივიწყოს, თორემ ის ხელს შეუშლის განსხვავებული აზრის სრულად გაგებაში.

სრულიად ამის საწინააღმდეგოა ვინდელბანდის, განსაკუთრებით კი ჰეგელის მეთოდი. მაგრამ ამან მხოლოდ დააზიანა მათი ისტორიული გამოკვლევები. ჰეგელის ფილოსოფიის ისტორია ღირებულია მხოლოდ როგორც მისივე მეტაფიზიკის ილუსტრაცია და ნაწილი; არა როგორც თვით ფილოსოფიის ისტორია. დიდმა მოაზროვნემ ფილოსოფიის ისტორიაც, ცხადია, ღრმად დაწერა; მაგრამ საკუთრივ ისტორიული მხარე მაინც დაზარალდა.

ნაკლებად მიკერძოებული იყო ვინდელბანდი; მაგრამ კანტიანური მრწამსიდან წერამ აქაც მხოლოდ ავნო საქმეს. მის ბრწყინვალე გამოკვლევებში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს ჭეშმარიტება კრიტიკულ ფილოსოფიაშია მოცემული. ეს მნიშვნელოვნად აუფასურებს კრიტიკული ფილოსოფიისგან განსხვავებულ აზრებს; უკიდურეს შემთხვევაში, მკითხველის თვალში მაინც. მათი ღირსეულად წარმოჩენა შეუძლებელი ხდება. ფილოსოფიის ისტორიის არაჩვეულებრივად მდიდარი გალერეა შედარებით უფერულდება. ფილოსოფიის დიდ ისტორიკოსს, უბრალოდ, არ შეეძლო თანაბრად ყურადღებიანი ყოფილიყო ყველა ფილოსოფოსის მიმართ, რაღაი კრიტიკული ფილოსოფია ინამა ფილოსოფიური აზროვნების მწვერვალად.


სერგი დანელია

ამიტომ სერგი დანელიამ მტკიცედ ირწმუნა: ფილოსოფიის ისტორიკოსი არ უნდა იკვლევდეს რომელიმე ფილოსოფიური დოქტრინის პოზიციიდან. ფილოსოფიის ისტორია არ უნდა იყოს მეტაფიზიკა ან მისი ნაწილი. ის უნდა იყოს პოზიტიური მეცნიერება ანუ გამოკვლევა, დაწერილი მსოფლმხედველობრივი მრწამსის გარეშე. ისტორიკოსი უნდა იყოს არა პიროვნება, არამედ მეცნიერი.

აი ამ წერტილში იყრებოდა ორი დიდი ქართველი მოაზროვნის — სერგი დანელიასა და შალვა ნუცუბიძის გზები.

სერგი დანელია მეცნიერია, ანალიტიკოსია, შალვა ნუცუბიძე კი, პირველ რიგში, შემოქმედია, სინთეზური სულის კაცია.

დანელიას ეჩქარება საგნის დაშლა; ნუცუბიძეს ეოცნებება საგნის შექმნა.

დანელია აერთებს მხოლოდ მას მერე, რაც დაშლის, დაანაწევრებს. ნუცუბიძე შლის და ანაწევრებს მხოლოდ მას მერე, რაც წინასწარ შექმნის.

დანელია ის ცხენოსანია, ვისაც ჭენების დროს მუდამ აღვირი ახსოვს. ნუცუბიძე კი ის ცხენოსანია, ვისაც ჭენების დროს სწორედ ჭენება ახსოვს.

პირველი ეძებს მხოლოდ ჭეშმარიტებას, მეორე — საინტერესო, შთამბეჭდავ აზრს. არც არავინ იცისო, ფიქრობს, რაა სწორი და რა არასწორი.

დანელია ფიქრობს, რომ მას ჭეშმარიტება გამოაჩენს. ნუცუბიძეს კი სწამს, რომ თვითონ გამოაჩენს ჭეშმარიტებას.

ნუცუბიძეს ბავშვის შექმნა სწადია ყველაზე მეტად; დანელიას — უკვე შექმნილი ბავშვის აღზრდა.

ამიტომ ნუცუბიძე მეტი გაქანების მოაზროვნე და პიროვნებაა. სამაგიეროდ დანელია უფრო კეთილსინდისიერი და სარწმუნოა. ნუცუბიძის ნაკვლევი არასოდეს არაა ისე უტყუარი და უთუმცაო, როგორც დანელიასი. სამაგიეროდ დანელიას თხზულება არ იძლევა იმდენ ინტრიგას და საზრდოს აზროვნებისთვის, რამდენსაც ნუცუბიძისა.

ასეა, რადგან დანელიასეული კვლევის დასასრულს საკითხი ბოლომდე ამოწურული ჩანს. გასაკეთებელი აღარაფერი რჩება. ნუცუბიძისეული კვლევის დასასრულს კი საკითხი ამოუწურავი ჩანს და მკითხველის წინაშე ახალი თვალსაწიერი იხსნება.

### 3. აზროვნების სინათლე

სერგი დანელია იშვიათი ანალიტიკოსია. მას შეუძლია საგანი დაშალოს უამრავ მარტივ მამრავლად და დიდოსტატურად აღადგინოს იგი ცნებაში. ამ ურთულეს წიაღსვლებში გაკვირვებს მისი აზროვნების არაჩვეულებრივი სინათლე.

ნათქვამის დასაზუსტებლად უპრიანია მივმართოთ ჰეგელის მეტაფორას. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ამბობდა, რომ ზედაპირი ნათელია. ცხოველს მეტყველება რომ შეეძლოს, ყველაფერს ნათლად იტყოდა. ასეა, რადგან მისი სათქმელი ზედაპირზე დევს.

ჩვეულებრივ ასე ხდება: ნათელ, გასაგებ აზროვნებას განაპირობებს ზედაპირულობა, ზედაპირულ საგნებზე ფიქრი. მაგრამ საგანი წინააღმდეგობებითაა აღსავსე. საკმარისია ზედაპირს გავცდეთ და თვით საგანს მივუახლოვდეთ, რომ აზრი გაბუნდოვანდეს. აზროვნება ღრმავდება, სამაგიეროდ ჩვეულ სინათლეს ჰკარგავს. თვით მოაზროვნე კი ეჭვებში ეხვევა.

ასეთი აზროვნება გაცილებით ღრმაა, მაგრამ უილაჯო და უნაყოფო. ჰეგელი ფიქრობს, რომ აზრი თავის ნამდვილობას აღწევს მხოლოდ მესამე საფეხურზე. საწინააღმდეგონი რიგდებიან. ადრე ორ საგნად რომ გვეჩვენებოდნენ და თავგზას გვიბნევდნენ, ახლა ერთი საგნის ორ მხარედ წარმოგვიდგებიან.

სწორედ ამ გერმანული დაკვირვებიდან გამომდინარეობს გოეთეს ნაკვესი მწერლის განვითარების შესახებ: „ჯერ ვწერთ მოკლედ და ცუდად, მერე — გრძლად და ცუდად, ბოლოს კი — მოკლედ და კარგად!"

ასეა, აზრი, ჰეგელის სწავლებით, მესამე საფეხურზე ისევ საგანს უბრუნდება; ოღონდ არა ზედაპირულს, არამედ მთლიანს, ნამდვილს. აზრი ისევ ნათელი ხდება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოღონდ არა ზედაპირულობის, არამედ საგნობრიობის გამო. აქამდე წინააღმდეგობა გვიშლიდა ხელს — საცა წინააღმდეგობაა, იქ საგანი არა ჩანს. იქ საგანთა შეხლა-შემოხლა ანუ ქაოსია. მესამე საფეხურზე წინააღმდეგობა ხელს აღარ გვიშლის საგნის დანახვაში, რადგან ის საგნის შიგნით გადაინაცვლებს და სწორედ საგანი ჩანს მთელი თავისი მდიდარი შინაარსით.

სწორედ ასეთია დანელიასეული აზროვნების სინათლე. ის საგანთა სიღრმიდან მომდინარე ნათელია.

წინააღმდეგობა არხეინადაა დამკვიდრებული საგანთა გულისგულში, მთელ ჩვენს ცხოვრებაში. მისგან მოსვენება არაა. ყველაფერს თავისი მტერი ჰყავს — ყოველ აზრს, ყოველ სურვილს. წინააღმდეგობა ღლის ჩვენს გულს, ასუსტებს აზრს, ჰფიტავს სასიცოცხლო ძალას.

ამიტომ ადამიანს ბუნებით სძულს აზრის ჩაღრმავება. იგი ესწრაფის ზედაპირულობასა და ქარაფშუტობას. ამითვე აიხსნება ადამიანთა მიდრეკილება მონობისკენ — ჩვენ გვეზარება აზროვნება, ვითარცა აღმართზე სიარული. გვირჩევნია მზამზარეული აზრების აღება და თუთიყუშივით გამეორება, რაიც დაღმართზე ჩასრიალებასა ჰგავს.

წინააღმდეგობა ისე მკვიდრადაა-მეთქი საგნებში, რომ გვიკვირს ხოლმე აზროვნების სინათლე. ასე სასიამოვნოდ გვაკვირვებს სერგი დანელიას აზროვნება. ის ურთულეს საგნებზე წერს ისე, რომ არაფერს გამოტოვებს. მაგრამ მკითხველი, ვინც წინასწარ მზად იყო დაძაბულობისთვის, სასიამოვნოდ გაკვირვებული რჩება — როგორღაც მსუბუქად განაგრძობს კითხვას.

ეს ის სინათლეა, რაიც ღმერთმა ინება — იქმენინ ნათელიო! რაიც გოეთემ ისურვა სიკვდილის წინ — მეტი სინათლეო! ის ადამიანის აზროვნებიდან კი არ მოედინება, არამედ საგანთა იდუმალი ბუნებიდან. ეს ნასწავლი სინათლე არაა. ეს საიდუმლო სინათლეა, რაიც ან გაქვს, ან არა. თუ გაქვს, შეიძლება არ დაკარგო. ხოლო თუ არ გაქვს, ვერც ვერასდროს შეიძენ.

ქართული ფილოსოფიის ისტორიაში აზროვნების სინათლით გაითქვა სახელი კოტე ბაქრაძემაც. ისიც საოცრად ნათლად გადმოსცემდა ურთულეს აზრებს. სერგი დანელიას თავისებურების გასახაზად ზედმეტი არ იქნებოდა მათი შედარება.

მთავარი განსხვავება ფილოსოფიის ისტორიის საგნის გაგებაშია. კოტე ბაქრაძის აზროვნება ბავშვობიდანვე მათემატიკური გემოვნებით გამოირჩეოდა. ფილოსოფიაც მას ესმოდა მათემატიკური ტიპის აზროვნებად.

ამან გავლენა იქონია ფილოსოფიის ისტორიის გაგებაზე. ამა თუ იმ ფილოსოფოსის ნააზრევში მას აინტერესებდა შინაგანი მათემატიკური სიმწყობრე; ხოლო ფილოსოფიის ისტორიაში — პრობლემის განვითარების ლოგიკური ხაზი.

მისი აზროვნების სინათლეც მათემატიკური სინათლე იყო. მსგავს სინათლეს ვხედავთ ჩვენ გეომეტრიაში, თეორემის დამტკიცებისას. ეს სინათლე იგულისხმებოდა კარტეზიანულ Lumen naturale-ში.

მართალია, აქ თითქოს ბუნების სინათლეზეა ლაპარაკი, მაგრამ თვით ბუნება კარტეზიანელებს მათემატიკურ ქმნილებად ესმოდათ; ზუსტად ისე, როგორც მათი დიდი პაპა გალილეი ენაკვიმატობდა: ბუნება მათემატიკის ენაზე დაწერილი წიგნიაო.

აზრთა ეს წყობა სრულიად ლოგიკურად დაასრულა კანტმა ბუნებისა და ნიუტონის წიგნების გაიგივებით. ამით გოეთეს გულისწყრომაც დაიმსახურა.

სხვაა დანელიასეული აზროვნების სინათლე. სერგი დანელია, ბაქრაძისგან განსხვავებით, სოფელში დაიბადა და გაიზარდა. ამიტომ ის პოეტური გემოვნების კაცი იყო. ფილოსოფია მას ესმოდა პოეზიასთან განუყრელ კავშირში; ცნებითი და მხატვრული აზროვნების პირველქმნილ ერთობად; არა თავის თავში ჩაკეტილ მათემატიკურ სისტემად, არამედ მთელი კულტურის ნაწილად და დედაარსად.

ამიტომ ფილოსოფიის ისტორიის წერისას მას იმთავითვე უფრო ფართო საგანთან ჰქონდა საქმე, ვიდრე ბაქრაძეს — მთელ კულტურასთან. ეს მოითხოვდა დიდ განსწავლულობას. სერგი დანელიამაც სრულყოფილად იცოდა როგორც ძველი, ისე ახალი ევროპული ენები. ის კარგად იცნობდა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკას; აგრეთვე ძველი მსოფლიოს და დასავლეთ ევროპის ხალხთა ისტორიებს.

მისი გამოკვლევები იწერებოდა ამ დიდი განსწავლულობისა და ცოდნის საფუძველზე. გამოსაკვლევ საგანს ის მთელ ისტორიულ ეპოქასა და კულტურასთან კავშირში განიხილავდა. ამ მხრივ დანელიასეული ფილოსოფიის ისტორია ტოლს არ უდებს, თუ არ აღემატება კიდეც, ვინდელბანდისას.

აქედან გასაგებია დანელიასეული აზროვნების სინათლის თავისებურება. ეს არ ყოფილა მხოლოდ მათემატიკური სინათლე. ეს ხშირად ცოცხალი ჭვრეტისთვის დამახასიათებელი მხატვრული, პოეტური სინათლე გახლდათ. ეს იყო არა მხოლოდ გუთებისა და არაბებისათვის დამახასიათებელი Lumen naturale, არამედ ბერძენთა „ფიუზის"-ის მითიური ციმციმიც.

ეს უკანასკნელი სიბნელის განათება როდია, რასაც მათემატიკა ცდილობს; ის სიბნელის ნათლად ჩვენებაა, რასაც პოეზია ესწრაფის. სწორედ ეს ინება ღმერთმა შემოქმედების პირველსავე დღეს, ხოლო გოეთემ — შემოქმედების ბოლო წამს.

მათემატიკოსებს, ვფიქრობ, ნაკლებად ესმით სიბნელის ფასი. ისინი მხოლოდ სინათლეს ეტრფიან დილის ტოროლებივით; სინათლის მოფენას ახარებენ ქვეყნიერებას.

მაგრამ სიბნელის გამოტოვება საწყისის გამოტოვებაა უთუოდ, რადგან ყველაფერი, მათ შორის სინათლეც, სიბნელიდან მოღელავს. თავიდან იყო წყვდიადი, ხოლო ნათელი მისგან იშვა, ვითარცა ჰესიოდე მოგვითხრობს.

დიდი შემოქმედება ერებოსისგან ნაკვესი ნაპერწკალია. სხვა არც არაფერია შემოქმედება, თუ არ წყვდიადის ხილვა და წყვდიადადვე ჩვენება.

## 4. მსოფლმხედველობა

სერგი დანელია მოითხოვდა ფილოსოფიის ისტორიიდან თვით ისტორიკოსის მსოფლმხედველობის განდევნას.

ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ თვით ისტორიკოსს, ვითარცა პიროვნებას, თავისი მსოფლმხედველობა არ გა-

აჩნია. მას, ცხადია, აქვს მსოფლმხედველობა, მაგრამ მეცნიერული კვლევისას ის განზე უნდა გადადოს. ასე უნდა მოიქცეს, თორემ ის ხელს შეუშლის და საგანს დაუმახინჯებს.

სერგი დანელიას, ცხადია, ჰქონდა თავისი მსოფლმხედველობა. ეს უკანასკნელი ჩანდა მის პირად ცხოვრებაში და იკითხება ნაწერებიდანაც. მის შემოქმედებასა და ცხოვრებასთან გაცნობა გვარწმუნებს, რომ მისი მსოფლმხედველობის გული ზნეობის პირველობაა. მას რომ ეცადა თავისი ფილოსოფიის შექმნა, ვფიქრობ, ეთიკურ ფილოსოფიას შექმნიდა.

ამიტომ აირჩია ახალგაზრდა ფილოსოფოსმა სადოქტორო თემად ქსენოფანე კოლოფონელი და ამიტომ განმარტა ეს ფილოსოფოსი ეთიკური იდეალიზმის პირველ მესიტყვედ.

ეს ცივი და მიუდგომელი მკვლევარი ვერ მალავს სიმპათიებს ამ შედარებით უჩინარი ფილოსოფოსის მიმართ — ეპოქა შექმნაო ფილოსოფიის ისტორიაში. თუ მანამდე წმინდა ცნობისნადილის გამო ფილოსოფოსობდნენ, ამ კოლოფონელმა რაფსოდმა ფილოსოფია ზნეობის პრობლემათა გადასაწყვეტად მოიმარჯვაო.

როგორც ჩანს, ფილოსოფიის მთავარ კითხვად სერგი დანელიას „ყოფნა-არყოფნის" საკითხი მიაჩნდა; არა ის, თუ რისგან შედგება ყველაფერი, ან რისთვის არსებობს რაიმე, არამედ ის, თუ რამდენადაა გამართლებული თვით არსებობა.

ჩვენი ფილოსოფოსი საფუძვლიანად იკვლევდა ჰელვეციუსის ზნეობრივ თვალსაზრისს, კანტის ეთიკას, ვაჟაფშაველას ეთიკურ მრწამსს, ქართველი ერის ზნეობრივ ცნობიერებას. მისი „ნარკვევების" შუაგულში ეთიკური პრობლემატიკა დგას. ყველა რუსი მწერალი და პოეტი, ყველა ლიტერატურული გმირი ეთიკური საკითხიდან არის გაშუქებული. ხოლო ყველაფერი ეს იმიტომ, რომ მას ფილოსოფიაში ყველაზე მეტად ეთიკური პრობლემატიკა იზიდავდა.

მეოცე საუკუნის გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსები ნამეტანი ჩააცივდნენ შემეცნების, კერძოდ კი, მეცნიერული შემეცნების საკითხებს.

შალვა ნუცუბიძეს ჭეშმარიტების არსებობის სპეციფიკის საკითხი მოეწონა და მათემატიკოს ბოლცანოთი დაინტერესდა.

მოსე გოგიბერიძე მათემატიკური შემეცნების პერსპექტივებმა მოხიბლა, თუმცა კი ოთხი საუკუნე იყო გასული დეკარტისა და ჰობსის მერე.

კოტე ბაქრაძემ კლასიკური გერმანული იდეალიზმის ყველაზე ყავლგასული და, მე მგონი, ყველაზე სუსტი მხარის — ეგრეთწოდებული დიალექტიკური ლოგიკის აღდგენა სცადა. სხვათა შორის, შემდეგში მან, ვითარცა სალი განსჯის კაცმა, ჩქარა უარყო ასეთი ლოგიკის შესაძლებლობა და ენერგიულად დაუპირისპირდა თავის მოწაფეს, სავლე წერეთელს, ვინც თვითონვე დააყენა ამ გზაზე.

ამის მერე კოტე ბაქრაძე საბოლოოდ ჩაუღრმავდა მეცნიერული შემეცნების საკითხებს. მის ზემოხსენებულ მოწაფეს კი მთელი ცხოვრების მანძილზე ეჩვენებოდა, რომ არსებობს ფილოსოფიის რაღაც განსაკუთრებული ლოგიკა, რომელსაც „უსასრულო დასკვნის" სახე აქვს. ამ, თუ არ ვცდები, აკვიატებულ იდეას შეალია ამ დიდად ნიჭიერმა და ზნეობრივად სპეტაკმა მეცნიერმა თავისი ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების უმეტესი ნაწილი.

ამ ფილოსოფოსებმა, ცხადია, მოწაფეებსაც გადასდეს შემეცნების თეორიისადმი განსაკუთრებული ინტერესი. ისინი წერდნენ და ასწავლიდნენ ფილოსოფიის ისტორიას, ძირითადად, შემეცნების თეორიის კუთხიდან. მათ მიერ დაწერილ და ლექციების კურსად წაკითხულ ფილოსოფიის ისტორიაში ლომის წილი შემეცნების თეორიის ისტორიას ეკავა. ეთიკის, ესთეტიკის, ისტორიისა და მეტაფიზიკის საკითხები შედარებით ჩრდილში რჩებოდა.

ვფიქრობ, ეს არსებითად პოზიტივიზმი იყო და კარგად ეთანხმებოდა საბჭოთა სახელმწიფოს ოფიციალურ ფილოსოფიურ დოქტრინას, რაიც, თუ არ ვცდები, არათანმიმდევრულ პოზიტივიზმს წარმოადგენდა.

ამ ფილოსოფოსთა დამსახურება მეოცე საუკუნის ქართული კულტურის წინაშე უდავოა. ისინი პატიოსნად და ღრმად ამუშავებდნენ და ასწავლიდნენ იმას, რაც სწამდათ. მაგრამ პოზიტივისტური სულისკვეთება გულღვიძლს აცლის ფილოსოფიას და საბოლოოდ ნიჰილიზმს ამკვიდრებს ფილოსოფიის მიმართ.

ვინ იცის, იქნებ ამ ნიჰილიზმის ბრალიცაა ფილოსოფიის სრული კრახი ოცდამეერთე საუკუნის დამდეგის საქართველოში. აღნიშნული გვარდიის მესამე თაობამ პოსტმოდერნული შეთქმულება მოუწყო ფილოსოფიას და ხელი შეუწყო საუნივერსიტეტო სწავლებიდან მის ამოღებას. საქართველოში ფილოსოფიური აზროვნების კულტურა, ეტყობა, დასრულდა. მაგრამ იმედი მაქვს, რომ ამით არაფერი დააკლდება მსოფლიოს ფილოსოფიურ აზროვნებას.

ფრიად საინტერესოა, რომ ზემოხსენებულ ბატონებს შემეცნების საკითხებით გატაცება დასავლეთის სახელგანთქმულ უნივერსიტეტებში დაემართათ, სადაც მივლინებულნი იყვნენ სასწავლებლად. არადა იქ ომისშემდგომი დეკადენტური განწყობილება სუფევდა და შემეცნების საკითხები სერიოზულ ფილოსოფოსებს აღარც კი ახსოვდათ.

იქ ჰამლეტური კითხვა ტრიალებდა. ფილოსოფოსთაგან და ხელოვანთაგან უკეთესნი არსებობის საზრისის ეთიკური საკითხით იყვნენ შეპყრობილნი. მეცნიერული შემეცნების საკითხებს მათ ვერც კი უხსენებდი.

ფილოსოფიის ეთიკურ სულისკვეთებას ჩვენში დიტო უზნაძე, კოსტა კაპანელი და სერგი დანელია ამკვიდრებდნენ.

პირველის შემოქმედი გონება ქვეყნის იდეოლოგიურ არტახებს გაერიდა და ფილოსოფიიდან ფსიქოლოგიაში გადაინაცვლა. იქ კი, საბედნიეროდ, ფრიად თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია.

მეორემ საერთო ენა ვერ გამონახა შემეცნების თეორიით ალტყინებულ ფილოსოფიურ ჯგუფთან და გაირიყა. უმუშევრად დარჩენილი და ყველასგან მიტოვებული, მარტოსული ფილოსოფოსი სრულ სიდუხჭირეში გარდაიცვალა.

სერგი დანელიამ კი თავი რუსულ ლიტერატურას შეაფარა და ფილოსოფიის ისტორიკოსობა რუსული ლიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატურის ისტორიის ფილოსოფიური კვლევის სახით განაგრძო. აქაც იგი ეთიკურ პრობლემატიკას დასტრიალებდა და ფილოსოფიაში ეთიკური მიმართულების მომხრედ რჩებოდა. ქვეყნიერების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მას პიროვნება მიაჩნდა; ხოლო ფილოსოფიის მთავარ საგნად — ცხოვრების საზრისის გარკვევა.

თავს უფლებას მივცემ ვივარაუდო: ქსენოფანე კოლოფონელის ფრაგმენტების განმარტება და მისი მსოფლმხედველობის დადგენა, პრაქტიკულად, იყო სერგი დანელიას მიერ თავისი საკუთარი მსოფლმხედველობის გამოთქმა. ასეთი, ესე იგი, კოლოფონელისნაირი იყო თვით სერგი დანელიას მსოფლმხედველობა. ასე შეიძლება დავასკვნათ მისი გამოკვლევების სულისკვეთებიდან.

სერგი დანელიას სწამდა, რომ პიროვნება არის ადამიანის მიმართება ღვთაებასთან. ხოლო ღვთაება მას ესმოდა ბუნებაზე უსასრულოდ აღმატებულ სუბსტანციად. ამიტომ მოსწონდა კოლოფონელის „მონოთეიზმი". მართლაც, ბუნებაში განფენილი ან ბუნებისნაირი ღმერთი ალვირახსნილ დემონების გუნდს უტოლდება, რასაც ჩვენ ვხედავთ ბერძნული ოლიმპოს მკვიდრთა სახით.

მხოლოდ ერთ, „მონოთეისტურ" ღმერთსა აქვს ზნეობრივი შინაარსი და მხოლოდ ის შეიძლება სწამდეს პიროვნებას. პიროვნული თვითცნობიერება ნიშნავს ადამიანის ამაღლებას თავის ინდივიდუალობაზე, საერთოდ ბუნებაზე, და ბუნებრივად სრულიად აუხსნელ ეთიკურ სულისკვეთებას.

ამაშია პიროვნების ტრაგედია. ის ილუპება ბუნებასთან და მის ნაშიერებთან ანუ საზოგადოებასთან უთანასწორო ჭიდილში. სწორედ ასე განმარტავდა სერგი დანელია ვაჟა-ფშაველას ტრაგიკულ გმირებსაც.

ეს ტრაგიკული კვანძი აწუხებდა და ტანჯავდა მას სიყმაწვილიდანვე. მან საგანგებოდ გამოიკვლია დიდი ფრანგი მოაზროვნის, ჰელვეციუსის ეთიკა, რათა მოეძია არგუმენტები ბუნებისა და ცხოვრების სიხარულის სასარგებლოდ. მაგრამ პირიქით, რწმუნდებოდა ამ არგუმენტების უკმარისობაში და „მონოთეისტური ეთიკის" სისწორეში.

ამიტომ დაინტერესდა კანტის ფორმალისტური ეთიკით. როგორ ეტყობა ამ პატარა, მაგრამ ბრწყინვალე გამოკვლევას ავტორის მეტაფიზიკური ორჭოფობა. აბაშის ნაპირებზე გაზრდილ წარმართ კოლხს ეუცხოება პროტესტანტი ბრძენის მშრალი, უბუნებო ეთიკა.

მაგრამ ის თითქოს იძულებულია დაეთანხმოს კანტს: ეთიკური ქცევის საფუძველი მხოლოდ ბუნების მიღმა ჰგიებს. ასეთ საფუძვლად წარმოუდგებოდა ჩვენს ფილოსოფოსს ღვთაება; ოღონდ არა შემოქმედი, არამედ მხოლოდ მიზანი. ასეთი ღვთაება უთანასწორო, მარცხიან ომში გადაგისვრის, მაგრამ არ გეხმარება. ის მხოლოდ მიმართულებას გაძლევს.

ნამდვილი რწმენაც ალბათ ესაა. უანგაროდ სწამს მხოლოდ მას, ვინც მზადაა „დათმოს სოფელი" და იტანჯოს სიწმინდისათვის.

ასე იგერიებდა ფიცხი კოლხი მეოცე საუკუნის მთავარ სიტყვას: „ადამიანი კვდება!"; რომ იგი მხოლოდ მიზეზობრიობის მიწიერი, ჟანგიანი ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია; ხოლო მისი თავისუფლება — ავადმყოფობა.

მარიამ გიორგაშვილი

# ჰამლეტის (არა)ლიტერატურული ინტერპრეტაციისთვის

რობერტ სტურუამ ჰამლეტი 4-ჯერ დადგა: პირველად 1992 წელს, ინგლისში, რივერსაიდ სტუდიოში, ალან რიკმანის მონაწილეობით. შექსპირის საერთაშორისო საზოგადოებამ ეს სპექტაკლი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ჰამლეტის საუკეთესო დადგმების ხუთეულში შეიტანა. მეორედ 1998 წელს, მოსკოვში, თეატრ სატირიკონში, კონსტანტინე რაიკინის მონაწილეობით. მესამედ 2004 წელს ანკარაში, ანკარის სახელმწიფო თეატრში. ჰამლეტის თბილისური პრემიერა კი 2001 წლის 21 ნოემბერს რუსთაველის თეატრში გაიმართა. ამ უკანასკნელმა დადგმამ ცვლილებები განიცადა და მისი ხელახალი პრემიერა 2006 წელს შედგა. ტექსტისა და მისი სასცენო ინსცენირების ინტერპრეტაციისათვის სწორედ ამ უკანასკნელზე შევაჩერეთ ჩვენი ყურადღება.

როცა საქმე ეხება ისეთ ნაწარმოებს, რომლის შინაარსი ყველასთვის ცნობილია, ხოლო ცალკეული ფრაზები უკვე შაბლონებადაა ქცეული ყოველდღიურ მეტყველებაში, ყოველი ახალი დადგმა დღევანდელ ექსპერიმენტთა და ზღვა ინფორმაციის ეპოქაში ბეწვის ხიდზე სიარულს ჰგავს: რამდენიმე ზედმეტი დეტალი და შეიძლება სპექტაკლი მკვდრადშობილი, მაყურებლისთვის მოსაბეზრებელი გამოვიდეს.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ სტურუასეული დადგმა ჰამლეტისა (ჰამლეტი — ზაზა პაპუაშვილი) არ არის კლასიკური. იგი თავისუფალი ინტერპრეტაციაა პიესისა. რეჟისორი ხშირად არღვევს ეპიზოდთა თანმიმდევრობას, ზოგ შემთხვევაში ცვლის ტექსტს, ერთი პერსონაჟის სიტყვებს სხვა ამბობს. კოსტიუმები და დეკორაციაც მეტად პირობითია, უგულებელყოფილია მსახიობთა ასაკი, ვიზუალური მხარე. გმირების გარეგნობა მათ ხასიათსა და მსოფლმხედველობას ასახავს და არა იმ ეპოქაში გაბატონებულ მოდას. სასცენო დეკორაცია შედგება ე.წ. ფერადი ორგმინებისგან, რომლებზეც რენესანსული პორტრეტებია გამოსახული. ამ დეტალების გარდა მთელ სცენაზე არაფერია ისეთი, რაც კონკრეტულ ეპოქაზე მიგვანიშნებს.

*ვინ არის შექსპირის ჰამლეტი?* იგი ფილოსოფოსია, თუკი ამ სიტყვის მნიშვნელობაში ვიგულისხმებთ ადამიანის განსაკუთრებულ, რეფლექსიურ დამოკიდებულებას სამყაროსადმი. იგი გამუდმებულ დიალოგშია საკუთარ თავთან, ფიქრობს, ეჭვობს, განიცდის, სვამს კითხვებს, ეძებს პასუხებს. იგი მარტოა დარჩენილი იმ სიყალბის წინაშე, რომელიც ყველას და ყოველივეს მსჭვალავს სამეფო კარზე. ცხოვრება, როგორც თამაში — სწორედ ეს ბადებს ტრაგიკული რეფლექსიის ატმოსფეროს. ცხოვრების თამაშთან და ადამიანების მსახიობებთან შედარება

შექსპირამდეც გვხვდება და შექსპირიც რამდენჯერმე მიმართავს თავის პიესებში, თუმცა ეს მეტაფორა ჰამლეტში ახალ და უფრო მრავალსაფეხუროვან დატვირთვას იძენს. ცხოვრების თეატრად წარმოდგენა აქ ორგანულად უკავშირდება მოჩვენებითისა და ნამდვილის ანტითეზას. ჰამლეტის ირგვლივ ყველაფერი ორაზროვანი და ორპლანიანია: კლავდიუსი, რომელსაც ძმის სისხლი აწევს კისერზე, მუდმივად თამაშობს, პირფერობს, ჰამლეტს სხვების გასაგონად შვილს ეძახის და ამასთან მის სიკვდილს ნატრობს. ოფელიას კდემამოსილების მიღმა რაღაც ისეთი იმალება, რაც ჰამლეტს ზარავს, იგი სუსტი და დაუცველია, მამისა და მეფის ხელში მარიონეტად ქცეული. გერტრუდას რეალური დანაშაულიც ნათელი არ არის (ბოლომდე გამოუცნობი რჩება, რა ურთიერთობაში იმყოფებოდა იგი კლავდიუსთან მეფის მკვლელობამდე). ჰამლეტს ზარავს ის, რომ დედოფლის ძაძები ოდენ ფასადური გამოხატულებაა მისი გლოვისა, მისი ცრემლები კი ნიანგის ცრემლებია. პოლონიუსი — თვალთმაქცი კარისკაცი, რომელიც მეფის პირმოთნეა. ჰამლეტის მეგობრები, როზენკრანცი და გილდენსტერნი, რომლებიც ჰამლეტის ზურგს უკან მეფის ბრძანებებს ასრულებენ. მთელი ეს ორსახოვნება ტრაგიკული რეფლექსიის ატმოსფეროს ბადებს და ამძაფრებს ჰამლეტის ნიჰილიზმს. გმირის წინაშეა დილემა, რომელი სახე ინამოს ნამდვილად, სად მთავრდება სახიობა და იწყება სინამდვილე.



მხატვარი დიმიტრი ერისთავი

*ვინ არის სტურუას ჰამლეტი?* მისი პირველი ფრაზა, როდესაც იგი სცენაზე ჩნდება, იმ კონცეფციის გამოხატულებაა, რაც მთელ სპექტაკლს გასდევს: მგონი რაღაც დალპა ამ სამეფოში. ურთიერთობების სიყალბე, უნდობლობა სპექტაკლშიც მძაფრად იგრძნობა. სწორედ ეს დამპალი სამეფოა ჰამლეტისთვის საპყრობილე, რომელიც მისი ბედისწერაა, რომელიც გაანადგურებს მას. რეჟისორი პერსონაჟთა უტრირებას მიმართავს, უფრო მეტად კომიკური ელემენტებით ტვირთავს სპექტაკლს, ვიდრე ტრაგიკულით. სტურუას ჰამლეტი ნაკლებად მოაზროვნე და მოლაპარაკეა, ბევრს მოძრაობს, ხშირად უმიზნოდ. სიტყვების ნაცვლად უაზრო ფრაზები, უსუსური ხავილი ამოხდება ხოლმე.

პერსონაჟთა უტრირება ვახსენეთ და აქვე უნდა ვთქვათ — უცნაურად გამოიყურება მამის აჩრდილიც. მაყურებლის მოლოდინის მიუხედავად, რომელსაც აჩრდილი პირქუში, ცივი და დამთრგუნავი წარმოუდგენია, სცენაზე ჩნდება ლამის ოთხად მოკეცილი, უცნაური ჩაცმულობის გარდაცვლილი მეფე. მას აბჯრის ნაცვლად დახეული სამოსი აცვია და მუზარადის ნაცვლად უბრალო რეზინის ქუდი ახურავს. თუკი შექსპირთან იგი მეფური დიდებულებით მოევლინება გუშაგებს, სპექტაკლში ეს უგულებელყოფილია. პირიქით, რომ არა ცოდნა იმისა, ეს მეფის აჩრდილიაო, ვერავინ იფიქრებს, რომ ეს არსება ოდესღაც მეფე იყო. ეს აჩრდილი კი არა, აჩრდილის აჩრდილი უფროა.

შექსპირი არის ავტორი, რომელთანაც ძნელია კომიკურისა და ტრაგიკულის ზღვრის დადგენა. სტურუა ეძებს და პოულობს პერსონაჟებში კომიკურს, წინა პლანზე წამოსწევს იუმორს და ხშირად მიმართავს გროტესკს. მთელი სპექტაკლის მანძილზე არ გშორდება განცდა იმისა, რომ უყურებ არა ტრაგედიას, არამედ ტრაგედიის პაროდიას. გროტესკულია დედოფლის, გარდაცვლილი მეფის აჩრდილის, როზენკრანცისა და გილდენსტერნის სახეები. გერტრუდა (ნინო კასრაძე) მსუბუქი ყოფაქცევის ქალს უფრო ჰგავს, ვიდრე დედოფალს. გამომწვევია მისი პლასტიკა, მეტყველება, ჩაცმულობა. ეს არის შექსპირისეული გერტრუდას კარიკატურა, გერტრუდასი, რომელმაც მეუღლის ქელეხი და თავისი ხელახალი ქორწინება ერთმანეთს დაამთხვია, და რომელიც მთელი ტექსტის მანძილზე დედოფლური სიზვიადისა და სიდინჯის ქვეშ ფარავს რაღაც ისეთს, ბოლომდე აუხსნელს, რაც ჰამლეტს ათქმევინებს: არარაობავ! დედაკაცი უნდა გერქვას შენ!

გროტესკულია როზენკრანცისა და გილდენსტერნის სცენური სახეებიც: ისინი პირუტყვებივით ოთხზე დადიან და ერთ ხმაში საუბრობენ, ერთნაირები არიან, ერთნაირად მლიქვნელნი და მოღალატენი. სცენაზე აჩრდილივით დაფარფატებს ოფელიაც (ია სუხიტაშვილი). მისი მეტყველება მინიმუმამდეა დაყვანილი. აქცენტი მის პლასტიკასა და მიმიკაზე კეთდება. პერსონაჟის ასე წარმოდგენა ხაზს უსვამს მის ხასიათს ოფელია ხომ უმწეო, უსუსური, მორჩილი გოგოა, მამისა და მეფის ხელში სათამაშოდ ქცეული.

უნდა აღინიშნოს, რომ მსახიობთა მოძრაობა სცენაზე ხშირად ქაოტურია. კლასიკურად დადგმული სცენების

გვერდით გვხვდება ე.წ. ბალაგანური სცენები. ყველაფერი ეს მინიმალური ინფორმაციის შემცველი დეკორაცია, გროტესკული პერსონაჟები, სარკასტული დიალოგები, მსახიობთა პლასტიკა (ხშირად უმიზნო მოძრაობები) დაშორებულია ჰამლეტის კლასიკურ ინტერპრეტაციებს.

როგორც უკვე ვთქვით, სტურუას ჰამლეტი ნაკლებად მოაზროვნეა. კონცეფცია, რომელსაც რეჟისორი სპექტაკლში ატარებს, მაქსიმალურად გამორიცხავს ყოველგვარ მაღალფარდოვან ფრაზას. იგი გამუდმებით თამაშობს მაყურებლის მოლოდინის ჰორიზონტზე, სთავაზობს ტექსტის იმგვარ ინსცენირებას, რომელსაც მაყურებელი ნაკლებად ელის. სწორედ მოულოდნელობის ეფექტზეა გათვლილი ჰამლეტის ცნობილი მონოლოგის ყოფნა-არყოფნა — სტურუასეული გადაწყვეტა: მთელი დეკორაცია ჰამლეტის ირგვლივ კონცენტრირდება, პრინცს მსახიობი აწვდის ფურცელს, რომელიც ერთგვარი შპარგალკაა. ჰამლეტი ინგლისურად წარმოთქვამს მონოლოგის პირველ სიტყვებს: To be or not to be. მაყურებელი მის ამაღელვებელ გაგრძელებას ელოდება, თუმცა მოლოდინი არ მართლდება ჰამლეტი წვავს მონოლოგს და ჟანგიან ვედროში გადაუძახებს. შემდეგ კი მონოლოგის ბოლო ფრაზას ამბობს: და გონება, სალი გონება, ჩემს სიმამაცეს ასამარებს.

რეჟისორის მხრიდან მონოლოგის სცენის ამგვარი გადაწყვეტა შეიძლება თამამ ექსპერიმენტად ჩავთვალოთ. თუკი ვიტყვით, რომ სპექტაკლი არ არის ტრაგიკული პათოსისა, რომ აქ უფრო დაცინვაა მაღალფარდოვანი ფრაზებისა და გადაპრანჭული პოზიორობისა, ვიდრე ღრმაფილოსოფიური განაზრებანი, მაშინ ეს მონოლოგი კონცეპტუალურად არ თავსდება წარმოდგენის არცერთ ნაწილში. ჰამლეტს აღარ აქვს არჩევანი ყოფნასა და არყოფნას შორის. უნდობლობითა და ეჭვებით სავსე სამყაროში, სადაც აჩრდილები და ადამიანები გვერდიგვერდ ცხოვრობენ, ყოფნასაც და არყოფნასაც ერთნაირი ფასი აძევს მოუხელთებელია ზღვარი მათ შორის, რიტორიკულ კითხვას კი — ყოფნა თუ არყოფნა — დაკარგული აქვს მნიშვნელობა.

(აქვე მინდა გავიხსენო 1971 წელს ტაგანკაზე ვლადიმერ ვისოცკის მიერ განსახიერებული ჰამლეტი (რეჟ. ლიუბიმოვი). სპექტაკლის განმავლობაში მსახიობი სამჯერ წარმოთქვამს ცნობილ მონოლოგს პირველად სრულად, შემდეგ მხოლოდ დასაწყის ნაწილს. თითქოს მთელი წარმოდგენის მანძილზე მის თავში მხოლოდ ეს კითხვა ტრიალებს. ვისოცკის ჰამლეტისთვის არსებითია ყოფნისა და არყოფნის ანტითეზა. იგი სიკვდილისა და სიცოცხლის ზღვარზე ცხოვრობს (სცენაზე დაყრილი მიწა, რომელიც საფლავს განასახიერებს, სიმბოლურად სწორედ ყოფნასა და არყოფნას შორის მიჯნას გულისხმობს).

სტურუასეული ჰამლეტის დეკორაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალი საფლავია. სცენის წინა ნაწილი წარმოადგენს მოძრავ ფიცარს, საფლავს, ქვესკნელს, რომლიდანაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა პერსონაჟები ამოდიან და რომელშიც ბოლოს ყველა ერთად აღმოჩნდება. გოგი გვახარიას აზრით, რობერტ სტურუა ამ ეპიზოდში დაუფარავად მიმართავს პეტერ შტაინის "ჰამლეტის" ციტირებას – შექსპირის ტრაგედიის გმირები საფლავში ემხობიან, მერე კი ხან ერთი და ხან მეორე წამოდგება ხოლმე "ქვესკნელიდან". ეს კიდევ ერთხელ ამხელს, რომ სტურუას გმირები აჩრდილები არიან და რომ მათ ისეთივე ცოტა აქვთ საერთო რენესანსულ პერსონაჟებთან, როგორც სპექტაკლში ასახულ დროს მე-17 საუკუნესთან. სტურუა გვიყვება მკვდარ დროზე, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლებულა წარსულის აჩრდილებისგან.*

ამ მხრივ საინტერესოა სპექტაკლის ფინალი. ალბათ, ყველას გვახსოვს, როგორ მთავრდება შექსპირის პიესა: ყველა იხოცება და მოდის ახალი ლიდერი, ფორტინბრასი, რომელიც ჰამლეტის პატივით დაკრძალვის ბრძანებას გასცემს. *სტურუასეული ინტერპრეტაცია ფინალისა ცოტა პროვოკაციულია.* ისევე, როგორც მთელი სპექტაკლის მანძილზე, ახლაც მისი ყურადღების ცენტრში არ არის დანიელი უფლისწულის, როგორც ერთი კონკრეტული პიროვნების ბედი. მეტიც, ორთაბრძოლის სცენა თითქოს მიფუჩეჩებულია, მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით ენაცვლება ერთმანეთს. ჰამლეტი კვდება, მაგრამ არა ისე, როგორც იხოცებიან სხვა პერსონაჟები. ის ბარბაცით, არეული ნაბიჯით, აჩრდილივით გაემართება სცენის სიღრმისკენ. სწორედაც რომ აჩრდილივით. ჰამლეტი სტურუას სპექტაკლის მთავარი აჩრდილია. გვამებით მოფენილი სცენა ბნელდება. მომდევნო მიზანსცენაში მოდის ახალი ლიდერი ფორტინბრასი. მაყურებელი ხედავს, რომ ეს ის კაცია, რომელიც სპექტაკლის პირველივე წუთიდან სცენის წიაღში იჯდა გაუნძრევლად და გაზეთს კითხულობდა. იგი მთელი ამ ხნის განმავლობაში იქ იყო. უბრალოდ ერთი სკამიდან დგება და ახალ სკამზე უნდა გადაჯდეს. მაგრამ მაყურებელს კიდევ ერთი მოულოდნელობა ელის — ფორტინბრასის როლს ზაზა პაპუაშვილი თამაშობს. არსებითად ეს ის აჩრდილია, რომელიც არ მომკვდარა, უბრალოდ ერთი დროითი ჩარჩოდან მეორეში გადაინაცვლა. იგი ისეთივე ცინიკოსია, როგორც ჰამლეტი და მისი ტექსტიც ის ტექსტია, რომელიც ჰამლეტს უნდა ეთქვა სიკვდილის წინ, მაგრამ სტურუამ არ ათქმევინა, რეპლიკა, რომელიც მაყურებლისთვისაა გამიზნული: თქვენ კი ამ ამბის უტყვი მოწმენი, გაფითრებული რომ შესცქეროდით სისხლიან თამაშს, თქვენი... ამბობს იგი პათეტიკურად, შემდეგ ტრიალდება და გამყინავი ხმითა და ზიზღნარევი ირონიით ამბობს: გაათრიეთ გვამები! ვფიქრობ, სპექტაკლის ამგვარი ფინალი გვაძლევს საკმარის საფუძველს, რომ ვთქვათ: სტურუას ჰამლეტი არ არის ტრაგედია ჰამლეტისა, ეს არის ტრაგედია კულტურისა, ეს არის ტრაგედია გამოფიტული, აჩრდილებადქცეული ადამიანებისა, ეს არის ეგზისტენციური კრიზისი, რომლისთვისაც აღარ არის მნიშნელოვანი რიტორიკული კითხვა — ყოფნა თუ არყოფნა. ეს არის სპექტაკლი, რომელიც კლასიკური ტექსტის რეკონსტრუირებას ახდენს თანამედროვე კონტექსტისთვის.

---

* საინტერესოა, რომ ე.წ. „ხაფანგის სცენაში", სადაც მოხეტიალე მსახიობებმა „გონზაგოს მკვლელობა" უნდა დადგან, სტურუა მათ „ჰამლეტის" გმირებით ჩაანაცვლებს. ისინი თვითონ დგამენ სპექტაკლს, ხოლო ქუჩის მსახიობები იმავე მოძრაობებს სცენის წიაღში იმეორებენ. მთავარი გმირების ყოველ ქმედებას თითქოს სარკე აირეკლავს და ამ სცენაში ისინი ყველაზე მეტად ჰგვანან აჩრდილებს, საკუთარი თავის აჩრდილებს.

ეკა ბუჯიაშვილი

# ვინ გააგრძელებს საქართველოს ისტორიას

„გააგრძელე საქართველოს ისტორია" — სწორედ ამ სათაურით გამოჩნდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეკრანზე ახალი სატელევიზიო პროექტი — რამდენიმეწუთიანი ისტორიულ-შემეცნებითი ფილმები. ავტორი პროექტისა, რომელმაც უკვე საზოგადოების დაინტერესებაც მოასწრო, ყველასთვის კარგად ცნობილი **გურამ ქართველიშვილია,** ვისი სახელიც ეროვნულ თემაზე შექმნილ პიესებთან და მათ მიხედვით დადგმულ სპექტაკლებთან ერთად კიდევ უფრო გახმაურდა. განსაკუთრებული მღელვარება კი მაინც „ქაქუცა ჩოლოყაშვილმა" გამოიწვია, სხვანაირი ეროვნული მუხტით რომ დატრიალდა საზოგადოებრივ ცნობიერებაშიც და, საერთოდ, ქართულ კულტურულ სივრცეშიც.



*შალვა შენგელი და გურამ ქართველიშვილი*

პროექტის სახელწოდება კი, მოწოდებასავით რომ გაისმის და განსაკუთრებით ახალგაზრდებისკენაა მიმართული, საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელს, **გია ჭანტურიას** ეკუთვნის.

— როცა ამ იდეით მივდიოდი ტელევიზიაში, მხოლოდ წარდგენას ვფიქრობდი, ამდენს ვერ გავბედავდი, მოწოდების სახე მიმეცა მისთვის. გულწრფელად რომ გითხრათ, არც ასეთ კეთილგანწყობას ველოდი, მაგრამ გია ჭანტურიამ თავიდანვე სწორად დაინახა ამ პროექტის მნიშვნელობა, უფრო მეტადაც დატვირთა ეროვნული იდეით და სწორედ ამ სახით გაიაზრაო, — ამბობს ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" რედაქციაში სტუმრად მოსული **გურამ ქართველიშვილი,** რეჟისორთან, **შალვა შენგელთან** ერთად რომ გვეწვია და ჩვენი საუბარიც სწორედ ამ თემით დაიწყო:

* * *

— საფუძველი ამ ოთხწუთიანი ფილმებისა — ერთ რომელიმე საგულისხმო ეპიზოდს რომ მოგვითხრობენ ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან — ნახევარსაათიანი დოკუმენტური ფილმებია, რომლებიც კვირაში ერთხელ, პარასკეობით, საღამოს ათის ნახევარზე გადის „პირველ არხზე", — ამბობს ბატონი გურამი, — იმ მხატვრული სცენარების მიხედვით, რომლებსაც დოკუმენტურ ფილმებში ჩავრთავთ, მზადდება ეს მოკლე რგოლები, პროგრამათა შორის რომ ტრიალებს, ერთგვარი ანონსის სახითაც. უკვე რამდენიმე ფილმი გადავიღეთ და მნიშვნელოვანი ეპიზოდები გავაცოცხლეთ სხვადასხვა ეპოქიდან...

**— ეპოქები ამ პროექტის მიხედვით განსაზღვრულია თუ მთელ ისტორიას მოიცავს?**

— არა, და არც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მივყვებით. ჩვენი ქვეყნის ისტორია ხომ ისეთია, არცერთი ეპოქა ერთმანეთს არ ჰგავს. საქართველო ქრისტიანული სახელმწიფო იყო, ცივილიზაციის წინა ხაზსა და, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, გზაჯვარედინზე მდგომი, საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა დამპყრობლის სამიზნე რომ ხდებოდა.

ეპოქები იცვლებოდა, მაგრამ უცვლელი რჩებოდა სულისკვეთება, რომელიც თან გვდევდა — ჩვენი მიწისა და ცის შენარჩუნების. გვქონია ოქროს ხანაც, გვქონია ისეთი დროებაც, მხოლოდ თვითგადარჩენაზე რომ ვფიქრობდით, მაგრამ მოვახერხეთ და ქვეყანა, თავისი ისტორიითა და კულტურით, დღემდე მოვიტანეთ...

**— და დღეს ძალიან მნიშვნელოვანია, ეს ყველაფერი იცოდეს თაობამ, რომელსაც ლიბერალურ ღირებულებათა ეპოქაში მოუნია ცხოვრება...**

— ეპოქაში, სადაც ინფორმაციული ვაკუუმიც არის ეროვნული თემების თვალსაზრისით. ვერც წიგნისთვის იცლიან ახალგაზრდები, არადა, არ შეიძლება ასე ქვეყანა განვითარდეს. მოვა დრო, როცა ეს თაობა სადავეებს გადაიბარებს და წარმოუდგენელია ასეთი სახელმწიფოს მართვა შეძლოს საკუთარი ისტორიის, კულტურის, ტრადიციების ცოდნის გარეშე. ამ პროექტს ეს მნიშვნელობაც აქვს.

**— მნიშვნელოვანია ისიც, თუ რომელ ისტორიულ ეპიზოდებს შეარჩევთ ხოლმე და რა პრინციპით?**

— პროფესიით ისტორიკოსი ვარ, თან აღმოსავლეთმცოდნე, და მქონდა ფუფუნება აღმოსავლურ წყაროებთან შეხებისა. ეს ძალიან დიდი მასალაა, რომელიც მაინცდამაინც ცნობილი არ არის საზოგადოებისათვის, რაკი მაინც სპეციალისტებისთვისაა გათვალისწინებული და უამრავ საინტერესო ცნობას გვაწვდის საქართველოს შესახებაც...

**— წყაროები ახსენეთ... წყაროები ზოგჯერ განსხვავებულად გვაწვდიან ამა თუ იმ ფაქტსა თუ მოვლენას. ასეთ შემთხვევაში რომელ ვერსიას ეყრდნობით?**

— ყოველთვის არსებობს ერთი მთავარი ვერსია. როცა რამდენიმე წყაროს ვხვდებით, განსხვავებულად რომ გვიამბობენ ერთი რომელიმე ეპიზოდის შესახებ, ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია ისტორიკოსის ხედვა — კრიტიკული თვალით უნდა შეხედო ყველაფერს და დაეყრდნო იმ ვერსიას, რომელიც უფრო კარგად ასაბუთებს ამა თუ იმ ფაქტსა თუ მოვლენას. თუ საჭოჭმანო ფაქტზეა საუბარი, გვყავს კონსულტანტიც — ასევე ჩვენი სტუდიის წევრი, ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი **ვაჟა კიკნაძე**, ჩემი თანამოაზრე, თავისი საქმიანობით მოღვაწეც რომ არის. მასთან ვამოწმებ ნებისმიერ რამეს, სცენარის ენასაც კი. მაინც მხატვრული ენა სჭირდება ამ ყველაფერს, ოღონდ ეს ისე ფრთხილად უნდა გაკეთდეს, რომ მოვლენას არ მოვწყდეთ. ამიტომ ხშირად, როცა სცენარს ვაჩვენებ, ვეკითხები: ძალიან ხომ არ გავრეკე-მეთქი?

**— ეპიზოდების შერჩევაზე საუბრობდით და გაგაწყვეტინეთ...**

— ამ მხრივ ფანტაზიას არ ვუჩივი, იმდენი ამბავია ჩვენს ისტორიაში, სცენაზე რომ შეიძლება გაცოცხლება, იმდენი გმირი გვყავს, ყველა ქვეყანა ინატრებდა. ახლახან გავიგე: უზბეკეთში დაუწესებიათ ჯალალ-ედ-დინის ორდენი. კარგად ვიცი, ვინ იყო ის — არა მხოლოდ საქართველოსთვის, თვითონ შუა აზიისთვისაც. და როცა მეტი არავინ გყავს ისტორიაში ისეთი, რომ მისი სახელობის უდიდესი ჯილდო დააწესო...

**— სამაგიეროდ, ჩვენ ძალიან განებივრებულები ვართ ისტორიული გმირების თვალსაზრისით, თუმცა ალბათ მხოლოდ საგმირო ეპიზოდებით არ შემოიფარგლებით...**

— რა თქმა უნდა. ის სცენები, რომლებიც თეატრში გათამაშდა, მაინც უფრო თეატრისთვის იყო გათვალისწინებული, სცენას უნდა მორგებოდა. ფილმებში სხვა ეპიზოდებს წამოვწევთ — საგმიროსაც, ჩვენთვის ტრაგიკულსაც, ისეთსაც, იუმორი რომ ახლავს... ცნობილ, დღესდღეობით ნაკლებად დაფასებულ ადამიანთა ღვაწლის შესახებაც.

ამ ფილმებში წარმოჩნდება არა მხოლოდ საქართველოს ისტორია, არამედ საერთოდ, იმდროინდელი ფონი — თუ როგორ მიმდინარეობდა მაშინ პროცესები ჩვენ ირგვლივ — ვთქვათ, სელჩუკების გამოჩენასთან ერთად, რა ვითარება იყო, რა ცვლილებები ხდებოდა წინა აზიაში, როგორი ურთიერთობები გვქონდა ევროპასთან და როგორ ვითარდებოდა ჩვენი სახელმწიფო ამ პროცესებში, რომლებმაც თამარის ეპოქა მოიტანა. ჩვენი ისტორია და კონკრეტული ისტორიული ფაქტები მსოფლიო ჭრილში იქნება განხილული...

**— ისე საინტერესოდ საუბრობთ... სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღებასაც ხომ არ გეგმავთ ისტორიულ თემაზე?**

— არ ვიცი, შეიძლება ისეთი დროც დადგეს, ვინმემ სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღებაც დაუკვეთოს ჩვენს შემოქმედებით ჯგუფს, მაგრამ ამ ეტაპზე დიდ ბატალურ სცენებს ვერ გადავიღებთ. ჯერჯერობით ტელევიზია გვაფინანსებს, მაგრამ როგორც ამ საქმის მცოდნენი ირწმუნებიან, ეს ისეთი პროექტია, სპონსორი აუცილებლად გამოუჩნდება. ისე კი... ახლახან გადავიღეთ თემურ-ლენგის ეპოქიდან ქუცნა ამირეჯიბის ამბავი, სადაც ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გავაკეთეთ, „იმ ღარიბი ჯიბით" — როგორც ექვთიმე თაყაიშვილი იტყოდა — „რომლითაც ქართული საქმე კეთდება ხოლმე".

* * *

ჯერ „დავით აღმაშენებლის ქრონიკა" იყო, ვაკის თეატრალურ სარდაფში. მერე — „ქაქუცა ჩოლოყაშვილი", მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. შემდეგ კი „ცერკოვი ბუნტი" ახმეტელის თეატრში.

გურამ ქართველიშვილის ამ პიესების მიხედვით დადგმულმა სამივე სპექტაკლმა თავისი კვალი დააჩნია ეროვნულ ცნობიერებას, „ქაქუცა ჩოლოყაშვილის" შემდეგ თითქოს გარდატეხაც კი მოხდა, რაც განსაკუთრებით ახალგაზრდების დამოკიდებულებაზე აისახა — ეროვნული სულისკვეთებითა და ინტერესებით რომ აინთნენ და დღემდე ანშლაგით მიდის სპექტაკლები, თუმცა... ბატონ გურამს გული მაინც სწყდება:

— მწყდება იმაზე, რომ მიუხედავად ასეთი წარმატებებისა, თეატრი არ აღმოჩნდა მზად ამ პროექტის გასაგრძელებლად. არადა, შეიძლებოდა რამდენიმე პიესა კიდევ დადგმულიყო ეროვნულ თემატიკაზე. სპექტაკლების მიმდინარეობისას დარბაზში მაყურებელს ვაკვირდებოდი და მიხაროდა ის, რომ ყველა ასაკის ადამიანი ერთნაირად აღიქვამდა იმას, რაც სცენაზე ხდებოდა. ჩვენ თითქოს გენეტიკურ კოდში გვაქვს წარსულის ხსოვნა, იმ უწყვეტ კოდში, რომელიც ამ მიწას მუდმივად ანარჩუნებინებს ქართველ კაცს.

ჩემი შვილი ამბობდა ხოლმე: ხუთ წელიწადში თოფის ხელში დამკავებელი აღარ გვეყოლება, სამშობლო რომ დაიცვასო.

თანაც როგორი დასაცავი სამშობლო — ჩვენ ხომ ურთულესი მიწა გვაკუთვნა განგებამ, რისი გააზრებაც ქართველი კაცისთვის აუცილებელია... და ამის საუკეთესო საშუალებაა ისტორიის ცოდნა.

თითქოს ყველაფერი წარმატებით განხორციელდა, მაგრამ რატომღაც ქართულმა თეატრმა უარი თქვა ამ პროექტზე.

ვაკის თეატრალურ სარდაფში რვა თვეში 95-ჯერ შედგა სპექტაკლი ანშლაგით, მაგრამ უცებ, გაურკვეველი მიზეზების გამო, გაჩერდა.

„ქაქუცა ჩოლოყაშვილი" კვლავ სცენაზეა, ამ შემთხვევაში ალბათ უფრო კომერციული მიზნები გაითვალისწინეს.

„ცერკოვი ბუნტი" 16-ჯერ ითამაშეს, მერე, რატომღაც, ესეც საეჭვოდ შეწყდა. პასუხი არ არსებობს. რაღაც ინტრიგებს შეეწირა.

სამწუხაროდ, ძალიან დიდი ძალისხმევა გჭირდება თეატრში, რომ პროექტი ბოლომდე მიიყვანო, რასაც ვერ ვიტყოდი ტელევიზიაში შეკრებილ ჯგუფთან მუშაობაზე.

ვიდრე ამაზეც გეტყოდეთ, იმასაც გაგიმხელთ, რომ ბატონ გურამს თეატრშიც აქვს პატარ-პატარა გეგმები:

ამ რამდენიმე ხნის წინათ მამა **ზურაბ ცხოვრებაძე** შეხმიანებია: ასე უჩუმრად როგორ უნდა ჩაიაროს „ცერ-

კოვი ბუნტმაო", — უთქვამს. და კიდეც მოჰყოლია ამ საუბარს მოლაპარაკება **გიორგი შალუტაშვილთან**, ვინც ამ სპექტაკლს ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრის სცენაზე დადგამს.

— არ მინდოდა პიესა იმავე სახით გათამაშებულიყო. დავჯექი და ორ კვირაში თავიდან დავწერე. შეიძლება ითქვას, ახალია. სპექტაკლის პრემიერა ნოემბრის ბოლოს იქნება, და რაკი მესხიშვილის თეატრში რემონტია, ერთი წლის განმავლობაში რუსთაველის თეატრი შეიფარებს.

კიდევ ერთი პიესა მაქვს თემურ-ლენგის ეპოქაზე — „გიორგი VII", მაგრამ... ჯერ თეატრისთვის დრო არ მრჩება. ახლა ისეთ რეჟიმში ვმუშაობ, მოთხრობის დასაწერადაც ვერ ვიცლი.

* * *

დოკუმენტური ფილმების პროდიუსერის **რამაზ ბლუაშვილის** კაბინეტში შეხვედრიან ერთმანეთს — ტელევიზიაში ახალი საინტერესო პროექტით მისული **გურამ ქართველიშვილი** და დღესდღეობით ამ ფილმების რეჟისორი **შალვა შენგელი.**

— მგონი თქვენ კარგად გაუგებთ ერთმანეთსო, — ასე შეუგულიანებია ორივე ბატონ რამაზს, თუმცა მაშინ ვერც ერთი, ვერც მეორე და ვერც მესამე ვერ იფიქრებდა იმას, რომ ასეთი ტანდემი შედგებოდა.

საერთოდაც, ჯგუფი შეიკრიბებოდა ისეთი, ნებისმიერ საქმეში რომ ინატრებთ ამგვარ ერთსულოვნებას.

— ესეც ხომ ღვთის წყალობაა, ასეთი შემოქმედებითი გუნდი რომ შედგაო, — მოგვიანებით იტყვის პროექტის პროდიუსერი **ეკა მაჭავარიანი.**

კიდევ უფრო მერე კი, მამა ზურაბ ცხოვრებაძეს რომ აჩვენებენ გადაღებულ ფილმებს, ის ასე შეაფასებს ნანახს:

— ეს არის ნამუშევარი გუნდისა, რომლის თითოეულ წევრს თავისი საქმე კარგად აქვს შესრულებული.

„ჩვენი მწერლობის" რედაქციაში სტუმრად მყოფი გურამ ქართველიშვილი კი გაგვიმხელს:

— მე ერთი დიდი კომფორტი მაქვს:

შემიძლია ვიჯდე და მშვიდად ვიმუშაო.

სიონში, აგარაკზე ვარ ძირითადად, იქ ვწერ. ჩამოვდივარ, ჩამოვიტან სცენარებს, დავტოვებ, ერთ-ორ ჩემს აზრს გამოვთქვამ ხოლმე მსახიობების თუ სხვა საკითხების შესახებ, მერე ისევ მივდივარ... და ერთი წამით არ მეპარება ეჭვი, რომ რამე ისე არ გაკეთდება, როგორც საჭიროაო.

შედეგს მაყურებელიც ხედავს.

ბატონი გურამი ამბობს, რომ ეს ყველაფერი შალვა შენგელის დამსახურებაა — მას შეუძლია მართოს გუნდი, რომელიც თვითონ შეკრიბა.

— ალბათ კაცს ასპარეზი სჭირდება საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად. და ეს პროექტი მისთვის კარგი ასპარეზი აღმოჩნდაო.

შალვა შენგელი კი ამას გურამ ქართველიშვილის დამსახურებად მიიჩნევს:

— ჩვენს სტუდიაში შეიძლება შეესწროთ ასეთ სურათს:

ზის გურამი და ჯგუფის წევრებს რაღაცას უყვება — ისეთი ექსპრესიით, ისეთი გატაცებით, გრძნობ, ყველა იქ არის, იმ საუკუნეში. მერე, უბრალოდ, როგორც რეჟისორი, რაღაცას უმატებ — შტრიხს, ფერს, ტონს... — და იქმნება ის, რასაც უყურებს საზოგადოება. ჩვენ არ ვიცით, რა გამოვა, მაგრამ სულს რომ ვდებთ ამ ყველაფერში, გულით რომ ვაკეთებთ ჩვენს საკეთებელს და ბოლომდე ვიხარჯებით, ეს დანამდვილებით შემიძლია გითხრათო.

ანიმატორი ჰყოლიათ სტუდიაში ოცდაერთი წლის **საბა ჩხაიძე**, მართალია ახალგაზრდა, მაგრამ თავისი საქმის საუკეთესო მცოდნე. უნახავს პირველი რგოლი — „გიორგი VII" — და ანთებულა: ამ პროექტში მინდა მუშაობაო...

— იდეალისტები გვყავს ჯგუფში, — ასე ამბობენ პროექტის მესვეურები. მათ შორისაა სამოცდაათი წლის მხატვარი **მალხაზ კუხაშვილი.** გადასაღებ მოედანზე რომ გადიან ადგილის შესარჩევად — საერთოდ, მათი პრინციპია, იქ გადაიღონ, სადაც ხდებოდა ესა თუ ის მოვლენა — და ნახავენ: ვთქვათ, მაღალი მთაა, სადაც მანქანა ვერ მიუდგება, და გადამღები ჯგუფის წევრებიც ჭოჭმანით შეჰყურებენ: ავიდნენ თუ არა, შემობრუნდებიან და ბატონი მალხაზი უკვე იქ არის, იქიდან გადმოჰყურებს, ლოკაციაც განსაზღვრული აქვს, განათებაც და ოპერატორებს: **გიორგი სიგუასა** და **კახა ბუხრაშვილსაც** უხმობს.

საორგანიზაციო საკითხებს **ეკა მაჭავარიანი** და **ლელა შენგელი** აგვარებენ, დიასახლისებიც რომ არიან პროექტისა.

გამნათებელი თავადი ჰყავთ — **ირაკლი მაყაშვილი.**

— ბიჭებს დამიძახეთო! — დროდადრო რომ „გასცემს" ხოლმე ბრძანებას;

**ბექა გერსამიას** დამსახურებაა გრაფიკა; მონტაჟის რეჟისურა კი **დათო მეფარიშვილს** ეკუთვნის.

— ვეტყვი ხოლმე დათოს ჩემსას, რაღაც მითითებებსაც მივცემ... და რომ შევხედავ: ზის ჩაფიქრებული, თავი გვერდზე აქვს გადაწეული, ვიცი, რომ უკვე ხედავს, რა უნდა გააკეთოს. სამონტაჟოდან გამოვდივარ და როცა იქ ვბრუნდები, სწორედ იმას მახვედრებს, რაც მჭირდებაო, — შალვა შენგელი მიმხელს.

კიდევ სხვა რამეებსაც მიმხელს, აი, მაგალითად ამას:

* * *

მითხარით, როგორ გუნებაზე გაგეღვიძებათ, XXI საუკუნეში თემურ-ლენგი რომ დაგესიზმროთ?

— მაინცდამაინც კარგ გუნებაზე არა, მაგრამ იდეებით გეღვიძება, აღმოჩენებით, — ამბობს რეჟისორი, რომელიც ამ თემამ და ამ პროექტის წერამ ისე აიტანა, ისტორიულ ეპოქებში „მოგზაურობა" დასჩემდა.

— მერე ჩემი გიკვირთო?! — დასძენს ბატონი გურამიც, შალვა შენგელის ჩივილს რომ ისმენს.

„ჩივილი" — რა თქმა უნდა, ბრჭყალებში, სინამდვილეში რეჟისორი ამასაც ღვთის წყალობად მიიჩნევს, ღვთისა და... გურამ ქართველიშვილის.

— როცა მას შევხვდი, ორ ფილმზე ვმუშაობდი: ერთი კონსერვატორიის შესახებაა, მეორე — პარალელურ სამყაროებზე.

და აი, მაშინ მართლა დავიწყე ცხოვრება პარალელურ სამყაროებში:

შევდივარ ერთ ოთახში, შუა საუკუნეებში ვარ, გავდივარ მეორეში — სულ სხვა სივრცესა და დროში ვხვდები.

გურამს აქვს ეს უნარი, თვითონ წავიდეს წარსულში და თან წაგიყვანოს იმ ეპოქებში, დიდი ხნის წინათ რომ გამოვიარეთ. სწორედ ამ „მოგზაურობისას" დანახულ პერსონაჟებს ვაცოცხლებ. საერთოდ, ამ ფილმებზე მუშაობისას ერთ-ერთი სირთულე ხომ ისიც არის, რომ ეს გმირები ყველას თავისებურად წარმოუდგენია. ამიტომ გონების თვალით უნდა გადაიხედო იმ დროში, აღმოაჩინო ის განსაკუთრებული ხედვის წერტილი, რომელიც ყველა საგანსა და მოვლენას აქვს, მოსინჯო მაშინდელი მიწაც და ჰაერიც, შეეხო იმ ეპოქაში მცხოვრებ ადამიანებს, და მერე მსახიობებიც შესაბამისად შეარჩიო, რომლებიც, ვცდილობთ, არ იყვნენ სატელევიზიო შოუებით ცნობილი სახეები. ბევრი არაპროფესიონალი მსახიობიც გვყავს. მხოლოდ ასე გაცოცხლებული ისტორიით დააინტერესებ მაყურებელს, მხოლოდ ასე შედგება დიალოგი მასთან.

ამიტომ მგონია, რომ ეს ფილმები კი არ შევქმენით, აღმოვაჩინეთ.

კიდევ ის მგონია, რომ რაც „ქაქუცა ჩოლოყაშვილმა" გამოიწვია თეატრში, ეს ფილმები იგივეს გააკეთებს კინოსა და ტელევიზიის სფეროში.

მანამდე კი შემოქმედებითი ჯგუფი დღედაღამ მუშაობს იმისთვის, რომ მოლოდინი გამართლდეს.

მათიც და... რაც მთავარია, მაყურებლის.

გია ჭანტურია შეპირებიათ:

— ვიდრე აქ ვიქნები, ეს პროექტი არ გაჩერდებაო და ტელევიზიის პრაქტიკაში რომ არ ყოფილა ასეთი რამ — რომელიმე გადაცემისთვის პრეზენტაცია მიეძღვნათ — საზოგადოებრივი მაუწყებლის პრესსამსახურმა გადაწყვიტა, წარდგინება გამართულიყო ამ ახალი პროექტისა კონსერვატორიის დარბაზში.

თავისთავად, ამ მხარდაჭერასაც ძალიან უმადლიან ტელევიზიის ხელმძღვანელობას, რადგან მალე ისეთი არქივი შეიძლება დაიდოს ისტორიულ თემაზე შექმნილი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმებისა, მთლიანად დამოკიდებულება რომ შეცვლის ისტორიის მიმართ და უწინარესად მომავალ თაობას წაადგება.

თაობას, რომელიც ადრე თუ გვიან ქვეყანას გადაიბარებს და საამისოდ თავისი ერის ფესვებზე უნდა იდგეს, რათა შეძლოს ღირსეულად მართოს მისი მომავალი.

ღირსეულად გააგრძელოს თავისი ქვეყნის ისტორია.



ნატა ვარადა

# ფოკუს-მოკუს-ფრრრ...

## (რადიოპიესა ექვს ხილვად)

*ეძღვნება დავით წერედიანს,*
*ვიიონის ბრწყინვალე გადმომქართულებელს*

**მოქმედი პირნი:**

**ფრანსუა დე მონკორბიე** – იგივე ფრანსუა ვიიონი, იგივე ფრანსუა კოკილარი, იგივე ფრანსუა სქოლარი და ა.შ.
**გიიომ ვიიონი** – წმინდა ბენედიქტე საპყრის ეკლესიის კაპელანი, მამობილი
**მამა ჟილი**
**იზაბო** – ერთი ვინმე ლამაზმანი
**პიერ მარშანი** – მღვდელი
**ფილიპ სერმუაზ** - ბერი
**გი ტაბარი** – გამცემი
**ტიბო დ ოსინი** – ორლეანელი ეპისკოპოსი
**ლუი მეთერთმეტე** – ახალგამეფებული
**ტურფა** – მემუზარადე
**კოხტა გოგო** – მემაქმანე
**ბლანშ** – მექოშე
**გიიომეტ** – მეხალიჩე
**სქელი მარგო** – იგივე "ტავერნა"
**ქონდრისკაცი მუსიე**
**ენაბლუ**
**ოფიციალური ხმა**
**მეფის კარის მასხარა**
**მოხეტიალე მსახიობთა დასი**

### ხილვა პირველი

**მუსიკა — მესსა, შანზე ლიზე, მარსელიოზა, კარმენის უვერტურა ერთმანეთში ირევა. ისმის ჟრიამული. დოლის და საყვირის ხმა. ბოშა ქალების ლაპარაკი. ყვირილი. სტვენა. ასევე ცხენის ფრუტუნი და ეტლის ხმა.**

**ოფიციალური ხმა** — სმენა იყოს და გაგონება. გზა დაუთმეთ. მეფე მობრძანდება. გაუმარჯოს მეფეს.

**სიჩუმე დგება. ნელ-ნელა წყდება ხმა.**

**მოხეტიალე დასის მსახიობები: ენაბლუ და ქონდრისკაცი მუსიე**

**ენაბლუ** — ჰეი, ქონდრისკაცო მონსინიორ, გათენებას დოლის ხმით შევხვდეთ. ჰორიზონტზე მანათობელი, სიცოცხლის მომნიჭებელი დიადი დისკო როგორც კი ამოიწვერება, სტვენით შემატყობინებ.

**ქონდრისკაცი მუსიე** — ვიცი, ჩვენი ძმობილი, ბედის წყალობით რომ დაგვემგზავრა, ბაწარს უნდა გამოვგლიჯოთ. დავანთოთ ცეცხლი და იქნებ ბოლი ცას მიწვდეს და ხელის მომართვაც თვით მეუფისგან არ დააყოვნებს.

**ენაბლუ** — ოი, რას იტყვი ხოლმე, კაცს იეზუიტთა კასტიდან მოგზავნილი ეგონები. რა ცეცხლი, ქონდრისკაცო, გიჯობს, ჩიხს და შუკებს მიხედო, იქნებ და ამ ცისკარს დაგვეცეს ტუზი და ჩვენმა მწყალობელმა ხელმწიფემ ჩამოიხრიგინოს თავის ტურფა ლამაზმანებით.

**ქონდრისკაცი მუსიე** — მეთერთმეტე ცდაზე გაგვილიმებს და ეშველება სანყალ სქოლარს, ვინც უმიზეზოდ ზის ახლა ბორკილდადებული, მსჯავრდებული და როგორც ყელზე გამობმული უმნიკვლო კრავი, განაჩენს ელის.

**ენაბლუ** — უკვე გავხედე. სენის ნაპირებს ჩავყე, ბნელ, საშიშ ვიწრო ქუჩებს და მოხარხარე მთვრალი აჩრდილნი ჩირაღდნების კვამლით გავმურე მე, მარტოსულმა და მოტირალმა.

**ქონდრისკაცი მუსიე** — ჩუუუ... ეტლის ხმაა... მოთოხარიკობს ვილაც მგონი, თან მარტოც არ ჩანს. ეს დღეც თენდება. დღეს მოედანზე გადაწყდება ფრანსუას ბედი და უბედობაც.

### ხილვა მეორე

მოედანზე, ღია ცის ქვეშ შეკრებილია უამრავი ხალხი. აქ არიან ნვრილი ხელზე მოვაჭრენი და მოხეტიალე დასის ნევრები. გამოჰყავთ გრძელ ტილოს ჯვალოთი ფრანსუა. იქ არიან მოსულელო მეფე, ნამთვრალევი და თავის ტურფებთან ერთად და ასევე ეპისკოპოსი.

გონგის ხმა.

**ფრანსუა** — ტურფა მემუზარადევ, შენ მობრძანდი თუ თვალი მატყუებს?

**ტურფა მემუზარადე** — ხო, მე ვარ პრინცო, ჩემო მეუფევ. მოგყვებოდი მე და ჩემს გვერდით, მემაქმანე კოხტა გოგო, ბლანშ მექოშე, სქელი მარგო — ჩვენ ყველანი. შენს თავს აბა, როგორ დავუთმობთ ამ სისხლისმსმელ ჯალათებს. ბრალდებულ არისო და სად არის ბრალდება?! ეს გაბურძგნული პიერ მარშანი გამოვიდეს და აღიაროს, რომ პირველმა მან მოიქნია ჯაყვა.

**გიომეტ მეხალიჩე** — მექოშეს დახეთ, უძვირფასესი ფეხსაცმელი ნამოუღია და შუა მოედანზე ბაზარს არ მართავს?

**ფრანსუა** — გიიომეტ მეხალიჩევ, შენც აქ ხარ?! განა სქელუა მარგოს ტავერნას ჩამორჩებოდი?!

**კოხტა გოგო — მემაქმანე** — ყველანი აქ ვართ. აგვიკრძალეს რადგან ქუჩაში დგომა, მინაზე ნადებს ნუ აჩეჩებთ ხოლმეო ფრანგებს, ახლა ხელებზე, ყელზე და წელზე შემოვიხვიეთ, ვაკონწიალებთ, მზეც ბრჭყვიალებს, იქნებ განათდეს ეს მოედანი და სიმართლემაც იზეიმოს, ძვირფასო პრინცო. მოსიარულე ჯიხურებად და ნაგვის ურნების ვისკის ბოთლების შემგროვებლებად ვიქეცით უცბად, ნვრილმოვაჭრენი, უცილობლივ ხელი არის დიდი ვამპირის ამ ამბავში, ჯადომკვეთებლის, რომის პაპისა ხელქვეითის. ბანგის მხარშველის.

**სიცილ-ხორხოცი და ეტლის ბორბლების ჭრიალი.**

**ოფიციალური ხმა** — სიჩუმე იყოს და გაგონება. მეფე მობრძანდება, მეფეს გზა დაუთმეთ. განვედით, კათაკმეველნო, განვედით.

**ენაბლუ** — მენფეეეო, მენფეეეო...



მხატვარი ირაკლი ჩიქოვანი

### ხილვა მესამე

ლუი მეთხუთმეტე, ტიბო დ ოსინი – ორლეანელი ეპისკოპოსი, მამა ჟილი, იზაბო – ერთი ლამაზმანი, პიერ მარშანი – მღვდელი, ფელიპ სერმუაზი, გიიომ ვიიონი.

**მეფე ლუი** — ტიბო დოსინ, აბა ერთი ასნიეთ თავი და თვალები გამისწორეთ. რა ხდება აქ?!! რა ჟანა დ არკი მოგინყიათ, სხვა გასართობი ვერ ნახეთ, რომ ახლა მგოსანთა მასკარადი არ გაგემართათ?! ამდენი ნვრილფეხობა საიდან მოგროვდა ამ ერთიბეწო მოედნის ირგვლივ?!

**ტიბო** — ოო, ფარდოონ, ეს რა დილა გათენდა, რას ვიფიქრებდი, თუ ამ კოკილარის გამო მის ალმატებულებას ფერხთით ჩემს უგვანო თავს ამოვყოფდი?!

**ლუი** — ნუ მჭერმეტყველობ უნიჭოდ, ერთი. კარგადაც მომეხსენება ამბები შენი, ძალიან კარგად. საქმის ვითარება მომახსენე. ეს ვინღაა არის, დიდი ჯვრით კისერზე?!

**ტიბო** — ოო, ფარდოონ, ჩემი მსახურია, პიერ მარშან... რა დღეს მოესწრო, თვით ჩვენი ლამაზი მეფე ლუი მეთხუთმეტე ემაასლათება...

**იზაბო** — მეთხუთმეტეო?! ერთი დამიხედეთ, ორლეანელ ეპისკოპოსს თარიღები რომ ეშლება, ხომ არ გგონია მრევლის შემონირულობას ითვლიდე?! დაჰკარით როზგი! და მაინც, რა მოხდა?! ვერ ხედავთ, რომ გზად გამოვიარეთ და ელისეის მინდვრებზე მიგვეჩქარება, ახალი კლუბი უნდა გავხსნათ, არ შეგვჭამეს ამ მდაბიოებმა. მე არ ვიყო ერთ-ერთი ლამაზმანი იზაბო, თუ ეს შეყოვნება შეგარჩინოთ.

**ლუი** — მართალია ჩემი ერთ-ერთი ლამაზმანი იზაბო. აბა დროზე, თქვენ არ იცით, რომ მეფის დრო გროშზე მეტი ღირს?!

**ბერი ფელიპ სერმუაზი** — რას მერჩით, მესირ ფილიპ **(გამოაჯავრა ფრანსუას ხმით)** აი, ასე მომმართა, სანამ სულეთში მიმიღებდნენ, დიდო ლუი, როცა მან დამჭრა დიდი ქვით და სასიკვდილოდ. ჟან მარდი მახლდა. შეგიძლიად მონმედ იახლოთ. ის ცოცხალია, სამარის კართან მომაცილა, მერე კი ჩემს ერთ-ერთ საყვარელთან მოჰყვა განცხრომას. თუმცა რას ვრომშავ, დამნაშავე მე ვიყავი. შევუნდობ მკვლელსა და ქრისტიანული წესით გთხოვთ აღმასრულოთ.

**იზაბო** — ყველამ ერთად როგორ გარეკეთ?! ნუთუ იაპონიის ცუნამის კვალმა საფრანგეთში შემოაღწია?!

**ბერი ფელიპ სერმუაზი** — პიერ მარშან, გამოდით ერთი ნაბიჯით წინ და თქვით, ვინ გაქურდა შენირულობათა სკივრი?! 4000 თუ 5000 ეკიუ ვინ წაიღო და რატომ?! პარიზიდან ვილაც ბოზანდარის გამო გადასახვეწად?!

**მღვდელი პიერ მარშანი** — გი ტაბარი გამენდო ტავერნაში, სქელუა მარგოდ რომ იხსენიება 1457 წლის 17 მაისის ქალაქ შატლეს არქივში დაცულ ცნობებში. შემდეგ მართალია გადაფიცა, მაგრამ ტიბო ორლეანელმა ეპისკოპოსმა უკვე ხელიდან ნასული ფრანსუა მოხეტიალე ლექსის მთხზველი მენის ციხეში ჩაასმევინა. ჩვენ, მეფსალმუნეთ სულაც არ გვეჭაშნიკება მისი რითმიანი ბალადები, ჩვენ სხვანაირ ლექსებსა ვთხზავთ. თქვენო მაღალ უმაღლესობავ.

**გიიომ ვიიონი** — საბრალო ფოლატრიმ კითხვაში ზარმაცია, მაგრამ ავკაცი?! სორბონას განა მკვლელებს აძლევენ ბაკალავრის დიპლომს?! ჩემი ბიჭი.

**ლუი** — ხოო, შემოდგომაა, ახლა მე აქ ვარ და, როგორც წერია ფრანსუას ბიოგრაფიაში, ახლა უნდა კოკილართა ბანდას არ ეკუთვნის ფრანსუა მე ვთქვა და საზეიმოდ ყველა პატიმარი გავუშვა ალმა ან დალმა?!

**ერთი ვინმე კარის მასხარა** — ასეა, ასე... მაგრამ მალე ნოტარიუს ფრანსუას მეგობრები აუტეხენ აყალ-მაყალს, ნოტარიუსი იჩივლებს, ჩვენს გუნებანამხდარ ძმობილს აიყვანენ სახრჩობელაზე. თუმცა შეიწყალებენ კვლავ თქვენი უსტარით და ბოლოს ათი წლით პარიზიდან გააძევებენ. აქ კი იკარგება კვალი ფრანსუა ჩვენი დე მონკორბიესი.

**ლუი** — როგორ, უკვალოდ გაქრა?! განა ვინმეს გაუგონიაა ადამიანი ქრებოდეს ასე?!

**ოფიციალური ხმა** — სმენა იყოს და გაგონება. გაუმარჯოს მეფეს!

**(პაუზა)** გაუმარჯოს მეფეს!

**დუმილი**

### ხილვა მეოთხე

**ისმის გონგის ხმა.**

**ოფიციალური ხმა** — სმენა იყოს და გაგონება. გამოჰყავთ სიკვდილმისჯილები. ნებისმიერი ხელისშემშლელი პირი ადგილზე იქნება ლიკვიდირებული.

**(ყველა ერთხმად)** — ვგონებ გველირსა.

**ფრანსუა (ჩურჩულით)** — ახლა ამ პატარა წვრილ მოვაჭრეთა თვალწინ მითად ვაქცევ ჩემს უმწიკვლო სახელს.

**I ხმა** — აი, ისიც, აი, უდანაშაულო მსხვერპლი, რომელიც ტკბილ და ამო ოდებს ქმნის და ყურს საამოდ ეფონება მისი ნამღერი. და ბალადები?!

**II ხმა** — ოდენ ჩვენი ქანცგამცლელი დღის გამთრევი, უბრალო საწყალ მოვაჭრეთა გულის განმრთველი.

**ისმის ჟრიამული, დოლების ხმა სტვენა და შეძახილები: ფრანსუა, ფრანსუა...**

**ლუი** — უთხარი მათ აქ მომგვარონ.

**ფრანსუა** — იქნება და ჯერ, ბატონებო, მესა მომასმენინოთ, ხოლო შემდგომ ჩემი ფეხით შევდგები. და მის ალმატებულება მეფე ლუისაც მოვასმენინებ ჩემს ბალადას ანდერძისას. სანამ გავქრები. ჟორდანომ რა ვქნა დამასწრო, და ფოკუსი — ის მაინც ბრუნავს — პლაგიატად არ ჩამეთვალოს ვინძლო, ძმობილნო, ამიტომაც ჟანა დარკის იესოს მაინც ნავიდუდუნებ, ჩვენს საუკუნეს დაედო მტლად პროვინციელი ქალწული ჟანა.

### ხილვა მეხუთე

მეფე ლუი და ფრანსუა ებაასებიან ერთმანეთს, მეტრონომის ხმის ფონზე

**ფრანსუა** — ოი, მეფუნა, ეგ ლამაზმანი, ამო ხმითა და მოკლე კაბითა, ყურსაც გიტკბობს და თვალსაც სირაჯთ მსგავსურად წყალს ალევინებს. მე წვრილხელოსანთა დასტიდან, მემაქმანე და მექოშე მყავდა, მაგრამ ქალებზე საუბარი ასე შორიდან, მე სახრჩობელაზედ მითოკილი, თქვენ კი ეტლში ჩაბრძანებული, შეუფერებლად მიმაჩნია, არ გვეკადრება.

**ლუი** — ერთი ამას დამიხედეთ. ამ სითავხედეს არ შეგარჩენდი, უმალ თავი წაგძვრებოდა და სახრჩობელას არ გაკმარებდი, მაგრამ შენი ყისმათის რა ვთქვი, წადი და პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს შენ სიმაღლე სანთელნი უნთე.

**ფრანსუა** — დიდო მეფუნა. მე ერთი ვინმე მელექსე ვარ, კოკილაერი, სქოლარ-არშიყი. მედავებიან ბერის დაჭრას, თუმცა გარწმუნებთ, იგი თვითონ გამოენთო და უცნაური დაშნა გრძელი ფლასიდან გამოაძვრინა.

**ლუი** — მევალეთა რა პასუხს აძლევ?! ფარსო მეხოტბევ ბოზთა დიაცთა?!

**ფრანსუა** — ჰმ, პრინცი განა ათასგზის არ მყავს ნადიდები ჩემთა ბალადთა?!

**ლუი** — მე ეგ პრინცი მომეხსენება, ვინც უნდა იყოს.

**ფრანსუა** — ის, ვინც ჩემს მსგავსად უბრალოა.

**ლუი** — ამდენ ლაყბობას, აბა ერთი, სანამ მარყუჟში გამონასკვულხარ, ერთი ჰანგი შენი მაჟღერე.

**ფრანსუა** — ანუ?

**ლუი** — აბა, შეხედეთ ამ უგუნურს?! ვითამ ვერ ხვდება. ჩამოჰკარ, მიდი, ბალადები სიყვარულისა, მე ლუი ვარ თუ ვილაც სქელი მარგო გგონივარ?!

**ფრანსუა** — მეფუნავ ჩემო, განა უფასოდ ვინმე ახლა აკვნესებს ქნარსა?! ისეთი დროა დრო ფულია და მეც ლოცვის დროც აღარ მრჩება, ჩემი წამები დათვლილია, მეტრონომი რიტმით ირწევა.

**ლუი** — უყურებთ ცოდვილს, თვით ლუის, განა მეთორმეტეს, ლუი თერთმეტას რა რიხით და შემართებით ეპაექრება, თითქოს მე უნდა წამძვრეს თავი სამ საათისთვის?! რას ითხოვ მაინც?!

**ფრანსუა** — ხო, კანონები ისეთი გაქვს დაწესებული, შენს მეტი ვერავინ ვერ არღვევს და რა გენაღვლება?! უკანონობამ მოგვჭამა ძირში თავისუფლება, შენ კი რა გიშავს, ლამაზმანთა გვერდით დაჰქრიხარ ხან თოვლს, ხან ზღვასა. რა უნდა გთხოვო უსამართლობის ამ ჭაობში - სიცოცხლე მხოლოდ. პოეტისათვის სიცოცხლეზე ტკბილი და ამო, — არაფერია. ჩვენ, მგოსანნი, სიცოცხლეს ვეტრფით.

**ლუი** — მაშ თქვი, გაურითმე წრიულად და გული ჩემიც მორბილდება, იზაბოს ხელში ისედაც ლამისაა მე თვითონაც ავმღერდე მეფე.

**ფრანსუა:**

**უგუნურნი, ტრელნი, წბილნი,**
**ხელმრუდენი, გზაბრუდენი,**
**ვინც ადგახართ ცოდვის ბილიკს,**
**წალმართისკენ არ ბრუნდებით,**
**მოდით გონზე, თორემ ვინძლო**
**სახრჩობელამ გიმასპინძლოთ.**
**განა ცოტა თქვენთაგანი**
**სამარცხვინოდ დაისაჯა,**

**გულში შურით, ხელში დანით
ვინც დააცხრა სხვათა ნაჯაფს.**

**სანამ გვიყვარს ძმა და თვისი,
ძნელსათმენსაც ვითმენთ მანამ,
თორემ განა ჩვენ არ ვიცით,
დილეგია ეს ქვეყანა.
გზვერავს შლეგი, სად და რა დროს
გეცეს, ყელი გამოგლადროს.
ღმერთს მაშინღა გაიხსენებს,
როცა თოკი ცისკენ ქაჩავს.
ო, რა მწარედ იმტვრევს ხელებს,
ვინც დააცხრა სხვათა ნაჯაფს.**

**შხამის ლესვა, ყაჩაღობა,
გული ხელით, სული კბილით,
„არ დამასწრონ"! – უნდო ყოფა,
„არ წამასწრონ"! – უნდო ძილი
ნუთუ გვილირს? ნუთუ გვილირს
ვამჯობინოთ გმინვა ღილინს?
არა! ღმერთში დაემტკიცეთ!
სინანული – ცრემლი – აჯა!
ბოლო-ბოლო, თავში იცემს,
ვინც დააცხრა სხვათა ნაჯაფს.**

**ვიყოთ მშვიდად, ვიყოთ ძმები,
ისიც გვყოფნის გასაძლები,
იოლ ბრუნავს მართლის გზები,
ონავრისა – ღმერთმა ხვანჯა!
ნუ გგონიათ, ასცდეთ ხიფათს,
ია-ვარდი არვინ კრიფა,
ვინც დააცხრა სხვათა ნაჯაფს!**

**ლუი** (გაკვირვებული) — ეს ახლა შეთხზე?!

**ფრანსუა** — დამოძღვრისაა ეს ბალადა და შენ მოგიძღვენ. სხვა რა ძღვენი შემიძლია აქედან, მეფევ.

**ლუი** — მაშვინ, ხო კაი. მიბოძებია შენთვის სიცოცხლე, სიმართლეს ამბობს ეს გაიძვერა, დღეს სიმართლეს ვინ გაგაგონებს?! მისი ფასი ათასი ევრო. ახლა მე გავწევ ერთ კონცერტზე და ჩემს იზაბოს დავამღერებ, ანუ ბალადას ჩავანერინებ კარის მხოხავ ორდენთა მლოკავ ცრუ მგოსანთ და მერე კი ვიმღერებთ ესე:

**შხამის ლესვა, ყაჩაღობა,
გული ხელით, სული კბილით,
„არ დამასწრონ"! – უნდო ყოფა,
„არ წამასწრონ"! – უნდო ძილი
ნუთუ გვილირს? ნუთუ გვილირს
ვამჯობინოთ გმინვა ღილინს?**

**ეტლის ხრიგინის ხმა. ცხენთა ფრუტუნი. ყაყანი. მარსელიოზა. შეძახილები:**

**— გაუმარჯოს საფრანგეთს!**

## მეექვსე ხილვა

**სიჩუმე. მაგიდას სამი მამაკაცი უზის. არტურ რემბო, პოლ ვერლენი და შარლ ბოდლერი.**

**რემბო** (ქალის წვრილი ხმა) — რომელი, საათია? რომელი საათია..

**ვერლენი** (ჩახლეჩილი ხმა) — ახლა რა თქმა უნდა..

**ბოდლერი** (დენდის ხმა) სად არის თოვლი შარშანწინდელი.

**ვერლენი** — თრობის, ღვინისა, ფრანსუას საათია.

**რემბო** — მაშ ჩვენს წინაპარს დავუთმოთ სიტყვა. განა სხვამ უფრო მეტი იცის მის შესახებ, როგორც თავად მან უწყის?!

**ბოდლერი** — სად არის თოვლი შარშანწინდელი ან გარდასული ქალბატონები?

**ვერლენი** — ჰა, ძმანო, მისი სულიც დაიძრა.

## ეპილოგი

**და ხმა მეოთხე, თვით ფრანსუა ამბობს სიმართლეს ანუ ფრანსუა ვიიონის მონოლოგი**

**ფრანსუა** (ფონი კლასიკა გადადის მძიმე როკში და ბოლოს მესსა აბოლოებს)

— მე, ერთი ვინმე მოხეტიალე უძველეს სკალდთა უგვანო წევრი, პარიზს შორეულ ნათესავს ვახლდი და უნივერსიტეტს დავენაფე ჩემი ნიჭითა. უცნაური დამყვა ბუნება, თან სასულიეროს მაგისტრს ვითრევ და თან ხელი ჩემი ბანქოს თამაშს განაფულია.

ნიჭს არ აკლია გასაქანი, მაგრამ კვებაც ჭირდება სხეულს, რომ შექმნა რამე ანდერძის მსგავსი. ვინ იცის, შენი ყისმათი გილალატებს, მოუსავლეთს მყის გადაგისვრის.

მე ამიხირდა მამა ჟილი და თანხმლებმა მისმა ბერმა დამიძრო დაშნა, გინახავთ ბერი ვამპირად რამ გარდასახული?! რა უნდა მექნა, ჩემი საფრანგეთის დიად პოეტს ხო არ ავაფატრინებდი?! შევუტრიალე მისივე დანა და ასე მოვხვდი სახრჩობელაზედ. მიხსნიდა ლეწჩი ლუის ცანცარი, მის ყურს ვატკბობდი ტფილი არშიყა ხუმრობებით, პორნოსაც ვთხზავდი, და ასე სული გამოვიხსენ, მაგრამ მევალეთ რას დაუძვრები?!

და ამიტომაც ეს ილეთი გადაკარგვის, სხვა ტყავ-სხეულში შეძრომისა, მე მეკუთვნის. იქნებ გინესის რეკორდების წიგნშიც მოვხვდი, არ მიქექია.

ალი-კვალი ჩემი გავაქრე. მხოლოდ რემბოო, ო, აქ ბრძანდებით თქვენც, შარლ ბოდლერ, პოლის ვახლავარ, თქვენ მიქარვებთ გულის დარდებს, და პარიზის ზეცას მავინყებთ, ეს ერთი ხელიც დავარიგოთ ლამაზმანების კარტებისა, შევთხზათ ლექსები, მოვიგონოთ თუ ხელოვანთა სვე-ბედი და ბედი ყორანთა, როგორ ჩამოჰგავს ურთიერთას, ალანმა წერა, ნიკოლოზმა თავის მერანშიც, ვმასხარაობთ კარის პოეტნი, მაგრამ ბალადებს, ლექსებსა და სიმღერებსა კვლავაც ნაირფერთ, რად იწერენ თაობები, რად არ ჰკარგავენ?!

გავუჩინარდი, მაგრამ გავხდი ასე უკვდავი. სწავლული ვიყავ ეკლესიის, მაგრამ ბოშათა ბანაკს ვიცხოვრე, უნდა ფსალმუნნი მეგალობა საკვირაოდ და აჰა, ბედმა ამ უცნაურ სფეროებში, მრგვალ მაგიდასთან შარლ ბოდლერთან მიმწვარ სანთლებთან ბანქოს თამაშში შეგვახვედრა და მეც დავნებდი განგებას.

შენდობა გეთქვათ, ფრანსუა დე მონკორბიე-ვიიონ-კოკილარ-სქოლარ იგივე ახალი ფოკუსის შემქნელისა.

ძვირფასო მსმენელნო, ვინც ახლა ყურს გვიგდებთ, და ბალადა-პიესით ტკბებით, ტაშის დაკვრას ნუ დაგვზარდებით.

მარინე რევიშვილი

# კატულუსი — ასე დახვეწილად

დიდი რომაელი პოეტის კატულუსის ლექსების კრებული, მანანა ლარიბაშვილის მიერ თარგმნილი, პირველად 2007 წელს გამოიცა და უმალვე მიიქცია პროფესიონალ ლიტერატორთა თუ პოეზიის მოყვარულთა ყურადღება. მალე მას მოჰყვა მეორე, თითქმის ორჯერ გაზრდილი, შევსებული, სოლიდური კრებული, რომელმაც 2010 წელს, ღირსეული კონკურენციის გარემოცვაში, ერთხმად და სრულიად ობიექტურად დაიმსახურა ყოველწლიური პრესტიჟული ლიტერატურული ჯილდო „საბა“.

სწორედ ამ პრემირებული კრებულის პრეზენტაცია-განხილვა შედგა რამდენიმე თვით ადრე ლიტერატურულ სალონ „ქარავანში“. ამ სალონში არაერთ მშვენიერ საღამოს დავსწრებივართ და დავრწმუნებულვართ, რომ ამ დარბაზში ნამდვილი ხელოვნების ფასი იციან, ნამდვილი, არაყალბი პოეზიის ყადრიც იციან. და, როგორც გამომსვლელებმაც აღნიშნეს, ეს უთუოდ სალონის დიასახლისის ლელა შუბითიძის დამსახურებაა. ამჯერადაც იგი უძღვებოდა საღამოს.

თავიდან პრეზენტაცია აკადემიურ ყაიდაზე წარიმართა, როგორც წესია და რიგი, როგორც ჩვეულნი ვართ — ავტორიტეტული გამოსვლები, სამადლობელი სიტყვები, ქება მთარგმნელის ოსტატობისა და მართლაც მშვენიერი თარგმანების, და არაერთი საინტერესო მოსაზრება თარგმანის ხელოვნებაზე, თეორიულ საკითხებზე, ვერსიფიკაციაზე.

ასე მდორედ და კეთილგანწყობილ ვითარებაშივე ჩათავდებოდა საღამო, მოგვიანებით წიგნით ხელდამშვენებულები შინ დავბრუნდებოდით, ძილის წინ გადავფურცლავდით, გავიფიქრებდით: „ყოჩაღ, ნიჭიერი ქალია და საჭირო საქმეს აკეთებს“ — და ცხოვრება გაგრძელდებოდა თავისი სვლით.

მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა. წინ დიდი სიხარული გველოდა, სიხარული მაღალ პოეზიასთან ზიარებისა, ჭეშმარიტი სიტყვის განცდის სიხარული და ეს მაშინ მოხდა, როცა მთარგმნელმა რამდენიმე ლექსი წაიკითხა უფაქიზესად, დეკლამატორული ნიჭიერებით ჯერ ქართულად, შემდეგ ლათინურად... და საღამო უეცრად „არაპროზაული“ გახდა, ჰაერი საოცარი ჰანგებით, ინტონაციებით გაჯერდა და ემოციით დაიმუხტა.

ის დღე ნამდვილად ჰგავდა პოეზიის დღესასწაულს — და რომ არაფერს ვაჭარბებ, ყოველი იქ მყოფთაგანი დამემოწმება.

ერთი სიტყვით, კატულუსის საოცრად ადამიანურმა, ინტიმურმა სტრიქონებმა პრეზენტაცია ლირიკულ ტალღაზე გადაიყვანა და სხვა გამომსვლებებსაც აუშალა ლექსების წაკითხვის საღერღელი. მთარგმნელის მიერ წაკითხულზე არანაკლებ ემოციური და დასამახსოვრებელი გამოდგა ლია სტურუას, ზაირა არსენიშვილის, ნანა ტონიას, ლევან ბრეგაძის, შარლოტა კვანტალიანის მიერ გახმიანებული კატულუსის ლექსები.

და კიდევ ერთხელ ყველამ ვიგრძენით ის, რაც თეორიულად ვიცით: „Ars Longa, vita brevis“ — სიცოცხლე ხანმოკლეა, ნამდვილი ხელოვნება მარადიული, იმიტომ რომ ყველა ეპოქაში საოცრად ბუნებრივია, სადაა, ყოველთვის მახლობელი თანადროული და თანამედროვე — ერთი სიტყვით, ადამიანური, ამ სიტყვის ყველაზე ფაქიზი და ინტიმური გაგებით.

კატულუსის პოეზიას კი სინატიფესთან ერთად საოცარი ძალაც გააჩნია, ძალა, რომელსაც შეუძლია ადამიანი ყოველდღიურ რუტინას მოწყვიტოს და სული სიცოცხლის სიყვარულითა და ხალასი განწყობილებებით აუვსოს. ხოლო ასეთი პოეზია მშობლიური ენის სამოსელშიც ისევე ბუნებრივად და დახვეწილად რომ გამოიყურებოდეს, როგორც „ქართული კატულუსი“ გამოიყურება, იმ რანგის მთარგმნელი და შემოქმედი უნდა იყო, როგორიც გახლავთ ქალბატონი მანანა ლარიბაშვილი.

„სამწუხაროდ, მანანა ლექსებს არ ბეჭდავს, მაგრამ ის პოეტია. პოეტური ნიჭიერების გარეშე კატულუსს ასე დახვეწილად ვერ აამეტყველებდა ქართულად“, — ასე შეაფასა ქალბატონმა ლია სტურუამ მანანას ნაღვაწი.

„მადლობა მინდა მოვახსენო მანანას, რომ ეს ცივი, უჟმური, უფერული ზამთრის საღამო ასე გაგვიფერადა“ — ბატონი ემზარ კვიტაიშვილის ამ სიტყვებმა კი დარბაზის საერთო განწყობა გამოხატა.

თავისი სიტყვა მანანა ლარიბაშვილმა იმ ადამიანთა გვარების ჩამოთვლით დაიწყო, რომელთა გარეშეც წიგნი მზის სინათლეს ვერ იხილავდა. ვისაც ემადლიერებოდა, გამომცემლებს: გოჩა კევლიშვილს, ალეკო ჯიქურიძეს, დათო მუჯირს, ირინა სტროგანოვას.

„და განსაკუთრებულად დიდი მადლობა როსტომ ჩხეიძეს, რომლის ჟურნალშიც „ჩვენი მწერლობა“ სისტემატურად იბეჭდებოდა თარგმანები“. აგრეთვე ბატონებს რისმაგ გორდეზიანს, ლევან ბრეგაძეს, ვახტანგ როდონაიას, ემზარ კვიტაიშვილს თანადგომისა და მხარდაჭერისათვის. და ბოლოს, ყველა იმ დამსწრეთ, ვინც არ დაიზარა და იმ საღამოს დარბაზში მობრძანდა. შემდეგ სიტყვა გამომსვლელებს გადასცეს.

**რისმაგ გორდეზიანი:**

„მინდა მილოცვებს შევუერთდე და ვუთხრა, რომ იგი დღეს არის საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო მთარგმნელი ანტიკური ლიტერატურისა, ანტიკური პოეზიისა.

დღეს ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ანტიკურობა ეს არის რაღაც დახვეწილი, კლასიკური სრულყოფილება, სადაც ნოვატორული სული, ჩვენი დღევანდელი გაგებით, მაინცდამაინც არ ჩანს, მაგრამ საკმარისია ანტიკურ კულტურას და ლიტერატურას კარგად გავეცნოთ, რომ ვნახავთ, იქ ძალიან ბევრი რაღაც ხდებოდა ისეთი, რასაც შეიძლება დღევანდელი ტერმინოლოგიით ფუტურიზმიც კი ვუწოდოთ, ვუწოდოთ ნოვატორობა, ვუწოდოთ ავანგარდიც კი. და ამ სათაურით ბევრი ნაშრომიც გამოდის.

და აი, ჩვენ წინაშეა კატულუსი, რომელმაც შეითავსა ის, რომ რომაული ლიტერატურის თვალსაზრისით არის ახალი მოვლენა, მშვენივრად დაწერილ შესავალში, რომელიც წინ უძღვის თარგმანებს, ნახავდით, კატულუსს უწოდებენ ნეოტერიკოსს (ანუ მოდერნისტს), მაგრამ ეს სიახლე ანტიკურობაში არასოდეს არ გადასულა აბსურდში, სიახლე ყოველთვის ინარჩუნებდა საოცარ სილამაზეს, საოცარ სიღრმეს და კატულუსის პოეზიაში ეს მშვენივრად ჩანს.

მანანამ შესანიშნავად აამეტყველა (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით!) ქართულად კატულუსი. გადაშალეთ ნებისმიერი ლექსი და ნახავთ, ძალიან ბევრ თანამედროვე პოეტს შეშურდება კატულუსის თანამედროვეობა.

ვფიქრობ, დადგა დრო ქართულად ითაგმნოს რაც შეიძლება მეტი ლიტერატურა, რომელსაც ჩვენ კლასიკურს ვეძახით. ეს ტერმინი — კლასიკური, არის ძალიან პირობითი, და როცა იმ მასშტაბით ითარგმნება, რა მასშტაბიც აუცილებელია განათლებული ქვეყნისათვის, ნათელი გახდება, რამდენ იმპულსს შეიცავს ეს ანტიკური ლიტერატურა ჩვენი თანამედროვე, საზოგადოებისთვის.

დღეს ჩვენ ვუსურვებთ კატულუსის ამ ლექსებს ისეთივე წარმატებას, როგორიც კატულუსს აქვს მთელ მსოფლიოში და ვინატრებდი დაბრუნდებოდეს ის დრო, როდესაც ასეთი წიგნი რომ გამოიცემოდა 40 000 ტირაჟით, იგი ერთ კვირაში ქრებოდა მაღაზიიდან.

ჩვენთან სულ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგიის სამი ტომი, აქ არიან „ლოგოსის" თანამშრომლები, აქ არის ქალბატონი ნანა ტონია და მინდა კიდევ ერთხელ მას დიდი მადლობა ვუთხრა, რომ კოლეგებთან ერთად გამოსცა ასეთი შესანიშნავი ანთოლოგია, ამ ანთოლოგიაში მნიშვნელოვანია მანანას როლიც, მისი თარგმანები უხვადაა წარმოდგენილი.

ანტიკური ლიტერატურა ყოველთვის გადიოდა ბესტსელერის კატეგორიაში. ეს მანანასაც ეხება. ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ საერთოდ ჩვენი ინსტიტუტი, რომლის ორგანული ნაწილია გამომცემლობა „ლოგოსი", ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ანტიკურობა ღირსეულად იქნეს წარმოდგენილი საქართველოში".

**როსტომ ჩხეიძე:**

„მართლაც ერთი ხანობა აქაობა იყო გადაქცეული კულტურის კერად, სისხლსავსე სამწერლო ცხოვრებით ცხოვრობდა და ჩვენი ლელას დამსახურება იყო ეს, რომ არ ჩავარდებოდა კვირა და კვირაში რამდენიმე სალამო იმართებოდა — ერთი ერთმანეთზე უკეთესი, ვერც კი იტყვი, რომელი რომელს სჯობდა. მერე როგორღაც შენელდა ეს ყველაფერი, ამას ჰქონდა თავისი მიზეზი, ლელას უნდა განეცადა დედობის ბედნიერება და ტარდებოდა ხოლმე სალამოები შემთხვევიდან შემთხვევამდე, ხამუშ-ხამუშ და ახლა ისევ ამოქმედდა, ჩაერთო სისხლსავსე ცხოვრებაში, ჩვენი მწერლობის, ჩვენი კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების რიტმში და ძალიან მიხარია, რომ დღეს, სწორედ აქ ხდება მანანა ღარიბაშვილის წიგნის წარდგინება. მე ვამბობ მანანა ღარიბაშვილი და არა კატულუსი, რადგან ეს უკვე არის ორიგინალური ქართული მოვლენა — წიგნი, რომელიც არის ჩვენი სამწერლო ცხოვრების, ლიტერატურული პროცესის ორგანული და განუყოფელი ნაწილი. პირველად არ გამოსულა ეს წიგნი, დღეს უკვე სრულად გვაქვს, ამ თარგმანებს კარგად ვიცნობ, არა მარტო წაკითხული მაქვს, არამედ გულდასმით დამუშავებულიც; გამოვაქვეყნე კიდეც სხვადასხვა დროს, როგორც ლირიკული, სატრფიალო ციკლი, ისევე ეპიგრამებიც და კიდევ ერთხელ ძალიან დიდი სიამოვნებით გავეცანი ამ წიგნს, მომხიბლავია მთარგმნელის ოსტატობა, მისი ის შესაძლებლობა, რომ აქციოს ქართულ მოვლენად კატულუსი და ის დრო და ჟამი, რაც გავლილია, გააქროს თვალდათვალ და ხელდახელ.

ხშირად არის ამაზე კამათი, მთელი თეორიები არსებობს, უნდა ითარგმნოს თუ არა ლექსი, ღირს თუ არა ასეთი რამე მოსინჯოს ადამიანმა, ხომ არ ჯობია კარგი პწკარედი მომზადდეს, რაც უკეთეს შთაბეჭდილებას შექმნის პოეტზე, რადგან თარგმანში შეიძლება არ იგრძნობოდეს დიდი პოეზია, მაგრამ ყველაზე უკეთესად ამ თეორიას უპირისპირდება ხოლმე ნამდვილი ღირებულებანი და მიხარია, რომ ქართულად შედევრები მოგვეპოვება. სწორუპოვარი ნიმუშები, მაგალითად, პაოლო იაშვილის პუშკინი, თამარ ერისთავის ბერნსი, დავით წერედიანის ვიიონი... არსებობს სხვა შესანიშნავი თარგმანებიც, რომელიც, შესაძლოა, იმ განსაკუთრებულის ფონზე არ გადიოდეს, მაგრამ მაინც იყოს გამორჩეული. აი, ეს თარგმანიც ასეთია. ჩვენ უკვე არა მხოლოდ ვიცით, რომ კატულუსი დიდი პოეტია, არამედ ამას ვგრძნობთ. და ეს არის მანანას დამსახურება. აქვე მინდა ვთქვა შესავალ წერილზე, ბატონმა რისმაგმაც აღნიშნა, ბრწყინვალედ არის დაწერილი დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს ამ წერილს, ასე ვთქვათ ესეი — პორტრეტია კატულუსისა. ასევე დამოუკიდებელი არსებობა აქვთ შენიშვნებსაც, ცალკე წაიკითხავთ დოკუმენტურ მოთხრობასავით. ამ წიგნის გამოცემა მივულოცოთ არა მარტო ქალბატონ მანანას, არამედ ქართულ მწერლობას და ქართულ კულტურას.



მანანა ღარიბაშვილი

ლელა: წიგნი გახლავთ ორენოვანი, რაც მის დიდ ღირსებას წარმოადგენს და ქ-ნ მანანას ვთხოვ წაგვიკითხოს რამდენიმე ნიმუში.

მანანა ღარიბაშვილმა წაიკითხა რამდენიმე ლექსი ქართულად და შემდეგ აუდიტორიის თხოვნით ლათინურადაც გახმიანდა ეს ლექსები, ჩვენ მოვისმინეთ, თუ როგორ ჟღერს ორიგინალში კატულუსის პოეზია. სანიმუშოდ თუნდაც ეს გავიხსენოთ:

**ისევ მოვიდა გაზაფხული თბილი ქარებით,**
**ისევ აჯობა ზეფიროსის საამო ქროლვამ**
**ზამთრის ქარიშხლებს, ისევ დათბა, ისევ განათდა...**
**ეჰა, კატალუს, მივატოვოთ ფრიგიის ველნი,**
**ცხელი ნიკეის მოელვარე ვრცელი ყანები.**
**ჭრელი აზიის მივაშუროთ ლამაზ ქალაქებს!"**
**„ხომ ხედავ, გულიც გაჩქარებით გზისკენ გეწევა**
**უკვე ფეხებიც აგიცეკვდნენ სახეტიალოდ...**
**მშვიდობით, ჩემო მეგობრებო, კეთილად გევლოთ,**
**სახლიდან ერთად გამოსულებს გზაც ერთი გვქონდა,**
**შინ კი ყველანი საკუთარი გზით დავბრუნდებით!**

თავის დროზე გიორგი ლობჟანიძე რეცენზიით გამოეხმაურა კატულუსის ლირიკის პირველ გამოცემას. და ამჯერადაც: „მოგესალმებით ყველას, დიდი სიხარულით მიწევს დღევანდელ სალამოს გამოსვლა, ამ დარბაზში, როგორც აღინიშნა, უამრავი კარგი შეხვედრა ჩატარებულა, უამრავი წუთი ურუქებია „ქარავანს" ნამდვილი ჭეშმარიტი პოეზიისა, და მე ვფიქრობ, დღევანდელი სალამოც გამორჩეული იქნება ამ სა-

ლამოებს შორის. როდესაც პირველად გამოიცა მცირე ვარიანტი, გაოცებული და გახარებული დავრჩი იმ ძალიან კულტურული ქართულით, რაც პირველ რიგში მომხვდა თვალში, და შემდგომ, როცა ღრმად წავიკითხე კატულუსის პოეზია, მანანა ღარიბაშვილის მიერ ქართულად ამეტყველებული, უკვე მოვიხიბლე ინტონაციური მრავალგვარობით. ინტონაციურ მრავალგვარობას საგანგებოდ იმიტომ აღვნიშნავ, რომ ბერძნულ-რომაული პოეზიის ქართულად გადმოტანა სწორედ გაძნელებულია ამ ინტონაციების ზუსტი შესატყვისის მოძებნის თვალსაზრისით ხოლმე. და აი, ქალბატონ მანანას თარგმანში ეს ყველაფერი შესანიშნავად მიმოიქცეოდა და სრულიად ახალ სივრცეს გვთავაზობდა მთარგმნელობით ლიტერატურაში. აქ დიაპაზონი მერყეობს უნაზესი ლირიკიდან დაწყებული ძალიან უხეშ გამოთქმებამდე, ოღონდ ყველაფერი ეს არის ღრმა პოეზიის საბურველში მოქცეული და მთარგმნელმა მოახერხა, რომ სულის თრთოლვა პოეტისა ჩვენამდე უდანაკარგოდ მოეტანა. ერთი რაც უნდა აღინიშნოს: პროგრამა „ლოგოსის" გამოცემების ძალიან კულტურული და მაღალპოლიგრაფიული დონე. მე არ შემიძლია, შემთხვევით არ ვისარგებლო და მადლობა არ ვუთხრა ბატონ რისმაგ გორდეზიანს, რომელმაც უამრავი კარგი წიგნი გვაჩუქა თავის გუნდთან ერთად ამ პროგრამის ფარგლებში.

მაგრამ ამ წიგნებს შორის სრულიად გამორჩეულია კატულუსის ეს თარგმანი, როგორც უკვე ორგანული ნაწილი თანამედროვე ქართული სალიტერატურო პროცესებისა".

**ნანა ტონია:**

„მანანა, მეც გულწრფელად ვუერთდები ამ მილოცვებს და გილოცავ ამ არაჩვეულებრივი წიგნის გამოცემას და მინდა დამსწრე საზოგადოებას ვუთხრა, რომ მანანას სახელი ჯერ კიდევ მაშინ გახდა ცნობილი, როცა მან გამოსცა თავისი პირველი თარგმანი, ეს გახლდათ ოვიდიუსის „ტრფობანი", და რომელიც ასევე არაჩვეულებრივი თარგმანი იყო და რომელშიაც უკვე იგრძნობოდა ის პოტენცია, ის სიყვარული, ის ძალა, რაც ოვიდიუსის პოეზიას ახასიათებს საერთოდ.

ოვიდიუსიდან კატულუსამდე მანანა საგრძნობლად გაიზარდა და აქვე მინდა გავიხსენო, მისი მეგობრები დამეთანხმებიან, რომ უფრო ადრე, სანამ თარგმანს მოკიდებდა ხელს, ის თავისი ლექსებით გამოდიოდა აუდიტორიის წინაშე, ჯერ კიდევ პიონერთა სასახლიდან მოყოლებული, ასე რომ, ის პოეტური სული, რაც თავიდანვე იყო მასში, თანდათან ვითარდება, იზრდება და ბოლოს აი, გვაქვს ასეთი არაჩვეულებრივი თარგმანი კატულუსისა.

უნივერსიტეტში სტუდენტებს ყოველთვის ვუკითხავ ხმამაღლა მანანას თარგმანებს. ძალიან მინდა, რომ კიდევ ვთქვა საქებარი სიტყვები, მაგრამ იმაზე უკეთესად ვერაფერს ვიტყვი, ვიდრე თქვა ბატონმა როსტომმა აქ. რომ ეს არის შენაძენი, მონაპოვარი თანამედროვე ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურისა.

შინაგანი კეთილშობილება, მრავალი ღირსება, რაც შეიძლება ადამიანს გააჩნდეს, ქართული ენის არაჩვეულებრივი ცოდნა, რა ენიდანაც თარგმნის, და კიდევ სხვა მრავალი ღირსება, რომელიც მანანას გააჩნია, როგორც პიროვნებას, ყველაფერი ჩანს ამ თარგმანში.

**ნანა ტონიამ წაიკითხა ლექსი, რომელიც, მისი თქმით, მისი უსაყვარლესი ნიმუშია და თითქმის ყოველთვის კითხულობს, როცა საუბარია კატულუსზე. ეს არის არა იმდენად ლირიკული, რამდენადაც უფრო ლესბიაზე გაბრაზებული კატულუსის ნათქვამი, „იგი საშინლად გაბრაზებულია! ნახეთ, როგორი ექსპრესია, როგორი დაძაბულობაა, ვნებათაღელვის როგორი ქარიშხალია..."**

**ნანას დეკლამაციას გულიანი ტაში მოჰყვა და მან ისევ გააგრძელა საუბარი:**

„ერთი რამ დამავიწყდა და ბარემ აქვე ვიტყვი: მანანას თარგმანებში ოქროს შუალედია მონახული. ზუსტად გადმოსცემს კატულუსის ლექსის ხმოვანებას, განწყობილებას, მაგრამ ბრმად არ მისდევს სტრიქონებს და სიღრმისეულად აქვს განცდილი და ქართულად ამეტყველებული. აი, ამგვარი თარგმანი, როცა მთარგმნელის მანერა არ ფარავს ორიგინალს და ინარჩუნებს პოეტის ინდივიდუალობას, არის ყველაზე კარგ თარგმანად მიჩნეული. რაც შეეხება საზომებს, ამ მხრივაც საოცარი მრავალფეროვნებაა. ქართველი მთარგმნელები ხშირად მიმართავენ 14-მარცვლიან საზომს. მანანა ცდილობს ყოველ საზომს, რომელიც წარმოდგენილია ლათინურ დედანში, შესაფერისი საზომი მოარგოს ქართულად, ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს მის მაღალ პროფესიონალიზმზე და იმ სამყაროს ღრმა ცოდნაზე, რომელ სამყაროშიც ჩვენ ვიმყოფებით".

**კახა ჯამბურია:**

„მე მგონი ეს წიგნი კარგი საჩუქარია, არა მარტო ჩვენთვის, ფილოლოგებისთვის, საერთოდ მკითხველისთვის, ვისაც აინტერესებს ლიტერატურა, კულტურა.

ქართული ლიტერატურა არ შეიძლება არსებობდეს ისე ჩაკეტილად, როგორც თავის დროზე გვასწავლიდნენ სკოლაში, ერთი პერიოდი ასე მეგონა, რომ მოწყვეტილი ვართ მსოფლიო კულტურას და ვარსებობთ ცალკე აი, ეს თარგმანები, რაც ეხლა, ამ ბოლო პერიოდში შემოვიდა ჩვენს ცნობიერებაში, კიდევ უფრო გვაახლოებს და კიდევ უფრო გასაგებს ხდის, რამდენად ახლო ვართ მსოფლიო კულტურასთან, ანტიკურ სამყაროსთან, მით უმეტეს, ესეთი თარგმანით. ბარიერი, რომელიც ყოველთვის ახლავს თარგმანს, აქ საერთოდ არ იგრძნობა, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი სიტყვა გაგრძნობინებს, რომ ეს შენი კულტურის ნაწილი არ არის. მანანას თარგმანი არის ერთ-ერთი შესანიშნავი თარგმანი, რაც მე საერთოდ მინახავს. აქ ითქვა, ძალიან დიდი საქმე გააკეთა გამომცემლობა „ლოგოსმა" ბატონი რისმაგის მეთაურობით, ასეთი საქმეები არ ჩანს, თანამედროვეები იშვიათად აღიქვამენ ამის მნიშვნელობას, ფართოდ არ დაფასდება, ეს უნდა ვიცოდეთ, ძალიან დიდი მკითხველიც არ ეყოლება და არც ისეთი აღიარება მოჰყვება, როგორიც სასურველია, მაგრამ ამის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს ჩვენი კულტურა და ჩვენი ლიტერატურა.

მე მინდა კიდევ ორიოდე სიტყვა ვთქვა ქალბატონ მანანაზე, როგორც ერთ-ერთ შესანიშნავ ფილოლოგზე და ადამიანზე, ვისაც მე შევხვედრივარ ცხოვრებაში. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გიცნობ, რომ დღეს აქ ვარ და შემიძლია ეს გითხრა".

**ლია სტურუა:**

„მე არავითარი უფლება არ მაქვს თარგმანის თეორიაზე ვილაპარაკო, იმიტომ, რომ არ ვარ პროფესიონალი, ვერც — პრაქტიკაზე, იმიტომ, რომ ლექსი ფაქტიურად არ მითარგმნია, მაგრამ, რა თქმა უნდა, მე მაქვს ჩემი დამოკიდებულება თარგმანის მიმართ. როცა ლექსებს თარგმნიდნენ რუსულად, ვინც ძალიან თავისუფლად თარგმნიდა, იმისთვის არასდროს მიმიცია ლექსი, თუმცა, მე რომ მეთარგმნა, მეც ალბათ იმავეს გავაკეთებდი და ამიტომ არ ვთარგმნი, მთავარი ღირსება თარგმანისა არის ის, რომ როდესაც მე ქართულად ვკითხულობ კატულუსს, რემბოს, ვიიონს, გოეთეს, — ეს ჩემთვის უნდა იყოს ნამდვილი, გამართული ქართული ლექსი და ამავე დროს კატულუსი, რემბო თუ ვიიონი და ა.შ. მაგრამ, რაგინდ განათლებული

იყოს ადამიანი, არაფერი ამ საქმეს არ შველის, თუ ის პოეტი არ არის. შეიძლება მანანა ღარიბაშვილი ლექსებს არ ბეჭდავს, მაგრამ ის წერს ლექსებს და ის პოეტია. ჩემი აზრით, კარგი თარგმანი მხოლოდ შემოქმედმა შეიძლება შექმნას, მე მახსოვს რამდენჯერმე გადამიკითხავს ამერიკული პოეზიის ანთოლოგია და ცნობილია, რომ რუსებს ჰქონდათ და აქვთ ძალიან კარგი მთარგმნელობითი სკოლა და ძალიან კარგი თარგმანები, მაგრამ მათ შორის არის ერთი პოეტი და ეს გახლავთ ვოზნესენსკი, ვიღაცას უყვარს ეს პოეტი, ვიღაცას არა, მაგრამ აი, ნამდვილი ლექსები ამერიკული პოეზიის ანთოლოგიაში არის ვოზნესენსკისა. უილიამ ჯეიმს სმიტი, რომელიც პნკარედით წამიკითხავს, მომეჩვენა, რომ ძალიან დიდი პოეტია, იმიტომ, რომ ვოზნესენსკის აქვს კარგად ნათარგმნი. ვერ ვიტან სიტყვას კონგენიალური, აი, შეიძლება ამ შემთხვევაში ვიხმაროთ ამ თარგმანებზე.

აი, ეს თვისებები შემოქმედისა, რაც აქ ჩანს ძალიან მნიშვნელოვანია. აქ ასეთი რამ მახსენდება:

ყველამ ვიცით გალაკტიონს აქვს ასეთი სტრიქონი: „რომ ანგელოზს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი" — აღებულია პირდაპირ ლერმონტოვიდან, არავითარი კომპლექსი და დანაშაულის გრძნობა ამის გამო გალაკტიონს არა აქვს. მოეწონა, აიღო, მაგრამ მერე ისეთი გააკეთა, ასჯერ მეტი, რომ ლერმონტოვს არც დაესიზმრება, შეიძლება ცვეტაევა და მაიაკოვსკი მიუახლოვდნენ. აი, ეს არის შემოქმედის ამბავი. ლორკას თარგმნის, გამორჩეული მთარგმნელი გელესკული და ისე იკითხება, რომ ალბათ სწორედ ასე წერდა ლორკა. მანანას წიგნზე მაქვს ასეთი განცდა... და სანყენია, რომ ლექსებს არ ბეჭდავ, ღმერთმა მოგცეს იმის უნარი და სურვილი, რომ წერო, თარგმნო და ასეთი შესანიშნავი წიგნები და საღამოები გვაჩუქო".

**გივი შაჰნაზარი:**

„მოგესალმებით, მართალი გითხრათ, ასეთი დარბაისელი საზოგადოება დიდი ხანია არ მინახავს, გარდა იმისა, რომ კონკრეტულად ამ შესანიშნავ წიგნზე უნდა ვისაუბროთ და ორიოდ სიტყვა ვთქვათ, ვფიქრობ, ლიტერატურულ საკითხებშიც ვიჭრებით და საკამათოსაც ვამბობთ.

მეც არა ვარ ის კაცი, რომელსაც თარგმანის თეორიებისა სწამს, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არავითარი აკრძალვა არ არსებობს, ითარგმნოს თუ არა პოეზია... რა თქმა უნდა, უნდა ითარგმნოს, მე პნკარედული თარგმანი წარმოუდგენელი მგონია. და ეს არაერთხელ დამტკიცდა. აქ არ შეიძლება არ ვახსენოთ ივანე მაჩაბლის დიდი სახელი. მისი შექსპირი ნათარგმნია ტრადიციული 14-მარცვლიანი საზომით. კატულუსის თარგმანებშიც გვხვდება, როგორც კლასიკური, ასევე არატრადიციული 14-მარცვლიანი საზომი, რომელშიც მარცვლების განლაგება სრულიად არატრადიციულია, ეს ქმნის განსაკუთრებულ ჟღერადობას და ბუნებრივ ქართულ ინტონაციას.

და საერთოდაც, კატულუსი არის ის პოეტი, რომელიც ვერსიფიკაციული მრავალფეროვნებით გამოირჩევა და ეს საზომთა სიმრავლე თარგმანშიც ასახულია.

მე მახსოვს მანანას პირველი ცდები, როცა მამამისმა ჩუმად მომიტანა და წამაკითხა მისი ლექსები. რომ წავიკითხე, ტექსტი იმდენად დახვეწილი ქართულით იყო, რომ ვუთხარი — აუცილებლად განაგრძოს წერა-მეთქი".

**ემზარ კვიტაიშვილი:**

„უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა მოვახსენო წიგნის გამოცემის მესვეურებს, „ლოგოსს", ბატონ რისმაგს, მათი მოღვაწეობა აგრძელებს უდიდეს ტრადიციებს — გრიგოლ წერეთლისა და სიმონ ყაუხჩიშვილის ტრადიციებს და ასე მყარად დგას ფეხზე.

მოგეხსენებათ რა დიდი კავშირი ჰქონდა და თუ რამედ ღირდა საქართველო, იმით, რომ ანტიკურობასთან მჭიდროდ იყო ჩვენი აზროვნება გადაჯაჭვული.

ერთ-ერთი უდიდესი მითი, პრომეთეს მითი და არგონავტების მითი რომ ქართულ კულტურასთანაა დაკავშირებული, უნდა გვეამაყებოდეს.

მანანამ იცის ჩემი აზრი მის თარგმანებზე და ყველაზე მოზრდილი პოემა, სადაც კოლხეთია ნახსენები, მინდა რომ თარგმნოს, მაგრამ მითხრა, რომ ეს პოემა მხატვრული ღირსებით ჩამოუვარდება დანარჩენ ლექსებს, თუმცა, ამას თავი დავანებოთ! ის, რაც გააკეთა მან, არის ლიტერატურული გმირობა.

ბატონმა გიორგიმ ინტონაციებზე გაამახვილა ყურადღება. რითი არის ეს სიმრავლე ინტონაციებისა განპირობებული, ბერძნული და რომაული ლექსი რითმას არ იცნობდა, მარცვალთა მონაცვლეობით და მახვილის საშუალებით იქმნება ლექსის რიტმი, ქართულ თარგმანებში კი ინტონაცია ახდენს ამის კომპენსაციას და როცა ასეთ ლექსში სიყალბე ოდნავ გაიპარება, მაშინვე უხეშად ხვდება ყურს. ვერც ერთი, სულ პატარა ბზარიც კი ვერ ვნახე მანანა ღარიბაშვილის თარგმანებში. პოლონელი მუსიკათმცოდნეა ლანდა ვანდოვსკაია ამბობს ერთგან, რომ ნამდვილ პოეზიაში ერთი მარცვალიც რომ გადაატრიალო, ინგრევა მთელი ჰარმონია და მიხარია, რომ არსებობს ასეთი ოჯახი, ორი ასეთი ინდივიდუალური ბუნების მთარგმნელი, შეიძლება ისინი ტანდემსაც წარმოადგენდნენ და ასეთ საოცარ სიმდიდრეებს ქმნიან. ასეთ ხალხს უნდა ჰქონდეს ის პირობები, რომ სხვა რამეებზე არ დაიხარჯონ. ისინი მთელ ენერგიას თავის შემოქმედებას უნდა უძღვნიდნენ.

ხშირად იყო კამათი — ქართული ლექსი სილაბურია თუ სილაბურ-ტონური. ამაზე ორი აკაკი იბრძოდა — აკაკი გაწერელია და აკაკი ხინთიბიძე — კინაღამ დახოცეს ერთმანეთი... ერთხელ აკაკი გაწერელიას ვუთხარი, მართალი ბრძანდებით, მაგრამ მახვილის გულისთვის აკაკი ხინთიბიძეს ნუ მოკლავთ-მეთქი.

წარმოგიდგენიათ გურამიშვილის პოეზია, იგივე გალაკტიონის პოეზია, რომელიც მარტო სილაბურობაზე იქნებოდა დამყარებული? მანანა შესანიშნავად ფლობს ამ ხელოვნებას — დაქტილისა და ქორეს ურთიერთმონაცვლეობის ხელოვნებას. მადლობა მინდა მოვახსენო მანანას, რომ ეს ზამთრის უჟმური, უფერული და ცივი დღე ასე გაგვიფერადა.

**ზაირა არსენიშვილი:**

„ისეთი განცდა მაქვს, როცა კატულუსის პოეზიას ვკითხულობ და განსაკუთრებით ლესბიას ციკლს, თითქოს შიშველი ლექსებია, ბავშვური უშუალობით დაწერილი, რაც იწვევს ჩვენში ღიმილიან თანაგრძნობას და სიყვარულს. ყოველი ლექსი რამდენჯერმე გადავიკითხე და ვიგრძენი კატულუსის მიმართ ნამდვილი სიყვარული. ძალიან ძნელია ინტონაციის დაჭერა, სიტყვის უტყუარი მოხელთება, არის ასეთი ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი კარლ ორფი, რომელსაც შესანიშნავი კანტატები აქვს. სამი კანტატა და მეორეში გამოყენებული აქვს სწორედ კატულუსის ლექსები ლესბიას მიმართ და იცით რას აკეთებდა ამ ინტონაციისთვის, არქაულ ინტონაციებს იყენებდა, მოდერნულ ინტონაციებთან ერთად, — ამით არის ცნობილი. ასევე აქვს „აფროდიტეს ტრიუმფი", სადაც გამოყენებული აქვს „ეპითალამია". მინდოდა მანანასთვის ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომელო ეს ფირფიტები, მაგრამ აღარ არსებობს ის ძველი საკრავები, თუმცა აუცილებლად გადავწერ დისკზე და ვაჩუქებ.

მას უნდა ჰქონდეს კატულუსის სიმღერები, ეს შესანიშნავი, სცენიური წარმოდგენები — თავისი გუნდით, მომღერლებით. როცა კითხულობდი ლათინურად, გახმიანდა, როგორ არის დაჭერილი ინტონაციები, ლექსის მუსიკა, როგორ შეძელი, — თან არის ასეთი თანამედროვე ქართული და ამავე დროს იგრძნობა ნიავივით მსუბუქი ანტიკური ხმოვანებაც.

ანდაზა ხომ გახსოვთ, ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო... ცოტათი მინდა გადავაკეთო, ჩვენ საქმე გვაქვს ორ შესანიშნავ ხართან, პოეზიის ხარებთან, მის მეუღლეს ვგულისხმობ — უბრწყინვალეს პოეტსა და მთარგმნელს...

თუმცა, მანანა ამავე დროს არის ნაზი, მშვენიერი ქალბატონი და შედარება ხართან, იმედია, არ გაანაწყენებს.

**ლევან ბრეგაძე:**

„ორიოდ სიტყვა მინდა მოგახსენოთ მთარგმნელზე და თარგმანებზე. მანანას არ ვიცნობდი, როცა „ლიტერატურულ საქართველოში" წავიკითხე ოვიდიუს ნაზონის რამდენიმე ლექსის თარგმანი და დიდხანს მახსოვდა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ვისაც სიტყვა უყვარს, ლიტერატურა უყვარს, ლექსი უყვარს, ის იმ წუთშივე იგრძნობს, რომ ნამდვილი ტექსტიდან მოდის რაღაც ძლიერი, შთამბეჭდავი განცდა. მეც ეს დამეუფლა. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, ერთხელაც „ჩვენი მწერლობის" სალონში გამაცნეს მანანა ღარიბაშვილი და უცბად აღდგა ჩემს გონებაში ის თარგმანები.

„ქართულ მწერლობაში" დავბეჭდე „პოემა ატისზე". ეს ჟურნალი, რეკლამას გავუწევ, გამოდის გამომცემლობა „ინტელექტში", გამოდიოდა ორ თვეში ერთხელ, ახლა გამოვა ყოველთვიურად. ეს გამოცემა დაამშვენა მინი-პოემამ ატისზე. აქ ითქვა საზომებზე და მინდა მეც აღვნიშნო, რომ ეს პოემაც დაწერილია საკმაოდ იშვიათი მეტრით ქართული პოეზიისათვის. — 17-მარცვლიანი საზომი გახლავთ, სამი ხუთმარცვლიანი ტერფია და შემდეგ უცბად მოკლე ბოლო სიტყვები — ქორეები. სტრიქონი თავდება ორმარცვლიანი სიტყვებით, რომლებიც მოკვეცილობის შეგრძნებას იწვევს და ქმნის განსაკუთრებულ ორიგინალურ მელოდიკას.

არაჩვეულებრივი მუსიკალური საზომი გახლავთ, აი უსმინეთ: **„აფრა ამართა წყალზე ატისმა, ქროლვით გადავლო ზღვები, გალმა ფრიგიის ნაპირს მიადგა, ღრმად გადაბურულ ჭალას, უმალ მიაგნო დიდი ქალღმერთის ბნელით შემოსილ ბომონს. აწრიალებულ სულს ვერ იჩერებს, შმაგობს, ბობოქრობს, ბორგავს, ქვით მოიკვეთა ძალნი კაცურნი, კაჟის პირბასრი დანით".**

მართლაც არაჩვეულებრივად ჟღერს.

და ბოლოს, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო დიდი შრომა, რასაც ეწევა ეს ინსტიტუტი. შესანიშნავ წიგნებს აქვეყნებთ. მე პირადად, ვაგროვებ, ლექციებზე ვიყენებ და საერთოდ ბევრს შეაყვარებს ლიტერატურას.

შეიძლება დღევანდელი მკითხველი არც იყოს ამის ღირსი, მაგრამ დადგება დრო, როცა ასეთი წიგნის წაკითხვა ადამიანისთვის იქნება ზეიმი. ანტიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკა უზარმაზარი საგანძური გახლავთ. თუ ავითვისებთ, გამოვიყენებთ, ჩვენც დავემსგავსებით დიდ ხალხებს, რომლებმაც ეს დიდი ხნის წინათ გააკეთეს".

**შარლოტა კვანტალიანი:**

„ამ თარგმანებს დიდი ხანია ვიცნობ. ზაფხულობით ერთმანეთს ვხვდებით ქვიშხეთში და იქ საღამოც ჩავატარეთ. იქ წაიკითხა მანანამ პირველად თავისი თარგმანები. ასე რომ, აპრობირებულიც იყო და წაკითხულიც, მოწონებულიც.

ხშირად ისტორიკოსებზე უკეთ ახერხებენ ხოლმე მწერლები შემოუნახონ ისტორიას და საუკუნეების შემდეგ გაგვაცნონ რომელიმე პიროვნება ან ისტორიული მოვლენა სრულიად მოულოდნელი კუთხით.

ხშირად ამა თუ იმ პიროვნებას მწერალი რაღაც მიზეზით ლექსში მიუჩენს ადგილს და როგორც ერთ-ერთ იამბში არის ნახსენები, „აფართხალდება" ხოლმე ათასეული წლების შემდეგ.

ასეთი ჭეშმარიტი ნაწარმოებები საოცრად გვაახლოვებს შორეულ წარსულს, მანძილს ამცირებს და სრულიად თანამედროვეს ხდის.

ერთი ლექსი მინდა წაგიკითხოთ, ეს ლექსი შეიძლება ითქვას ანტიბესიკია. ბესიკს გაგახსენებთ, ოღონდ სხვა მხრიდან: **„სალამი შენდა, გოგოცუნავ, ჩემო გრძელცხვირა! თვალნი არ შავნი და ტან-ფეხიც ვერ აშოლტილი, თითნი არ თლილნი და ტუჩ-კბილნი არ უდორბლონი, ვერც ხიბლიანო, ვერც დახვეწით ენახმიანო, ფორმიანელი ბედოვლათის გულის მურაზო! შენზე ამბობდა პროვინცია, ლამაზიაო? ნუთუ შენა ხარ ჩვენს ლესბიას რომ შეგადარეს? პოი, დროებავ, უბადრუკო და უმეცარო!"**

ასე მშვენივრად ჟღერს ქართული კატულუსი, რისთვისაც დიდ მადლობას ვწირავთ მას".

**თამარ ჯაფარიძე:**

„რაც თავი მახსოვს, მანანა სულ წერდა, მისი ყველა ლექსის მოწმე ვარ, სულ ადრიდან მოყოლებული დღემდე. ეს ლექსები არ არის, სამწუხაროდ, ცნობილი. ლიტერატურის თეორიაში მიმუშავია და ერთ რამეს მინდა გავუსვა ხაზი. პირველი, რაც ამ შესანიშნავ თარგმანებში არის მისასალმებელი, ისაა, რომ მანანა როგორც პოეტი არა ჰგავს მანანას როგორც მთარგმნელს. ეს ძალიან რთულია, იმიტომ, რომ თარგმანის თეორიაში ცნობილია, როდესაც პოეტი თარგმნის პოეზიას და ხშირად ყველა მის მიერ ნათარგმნი ავტორი ერთნაირია, თუმცა, ქალბატონ ლიას ვეთანხმები იმაში, რომ პოეზია მაინც პოეტმა უნდა თარგმნოს, მაგრამ ეს თარგმანები მაშინ იქნება ღირებული, როცა ერთი ხელწერით შესრულებული არ იქნება და ორიგინალთან ახლოს იდგება.

და მეორე, რაც ასევე მნიშვნელოვანია, ძალიან საშიშია პროზაშიც და მით უმეტეს, ლექსში, როცა ქალი თარგმნის მამაკაც პოეტს. ძალიან დიდი საფრთხე არის აქ, ჩემს თავსაც ვგულისხმობ. მანანა ახერხებს, რომ არსად ქალური ინტონაცია არ გაეპაროს. კატულუსი არსად ლაპარაკობს ქალის ხმით, ეს რთული მისაღწევია, ამას გონებით ვერ აკონტროლებ, ეს ინტუიციურად, ქვეცნობიერად ხდება და ნიჭიერებაც აქ ჩანს.

დასასრულ „ქარავნის" დიასახლისმა **ლელა შუბითიძემ** მადლობა გადაუხადა დარბაზს, თითქოს ამაზე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ არავის ეჩქარებოდა შინ წასვლა, მსმენელთა თხოვნით მთარგმნელმა კიდევ ერთი მშვენიერი ლექსი წაიკითხა:

**თანამგზავრებო პინზონისა, უქმო კოჰორტავ!**
**მსუბუქი ფუთით, ცარიელი ჯიბე-ჯუბათი!**
**უსაყვარლესო ვერანიუს! ძმაო ფაბულუს!**
**საქმე როგორ გაქვთ? აღარ გეყოთ, რაც დაითმინეთ**
**მაგ არამზადის გვერდით ყოფნა, შიმშილ-სიცივე!**

ქეთევან ტომარაძე

# ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლებით

დათო მაღრაძის კრებული „ნაფეხურები წყალზე“ სტრუქტურული სიახლითა და თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მკითხველისთვის კარგად ნაცნობ ლექსებს საგრძნობ ხიბლს მატებს სტრიქონები, რომლითაც პოეტი აგრძელებს მრავალი წლის წინათ დაწყებულ მხატვრულ-იდეურ ძიებათა ციკლს: **„მე ამ წიგნს ვიწყებ, როგორც სიარულს, როგორც სიმღერას ალყაში მყოფის, როცა სიცოცხლეს — ლაღს და მხიარულს ელოდებიან გატენილ თოფით. და ჩემ ძველ კალამს, რომელსაც ვენდე, ვინც გამიმტყუნა ბევრჯერ იმედი, არ გამოვცვალე, და კიდევ ერთხელ და კიდევ ერთი შანსი მივეცი“...**

მკითხველს განსაკუთრებით ამახსოვრდება პოეტური სტრიქონები, სადაც დათო მაღრაძის წმინდა ლირიკულ განცდათა სამყარო ფართოვდება და მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებითა და მოვლენების ფილოსოფიურ-ფუტუროლოგიურ ჭრილში გააზრებით, სათქმელისადმი ფაქიზი მიდგომით დამაჯერებლობას მატებს ყოველივეს, რაც წიგნში ხდება: **„რაც რამე ხდება ამ ახალ წიგნში, — ყველა ამბავი, იცოდე, მე ვარ, მქონდა ცხოვრების აცდენის შიში, რომელიც ყველა კრებულში შევა“.**

პოეზიაში ახალი თემატური ნაკადის თამამად შემოტანა, მოქალაქეობრივი პათოსით გაჯერებული იდეების ცოცხლად და მძაფრად წარმოჩენა სრულიად ამართლებს როგორც ავტორისა და მკითხველის იმედებს, ისე საკუთარი მუზისადმი დათო მაღრაძის მიერ გაცხადებულ ნდობას...

პოეზიის მოყვარულთა ყურადღებას უთუოდ მიიქცევს ამერიკაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებით ინსპირირებული ლექსები, რომლებიც როგორც სემანტიკურად, ისე იდეის განვითარების დინამიკის თვალსაზრისით, ოსტატურად არის მორგებული ლექსთწყობის ტრადიციულ სისტემაზე, პოეტის მიერ ჩვეული სითამამით, მძაფრად და გულწრფელად ნათქვამ სიმართლეზე მკითხველს ავტორთან უნისონში რომ დააფიქრებს.



დათო მაღრაძე

ლექსი ერთხელ ნიუ-იორკში დამოუკიდებლობის დეკლარაციის იმ პასაჟით არის შთაგონებული, ადამიანის სწრაფვას ბედნიერებისკენ იმავე კონტექსტში რომ განიხილავს, როგორიც არის მაგ. სიცოცხლის უფლება: **ჩვენ ამოვდივართ იმ თავისთავად ცხადი ჭეშმარიტებიდან, რომ ყოველი ადამიანი თანასწორია და რომ თითოეული აღჭურვილია თავისი უფლისგან გარკვეული ხელშეუხებელი უფლებებით, რომელთაც განეკუთვნება სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ სწრაფვა...**

ფილოსოფოსის, დიპლომატისა და საზოგადო მოღვაწის, ამერიკის მესამე პრეზიდენტის ტომას ჯეფერსონის მიერ ფორმულირებული და 1776 წლის 4 ივლისს, აშშ მეორე კონტინენტური კონგრესის მიერ მიღებული დამოუკიდებლობის დეკლარაცია საზოგადოებრივი ცხოვრების, ზოგადად, ყოფიერების ახლებური გააზრების საფუძველთა საფუძველია. ამ ისტორიული დოკუმენტის უმნიშვნელოვანეს პოსტულატში, ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლებას რომ ანიჭებს ადამიანს, დათო მაღრაძემ სამართლიანად დაინახა კაცობრიობის მიერ განვლილი სულიერი ცხოვრების ეტაპები, ადამიანის ისტორიულ-კულტურული გამოცდილების, ცივილიზაციათა შემოქმედებითი გააზრების განაშრევები. შემთხვევითი არ არის, რომ დეკლარაციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამერიკელთა ცხოვრებაში, შეცვალა აზროვნების ვექტორი და მიმართულება მისცა შემდგომ ეპოქათა მწერლობისა და ფილოსოფიის, ხელოვნების, მრეწველობისა და მეცნიერების განვითარებას.

დეკლარაციის იდეებით მოხიბლული პოეტი-მოგზაური, ამერიკისადმი მიძღვნილ ლექსებში უცხო ქვეყანაში მიღებული შთაბეჭდილებების ისეთ ტრანსფორმირებას ახდენს, მის მიერ აქცენტირებული ფაქტები თუ მოვლენები მხატვრულ სახეებად იმგვარად კრისტალდება, რომ მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა, იოლად ჩაწვდეს თანამედროვე ამერიკის სულს, ქვეყნისა, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს პოეტის სამშობლოს დემოკრატიულ განვითარებას, დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

ევროპულ კულტურულ ტრადიციებზე აღზრდილი, თავისი ქვეყნის გულშემატკივარი პოეტი, ვისაც ზეიმი არასოდეს უთამაშია და ბოლო ოცი წლის დრამატული ამბების არა უბრალო დამკვირვებელი, უშუალო მონაწილეა, მკითხველს სულის წიაღში დაბუდებულ ეჭვებს ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობს და შენიშნავს, რომ მისი ტკივილი იმდენად ღრმაა, საუკუნის იქითაც გასტანს.

დათო მაღრაძეს აინტერესებს, რას წარმოადგენს თანამედროვე ამერიკა, ქვეყანა, რომელიც ასეთი თავდაჯერებით ახდენს იდეების ექსპორტს, სად გადის ზღვარი დამოუკიდებლობასა და დემოკრატიას, გლობალიზაციასა და ფუნდამენტურ ღირებულებებს შორის, საუკუნეების მანძილზე პიროვნების იდენტობას, კაცობრიობის პროგრესს რომ განსაზღვრავდა. ძიებათა ამ სპექტრს დათო მაღრაძისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ეროვნული ღირსების საკითხთან იკვეთება და უშუალოდ უკავშირდება მისი მშობელი მიწის, საქართველოს ბედ-იღბალს.

პოეტი მდიდარი ინფორმაციით აღჭურვილი ჩადის არცთუ დიდი ხნის წინათ საბჭოთა ადამიანებისთვის აბსტრაქციად ქცეულ ქვეყანაში, რათა იქაური ცხოვრების წესი და ზნე-ჩვეულებები მისთვის კარგად ნაცნობ რეალიებს შეუდაროს და თავისუფალი სამყაროს ფენომენი გაითავისოს: **„ძველი ბანკების გამძლე ბაკანით და ბანკირების ტროსტით და ჯგიმით ირწევა წყალზე, როგორც აკვანი, მოკლე მაიკლის და დიდი ჯიმის სამშობლო — მითი. — ჰაი, ამერიკა! — რა ხდება შენკენ, აბა მოჰყევი... შენს ნაპირებთან გამომერიყა ფიქრი და ფიქრებს მეც გამოვყევი“.**

შორეულ კონტინენტზე ნანახი პოეტში, რომელიც აღიზარდა ქვეყანაში, სადაც მრავალი კულტურა ორგანულად ერწყმის ერთმანეთს და ცხოვრების საზრისს, ტრადიციულად, ის სულიერი ღირებულებები განსაზღვრავს, რამაც ქართველი ერი გადაარჩინა და დღემდე მოიყვანა, სავალალო სკეფსისს ბადებს. ხოლო უკიდეგანო რაციონალიზმი, როცა ყველაფერი დათვლილი და აწონილ-გაზომილია და, სადაც კეთილშობილებისა და ნაღდი გრძნობებისთვის სივრცე თითქმის აღარ დარჩენილა, მწარე სინანულის გრძნობას აღვიძებს: **„ითვლიან ნამს და ითვლიან ნამწამს და წამწამიდან დაშვებულ ცრემლებს და სადაც უნდათ, როდის და რაწამს, დათვლილი ცრემლის საშველად შევლენ...** ანდა, **გასამრჯელოს და საფასურს შორის ცდომილების რომ მოიხსნას რისკი, ზუსტად დათვლილი ზის სუტენიორი და ჯენტლმენივით მიირთმევს ვისკის“.**

დათო მაღრაძე არაერთხელ მიუბრუნდება დიდი მამების იდეოლოგიურ საყრდენებზე შემდგარი უძლავრესი სახელმწიფოს ცხოვრების დეტალებს, შეეცდება ამერიკული საზოგადოების ფსიქო-სოციალური სტრუქტურა შეიცნოს, გონებით წარმოსახული ამერიკული ყოფის მოდელი რეალურ ფაქტებთან შეაჯეროს, ობიექტური სურათი დახატოს იმ განცდით, **რომ „ლიქნი არ არის სულის წამალი“** და ყოველივე, რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, მკითხველამდე საკუთარი სულის პრიზმაში გატარებული მიიტანოს, ცალკეული შთაბეჭდილებები გაამთლიანოს, განაზოგადოს და თან ოცნებასა და ფანტაზიაში ჩაიძიროს: **„შტატების დროით ოცნების დროა, ბედის თავიდან დაწყების წუთი, და როგორც ერთ დროს რომსა და ტროას, ნოეს მიბაძვით შეუკრავს ყუთი“.**

პოეტს გულწრფელად სწადია თავისუფლების მამიდა, მისი მიზიდულობის ძალა და ხიბლი მკითხველსაც აგრძნობინოს და თითოეული „ფოტო“ **„მეხსიერების არქივში ჩაბეჭდოს“: „ბათერისკვერთან ორპირი დაქრის, შობა ახლოა და, ალბათ, მოთოვს... აქ ცალი თვალის ჩავბეჭდე ჩაკვრით მეხსიერების არქივში ფოტო“.**

პოეზიის მოყვარულებს შესაძლოა ახსოვთ გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ერთი ცნობილი ქართველი პოეტი ამერიკელ ხალხს გულუბრყვილო რჩევას რომ აძლევდა, ბროდვეისთვის ლენინის სახელი ეწოდებინათ, თუკი კუჭის გაძღომა სურდათ. დღეს ეს ლექსი მხოლოდ ღრმა სინანულის განცდას ბადებს მკითხველში...

მაგრამ სიურპრიზებს რა გამოლევს და აი, დათო მაღრაძე შეუძრავს იმ ფაქტს, რომ პოლიტიკური სისტემის გამოცხადებული ცვლილების ფონზე, ადამიანის ცნობიერებაში წარმართობის რელიქტი კვლავ ღრმად ჩამარხულა, ხოლო კერპთაყვანისმცემლობა განუკურნებელ სენად ქცეულა: **„მე მაძალებდნენ ლენინის პროსპექტს... და რომ მეგონა ეს იყო გუშინ, როცა ვიფიქრე, რომ ეს გზა მოსპეს, გამომელვიძა ქუჩაზე ბუშის“...**

გარესამყაროს პოეტური აღქმა და მიზანმიმართული კულტურულ-ისტორიული წიაღსვლები ძლიერ ემოციურ ნაკადად რომ კრავს სათქმელს, საკითხის არსში ღრმად ჩაახედებს მკითხველს. ამ პროცესს ეთიკის, ესთეტიკისა და საზოგადოებრივი ყოფის მკვლევარის, ამერიკელი ფილოსოფოსის რალფ უოლდო ემერსონის მოსაზრებებთან მივყავართ. მით უფრო, რომ დათო მაღრაძის ძიებათა სპექტრში იგი უცილობლად ეფექტური გზამკვლევის როლს ითამაშებს.

ემერსონის შრომებსა და ზეპირ გამოსვლებს ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოქვეყნებიდან არცთუ დიდი ხნის შემდგომ გაეცნო საზოგადოება. დიდმა ამერიკელმა მოაზროვნემ დოკუმენტის პოსტულატები გააფართოვა, გაშალა და ახალი ადამიანის მიერ დანახული გარესამყაროს არსი და ბუნება რელიეფურად წარმოაჩინა: „ახალმა ადამიანმა უნდა იგრძნოს, რომ ის ახალია და რომ მოვიდა არა სამყაროში, სადაც ევროპის, აზიისა და ეგვიპტის შეხედულებები და ადათ-წესებია დამკვიდრებული. სულიერი დამოუკიდებლობის განცდა ცვარის მიმზიდველ ცქრიალს ჩამოჰგავს იმდენად, რამდენადაც ძველი, უკიდურესად დამძიმებული დედამიწა და მისივე ძველი პროდუქცია ყოველდღიურად ახლდება და კაშკაშებს მხატვრის საბოლოო ხელდასხმით. გაბატონებული სკოლებისადმი ცრუ მორჩილებამ, ანდა ანტიკური სიბრძნისადმი თავდადრეკამ როდი უნდა წარმტაცოს ამ წუთებით ფლობის უზენაესობა“...

დათო მაღრაძის ამერიკული ციკლი, ერთ იდეურ რკალში მოქცეული რეალობაა, რომელიც გვიჩვენებს, **„ამ წუთებით ფლობის უზენაესობამ“** როგორ ჩაანაცვლა **„ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლება“** და დროთა განმავლობაში ჩიხში როგორ მოაქცია, რაოდენ გადაფარა პრაგმატიზმმა მისი შინაგანი არსი და ბუნება. პირველი, რასაც პოეტი ამერიკაში მოგზაურობისას ამჩნევს, აბსურდამდე მისული რაციონალიზმია, როდესაც ვერ გაგირკვევია, რისთვის ხდება ყოველივე ადამიანისთვის, რომელიც თავის ნამდვილ სახეს კარგავს, თითოეულის კეთილდღეობისთვის, რაც ვერ წარხოცავს ღრმად ჩაბუდებულ აგრესიის ჭიას, თუ ესოდენ საეჭვო და ილუზორული მომავლისთვის: **„ითვლიან სამკალს, ითვლიან სა-**

**თესს, ბავშვების ნასროლ თითოეულ გუნდას, რამდენი კაცი ნაჰყვება მათეს, რამდენს გაიყვანს მინდორში ბუდა. ჯვარს ვინ შეუდგამს გაცრეცილ ბეჭებს, ითვლიან კეფას, ითვლიან დოლარს, როდის შეჰკივლებს მძინარე მეჩეთს განთიადების მამალი მოლა"...**

შემთხვევითი არ არის პოეტის მიერ ამერიკისადმი მიძღვნილ ერთ-ერთი ლექსის სათაურში გამჟღავნებული ირონია. „ერთხელ ნიუ-იორკში" არაორაზროვნად მიანიშნებს მწერალ ჰარი გრეის „ქუჩის ბანდების" მიხედვით შექმნილი სერჯიო ლეონეს ფილმისადმი, „ერთხელ ამერიკაში", დათო მაღრაძის დამოკიდებულებას. პოეტი „ეპოქის დიაგნოზად" მონათლული პოპულარული კინოსურათის გმირებისადმი ერთგვარ სიმპათიასა და თანაგრძნობას გამოხატავს, ხოლო რეჟისორში თანამოაზრეს ხედავს. ლექსის ავტორს სწამს, რომ ის, რაც გასული საუკუნის დასაწყისში ნიუ-იორკში ხდებოდა, მეგაპოლისის დღევანდელობისგან ცოტა რამით თუ განსხვავდება, რადგან ყველგან და ყველაფერში, სულიერების ნიველირების ხარჯზე, დღესაც ფულის კულტი გამეფებულა.

ლექსში პოეტმა, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე ამერიკის შეულამაზებელი სურათი, მახვილი კალმით გამოძერწილი „პორტრეტი" შემოგვთავაზა, რომლის შტრიხებიც, ამერიკისადმი მიძღვნილ სხვა სტრიქონებში წარსულისადმი პოეტის მიმართებით ივსება და მთლიანდება: **„შენ, ამერიკავ... და მის ფეხდაფეხ ადევნებულო კვალში ევროპავ, ჯამში ჩაწურავთ მწიფე ვენახებს, რომ საიდუმლო დადგეს სერობა. ცას და ქვეყანას რიხით გასძახებთ, ახალ თაობის ახალ ნათლობას... შორტს გაუგზავნით დამჭკნარ ბარძაყებს, დამსახურებულს, როგორც მადლობას"...**

დევიდ არონსონმა, ფილმის მთავარმა გმირმა, ცხოვრებისეული დაბრკოლებები გადალახა ისე, რომ კომპრომისებზე შეგნებულად წავიდა; განვლო წუთისოფელი იმგვარად, როგორც შეეძლო და ხელეწიფებოდა მჩქეფარედ და მოუსვენრად. „დიდი ვაშლის" ჯურღმულებში, მარგინალურ გარემოში ლაღად გაზრდილმა ერთმა უბრალო, გონიერმა ბიჭმა ილუზიებსა და იდეალისტურ ცრურწმენებს სძლია, სასტიკი და დაუნდობელი ცხოვრების შუქ-ჩრდილებში თავის გზას მისდია, სახარების მცნებებს მრავალგზის ზურგი აქცია ცოდვილ მიწაზე საკუთარი ადგილის, ბედნიერების უფლების მოსაპოვებლად. მაგრამ ამ წუთების ფლობის სიამოვნებაზე ხელი მაინც ვერაფერმა აალებინა.

მრავლის მნახველი და მომსწრე, სოლიდურ ასაკს მიტანებული არონსონი მამაკაცური სიმტკიცით, ვაჟკაცურად უსწორებს თვალს სინამდვილეს, თითქოს დროის გაჩერება სწადიაო, ცხოვრების ურთულესი ზიგზაგების ხელახლა გავლას ლამობს, ტკივილისა და სიხარულის განმეორებას, რათა კიდევ ერთხელ იგემოს ამქვეყნიური ყოფის ხიბლი და მშვენიერება. შემთხვევით არ ალიბეჭდება ფილმის დასასრულს გმირის სახეზე ნეტარების ღიმილი სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულზე ასე თავისებურად, ასე უცნაურად რომ მიანიშნებს...

„ფილმის მენტალობა უმთავრესად ევროპულია", აღნიშნავდა მისი ეკრანებზე გამოსვლისას კინოკრიტიკა. შესაძლოა ასეც არის, ოპონენტები გულწრფელნი არიან, მაგრამ კინოსურათის სიუჟეტურ ხაზში ხომ აშკარად ამერიკული ოცნების თავისებურებანი, უფრო მეტიც, ზოგადად, ადამიანის რაობა, მისი არსი გამოიკვეთა.

ლექსის სათაური „ერთხელ ნიუ-იორკში" ამერიკული ცხოვრების ანარეკლია გმირის მიერ განვლილი გზის, კათარზისს რომ გაშორებს და ბრიყვთა ხომალდის ეკიპაჟივით, მარტოდენ ბერწ და უმიზნო ცურვით ტკბობას განგაცდევინებს.

ადამიანის უსაგნო, თვითმიზნად ქცეულ ძალისხმევის შედეგებს აკვირდება და მომხიბლავ პოეტურ ხატებად გარდაქმნის დათო მაღრაძე: **„სიცოცხლე ორჯერ პირს არ იბრუნებს, ვერ მობრუნდება ძველი წადილი, სამაგიეროდ, მაღალ ტრიბუნებს უნდა შესწევდეს ძალა ქადილის. თქვენ დაუწერეთ მათ ეს ყისმათი, ალბათ გიყვარდათ ჩემზე ძალიან... მოაცლევინეთ სიცოცხლისათვის, როცა სიცოცხლეს აღარ სცალია"**.

ამერიკული შთაბეჭდილებებით შექმნილი ლექსები შინაგანი თავისუფლებით აღჭურვილი კაცის მონოლოგია, რომელიც საუკუნეობით ჩამოყალიბებულ ღირებულებათა რღვევით შეძრწუნებული ფიქრობს გლობალიზაციის ფერხულში ჩაბმული საზოგადოების სულიერ სილატაკეზე, მატერიალური კეთილდღეობისკენ გაუაზრებელ, აბსურდულ, ფუჭ სრბოლაზე.

პოეტი-მოგზაური, რომელიც ყოველ ნიუანსს საგულდაგულოდ აკვირდება და სწავლობს, ცალკეულ მოვლენაში ბიბლიური სახეების მოდერნიზებულ, დეფორმირებულ ანარეკლს ხედავს. ამგვარი მიდგომით დათო მაღრაძე პრობლემას სხვადასხვა კონტექსტში განიხილავს, მოგზაურობას უცხო სამყაროში ცოდნის გაფართოების, სულიერი განვითარების გარკვეულ ეტაპად წარმოაჩენს, ჯერ კიდევ გასავლელ გზას მთლიანობაში გაიაზრებს და საზოგადოებრივი კრიზისის მიზეზთა მიზეზს ეძებს.

პოეტმა იცის, რომ აზრებითა და იდეებით დანაღმულ ამ გზაზე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სიფხიზლეს, ისევე როგორც იმ პოეტური რეალობის გაცნობიერებას, რომ **„ყოველი წუთი — სტრიქონია შენი ანდერძის"**. მით უფრო, რომ მისი უმაღლესობის, ყოფიერების კანონზომიერების ძალმოსილებით, ამ გზაზე, ოცნებისა და სიყვარულის გარეშე სრული კრახია მოსალოდნელი, მასზე ყველა წაიფორხილებს: **„დღესასწაული დგება და ვიცი, რომ სიყვარულის ძალა დიდია...მიზიდულობის კანონი მიწის მაღლა ვიწევ და ფეხზე მკიდია"**.

მიზიდულობის ძალისგან პირობითი განთავისუფლების იდეას დათო მაღრაძე წმინდა მამებთან მიყავს, რათა მათგან გადმოსული მადლითა და სულის სიმტკიცით აღიჭურვოს და გონებისა და ბუნების ჰარმონიის მისტერია შეიგრძნოს, უკეთ ჩანვდეს ყოფიერების რაობას. თავისუფლებისკენ დაუოკებელი სწრაფვით, სიცოცხლის გადარჩენის ინსტინქტით **„საკუთარი ფრთების აირვეისით"** შეუყვება იგი მთვარიან ტალანს, რათა ნოეს კიდობნის მისტერიის შეცნობისას, ესქატოლოგიის საკითხს ერთხელაც მიუბრუნდეს.

პოეტი აკვირდება, როგორ ისრუტავს ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო, მაღალგანვითარებული ქვეყანა ყოველივე საუკეთესოს, რაც კაცობრიობას შეუქმნია, რათა დაქსაქსული და დანაწევრებული, გვარიანად მოდიფიცი-

რებული უკანვე დააბრუნებს იმ რწმენითა და თავდაჯერებით, რომ მისი მრავალი იღბლიანი ექსპერიმენტი პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციალურ თუ სხვა სფეროებში, უცილობლად წაადგება, ბევრ სასარგებლოს შემატებს განსხვავებულ რეალობაში მყოფ საზოგადოებას, მთელ დანარჩენ სამყაროს. ამ ზედაპირულ, ტლანქ და ჯიქურ ძალისხმევაში იკარგება ადამიანი, ცნობიერების დაფიდან უმოწყალოდ იშლება მისი ჭეშმარიტი არსი და მიზანი.

პოეტში არაერთხელ იფეთქებს გადაულახავი სურვილი, მისდიოს წყალზე აღბეჭდილ ნაფეხურებს, რათა ხორცი შეასხას ღვთით ბოძებულ უფლებას, საკუთარ თავში ჩაიხედოს, თავის თავს გაუმჟღავნოს, სად მიდის და რატომ, სიღრმისეულად გაიაზროს ის, რაც მის გარშემო ტრიალებს და ბრუნავს, თავად გადარჩეს, რათა ერთფეროვნებისა და უსახურობის მსახვრალი ხელისგან იხსნას ყველა, ვინც ამას იმსახურებს, გულით სწადია და კეთილ მაცნედ მოევლინოს ადამიანებს: **„ხორცი, ვიცი, ვის უნდა, ჩავაბარო სული? ის!? მომაწვდინე შენი ხმა, ვიდრე სმენას გათიშავ, გამამხნევე, მოვდივარ წყალზე მოციქულივით როგორც ხმელი ფოთოლი შემოდგომის აფიშა“.**

ემერსონის წერილი „ლიტერატურული ეთიკა“ დათო მაღრაძის მიერ დასმულ მრავალ კითხვას ფენს შუქს და მათ გააზრებაში გვეხმარება. მეცნიერი და ფილოსოფოსი კარგად ხსნის ამერიკული კულტურის თავისებურებას და ამერიკელი ხალხის მსოფლგანცდის სათავეებთან მივყავართ: „ამერიკული ფერწერის, ქანდაკების, პოეზიის, ორატორული ხელოვნების განმასხვავებელი ნიშანი, ჩანს, დიდებულებას მოკლებული სინატიფეა, რომელიც თავისთავად ახალი როდია, სხვებისგან არის აღებული; ისინი მოგვაგონებს ლამაზ, მაგრამ ცარიელ ლარნაკს — ნებისმიერს, ვინც მას შეხედავს, შეუძლია საკუთარი გონებისა და სულის კარნახით შეავსოს იგი. თუმცა ამ ლარნაკის შიგთავსი ჭექა-ქუხილისთვის გამზადებული ღრუბელივით შემაძრწუნებელი მშვენიერება როდია, ელვასავით რომ განკვეთს ყველას, ვინც მას შეხედავს...

ქართველმა პოეტმა ღრმად შეისუნთქა „თავისუფალი სამყაროს“ ჟანგბადი, სხეულის ყოველი უჯრედით შეიგრძნო მისი ძლიერი ენერგეტიკული ველი და ლამაზი, თუმც „ცარიელი ლარნაკის“ საკუთარი ესთეტიკური მრწამსითა და კულტურულ-ისტორიული გამოცდილებით შევსებას შეეცადა, რათა კიდევ უფრო წინ წასწიოს საყვარელი საქმე, წეროს ლარნაკების კონსტიტუცია.

ამგვარი ექსპერიმენტისკენ დათო მაღრაძეს თავისი სამშობლოსა და ხალხის, თანამედროვე ცივილიზაციის აქტიური შემოქმედისა და არა განვითარებადი ქვეყნის სტატუსის მქონე სუბიექტის გააზრებამ უბიძგა, ისევე როგორც სურვილმა, ახსნას, როგორ შეიძლება გაათავისუფლოს მისი ქვეყანა მძიმე მემკვიდრეობისა თუ ცრუ ლიბერალიზმით შეფერილი დღევანდელობისაგან: **შემოაბრუნეთ განწირული თეთრი ხომალდი! მანდ ერთ მეზღვაურს ძველ უბანში სახლი ნაექცა, ანდა ორმაგი ვისკით და მაგარი თამბაქოს ეკლით მამისეული ნაანდერძევი არ გაქარვდება.**

პოეტისთვის უცხო და მიუღებელია აგრესიულ პრიმიტივიზმში გადაზრდილი პრაგმატიზმი. ამიტომაც ცდილობს მიაგნოს სფეროებს, სადაც ამერიკის დეკლარაციით გაცხადებული უფლებები რეალიზდება: **„გაწერილია გრიფი და გრაფა, თვითეულ ცენტის მბზინავ თილისმით, რომ მოეფინოს სამყაროს სწრაფად აგრესიული პრიმიტივიზმი. მტვერი ეყაროს სანუკვარ წიგნებს, იოლი იყოს მართვის ბუნება. და ვნატრობ, სადმე გადარჩეს იქნებ ბედნიერების სწრაფვის უფლება“.**

მრავალმნიშვნელოვან ღიმილს ჰგვრის დათო მაღრაძეს დემოკრატიის მედროშე ქვეყნის დღევანდელობა, ისევე როგორც მის მიერ სხვათა მიმართ გაღებული გულმოწყალება, რომლის არსიცა და საფასურიც მშვენივრად უწყის როგორც პოეტმა, ისე გონიერმა მკითხველმა: **„და დეპრესიის კვალი პარეზის, აკრეფილია, ვით ძველი ტომი. სუნთქავს შტატები, ვით ასპარეზი ბებერი ვნება ახალი რომის“.**

ლექსში „ერთხელ ნიუ-იორკში“ მხატვრული აზროვნების პრიზმაში გარდატყდა თანამედროვე ამერიკული ყოფის ობიექტური სურათი, რასაც ნათელ ზოლად მიჰყვება ჭეშმარიტი მოქალაქისა და პატრიოტის პოზიცია: **„მაღლა ღმერთია, ქვევით — შტატები და მანჰეტენის ღამის ნათება, აქ რასაც გინდა შეემატები, ამით თუ რამე შეგემატება“...**

გულწრფელ პოეტურ ლოგიკას მიყურადებულ მკითხველს მოგზაურობის ოსტატურად აღწერილი ეპიზოდები სამუდამოდ ამახსოვრდება. ამერიკა ბიბლიური სახე სიმბოლოების, ეთნიკური თუ რელიგიური მრავალფეროვნების კონგლომერატი მას ბაბილონის გოდოლს აგონებს. ბევრი რამ, გონებაში ანაზდად რომ აღბეჭდილა, ილუზიაა, რომელიც ესოდენ მაცდუნებელი, უმძლავრესი ფინანსური ბურჯებით, ფულის ცივილიზაციით, სიცოცხლისუნარიანი პრიმიტივიზმით არის გაჯერებული, ჯ. კიეზას გამოთქმა რომ მოვიშველიოთ: „ადამიანის მუდმივი არსებობით ბაზრისთვის მაშინაც, როცა შრომობს და მაშინაც, როცა ისვენებს: **„მარილიან და ნოტიო ნიავს ჩაჰყვება გემო თამბაქოს კვამლის, ბლოკნოტის კარი დახვდება ღია სასტუმროს სკამზე ოქროს წვერს კალმის.... ითვლიან ვარსკვლავს, ითვლიან ქვიშას, სიზმარში ნანახ ზეცის ანგელოსს, ფუჟერის პირზე პომადის ნიშანს, ნიშნის საფასურს და გასამრჯელოს“...**

თავისუფალი სამყაროს მხატვრული რეტროსპექციით, თანამედროვეობის უმტკივნეულესი საკითხების აქცენტირებით, მკითხველი თანდათან უკეთ აცნობიერებს და ეუფლება დათო მაღრაძის პოეტურ სამყაროს, ამასთან, იზიარებს მის პოზიციას იმ ქვეყნის მიმართ, რომელიც ამერიკული დემოკრატიის რეცეპტს სთავაზობს დანარჩენ მსოფლიოს სამყაროს ერთიანი, უკეთესი შენობის ასაგებად. ამგვარი არქიტექტურული ვნებების ჭეშმარიტ არსში გასარკვევად პოეტი, ნაცნობი ქალბატონის მსგავსად,რომელიც მშვენიერების სიმბოლოდ მოიაზრება, წყალზე აღბეჭდილ ნაფეხურებს მიჰყვება: **„შუა ქუჩაში შეცბება ქალი და ნაცნობ მოტივს იგრძნობს სრულებით, ეს ხმაა მისი სიცოცხლის კვალი და წყალზე მისი ნაფეხურები“.**

ოსტატურად გამოძერწილი მრავალი პასაჟი მკითხველს აგრძნობინებს, რაოდენ საშიშია ნებისმიერი ქვეყნის გაფეტიშება, რა ხიფათის შემცველია ამაოების ორომტრიალში საკუთარი ქვეყნის როლის ნიველირება, მისთვის განკუთვნილი გზის დაკნინება. რადგანაც

**„პირველი ტიხარი უფალს და შენ შორის მაგ სახლის ჭერია, ყველას საკუთარი გზა აქვს გასავლელი ჩვენ ჩვენი გზა და სხვას სხვისი გზები!..“**

პოეტის საფიცარი ქვეყანა თითქოს უზნეობაში ჩანთქმულა, მომრავლებულან ადამიანები, ვინც **„ზეთის ნაცვლად, შუბლზე იცხო შური“**. თვითშეფასების ნაცვლად, ფარისევლობასა და სიყალბეს დაუსადგურებია, მრუდე სარკეში დანახული რეალობა ყოველდღიურობის ატრიბუტად ქცეულა: **„როდესაც მრუდეს ვხედავ ნათლობას ვარ დამნახავი, არა მნახველი, რომ დღესაც ყველა უსამართლობა დიდი სიმართლის ხდება სახელით“.**

მრუდე ნათლობის იდეას დათო მაღრაძე სხვა სტრიქონებშიც ავითარებს, სადაც სააზროვნო არეალი ფართოვდება, სულ სხვა მასშტაბებს იძენს და გამორჩეულ ეშხსა და სითბოს მატებს იმ ფიქრთა ნაკადს, ლექსში „ერთხელ ნიუ-იორკში“ რომ აზვირთდება და ოკეანის ტალღებივით დაიძვრება მოქალაქეობრივი ინერტულობის სენით შეპყრობილი საზოგადოებისკენ.

დათო მაღრაძის შემოქმედებითი არსენალი მკითხველს წარსულის ნოსტალგიური სურათებითაც დაამახსოვრდება. ნამყოზე ფიქრი პოეტისთვის თანამედროვეობასთან მიახლოების, მასთან დიალოგის, დღევანდელობის უკეთ წარმოჩენის კარგად მიგნებული ხერხია. ეს ის ფორმაა რომლის ფონზეც ხშირად ცალკეული პიროვნებები გამოჰყავს ავტორს დავიწყების ბურუსიდან, ძვირფასი ადამიანები, ხსოვნას კეთილ მოგონებად, ზოგი კი ცხოვრების განუყრელ მეგზურად რომ შემორჩენია. მოციქულის ნაფეხურების ძიებაში პოეტი სევდიანი ღიმილით დაივლის კაფეებსა და ბარებს, რათა, შეზარხოშებულმა და სასმელით შეთამამებულმა, იგრძნოს და ირწმუნოს რეინკარნაციის სასწაული, წინაპართა სულების მისთვის ძვირფას ადამიანებში ჩასახლების მისტიკური გარდუვალობა: **„ვასილ ვარაზაშვილი გადაკრულში უკრავს, მაგონდება გაშლილი აივანზე სუფრა. ძველი განწყობილება ახალი გზით მოდის და დარწეულს წყვილებად შუაღამის მოტივს ვასკას ფიზგარმონია ფარდაგივით გაჰფენს, მეცხრე ზეცას მაგონებს გაკვამლული კაფე“.**

თაობათა ესტაფეტის, ფასეულობათა ერთი გენერაციიდან მეორეში გადასვლის დიალექტიკური წრებრუნვის ნიველირებით, ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლების ცხოვრებაში რეალიზება, სიცოცხლის გაგრძელება ვერ წარმოუდგენია „სინდისის თოკზე“ გაბმულ, საკუთარ ფრთებთან განამკლავებ პოეტს, არსებული რეალობისადმი შეურიგებლობით ადამიანისთვის მებრძოლ რაინდად რომ გვესახება.

მხატვრულ ძიებათა ცენტრში ღვთაებრივ დროში მიმავალი, ეჭვებითა და იმედებით, სევდითა და სიხარულით, თვითგადარჩენის ინსტინქტით აღსავსე ადამიანი დგას, რომელიც ბურუსით მოცულ მომავალში გარკვევას ლამობს: **„რის სმოკტუნოვსკი, რა ოლივიე, რამდენი მზერა ცეცხლის მკვესავი... რადგან მე ერთმა რაც მოვილიე, ვერავინ იტყვის ამას ჩემსავით: რომ დანიაში, სერ უილიამ, გთხოვ, რომ შემინდო კერძო ჩურჩული, რომ საქართველო საპყრობილეა, რომ საქართველო არის ჯურღმული“.**

დათო მაღრაძისთვის, რთული და მღელვარე ეპოქის აფორიაქებული პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების გზაჯვარედინზე მყოფი ქვეყნის შვილისთვის, რომელიც ხასიათის თვისებებისა და ძლიერი შემოქმედებითი ტემპერამენტის გამო, გულგრილი ვერ იქნება მის ირგვლივ განვითარებული მოვლენების მიმართ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეთიკურ-ზნეობრივი პოსტულატები, ყოველივე, რაც ადამიანს გულის კარს რომ გაუხსნის და სამყაროსა და საკუთარ მიწა-წყალს სულ სხვაგვარად დაანახებს, მიახვედრებს, რომ: ციხე კი არა, დიადია ციხის ნაშალი.

პოეტს სჯერა, თავისი სამშობლოს ჭეშმარიტ სახეს უთუოდ მიაკვლევს და მკითხველამდე მიიტანს: **„და მარგალიტი, როგორც ობოლი გითხარი სიტყვა შენთან მავალი მე ამოვკენკავ შენთვის სამშობლოს ამ სანაგვიდან, როგორც მამალი“.**

დათო მაღრაძე ზოგჯერ „კომედი დელ არტეს“ მსახიობს გვაგონებს, მახვილი თვალისა და დაუდგრომელი ბუნების კაცი სასოებით რომ ირგებს ამა თუ იმ ნიღაბს იმგვარი სურვილითა და რწმენით, რომ ასე უკეთ დაინახავს საკუთარ თავს, ხოლო სხვათა სულის უფსკრულებიდან შეძლებს იმ პოზიტიური მარცვლის ამოკენკვას, რომელსაც გაალივებს და სნეულთა სალბუნად გარდაქმნის. იმპროვიზების ნიჭით დაჯილდოებული, არტისტული ბუნების კაცი ამგვარ კარნავალურ ორომტრიალში, სხვადასხვა დროსა და სივრცეში გადაინაცვლებს, ათასგვარ მეტამორფოზას განიცდის და სუბიექტური „მეს“ ძიების მარათონში ებმება, რათა თავანეული გავიდეს ცხოვრებასა და ხალხში: **„თეატრში ვტოვებ ჰამლეტის ნიღაბს, ცხოვრება თავის საკმეველს აკმევს და ვუბრუნდები საკუთარ იღბალს, ვით შუაგზაში მიგდებულ საქმეს“.** ან: **„და ვტოვებ სცენას და უკვე ვიცი, თეატრიც იქცა სულის საბაჟოდ; და ვტოვებ ნიღაბს დანიის პრინცის, მოვდივარ ხალხში და ცხოვრებაში“.**

პოეტი ფიქრობს თავისი ქვეყნის როლსა და ადგილზე მსოფლიო კულტურულ-პოლიტიკურ რუკაზე. ქვეყნის გეოგრაფიულ კონტურებს იგი ცივილიზებული სამყაროს საზღვრებს მიუსადაგებს, რათა ამგვარ მოზაიკურ სიჭრელეში ნათლად და ობიექტურად გამოკვეთოს მისი ადგილი რთულსა და მოულოდნელობებით აღსავსე ეპოქაში. მან მშვენივრად უწყის, რომ განკურნება სნეულების მიკვლევით იწყება და არც დიაგნოზის დასმაც ეძნელება: **„ჭერს გაყოლილი ნაპრალის შოვით სუსტი სინათლე ჟონავს მეტწილად, ნასვლია თვალი ეპოქის ქსოვილს და აბლაბუდად ჩამოძენძილა“.**

პოეტური სახეებითა და მხატვრული ხერხებით ამ ერთგვარ თამაშში, ერთბაშად რომ ითრევს და აზარტში შეჰყავს მკითხველი, თანდათან ვულკანივით ამოიფრქვევა ის სასიცოცხლო ენერგია, რომლითაც გლობალიზაციის შეუქცევად პროცესში ადამიანის გადარჩენის, მისი სულიერი ხსნის კონტურები გამოიკვეთება: **„ვდგავარ იქ, სადაც ქარიშხალია და ანგელოსი არის ნაცემი; ქარებთან შებმა ჩვენი ვალია, სულის რხევების პაპარაცების“.**

სამშობლოში თუ უცხო ქვეყნებში მოგზაურობის გამოცდილებით პოეტი ნათლად ხედავს თავისი ქვეყნის ყოველ ნაკლსა და სიკეთეს, ერთხელ კიდევ გადაავლებს თვალს ისტორიის ანალებს და უჩნდება რწმენა, რომ მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი საკუთარ თავში უთუოდ იპოვის იმ დვრიტას, რომელიც უცილობლად გააძლიერებს და თანამედროვე ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილად აქცევს მის მიწა-წყალს, თუმცა: **„ჩემო ქვეყანავ, რაც ხარ, ეგეც რომ ვერ ყოფილიყავ, არ გყავს შემცვლელი, მე მიყვარს ის, რაც ალბათ, შეგეძლო, მე მიყვარს ის, რაც შენ ვერ შესძელი“.**

დათო მაღრაძის ლექსები, გაჟღენთილი საკვამურიდან დაძრული ბოლით ნიკოფსიიდან სინანულამდე გზას, კათარზისის ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს გაატარებს მკითხველს და მას სულის ეკოლოგიაზე ზრუნვის აუცილებლობას შეახსენებს. დრო, გარემო და ადამიანი ისე შეცვლილა, სამოთხის ატრიბუტიდან, ვაშლისგან, სრულყოფილებისა და მშვენიერების ამ გამორჩეული სიმბოლოდან, თითქმის ალარაფერი დარჩენილა, უფრო სწორად, როგორც პოეტი იტყვის: **„ყუნწიღა დარჩა ელვარე ვაშლის, რომელსაც ევა წაეპოტინა“.**

აზრის სიღრმესთან შეზავებული გარეგანი სისადავე და უბრალოება, ლირიზმთან შერწყმული რეალობის ობიექტური განცდა სიცოცხლის სევდანარევ სიყვარულს აგრძნობინებს მკითხველს: **„ანგელოსო, ჩალის ქუდი ასე შორს. ძველი სახლის ჭერი კედელს დაშორდა, ჯოხის ცხენმა დაიბრალა რაშობა, გამოასწრო, როგორც დედის საშოდან, ანგელოსო, სამოთხიდან ასე შორს ნანგრევებში მოჰყვა ჩემი ბავშვობა“.**

ლექსთწყობის კლასიკურ სისტემებსა და ექსპერიმენტს შორის არჩევანისას პოეტი ბეწვის ხიდს გაივლის. ხან ზომიერების გრძნობითა და ხაზგასმული ორიგინალობით, ხანაც ტრადიციისადმი ერთგულებით, როგორც ეპოქის თვალწასულ ქსოვილს, ისე არღვევს დროის პირობითობას, სხეულებრიობის ტყვეობიდან იხსნის თავს და მკითხველსაც ამ დიდ, უჩვეულო მოგზაურობაში ეპატიჟება: **„დღესასწაული დგება და ვიცი, რომ სიყვარულის ძალა დიდია... მიზიდულობის კანონი მიწის მაღლა ვიწევ და ფეხზე მკიდია“.**

სიმბოლოებითა და პოეტური ხატებით მდიდარი კრებული „ნაფეხურები წყალზე“ „უწინდელი მედროშის“ მიერ ესტაფეტად მიღებული, შემოქმედებით საიდუმლოთა მდიდარი არსენალია, ეროვნული სულით გასპეტაკებული რომ უნდა აზიდოს ცაში პოეტმა და თავისუფლებისა და ბედნიერებისკენ სწრაფვის ძალმოსილებით მარცვალ-მარცვალ, უდანაკარგოდ მიიტანოს მკითხველამდე: **„...დამეწყვილა ფიქრებში ადრიანად მეტროში, ამაყად რომ მოჰქონდა მოფრიალე განგაში, ჩემმა წინამორბედმა უწინდელმა მედროშემ დროშა გამომატანა დასაბეჭდად სტამბაში“...**

ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედისთვის, ისევე როგორც პოეზიის მოყვარულისთვის კარგად ნაცნობმა ამ დროშამ უფსკრულის პირას მდგომ, კრიზისით შეძრწუნებულ საზოგადოებას სტიმული უნდა მისცეს, იმედი ჩაუსახოს და გონებისა და სამყაროს ერთიანობის იდეას აზიაროს, თანამედროვე ფრანგი ფილოსოფოსის ედგარ მორენის გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, აზროვნების მთლიანობასთან დააბრუნოს. ხოლო პოეტმა, შეცნობის სიხარულსა და ბედნიერებას უშურველად რომ უწილადებს თითოეულ ჩვენგანს, კვლავაც დაუზარლად და ღირსეულად **„ბეჭებით ზიდოს ეს საწყალი წუთისოფელი“.**

უილიამ ბატლერ იეიტსი

# სადაც არაფერია, იქ ღმერთია

ტალაში', წნელით ნაგები სახლები, სადაც საძმოს წევრები ჩვეულებისამებრ ლოცულობდნენ ან როცა მწუხრის ჟამი მინდვრის სამუშაოებიდან სდევნიდა, ხელნაკეთ ნივთებზე დახრილები შრომობდნენ, ახლა დაცარიელებულნი იდგნენ, რადგან სუსხიანმა ზამთარმა ხის სამლოცველოს ჩრდილში მდგომ სახლში მოუყარათ თავი და აბატი მალათჯენეუსი, ძმა დავი, ძმა მამაცი მელა, ძმა პიტერი, ძმა პატრიკი, ძმა ბიტერნი, ძმა ფეარბრაუნი და სხვანი, რომელნიც დიად ბრძოლებში სახელის მოსახვეჭად ჯერ საკმაოდ ახალგაზრდები იყვნენ, ალაჟღაჟებული სახეებით შემოუსხდებოდნენ ცეცხლს. ერთი გველთევზების საჭერი, მდინარეში ჩასაშვები ბადის შეკეთებით იყო დაკავებული, მეორე ჩიტების დასაჭერ კაკანათს აკეთებდა, მესამე წიგნის შესანახ, ძვირფასი ქვებით მოჭედილ ზარდახშას ამზადებდა. შეგირდები კი მათ ფეხთით დაგებულ ლერწმებზე წამოწოლილიყვნენ, შეგირდები, რომლებიც ერთ დღეს თვითონაც გახდებოდნენ საძმოს წევრები და რომელთა სკოლის შენობასაც სწორედ ეს სახლი წარმოადგენდა. გიზგიზა ცეცხლი, მთრთოლვარე და მოკაშკაშე, მათი სათუთი ასაკისთვის იყო განკუთვნილი. ერთ-ერთი, რვა თუ ცხრა წლის ბიჭი, სახელად ოლიოლი, ზურგზე იწვა და სახურავში გაჭრილ საკვამლე ხვრელს შეჰყურებდა. მინდვრის ცხოველის მშვიდი თვალებით აკვირდებოდა ვარსკვლავებს, რომლებიც კვამლში ხან ჩნდებოდნენ და ხან უჩინარდებოდნენ. მერე იმ ძმას მიუბრუნდა, რომელიც დიდ წიგნში რაღაცას წერდა და რომელსაც ბავშვების დამოძღვრა ევალებოდა, და ჰკითხა:

„ძმაო დავ, ვარსკვლავები რაზე არიან მიმაგრებულნი?“

ძმა დავს გაეხარდა, რომ შეგირდებს შორის ყველაზე ჩამორჩენილმა ბიჭმა ასეთი ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა. კალამი დადო და თქვა, — „სულ ცხრა კრისტალური სფეროა. პირველზე მთვარეა დამაგრებული, მეორეზე პლანეტა მერკური, მესამეზე პლანეტა ვენერა, მეოთხეზე მზე, მეხუთეზე პლანეტა მარსი, მეექვსეზე პლანეტა იუპიტერი, მეშვიდეზე პლანეტა სატურნი. ესენი მოხეტიალე ვარსკვლავები არიან, ხოლო მერვეზე მიმაგრებულნი არიან უძრავი ვარსკვლავები, მაგრამ, აი მეცხრე სფერო წარმოადგენს იმ სუბსტანციას, სადაც სული ღვთისა დასაბამიდანვე იძვროდა“.

„იმის იქით რაღაა?“ — იკითხა ბიჭმა.

„იმის იქით არაფერია, იქ ღმერთია“.

მერე ბავშვმა მზერა ძვირფასი ქვებით მოჭედილ ზარდახშაზე გადაიტანა, რომლის გვერდით ერთი მომსხო ლალის თვალი ელავდა ცეცხლის შუქზე და იკითხა:

„რატომ დადო ძმა პიტერმა დიდი ლალის თვალი ზარდახშის გვერდით?“

„ლალი ღვთისადმი სიყვარულის სიმბოლოა".

„რატომ არის ლალი ღვთისადმი სიყვარულის სიმბოლო?"

„იმიტომ, რომ ლალი ცეცხლივით წითელია. ცეცხლი კი ყველაფერს წვავს და სადაც არაფერია, იქ ღმერთია".

ბიჭი ერთხანს დადუმდა, მაგრამ მერე წამოჯდა და თქვა:

„გარეთ ვიღაცაა".

„არა", — უთხრა ძმამ, — „მხოლოდ მგლებია. შემომესმა, როგორ დასუნსულებდნენ თოვლში რამდენიმე ხანს. ახლა, როცა მათ ზამთარი მთებიდან დევნის, თანდათან უფრო ველურდებიან. გასულ ღამეს ფარეხში შეიჭრნენ და ბევრი ცხვარი გაიტაცეს. და თუ სიფრთხილეს არ გამოვიჩენთ, ყველაფერს გააჩანაგებენ".

„არა, ეს ადამიანის ფეხის ხმაა, რადგან უფრო მძიმეა, თუმცა მგლების ფეხის ხმაც მესმის".

ლაპარაკი არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ ვიღაცამ სამჯერ მოკრძალებით დააკაკუნა.

„წავალ და გავაღებ. ალბათ ძალიან სცივა".

„არ გააღო, შეიძლება ადამიანი-მგელი იყოს და ყველა გადაგვსანსლოს".

მაგრამ ბიჭს უკვე განეული ჰქონდა ხის მძიმე ურდული და ყველა სახე, უმეტესად გაფითრებული, შებრუნდა კარისკენ, რომელიც ნელ-ნელა იღებოდა.

„კრიალოსანი და ჯვარი აქვს. ადამიანი-მგელი ვერ იქნება", — თქვა ბავშვმა, როცა კაცი, რომელსაც გრძელ, თხელ წვერსა და მხრებზე დაფენილ აბურდულ თმებზე, ლამის წელამდე რომ სწვდებოდა, თოვლი დასდებოდა და თრთვილი სცვიოდა დაძონძილი მოსასხამიდან, რომელიც სანახევროდ თუ უფარავდა გაძვალტყავებულ, ჩაყავისფრებულ სხეულს, შემოვიდა და თავისი ლმობიერი და აღფრთოვანებით სავსე მზერა ერთი სახიდან მეორეზე გადაჰქონდა. ცეცხლისგან რამდენადმე მოშორებით მდგომმა ბოლოს მზერა აბატ მალათჯენეურზე შეაჩერა და წამოიძახა: „ო, კურთხეულო აბატო, ნება მიბოძე ცეცხლს მოვუახლოვდე, გავთბე, დათოვლილი წვერი, თმა და მოსასხამი შევიშრო, რათა სული არ განვუტევო მთების მსუსხავი სიცივისა და ღვთის რისხვით მოსჯილ მარტვილობისაგან".

„მოდი ცეცხლთან", — უთხრა აბატმა, — „გათბი და დანაყრდი. საჭმელს ბიჭი ოლიოლი მოგართმევს. ჭეშმარიტად ნათქვამია, რომ ყველა, ვისთვისაც ქრისტე ენამა, შენსავით ლატაკია".

კაცი ცეცხლს მიეფიცხა. ოლიოლმა წაიღო მისი მოსასხამი, რომელსაც გამლხვალი თოვლი წურწურით ჩამოსდიოდა, და წინ ხორცი, პური და ღვინო დაუდო. მაგრამ მან მხოლოდ პური შეჭამა, ღვინო განზე გასწია და წყალი მოითხოვა.

როცა წვერი და თმა შეუშრა და ხელ-ფეხი სიცივით აღარ უცახცახებდა, ისევ ალაპარაკდა.

„ო, კურთხეულო აბატო, შემიბრალე მე ლატაკი, შემიბრალე მე მათხოვარი, რომელმაც იარა ამ უსასოო სამყაროში და მომეც რაიმე საქმე, ყველაზე მძიმე საქმე, რამეთუ ლატაკთა შორის ულატაკესი ვარ".

მერე ძმები დასხდნენ ბჭობად, რათა გადაეწყვიტათ რა საქმე დაეკისრებინათ მისთვის. პირველად ვერაფერი მოიფიქრეს, რადგან ამ თემში ყველა თავისი საქმით იყო დაკავებული, მაგრამ ბოლოს ერთ-ერთს გაახსენდა, რომ ძმა მამაცი მელა, რომლის საქმიანობა წისქვილის დოლაბის დატრიალება იყო, რადგან სხვა არაფერი გამოსდიოდა ხელიდან, უკვე საკმაოდ მობერებულიყო ასეთი მძიმე გარჯისათვის. ასე რომ, უკვე მეორე დილიდან მათხოვარი ამ სამუშაოს შეუდგებოდა.



გადაიარეს სიცივეებმა, გაზაფხულს ზაფხული მოჰყვა და წისქვილიც უქმად არ იდგა, დოლაბსაც უშურველი გარჯით ატრიალებდნენ და ყველა გამვლელ-გამომვლელს ესმოდა მათხოვრის სიმღერა და დოლაბის ტრიალის ხმა. ბედნიერ თემს ის უკანასკნელი წუხილიც გაუნელდა, რომელიც ჩლუნგ და უვიც ოლიოლთან იყო დაკავშირებული. მოულოდნელიც იყო და დიდი სასწაულიც, რომ ოლიოლს გონება გაეხსნა და დაჭკვიანდა. ერთ დღეს, როცა ოლიოლი ჩვეულებრივზე უფრო დაჩლუნგებულიყო, გაწკეპლეს და გააფრთხილეს, მეორე დღისთვის უკეთესად ესწავლა გაკვეთილი, თუ არადა, უფრო დაბალ ჯგუფში გადაიყვანდნენ პატარა ბიჭებთან და ისინი კი მასხარად აიგდებდნენ. აცრემლებული ბიჭი გარეთ გავიდა და მეორე დღეს, ამ ჩლუნგ და გონებაარეულ ბიჭს, რომელსაც მხოლოდ რაღაც მოხეტიალე ხმები ესმოდა და ყოველ მოხეტიალე სინათლეზე ფიქრობდა, ამ ბიჭს, რომლის სახელი აქამომდე სკოლაში პირზე ეკერათ, ახლა ისე კარგად შეესწავლა გაკვეთილი, რომ ჯგუფში ყველასთვის გაესწრო და იმ დღის შემდეგ საუკეთესო შეგირდად ითვლებოდა. პირველად ძმა დავს ეგონა, რომ წმინდა ღვთისმშობლის წინაშე მისმა ლოცვამ გაჭრა და ეს მისადმი სიყვარულის დასტური იყო, მაგრამ, როდესაც უფრო მხურვალე ლოცვების მიუხედავად, მოსავალს ხორბლის ერთი ძნაც ვერ შეემატა, დაეჭვდა, რომ ბიჭი ჩიტების, დრუიდების და ჯადოქრების ზეგავლენას განიცდიდა და მისი თვალთვალი გადაწყვიტა. ძმა დავმა თავისი ფიქრები აბატს გაუზიარა, რომელმაც სთხოვა, თუ სიმართლეს დაადგენ, უმალვე მაცნობეო. და მეორე დღეს, რომელიც კვირადღე იყო, იმ ბილიკს დაადგა, რომლითაც აბატი და მისი ძმები მწუხრის ლოცვიდან ბრუნდებოდნენ, თეთრ სამოსელში გამოწყობილნი. აბატს ხელით შეეხო სამოსელზე და უთხრა: „მათხოვარი ყველაზე დიდი წმინდანი და დიდი სასწაულმოქმედია. ახლახან ოლიოლს უკან გავყევი და მისმა დინჯმა ნაბიჯებმა და დახრილმა თავმა დამანახა, რომ მისი გონებადაბნეულობა განელებულიყო და, როცა წისქვილის გვერდით პატარა ტყესთან მივიდა, ბუჩქნარში გატკეპნილი ბილიკითა და ტალახიან ადგილებში ჩარჩენილი ნაფეხურებით მივხვდი, რომ ოლიოლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გზაზე ბევრჯერ გაუვლია. ბუჩქის უკან დავიმალე, სადაც ფერდობზე ბილიკი ორად იყოფა და მის თვალებზე მომდგარი ცრემლებით მივხვდი, რომ უგუნურობა წარსულს ჩაბარდა და სიბრძნე კი ახლახან დაბადებულიყო, რათა ოლიოლი ნკეპლით დასჯის შიშისაგან დაეცვა.

ბიჭი წისქვილში შევიდა. მე ფანჯარასთან მივედი და, როცა შიგ ვიხედებოდი, ამ დროს ჩიტები ჩამოფრინდნენ და თავსა და მხრებზე დამასხდნენ. წმინდა ადგილებში ჩიტები ადამიანებს არ უფრთხიან. მგელმაც ჩამიარა, მარჯვენა ფერდით სამოსელი შემირხია, ხოლო მარცხენით ბუჩქების ფოთლებიააშრიალა. ოლიოლმა წიგნი პირველ გვერდზე გადაშალა, სწორედ იმ ადგილას, რომლის სწავლაც დავავალე, და ტირილი დაიწყო. მათხოვარი ბიჭს გვერდით მიუჯდა და ამშვიდებდა, ვიდრე ჩაეძინებოდა. როცა ოლიოლი ღრმა ძილს მიეცა, მათხოვარმა დაიჩოქა და ხმამაღლა იწყო ლოცვა. ასე ამბობდა: „ო, შენ, რომელიც ვარსკვლავთა მიღმა სახლობ, ისევე როგორც დასაბამიდან, ახლაც გამოაჩინე ძალა შენი. დაე შენმა მოვლენილმა ცოდნამ გამოაღვიძოს მისი გონება, რომელშიც ამ სამყაროდან არაფერია. დაე ანგელოზთა ცხრა ქორომ განადიდოს სახელი შენი!" მერე კი, ზეცაში ნათელი გამოჩნდა, აოდი[2] მოიცვა და მე ვარდების სურნელი შევიგრძენი. გაოცებისაგან შემაჟრჟოლა კიდეც, მათხოვარი შემობრუნდა, დამინახა, მდაბლად დამიკრა თავი და თქვა: „ო, ძმაო დავ, მომიტევე თუ რამე შევცოდე და მე მოვინანიებ, რამეთუ სიბრალულმა შემძრა".



მხატვარი ნინო მამაცაშვილი

მაგრამ მე შევშინდი და გამოვიქეცი, არ შევჩერებულვარ, სანამ თქვენამდე არ მოვედი".

ახლა მთელი საძმო ერთად ალაპარაკდა. ერთი ამბობდა, ის ასეთი და ასეთი წმინდანი არისო, მეორე სხვა წმინდანზე მიუთითებდა, ზოგი ყველას ეწინააღმდეგებოდა და ამბობდა, იგი ჩვენს საძმოს მიეკუთვნებაო. რადგან ყოველი მათგანი ამტკიცებდა, რომ ეს დიდი წმინდანი მისი მშობლიური ეპარქიიდან იყო, ბჭობა ლამის კამათში გადაიზარდა, რაც ამ მშვიდობისმოყვარე თემს არ ახასიათებდა. ბოლოს აბატმა თქვა: „იგი თქვენს მიერ დასახელებული არცერთი წმინდანი არ არის, რადგან აღდგომის დღეს ყველას მივესალმე და ყველა თავისი საძმოს წევრი იყო. ის ანგუსია, ღვთის რჩეული, და პირველი იმათგანი, რომელიც განდგა, რათა ველურ ადგილებში, ველურ ცხოველებს შორის ეცხოვრა. ათი წლის წინათ იმ გარჯის სიმძიმემ დაამწუხრა, რომელსაც საძმო ეწეოდა პატრიკის ბორცვის ფეხთით, და თავი ტყეს შეაფარა, რათა თავისი სიმღერებით მხოლოდ უფლისათვის გარჯილიყო. მაგრამ მისი სიწმინდის დიდებამ მრავალი ათასი ადამიანი მიიყვანა მის საკანში. ასე რომ, მისი სული სიამაყემ შეიპყრო და სხვა ყველაფერი განდევნა მისგან. ცხრა წლის წინათ კი ძონძები ჩაიცვა და იმ დღის შემდეგ არავის მოუკრავს მისთვის თვალი; ეს ჭეშმარიტებაა, რომ ნამდვილად ცხოვრობდა მთებში მგლებს შორის და მინდვრის ბალახებით იკვებებოდა. მოდი, წავიდეთ მასთან და ქედი მდაბლად მოვიხაროთ მის წინაშე, რადგან ბოლოს, მრავალი ძიების შემდეგ ჰპოვა ის, რაც არაფერია და რაც ღმერთია. შევთხოვოთ, რომ მის მიერ განვლილ ბილიკზე წაგვიძღვეს".

მათ თეთრი სამოსით გაიარეს ფეხით გათელილი ტყის ბილიკი. წინ მიმავალი მსახურები საცეცხლურებს იქნევდნენ და გუნდრუკის კვამლში გახვეული აბატი მიუძღოდათ ძვირფასი ქვებით მოჭედილი კვერთხით. წისქვილთან რომ მივიდნენ, დაიჩოქეს და ლოცვა აღავლინეს. ელოდებოდნენ, რომ როცა ბიჭი გაიღვიძებდა, წმინდანი შეწყვეტდა მის თვალყურს, გარეთ გამოვიდოდა, რათა, როგორც სჩვეოდა, კვლავაც შეეხედა ამოუცნობ მწუხრში ჩამავალი მზისათვის.

ინგლისურიდან თარგმნა
**მედეა ზაალიშვილმა**

1. პატარა ქალაქი ირლანდიაში.
2. ცეცხლის ღვთაება კელტურ მითოლოგიაში.
3. მოთხრობაში მოცემულ საკუთარ სახელებს ერთგვარი სიმბოლური დატვირთვა აქვთ. ძმა დავი — **Dove** — გვრიტს ნიშნავს, ძმა ბოულდფოქსი — **Bald fox** — მამაც მელას, ძმა ფეარბრაუსი — ფაირ როწს — მშვენიერ (ან ქერა) წარბებს; ამ სახელების თარგმნა მიზანშეწონილად არ მივიჩნიე, რადგან არაბუნებრივად გაიჟღერებდა.

ზაურ წაქაძე

# ამას შენ თუ დაწერდი




ოჰ, რა დიადი და ბრწყინვალეა შარავანდედი, რომელიც შიდა ქართლში დაბადებულ მწერალს ახლავს, ამკობს და ამშვენებს და კიდევ ერთხელ მოგვიხმობს, კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს, დაგვამწუხრებს და მერე გაგვახარებს. ასე ცოდნია სიდიადეს, ასე ცოდნია ამ ქვეყნიდან წასულ დიდებულ შემოქმედს.

ოთარ ჩხეიძის თაყვანისმცემლებო!

იმიტომაც დაგვამწუხრებს, რომ ჩვენ გვერდით ველარ ვხედავთ, იმიტომაც აგვიციმციმებს თვალებს, რომ ვერა და ვერ დავივიწყეთ მისი მოთხრობებისა და რომანების გმირები, რომლებიც მოგონებაში წამოტივტივებისთანავე უცნაური ძალით და პათოსით გვესაუბრებიან და გვანატრებენ იმ დროს, რომელიც დიდი მწერლის კალამმა გააცოცხლა. იმ სურათებზე ალარაფერს ვლაპარაკობ, რომლებიც ხატად გვიქცია და სამუდამოდ დაგვტრიალებს თავს.

ჩემი ბოლო და ჯერ გამოუქვეყნებელი რომანი „ელეთმელეთია". უეცრად ალმოვაჩინე რამდენი მიწვალია და მიჯავახია, ვიდრე ამ სათაურს მოვძებნიდი. ბევრი ვერ გამოვიყენე, მაგრამ დღეს მაინც უნდა გაგიმხილოთ ზოგიერთი მათგანი: „ადიდებულა ჩემი ლიახვი", „სევდიანი ლიახვი მოთქვამს", „ჩემი მინანყლის ნამება". „ნამებაი წმინდა მინანყლისა, ანუ ჩვენებური სამოთხე", „ცოდვილთა ელეთმელეთი", „ელეთმელეთი ჯანდაბაში"...

იმ ლიახვთან ახლოს სოკოსავით ამოსული სოფლიდან მოვდივარ, ისევ ოთარ ჩხეიძეს ვაგონდები, ისევ ის მიხმობს და წელიწადში ორჯერ — ორ გიორგობას — დავასველებ ხოლმე ენას. დანარჩენ დროს ლიახვისპირას ვსუნთქავ ყვირილას ახლოს დაბადებული ქართველი. საუბედუროდ, დღეს ორივე მდინარის სათავეებს სხვა ჯიშის ხალხი ეპატრონება. ყვირილას კიდევ რა უშავს, გადარჩენილია, მხოლოდ სათავე წაგლიჯეს, ლიახვს კი შუაწელამდე ჩამონვდნენ და ცოტალა დარჩა, რომ მტკვარს მიაჭირონ წიხლი. დამიჯერეთ ასეა, ნუ გგონიათ, რომ ის უჯიათი ხალხი მარტო ცხინვალში ცხოვრობს, აქაც არიან, თქვენს გვერდით დასუნსულობენ, კაციშვილი არ არის ხმის გამცემი, კარგად ცხოვრობენ, რასაც უნდათ, იმას ჯლაბნიან, ვისაც სურთ, იმას გაჯორავენ, გალახავენ და უსასრულობაში მოისვრიან. და თუ დაიბრიყვეს „ჩამოსული" ქართველი, ყელში წვდებიან და დაახრჩობენ. ეს მათი წესია — მამაპაპათა დაწესებული და კანონად გადაქცეული. უნდა გენახათ, როგორ შემომესივნენ სხვა სისხლის ხალხი, მოშორებით ხომ მომაშორეს გორს, მიმაყურისძირეს, მიმაგდეს, მაგრამ თავი არ დაუნებებიათ, მიწანყალი მიითვისაო, ჯვარზე გამაკრეს. განა ფიქრობენ, რომ თვითონ კავკასიონი გადმოლახეს და ჰექტრობით ქართულ მიწას დაეპატრონნენ. ფიქრობენ, რომ ქართველს არ აქვს უფლება საკუთარ მიწაზე დასახლდეს, მიწას უერთგულოს და იარსებოს.

ერთი წუთი გავწირე, მაგრამ ამ დროში ცხრა მთა გადავიარე, ცხრა ზღვა გადავცურე და აჰა, მოგიახლოვდი, ჩემო ჯემალ. მაპატიე სიტყვამრავლობა, ესეც იმის ბრალია, რომ სხვა მეტი არა გამაჩნია რა. შენ ყველაზე მეტად იცი, ვილაცამ უნდა ამოილოს ხმა, თორემ თავწასულები დაგავიწყებენ თავს და შენს კურთხეულ მიწაზე მდგმურად დაგხატავენ.

დიახ, მოვალწიე „ოთარ ჩხეიძის აბრისამდე", მოგონებებამდე, რომლის დაწერა სხვას არ ძალუძს, სხვას არ შეუძლია. აქ ყველაფერი შენეულია, შენი გულიდან ამოღებული და შენი კაცობის ბეჭდით დამოწმებული.

და, რაც ყველაზე მთავარია, ნათლად მოჩანს ის სიყვარული, რომლითაც ყველაზე ძლიერია პოეტი. აბა მიჰყევით ფეხდაფეხ მწერალს, თუ ნახავთ თუნდაც ერთ ნიუანსს, რომლის ჭეშმარიტებაში ეჭვი შეგეპარება. აქ ვერ იხილავ ოთარ ჩხეიძეს, თუნდაც ოდნავ შეცვლილსა და შესხვაფერებულს. აქ ყველაფერს სიწრფელის ბეჭედი აზის, თანაც ერთი წუთითაც ვერ მოაცილებ თვალს მოგონებებს, ხელმარჯვე ოსტატის მიერ დახატულ უზუსტეს სურათებში გიპყრობს ყოველი წინადადება, ყოველი აბზაცი და სურვილი გებადება, არასოდეს ამოილიოს ჭიდან წყალი, თორემ მწყურვალი დარჩები და გული დაგწყდება, რომ ასეთი პატარა ყოფილა ცხოვრება. პატარა, მაგრამ საინტერესო, რომელსაც დასაწყისი კი აქვს, მაგრამ დასასრული უფრო ღრმა და უსასრულოა. ამ აზრის ჭეშმარიტებაში უმალ დარწმუნდები, როცა ბოლო წინადადებას წაიკითხავ და სურვილი გებადება, შენც გადაცურო იმდროინდელი ცხოვრების მდინარე, სწორედ რომ წმინდა მდინარე, და ოთარ ჩხეიძის გვერდით განვლო ბრმა, მაგრამ ესოდენ საინტერესო წუთისოფელი.

ამას ყველა შემოქმედი როდი ალწევს, ყველას როდი ძალუძს დაიმორჩილოს კალამი. ჯემალს კი ეს ღვთიური ნიჭი დაანათლა ამა ქვეყნის გამგებელმა და პატრონმა, დაანათლა და ვერავინ წაართმევს, რადგან ღვთიური ნიჭით არის გაჯერებული. ამ უკვდავმა სიყვარულმა და ნიჭმა შექმნა ოთარ ჩხეიძის აბრისი, იგივე ხატი, რომელზედაც უნდა ილოცო და ეს უამური ჟამი ავედრო უდიდეს შემოქმედს. არ დაგავიწყდეთ, რომ იგი გახლდათ ღვთიური სულის პიროვნება, სხვანაირად ასეთ სიყვარულს და პატივისცემას ვერ დაიმსახურებდა, სხვანაირად ისე მიეფარებოდა თვალსაწიერს, ისე გაჰქრებოდა, როგორადაც არაერთნი დამხობილან და გადაშენებულან.

ჩემო ჯემალ, გულში ჩაგუბებული სათქმელი მაინც ისე ვერ ამოვთქვი, როგორც მენადა, როგორც მსურდა. ვერ გეტყვი, რამ შემიშალა ხელი, რამ გადამაქართულა. მაინც შევეცდები მოკლედ მოგახსენოთ, გულში სათქმელი არასოდეს დამიტოვია და გიორგობა დღეს რა ღმერთი გამიწყრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულია ამ მოგონებათა მთავარი ძარღვი, სწორედ ის სიყვარული, რომლითაც საკმაოდ ძლიერი და ბეჭებდაუდებელი ბრძანდები. თანაც ეს სიყვარული სახადივითაა, ყმაწვილკაცობიდან ისე გადამედო, რომ დღემდე ვერ გამნელებია. რა ვუყოთ, რომ ზოგიერთი ვერ დააავადე ამ სიყვარულით. არ დაგავიწყდეს, ამ შემთხვევაში არ ხარ დამნაშავე, ეს იმათი გასაჭირია, რომელთაც გულის გარეცხვა არ შეუძლიათ, რომელთაც ადამიანობა არ ეხელწიფებათ.

მახსოვს, ანდა რა დამავიწყებს, დავწერე „შორია ოთარწმინდამდე, ოთარ!" ო, როგორ ამოვისუნთქე და გავიხარე, რატომღაც მეგონა, რომ აღმზრდელის ვალი მოვიხადე, გულნაკლული არ დავტოვე შემოქმედი, იქ მაინც გავახარე, სამოთხეში ავაყვავილე ატამი. გავიდა ხანი, გამოიცა წიგნი, ერთხელ კიდევ გადავავლე თვალი და, ღმერთო ჩემო, რამდენი რამ გამომრჩენია, რამდენი რამ მიყურისძირებულა. გვიანღა იყო სინანული, მაგრამ მაინც გავუმხილე დალვრემის მიზეზი მწერლის ძეს — როსტომ ჩხეიძეს. ვუთხარი, რომ ღამე ველარ ვიძინებ, დღისით-მზისითაც ვიღაც დამყვება აჩრდილივით-მეთქი. შე დალოცვილო, შე კაი კაცოო, ვინ გიშლის, ადექი და დაწერე სათქმელი, შენც მოისვენებ და იმ აჩრდილსაც გაახარებო. წამალივით შემერგო როსტომის დარიგება, ავდექი და გავაგრძელე თხრობა. მოსვენებითაც მოვისვენე და ახლა მხოლოდ სიზმარში ვხედავ გაღიმებულ ოთარ ჩხეიძეს.

თურმე შევცდი, ჯერ სად არის მოსვენების და თვითდამშვიდების ჟამი. მეორე გამოცემის კორექტურაც წავიკითხე და ისევ ამეკვიატა ფიქრი, ფეხდაფეხ ამედევნა და ისევ მე დამადანაშაულა. თურმე რამხელა შემოქმედი და ქართველი ბრძანებულა. აღარც როსტომს მივაკითხე, არ იფიქრებს ის დალოცვილი, ეს რა დაუსრულებელ-დაუმთავრებელი ნოველების ციკლი მოიგონაო.

ამ ყოფაში ვარ, თუმცა მაინც ვთხზავ ჩემთვის გონებაში რაღაც-რაღაც ამბებს, რა თქმა უნდა, სიმართლესთან ნაზიარებს. ვთხზავ და სიხარულით ვხვდები ყოველ დღე ახალდაბადებულ მნათობს, გულისყურით ვუგდებ ყურს ახმაურებულ ლიახვს.

ჩემო ჯემალ, იმ დაუწერელი ამბებიდან, რომელიც ასე უხვად აღმოჩნდა ჩემს ხურჯინში, ერთ-ერთი შევარჩიე და აქ მოგართვი. სხვათა შორის, ამორჩევა უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე შეთხზვა. ბოლოსდაბოლოს სწორედ ისეთს გიამბობთ, რომელიც სიყვარულთან არის ნაზიარები. შენ ხომ ამ დიადი გრძნობით გრძნეულად იქეცი და მომისმენია, როგორ არ მოსწონთ, სიყვარული რომ შეგიძლია, ამ გრძნობას რომ შესწირე გული და ლექსი. ამის დასტურია კაი ხნის წინათ გამოცემული, შენი გულიდან ამოღებული „ასი ლექსი სიყვარულზე".

სადღაც 50-იანი წლების ბოლოს ენკენისთვის დასასრულს მოხდა ეს ამბავი. უეცრად აღმოვაჩინეთ, რომ გორს ესტუმრა ქუთაისელი გოგონა, გვარს და სახელს ნუ მათქმევინებთ. ულამაზესი ქალიშვილი მართლაც გახლდათ სიყვარულის ღირსი. და, ჯემალ, შენც გიყვარდა, აღმაფრენით დაჰყვებოდი და აცნობდი ქართლის შუაგულს. მეც ხომ შენი ერთგული საჭურველმტვირთველი ვიყავი და ერთი წუთითაც არ მოგშორებივარ. მახსოვს, ციხის ქონგურიდან გადმომცქირალი გოგონა და ჯემალი, ის გაბრდღვიალებული თვალები დღესაც არ ამოშლილა გონებიდან.

საღამოს წასვლა აიჩემა გოგონამ, რის მასპინძლები ვიქნებოდით, რომ არ გაგვეცილებინა. ჩამოდგა ქუთაისის მატარებელი, დავემშვიდობეთ სტუმარს, მაგრამ დაიძრა თუ არა ვაგონი, ჩვენც შევახტით კიბეს და, არ დამავიწყდება, აკისკისებულ გოგონას პირველად ეამბორე. იმ წუთს თვალები ვაგონიდან გადავყარე, თითქოს არ დამინახავს რა. გადაწყდა, ქუთაისამდე უნდა გავაცილოთ ლამაზმანი. მივდივართ და მივლაყლაყებთ, ვატყობ, რომ გორში უნდა დავრჩენილიყავი, ამ ვაგონში ჩემი ადგილი არ არის, თავს ზედმეტად ვგრძნობ. ამიტომაც მოვიფიქრე და გამოვაცხადე, წუხელ თვალიც ვერ წავატყუე-მეთქი. წამოვდექი და მოვემზადე კუპეს მაღლა სართულზე ასაფოფხებლად...

მაინც სხვა არის შემოდგომის ქუთაისი, ბაზარში უნდა იხილო იმერული შემოდგომა. ციცქა და ცოლიკაური, ლოყებღაჟღაჟა ატამი და ყლურჭე ქლიავი.

სწორედ იმ საოცარ ბაზარში გამახსენდა, რომ იმ დღეს ოთხშაბათია და ოთარ ჩხეიძის ლექციას ვაცდენ. ნათლად წარმოვიდგინე ოდნავ ჩაბნელებული აუდიტორია და სახეგაცისკროვნებული ლექტორი, რომელიც წარმოთქმულ წინადადებებს აყოლებს ზემოთ-ქვემოთ მარჯვენა ხელს და გულში გვილაგებს ქართულ სიტყვებს ენაქართულიანი ოთარ ჩხეიძე. რა გაეწყობოდა, ის კვირა მოლოდინში გაილია და, როგორც იქნა, გათენდა მომდევნო ოთხშაბათი. გავიგე, რომ თვალში მოვკლებივარ. მოვუკითხივარ, მაგრამ ვერავის გაუცია პასუხი. ლექცია არასოდეს გამიცდენია და გაკვირვებულა. მერე თურმე სათითაოდ წამოაყენა სტუდენტები და მოაყოლა, როგორ გაატარეს ზაფხულის არდადეგები. ისე გაპარულა 45 წუთი, რომ ზარის ხმაც არ გაუგონიათ, მეორე 45 წუთი თვალებანთებულებს უსაუბრიათ. ლექციის დაწყების წინ დერეფანში შევეჩეხე, არ მეგონა თუ შეჩერდებოდა და ყურადღებას მომაპყრობდა. სად ბრძანდებოდი, ყმაწვილო, უშენოდ ლექცია არ წავიკითხე, უეცრად მითხრა და ძლივს მოვატრიალე ენა, სტუმარი გოგონა გავაცილე-მეთქი.

ეს იყო და ეს, გაცდენილი ლექციის კითხვა დაიწყო, ჩემთვის შემონახული პური მომიტეხა და ისეთი გემრიელი არასოდეს არაფერი მიგემნია. შექსპირი ჩამოიყვანა გორში, მასპინძელი თვითონ იყო და შექსპირის თეატრი ისე დახატა, რომ ძილ-ღვიძილში ნათლად წარმოვიდგინეთ სცენაზე დატრიალებული ქარიშხალი, მერე ადგა და რომეოსა და ჯულიეტას სიყვარული ცარგვალს შეუყუდა ბოძად.

იმ ლექციის ბოლო წინადადებაც შემომრჩა: თქვენს წინაშეა რომეო — ზაურ ნაქაძე, ოღონდ ეს პიესა ზესტაფონში უნდა დადგასო.

ჩემო ჯემალ, არაფერი შეცდენია, მაგრამ იმ დღეს ერთი ვერ დააზუსტა ჩვენმა გამზრდელმა, რომეო შენ იყავი და მე მომაკერა ეს ტიტული.

ასეა, ჩემო ჯემალ, იმ ახალგაზრდობიდან მოგონებებიღა შემოგვრჩა, იმ წარსულმა უნდა გვასაზრდოოს და გამოგვკვებოს. აბა რა არის ჩემი ცხოვრება? ერთი წუთითაც არ ისვენებს ლიახვი, მუდამ ხმაურობს, წვიმაც ქალიშვილს დაემგვანა, კაბის შრიალით რომ მოგიახლოვდება და დაგალტობს. ამ დროს ცრემლი უებარი წამალია. კურცხალით რომ არ ვსაზრდოობდე, ვერ გაუძლებდა გული გორიდან გაგდებას.

აფერუმ, უამურო წუთისოფელო, ვის გაახარებ და ვის მიიყვან სიკვდილის პირას.

ესეც ჩემი სათქმელი იყო და უნდა მეთქვა, ჩემო ჯემალ!

## ასე გააცურეს ცენზურა

ამას წინათ, ქართული ტელევიზიის პირველი არხით ნაჩვენები იქნა ამერიკული მხატვრული ფილმი „პოლკოვნიკი რედლი“.

როგორც იქნა! როგორც იქნა, საქართველოშიც შეიტყვეს იმ კაცის სახელი და საქმენი საგმირონია, ვისაც ჩვენს სანატრელ ევროპაში მიეძღვნა არაერთი ლექსი და სიმღერა, ნოველები, პიესები, რომანები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვენური ოპერეტაც! ჰოდა, თუკი ევროპელები ვართ, ჩვენც ხომ უნდა ვიცოდეთ იმ კაცის სახელი და საქმენი საგმირონია, ვისაც „საუკუნის მსტოვარი“ უწოდეს.

პოლკოვნიკი ალფრედ რედლი (1864-1913) გახლდათ ავსტრია-უნგრეთის მონარქიის სამხედრო კონტრდაზვერვის უფროსი და, იმავდროულად, 1902 წლიდან ვიდრე სიკვდილამდე ემსახურებოდა რუსეთის დაზვერვას. მაშასადამე, ათ წელინადზე მეტხანს ემსახურებოდა იმათ, ვის წინააღმდეგაც ბრძოლა იყო მისი უპირველესი სამსახურებრივი მოვალეობა. ამაში მსუყე ჯამაგირს უხდიდნენ, მაგრამ, ეტყობა, არ ყოფნიდა და რუსების საიდუმლო აგენტი გახდა. რუსებისა, ვაი სირცხვილო!

ბოლოს და ბოლოს ჩავარდა. მონარქიას რეპუტაცია რომ არ შებღალოდა, თვითმკვლელობა აიძულეს. დატოვა მოკლე ბარათი, სადაც ეწერა: „მე დამღუპა თავქარიანობამ და სიხარბემ. ილოცეთ ჩემთვის. საკუთარ ცოდვებს სიკვდილით ვზღავ“.

„თავქარიანობა“, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ ავსტრიელი პოლკოვნიკი ჰომოსექსუალი ბრძანდებოდა და რუსეთის დაზვერვა სწორედ ამ ნიადაგზე აშანტაჟებდა (ერთი საუკუნის წინათ ევროპაში ტაშს როდი უკრავდნენ არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ოსკარ უაილდს ციხეში უკრეს თავი).

რაც შეეხება სიხარბეს, დიახაც უსაზღვრო იყო სიხარბე მისი. ვენაში ვეებერთელა სახლი ეჭირა, ოთხ უძვირფასეს ავტომობილს ფლობდა. თავის ღვინის სარდაფში ყველაზე ძვირი შამპანურის მარაგი ჰქონდა (დაახლ. 2000 ბოთლი!). როგორც ამბობდნენ, მართლაც ფულებში ბანაობდა. რუსხელმწიფე სრულიადაც არ ძუნწობდა, მაგრამ რედლის სიხარბე უსაზღვრო იყო და ავსტრიელი პოლკოვნიკი საიდუმლო მასალებით ამარაგებდა აგრეთვე ფრანგებსა და იტალიელებს. მაშასადამე, მაინცდამაინც რუსები კი არ უყვარდა, არამედ — ფული. იტყვით, ფული ვის არ უყვარსო?! მართალიც იქნებით, ყველას უყვარს და იშვიათი გამონაკლისები მხოლოდ ადასტურებენ საყოველთაო წესს, მაგრამ რედლს ძალიან ბევრი ფული უყვარდა და ძალიან უყვარდა. ყველაფერს კადრულობდა ფულის გულისათვის. საყვარელ სამშობლოსაც კი ღალატობდა!

რედლის თვითმკვლელობისა და მის სახლში ჩატარებული ჩხრეკის შემდეგ ავსტრიის ხელისუფლებამ უპრეცედენტო ზომები მიიღო პოლკოვნიკის ღალატის მისაჩქმალად. მთელს იმპერიაში სულ ათი კაცი თუ იქნებოდა, ვინც იცოდა სიმართლე. ესენი იყვნენ: მთავარსარდალი, გენერალური შტაბისა და სამხედრო სამინისტროს უფროსი ოფიცრები, ვენის პოლიციის ხელმძღვანელი ჩინოვნიკები. თვითეულმა მათგანმა ფიცი დადო, რომ საიდუმლოს არ გათქვამდა. თვით იმპერატორ ფრანციოზეფს და მის მემკვიდრეს, ერცჰერცოგ ფრანც-ფერდინანდს არ გაუმხილეს ამბავი რედლის ღალატისა.

მაგრამ ყოველგვარი მცდელობა, მიეჩქმალათ ავსტრიელი პოლკოვნიკის დანაშაული, ამაო გამოდგა, რადგანაც პრაღის საუკეთესო ზეინკალი ფეხბურთის თამაშით ყოფილა გატაცებული.

იკითხავთ, ფეხბურთი რა შუაშიაო? იმ შუაშია, რომ ზეინკალმა ვაგნერმა 1913 წლის 25 მაისს, კვირადღეს, მონაწილეობა ვერ მიიღო თავისი გუნდის მატჩში, რისი გამოისობითაც, როგორც გაზეთი „პრაგერ ტაგბლატი“ წერდა, „შტურმმა“ მარცხი განიცადაო.

დამარცხებული გუნდის კაპიტანი მეორე დღესვე ეწვია ცენტრალურ მცველ ვაგნერს, რათა გაეგო მიზეზი მისი არყოფნისა. გამოირკვა, რომ არმიის ოფიცრებს ზეინკალი სასწრაფოდ გაუწვევიათ საგანგებო და საიდუმლო ოპერაციისათვის.

ცენტრალურმა მცველმა ყველაფერი დაუფქვა გუნდის კაპიტანს. თურმე ზეინკალს დაავალეს, ჯერ გაეღო შესასვლელი კარი პოლკოვნიკ რედლის სახლში, შემდეგ კი დაემტვრია ყუთების, გარდერობების, საწერი მაგიდის, კარადების კლიტენი. აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა ჯურის საიდუმლო დოკუმენტები, ფოტოგრაფიები, გეოგრაფიული თუ ტოპოგრაფიული რუკები და... აურაცხელი ფული. შეძრწუნებული ოფიცრები ნამდაუწუმ წარმოთქვამდნენ: ეს შეუძლებელია, ეს დაუჯერებელია, ამას ვინ იფიქრებდაო!

ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი, რომელიც პროფესიით ჟურნალისტი იყო და ზემოხსენებულ გაზეთს რედაქტორობდა, ძალიან დაინტერესდა ცენტრალური მცველის ნაამბობით, მაგრამ თავის გაზეთშიც კი კრინტს ვერ დაძრავდა. სიმართლის გამოქვეყნებას პოლკოვნიკ რედლის დანაშაულის შესახებ, ცხადია, დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა რედაქციაში პოლიციის გამოჩენა, გაზეთის აკრძალვა და ნამყვანი ჟურნალისტების დაპატიმრება. ამიტომაც დაკმაყოფილდა მოკლე ცნობით, რომელიც დაიბეჭდა 26 მაისს და მწუხარებით იუწყებოდა პოლკოვნიკ რედლის თვითმკვლელობას „დეპრესიის გავლენით, რაც გამოიწვია ხანგრძლივმა და დაძაბულმა მუშაობამ ღამის საათებში“.

ჟურნალისტი, ზეინკალის გრძელი ენის წყალობით, სენსაციური მასალის მფლობელი რომ გახდა, ასე იოლად დაწყნარდებოდა და უიშვიათეს ნადავლს უჯრაში გამოკეტავდა?! ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკის თვისტომი დუმილით თავს როგორ შეირცხვენდა! ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, საუცხოო სვლა კი მოიფიქრა. მას მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ ცენზურის წნეხქვეშ მყოფი მკითხველი სტრიქონებშუა კითხვაში განაფული იყო და ამ გარემოებას ხელიდან რავა გაუშვებდა!

და აი, სამშაბათს, 27 მაისს იმავე გაზეთში დაიბეჭდა მომცრო სტატია, სადაც ეწერა შემდეგი:

„უმაღლესმა ინსტანციებმა მოგვანდეს, რომ გავაქარწყლოთ უსიამო მითქმა-მოთქმა, რომელიც აღიძრა საზოგადოებაში, განსაკუთრებით სამხედრო წრეებში, პოლკოვნიკ ალფრედ რედლის თვითმკვლელობის ირგვლივ. მითქმა-მოთქმა დაჟინებით ამტკიცებს, რომ მომხდარის მიზეზი თითქოსდა იყო პოლკოვნიკ რედლის ღალატი და სამხედრო საიდუმლოებათა გადაცემა უცხო სახელმწიფოსათვის, ალბათ რუსეთისათვის. მაგრამ ჩვენთვის დანამდვილებით ცნობილია, რომ ოფიცერთა საგანგებო კომისიის მიერ ჩატარებულ ჩხრეკას პოლკოვნიკის ბინაში სრულიად სხვა მიზნები ჰქონდა“.

ამას ვინ ჭამდა! ოროსანი მოსწავლეც კი მიხვდებოდა ყველაფერს.

„პრაგერ ტაგბლატის“ რედაქტორი, იმავდროულად, პოპულარული გერმანული გაზეთის კორესპონდენტიც გახლდათ. ასე რომ, 28 მაისს უკვე მთელი ევროპა კითხულობდა ოსტატურად შენიღბულ სიმართლეს ავსტრიელი პოლკოვნიკის თვითმკვლელობის თაობაზე.

დღეს, ერთი საუკუნის შემდეგ, შესაძლოა პრიმიტიულ ხრიკად მოგვეჩვენოს პრაღელი ჟურნალისტის გონებამახვილი ილეთი ცენზურის გასაცურებლად, მაგრამ ერთი საუკუნის წინათ ორიგინალური და ეგებ უნიკალურიც ეთქმოდა. პიონერობას თავისი ფასი და წონა აქვს. დღეს, ვთქვათ, მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე, ჯომოლუნგმა რომ ჰქვია და ევროპაში კი ევერესტს ეძახიან, საცაა შეძლებულ ამერიკელ პენსიონერთა ექსკურსიებს მოაწყობენ, ხოლო 1953 წლის მაისში ახალზელანდიელი ჰილარის და ნეპალელი თენსინგის პირველმა ასვლამ მსოფლიო მასშტაბის გაოცება, აღტაცება და ზარ-ზეიმი გამოიწვია.

## ჰერსტის პრემია

რუსთაველის პრემია, რა თქმა უნდა, ყველამ იცის სრულიად საქართველოში. თითქმის იგივე შეიძლება ითქვას ნობელის პრემიაზე, რომელიც მალე გაგვიშინაურდება და ისიც შემოგვაცვდება. ამერიკული პულიცერის პრემია, ალბათ ბევრსა სმენია, მაგრამ ჰერსტის პრემია (ესეც ამერიკული) ნაღდად არავის ექნება გაგონილი...

ორსონ უელესს ბავშვობიდანვე უყვარდა სენსაციები. უსენსაციოდ ცხოვრება უგემური და უფერულიაო, იძახდა. ოცდასამი წლისა რომ შეიქნა (1938 წელს), მილიონობით ამერიკელს თავზარი დასცა, როდესაც გამოჩენილი ინგლისელი მწერლის ჰერბერტ უელსის რომანის („სამყაროთა ომი" — 1898 წ.) მიხედვით რადიოპიესა გაამანშალა. როგორც მოგეხსენებათ, ამ ნაწარმოებში პლანეტა მარსიდან კბილებამდე შეიარაღებული უცხოპლანეტელები თავს ესხმიან ჩვენს მშობლიურ პლანეტას და აოხრებენ ინგლისს. უელესმა ინგლისი ამერიკით შეცვალა. რადიოპიესა ინყებოდა და მთავრდებოდა სათანადო განმარტებით — ხალხნო და ჯამაათნო, არ დაფრთხეთ, ეს ახალი ამბები არ გეგონოთ, რადიოპიესა გახლავთო. ამასთან, გადაცემა დროდადრო წყდებოდა და აღნიშნულ განმარტებას მკაფიოდ იმეორებდნენ.

თქვენც არ მომიკვდეთ! ახსნა-განმარტებას ყური ვინ ათხოვა, დანარჩენი ყველაფერი ისე სარწმუნოდ და დამაჯერებლად ჟღერდა, რომ რადიომსმენელთა უმრავლესობა ენით აუწერელმა პანიკამ შეიპყრო. აბა რა იქნებოდა, როდესაც რადიომ აუწყა მთელ ამერიკას, შეერთებული შტატების პრეზიდენტი საგანგებო მდგომარეობას აცხადებს, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრი ყველას მოუწოდებს, დიდსა თუ პატარას, ილოცეთ და უფალს შეევედრეთ, შეგვეწიოსო. ნახევარი ამერიკა ავტომანქანებში მოკალათდა და გამალებით ეძებდა უსაფრთხო თავშესაფარს.

როდესაც გამოიდარა და სინამდვილე გაირკვა, აღშფოთებული მოსახლეობა უელესის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვდა. მაგრამ, როგორც ჩანს, იუმორის გრძნობამ გადასწონა მასობრივი პროტესტი.

ოცდაექვსი წლისა რომ შეიქნა, ორსონ უელესმა გადაიღო მხატვრული ფილმი „მოქალაქე კეინი", რომელიც, ნახევარი საუკუნის შემდეგ, ბრიტანეთის კინოს ინსტიტუტის მიერ აღიარებულ იქნა მსოფლიოში საუკეთესო ფილმთა შორის ყველაზე საუკეთესო ფილმად (ფელინის „რვანახევარი" მესამე ადგილზე გავიდა, კოპოლას „ნათლია" — მეხუთეზე).

ფედერიკო ფელინის სიტყვით, „მოქალაქე კეინი", 1941 წელს რომ გადაიღო უელესმა, ესაა პირველი ფილმი, რომელიც „სხვაგვარ კინოს" მიეკუთვნება. მანამდე ამერიკელი კინორეჟისორები (ჩაპლინის გამოკლებით) იღებდნენ ლამაზ ან ძალზე ლამაზ ფილმებს, სადაც მაყურებლის ყურადღებას იზიდავდნენ მსახიობები, კინოვარსკვლავებს რომ ეძახიან. მათ გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ, ვიდრე რეჟისორებს.

ფელინი გულდასმით ჩამოთვლის იმ სპეციფიკურ ნიშნებს, რითაც უელესმა რევოლუცია მოახდინა კინემატოგრაფის ენაში.

რაც შეეხება ჯოზეფ მანკევიჩთან ერთად დაწერილ სცენარს, მან ამერიკის კინოხელოვნების აკადემიის პრემია დაიმსახურა. სცენარში გამოყენებულ იქნა ორიგინალური ხერხი, რომელიც შემდგომში ფართოდ გავრცელდა (ამის საუკეთესო ნიმუშია, ალბათ, კუროსავას „რასიომონი"). ერთი და იგივე მოვლენა — სხვადასხვა თვალთახედვით. მონაწილეობდა ხუთი მთხრობელი: მეურვე მთავარი გმირისა, მისივე თანამშრომელი, მისივე მეგობარი, მისივე ცოლი და მისივე ლაქია. ყოველი მათგანი ხსნიდა რომელილაც ახალ წახნაგს კეინის ხასიათში.

ჯერ კიდევ ეკრანზე გამოსვლამდე უელესის ფილმის ირგვლივ განგაში ატყდა. საქმე ისაა, რომ მთავარი გმირის პროტოტიპად მიიჩნიეს უმსხვილესი ამერიკელი საგაზეთო მაგნატი — მულტიმილიონერი უილიამ რენდოლფ ჰერსტი. ფილმის წინააღმდეგ ამერიკულ პრესაში გაჩაღდა მძვინვარე კამპანია. ეს არ იკმარეს და ჰერსტის უახლოესი მეგობარი ლუის მეიერი კინოგაქირავების ფირმის პრეზიდენტს ჯილდოდ შეჰპირდა ერთ მილიონ დოლარს, თუკი იგი დაუნდობლად დაწვავდა „მოქალაქე კეინის" ნეგატივსა და ყველა პოზიტიურ ასლს (ეს დღევანდელი მილიონი არ გეგონოთ! მაშინდელი ერთი მილიონი დოლარი, ალბათ, უტოლდება აწინდელ ოც მილიონს მაინც, თუ მეტს არა).

კინოგაქირავების ფირმის პრეზიდენტმა ვერ გაბედა, რომ ესოდენ ვანდალური აქცია ჩაეტარებინა (ფული ხომ არ ეცოტავა?), მაგრამ ნახევარი წლის მანძილზე აჭიანურებდა ფილმის გამოშვებას ეკრანზე. ალბათ ებრძოდა ცდუნებას. ამასობაში მოთმინებადაკარგული უელესი სასამართლო პროცესით დაემუქრა და ნავსიც გატყდა. ფილმი ჯერ ნიუ-იორკის კრიტიკოსებს აჩვენეს, შემდეგ ფართო პუბლიკამაც იხილა არცთუ მომხიბლავი პორტრეტი ამერიკის საგაზეთო მეფისა.

მადლობა ღმერთს, რომ ჰერსტის პრემია ჰერსტის ჯიბეშივე დარჩა, თორემ ცივილიზებული მსოფლიო სამუდამოდ დაკარგავდა ყველა დროისა და ხალხთა საუკეთესო ფილმად აღიარებულ „მოქალაქე კეინს".

---

ქრონიკა

11 ნოემბერს თერჯოლის რაიონის სოფელ ქვედა სიმონეთის პირველ საჯარო სკოლაში გაიმართა შეხვედრა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორთან, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთან **ზურაბ ჭუმბურიძესთან.**

ბატონი ზურაბი ამ სკოლის კურსდამთავრებულია. შორეულ 1942 წელს დაამთავრა ათწლედი და, შეიძლება ითქვას, მშობლიურმა სკოლამ დაულოცა გზა მეცნიერული მწვერვალებისაკენ. ამიტომაც გამოდგა შეხვედრა უაღრესად თბილი, სასიამოვნო, ამაღელვებელი.

ღვაწლმოსილი მეცნიერისა და მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრეს ქვედა სიმონეთის პირველი საჯარო სკოლის დირექტორმა **მევლუდ ბარდაველიძემ**, პედაგოგებმა **ნოდარ აბულაძემ** და **ირმა რობაქიძემ**, პროფესორებმა — **ბიძინა, მამია და ოთარ ჭუმბურიძეებმა.**

აღინიშნა **ზურაბ ჭუმბურიძის** დიდი დამსახურება ძველი ქართული ენის კვლევისა და სტუდენტთა აღზრდის საშვილიშვილო საქმეში. ითქვა, რომ იგი არის ღირსეული გამგრძელებელი იმ გზისა, რომელიც დასახეს ქართული ფილოლოგიური მეცნიერების კორიფეებმა — აკაკი შანიძემ, ვარლამ თოფურიამ, გიორგი ახვლედიანმა, არნოლდ ჩიქობავამ და სხვებმა. იყო საუბარი მის ცნობილ წიგნებზე: „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ", „რა გქვია შენ", „მყოფადი ქართველურ ენებში", „ძველი ქართული ხელნაწერების თავგადასავალი" და სხვ.

სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლიტერატურულ-თეატრალური კომპოზიცია, რომელსაც უძღვებოდა **ქეთი ხოხიაშვილი.**

დასასრულ ზურაბ ჭუმბურიძემ მადლობა გადაუხადა მშობლიურ სკოლას, მოსწავლეებს, დამსწრე საზოგადოებას ყურადღებისა და დაფასებისათვის.

# მისი წილი მდუმარება

კატო ჯავახიშვილის სახელი უკვე კარგად ნაცნობია ქართველი მკითხველისთვის. მისი ლექსების ახალი წიგნი საინტერესოა, დაფიქრებული, ხატებით და ნიშნებით სავსე. ერთ ლექსს ასეც ქვია „ნიშნები“. ეს არის ლექსი სიკვდილზე, უფრო სწორად, მის მრავალსახეობაზე:
სიკვდილი პათეტიკური – სიტყვა ქვეყანა, ომები, გმირების დამარხვა.
და მზე როცა ამოდის, მაინც შავი ფერი ადევს მიწას. სიკვდილის მიწიერი ჰიპოსტასი მარტოობაა.

**ისე გაავსეს მოგონებით დიდი ტომრები,**
**რომ ერთმანეთი დაეკარგათ.**

ამ დროს მზე ჩადის, მიწა, უკვე კანონიერად, შავია.
ბავშვის გაჩენა, თითქოს სიკვდილის უარყოფა, როცა მშობლებს აქვთ არჩევანის უფლება, ბავშვს კი, არა. ვინ ჰკითხა მას, უნდა თუ არა ხეიბარ კაცად, მეძავად ან ჯარისკაცად იქცეს? აქაც რეფრენი შავი მიწაა, რასაც ნგრევა მოყვება.
და ბოლოს, ხელოვნების, ლიტერატურის, განწყობის დიდ ტყუილამდე მივდივართ, რომელიც გაფეტიშებული გვყავს, სინამდვილეში კი იქნებ სულაც სისულელე და აბდაუბდაა ეს ყბადაღებული მხატვრული ტყუილი სიკვდილთან შედარებით? ამ ლექსში სევდა კაეშანს უახლოვდება, შავია, გამოსავალი არ ჩანს.
მაგრამ არის კიდევ ტკბილი სევდაც, არანაკლებ მკაცრი და შემაძრწუნებელი, ლექსში „ლოლიტა“, როცა ბავშვს ლამის დედის მუცლიდანართმევენ ბავშვობას, სექსის ბნელ ფსკერებს აჩვენებენ, როცა მის

**სხეულში კარმელები**
**ნელ-ნელა მიმწვარ შაქრის ტბაში იძირებოდნენ.**

და ნაბოკოვის ალტერ ეგოს, ვნებადაცლილის და სათვალემოხსნილის, ფეხებთან ეს ბავშვობაწართმეული ქალი ზის. სიშავისთვის ეცოდება პოეტს ეს გოგო და ყაყაჩოებს ეძებს მის სხეულზე თუ მიწაში.
კატო ჯავახიშვილის ლექსები ამით არის საინტერესო და არა რითმების გაუთავებელი ძებნით, ყოველთვის არსებულის, მაგრამ ახლა მოდაში შემოსული ანჟამბემანის მოძალებით, თუმცა არც ეს უნდა იყოს უცხო პოეტისთვის, როცა ის ხელოვნების საყრდენს – ხელობასაც კარგად ფლობს, როცა ლექსის ფორმა ისეა მორგებული აზრზე, რომ თვალშისაცემი და გაკეთებული კი არ არის, არამედ ორგანულია, ოფლისა და ძებნის კვალი არ ეტყობა.
ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელო ნაკითხული უნდა გქონდეს, მაგრამ გვერდზე გადადებული, როცა ღმერთი ლექსს გკარნახობს და შენ წერ. მაშინ გამოგივა ასეთი ხატი: „მორღვეულ ღიმილს სარკის წინ რომ ვერ ისწორებენ“.
რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, რომ მეტაფორა ზედმეტ სამკაულად იქცა, რომ ლექსი უნდა იყოს სადა (ოღონდ არა მარტივი), თუ შენი ხედვა არ განსხვავდება სხვა პოეტის ხედვისგან, თუ სხვაგვარად დაწახნაგებული ბროლი არ გიზის თვალში და, ვთქვათ, შენი მთა სულ სხვა მთაა, გალაკტიონის ხასნაულს არ ჰგავს, მაგრამ შენია, ისეთი რაკურსით მოაბრუნე მკითხველისკენ, რომ დაანახე, მოაწონე, ამას მეტაფორის გარეშე ვერ შეძლებ. ეს არის, უაზროდ არ უნდა დაახვავო იგივე მეტაფორები.
ასე თავისებურად ხედავს პოეტი ჯარისკაცებს, რომლებიც „სიცარიელით ამოვსებულ რკინის ჯამიდან მოლოდინს თქვლეფენ“, ხედავს, რომ მათი ცოლები ტკბილ ფლავს ჭამენ, პუდრს იცხებენ სახეზე, მოლოდინისგან და სურვილისგან დამძიმებულ სხეულებს დაატარებენ და იმასაც ხვდებიან, რომ მათი კაცები, ჯარისკაცები, სხვა ქალებთან წვანან და ამ მწარე სიმართლეს ქიშმიშით და ცუკატებით ველარ დაიტკბობენ.



კატო ჯავახიშვილი

ტრაგიკულია ლექსი „ჭუპრი“, სადაც პოეტი პარალელს ავლებს პეპლებად ქცეულ ჭიებსა და თვითმკვლელების შვილებს შორის, რადგან მახინჯი ჭიაც თავის ნებით კვდება, რომ მშვენიერი პეპელა გაჩნდეს, ისევე, როგორც ბალახები და ყვავილები ეუბნებიან მინდიას, როდის შეიძლება მათი მოწყვეტა, რომ ადამიანს უწამლონ, ესეც მათი თავგანწირულება თუ თვითმკვლელობაა, თორემ ცელის უფრო არ უნდა ეშინოდეთ, ვიდრე სეტყვის? ამიტომ პეპელა თავისთავში უსათუოდ ატარებს იმ ჭიას, თვითმკვლელის შვილი – ხელებს, ტუჩებს, თვალებს მშობლისას, დაუმცხრალ გენეტიკას

**თვითმკვლელთა შვილებს**
**შეგვინდე, ღმერთო!**

საინტერესოა კატო ჯავახიშვილის ლექსის ფორმა – ერთ ლექსში ვერლიბრის და კონვენციური სტროფების მონაცვლეობა. მისი კონვენციური ლექსიც თავისებურია, არავის არ ჰგავს.

**რამდენს მოითხოვ ნეტა, შენს წილ მდუმარებაში,**
**რამდენი წელი**
**გავიდეს უნდა. გზა დამოკლდეს. დასველდეს სხვენი.**
**გამოიარონ**
**გზაზე სხვებმა. უყვარდეთ. ცრიდეს. შენ ფურირემი**
**გამოწელო.**
**გაიხსნას მიწა. წამოსცვივდეს ბელტი ნიადაგს.**

ამ ხშირ წერტილებს სტრიქონში, სადაც სხვას შეიძლება მძიმე დაესვა, სტოკატოთი მიყავს ლექსის მუსიკა, რითმებიც მისია, არაგაცვეთილი, მჟღერი და ერთმანეთისგან არაწესისამებრ შორიახლო გაფანტული: წილი, წელი, ფურ-ირემი გამოწელო და სხვ.
საინტერესო და მტკივნეული იქნება მკითხველისთვის, პოეზიის მოყვარულისთვის კატო ჯავახიშვილის ახალი ლექსების კრებული „ჭუპრი“.

ლია სტურუა

ს. 23/44



კირილე ზდანევიჩი

ნატურმორტი

ISSN 1987-7730